

00500



1965

12

# მისწერი

12

დეკემბერი

1 9 6 5

ლიტერატურულ-  
მხატვრული და  
საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური  
ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა  
და მწერალთა კავშირის ორგანო

---

თბილისი

### რედაქტორი ხუტა ბერულავა

სარიდაქციო კოლეგია: გურამ გვერდუთელი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მმ. მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავანიძე, ვახტანგ ზელიძე, სერჟო ზილანია, თამაზ ზილაძე, ლაშა ჯანაშია.



## სამხრეთ-ოსეთის მწერლები «ცისკარში»

ჟურნალის ეს ნომერი ძირითადად დავუთმეთ ძვირფას მეგობრებს, სამხრეთ-ოსეთის მწერლებს, რომლებიც ჩვენი მკითხველის წინაშე წარდგებიან თავიანთი ლექსებით, მოთხრობებით, სტატიებით. ეს ნაწარმოებები დიდი სიყვარულითა და მონდომებით თარგმნეს ქართველმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა.

ამ ერთი წლის წინათ ქალაქ ცხინვალში სამხრეთ-ოსეთის მწერლებისა და ოლქის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული აქტივის მონაწილეობით შედგა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომა. პრეზიდიუმის წევრები დაწვრილებით გაეცნენ მწერალთა კავშირის ამ განყოფილების როგორც შემოქმედებით, ისე ორგანიზაციულ საქმიანობას, განიხილეს მწერალთა უფროსი და ახალი თაობის წარმომადგენელთა ნაწარმოებები.

გულთბილი და ამაღელვებელი იყო მხატვრული სიტყვის ოსტატების — ქართველი და ოსი მწერლების შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, სადაც ბევრი რამ საინტერესო ითქვა და დაისახა მომავალი მუშაობისათვის.

იმ შეხვედრების ერთ-ერთი გამოძახილია მოძმე ოსეთის საუკეთესო მწერლების ახლანდელი სტუმრობა „ცისკარში“. ვინც კი ყურადღებით გაეცნობა ჟურნალში მოთავსებულ მხატვრულ პროდუქციას, დარწმუნდება, რომ სამხრეთ-ოსეთში მომუშავე ლიტერატორები ფეხდაფეხ მიჰყვებიან ჩვენს გმირულ ცხოვრებას, იმალევენ პროფესიულ ოსტატობას, არ უხვევენ სოციალისტური რეალიზმის მაგისტრალური გზიდან.

სამხრეთ-ოსეთის მწერლებისა და ხელოვნების მოღვაწეთა დიდი შემოქმედებითი წარმატებანი შედეგია ლენინური ეროვნული პოლიტიკისა, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობისა და დახმარებისა. საბჭოთა ხალხების დიდ მეგობრულ ოჯახში ვითარდება და იზრდება ოსი ხალხის თვითმყოფადი მწერლობა, ხელოვნება, ეროვნული კულტურა.

მიუხედავად ამისა, სამხრეთ-ოსეთის ლიტერატურულ ორგანიზაციაში ყველაფერი რიგზე როდია. ჯერ კიდევ ქვეყნდება ისეთი ნაწარმოებები, რომელთა მხატვრული ღირებულება ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი ოსი ადამიანის მაღალ კულტურულ მოთხოვნილებას, მის გემოვნებას. ლიტერატურული კრიტიკა ჯეროვან შეფასებას ვერ აძლევს იდეურად და მხატვრულად სუსტ ნაწარმოებებს, ვერ ეხმარება მწერალს შემოქმედებით ზრდასა და დავაჟაკაცებაში. ამ მდგომარეობას ბევრი ობიექტური მიზეზიც აქვს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა საყვარელ ჟურნალს „ფიდიუაგს“, მეტისმეტად მცირე მოცულობის გამო, არა აქვს საშუალება უფრო ფართო ადგილი დაუთმოს სალიტერატურო

კრიტიკას, ჩვენი ცხოვრების ამსახველ მებრძოლ პუბლიცისტურ წერილებს. საქართველოს მწერალთა კავშირმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ <sup>საქართველოს</sup> <sup>კომუნისტური</sup> ნაღს და სათანადოდ გაზარდოს მისი მოცულობა.

ასევე უნდა აღინიშნოს: ოლქის საგაზეთო-საჟურნალო გამომცემლობის წიგნის გამოცემის სექტორს არ გააჩნია ქალაქის საკმაო რაოდენობა, რის გამოც შეუწყნარებლად ჭიანჭურდება ახალი, მნიშვნელოვანი ნაწარმოებების გამოცემა. ჩვენი აზრით, რესპუბლიკის საგვემო ორგანიზაციებმა ამ სექტორს უნდა გაუდიდონ ქალაქისა და სხვა საჭირო მასალის ფონდი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვაგრძელებს კეთილი ტრადიცია სამხრეთ-ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა დეკადის ჩატარებისა ქალაქ თბილისში. ჩვენ ახლაც კარგად გვახსოვს დიდი წარმატება, რაც წილად ხვდა ოსი ხალხის წარმოგზავნილებს საქართველოს დედაქალაქში. ის თბილი, ჭეშმარიტად ძმური მიღება იყო ნათელი დადასტურება ოსი და ქართველი ხალხების მტკიცე თანამეგობრობისა, რომელიც თავისი ფესვებით შორეულ საუკუნეებში მიდის. ნიჭიერი და მამაცი ოსი ხალხი მუდამ ვაჟკაცურად ედგა მხარში თავის მოძმე ქართველ ხალხს. ოსებსა და ქართველებს ჭირსა და ღვინოში ერთად უვლიათ, ერთად დაუღვრიათ სისხლი მრავალი ჯურის დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ერთად უბრძოლიათ თავისუფლებისა და ნათელი მომავლისათვის. ჩვენი ხალხების მეგობრობის ჰიმნებს მღერიან ახლა ოსი და ქართველი მწერლები.

„ცისკარი“ შეეცდება სისტემატურად, თანმიმდევრულად გააცნოს ქართველ მკითხველს სამხრეთ-ოსეთის მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებები. ჟურნალის კოლექტივი თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად სულითა და გულით მისაღება ძვირფას მეგობრებს და უსურვებს მათ მრავალ შემოქმედებით სიხარულს!

## გულითადად ვულოცავთ

ჩვენ მუდამ დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალყურს მოძმე ოსი ხალხის, მამაცი და შრომისმოყვარე ხალხის, ლიტერატურისა და ხელოვნების ზრდა-განვითარებას, გვახარებს მისი ყოველი შემოქმედებითი გამარჯვება.

კეთილი ამბავი მოვიდა ჩრდილო-ოსეთის ასსრ დედაქალაქ ორჯონიკიძედან: ოსური ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ ოსტატებს — მწერალ დაბე მამსუროვს, ენათმეცნიერსა და ლიტერატურათმცოდნეს პროფესორ ვასო აბაევს და დიდებულ მსახიობს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ვლადიმერ თხაბსაევს მიენიჭათ ოსი ხალხის დიდი პოეტისა და სახალხო გმირის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის რესპუბლიკური პრემიები; ამავე პრემიის ლაურეატი გახდა ცნობილი რუსი პოეტი, კ. ხეთაგუროვის ნაწარმოებთა რუსულ ენაზე მთარგმნელი ნიკოლოზ ტიხონოვი.

ესარგებლობთ შემთხვევით და „ცისკრის“ საშუალებით ძმური სიყვარულით მივესალმებით ხეთაგუროვის პრემიის პირველ ლაურეატებს, ვულოცავთ ამ მაღალ ჯილდოს და ვუსურვებთ ახალ, კიდევ უფრო ბრწყინვალე შემოქმედებით გამარჯვებებს.

შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატები:

ი. აბაშიძე,  
ა. აბაშუაქალი,

კ. გამსახურდია,  
ლ. გუღიაშვილი



## საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში

აკაკე თელავი,

საპარტიველოს კომპარტიის სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ცხოველმყოფელი ძალა ცხოვრებასთან ორგანულ კავშირში მდგომარეობს. სოციალისტური სინამდვილის მართლად და მალამხატვრულად ასახვა, ყოველივე ახლის, ჭეშმარიტად კომუნისტურის ნათლად და შთამაგონებლად გადმოცემა, იმის მხილება, რაც ხელს უშლის ჩვენი საზოგადოების წინსვლას — აი სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების მთავარი გეზი.

ოსური საბჭოთა ლიტერატურაც, როგორც სოციალისტური რეალიზმის პრინციპების ერთგული მიმდევარი, ისწრაფვის ფართოდ ასახოს ცხოვრება მთელი თავისი სისავსით, ბრძოლებით, სიძნელეთა გადალახვით. იგი არ უშინდება წინააღმდეგობათა სიმწვავეს, ნათლად სახავს თანამედროვე მოვლენათა ისტორიულ-რევოლუციურ პერსპექტივებს.

ოსურმა ლიტერატურამ, რომლის ფუძემდებლად ითვლება უკვდავი კოსტა ხეთაგათი (ხეთაგუროვი), თავის ნამდვილ განვითარებას მიაღწია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, რომლის ცხოველმყოფელმა სხივებმა გაანათა მეფის რუსეთის ოდესღაც ჩამორჩენილი მხარე — ოსეთი.

დიდმა კოსტა ხეთაგათმა თავისი ნათელი გონებით, სასწაულმოქმედი ხელებითა და მხსურვალე გულით პირველი ღრმა კვალი გაავლო ოსურ ლიტერატურაში. ამ მაღლიანი კაცის უანგარო შრომამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოიღო სასურველი ნაყოფი. განახლებული ოსეთის მწერლობამ მძლავრი ხმით უმღერა თავისი ხალხის ბრძოლებითა და დიდებით აღსავსე გზას.

ოსურ საბჭოთა ლიტერატურას სათავეში უდგნენ ადამიანები, რომლებისთვისაც ლიტერატურა და რევოლუცია ერთი მცნება იყო.

ცომაყ გადათმა და ნიგერმა, სიკო ყულათმა და გიორგი მალითმა, ჩერმენ ბეჯიზათმა და სოზურ ბლრათმა, გინო ბარაყთმა და ალექსანდრე ძადთიათმა და მრავალმა მათმა თანამებრძოლმა შექმნეს ოსური ლიტერატურა, საფუძველი ჩაუყარეს მის იდეურ-ესთეტიკურ იდეალებს, განსაზღვრეს მისი ტენდენციები. მათი შემოქმედება ახალი ოსური სოციალისტური კულტურის ქვაკუთხედი.

მათ შესანიშნავად აულეს ალლო ახალ დროს, გულწრფელად უარყოფდნენ ძველ წყობას და დიდი იმედებით შეპყურებდნენ მომავალს. აი რატომ ჩქეფს სიცოცხ-

ლე ასე ძლიერად მათ ლექსებში, მოთხრობებსა და პიესებში.

ძველის ნგრევისა და ახლის შენების სულისკვეთებით არის გამსჭვალული ცომაყ გალიათის დრამატურგია, ნიკერის ფილოსოფიური ლირიკა, ჩერმენ ბეგიზოვის პროზა და სხვ.

ძნელა ერთი სიტყვით დაახასიათო ოსი მწერლების მიერ ოციან წლებში შექმნილ სახეთა გაღერება, იმდენად მრავალმხრივი და განსხვავებულნი არიან ისინი იდეურ-ესთეტიკური თვალსაზრისით. ეს ლიტერატურული გმირები ნამდვილი საბჭოთა ადამიანები არიან, რადგან მათი შემოქმედნი მხოლოდ სიმართლეს ემსახურებიან, კარგად ესმით ლიტერატურის ხალხურობისა და პარტიულობის ლენინური პრინციპი.

სამხრეთ-ოსეთის მწერალთა შემოქმედების შემდგომ ზრდასა და განვითარებაზე დიდი და ცხოველმყოფელი გავლენა იქონია არა მარტო რუსულმა და ქართულმა კულტურამ, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ლიტერატურამაც.

1924 წელს სამხრეთ-ოსეთში გამოვიდა პირველი საბჭოთა ბექდვიითი ორგანო — გაზეთი „ხურზარინი“, ხოლო 1927 წელს — ჟურნალი „ფიდიუაგი“, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ახალი ოსური კულტურის ფორმირებასა და განვითარებაში.

უკვე 30-იან წლებში სამხრეთ-ოსეთს ჰყავდა ნიჭიერი მწერლები: ჩერმენ ბეგიზაი, ფარნიონი, სიკო ყულათი, ხარიტონ ფლითი, სოსლან გაზათი, კუძაჯ ძესთი და სხვ. მათ თავიანთ შემოქმედებაში ასახეს ღრმა ცხოვრებინული პროცესები.

დიდი სამამულო ომის წლებში სამხრეთ-ოსეთის მწერლებმა კალამთან ერთად მახვილიც აიღეს ხელში. ისინი ღირსეულად უმდერდნენ საბჭოთა ხალხის სიმამაცეს ფრონტზე და ზურგში.

პოეტებმა გაფეზმა (ფ. ვაგლოითმა), ნაფი ჯუსოითმა, გიორგი ძუგათმა, რევაზ ასათმა და სხვებმა სამამულო ომის პერიოდში და მის შემდეგ არა ერთი ნაწარმოები უძღვნეს საბჭოთა ხალხების გმირულ ბრძოლას ფაშისტ დამპყრობთა

წინააღმდეგ. მათი წიგნები: „ცხოვრება ძვირფასია“, „ჯარისკაცის გულთხეობის გასაღები“ და „მებრძოლის კალამი“ ასახავენ საბჭოთა მებრძოლის ღირსებას, საბჭოთა ხალხის მტკიცე სულს.

სამამულო ომის წლებში მამაცთა სიკვდილით დაეცნენ ახალგაზრდა პოეტები გიორგი ხამიცათი, ხაზბი ხოდთი, ამირან ბეკოითი და სხვები, რომელთა ხალასი ნიჭი ბევრს შემატებდა ოსურ საბჭოთა ლიტერატურას.

მრავალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები შექმნეს სამხრეთ-ოსეთის ცნობილმა მწერლებმა ელიოზ ბეკოითმა, რეზო ცოციითმა, ვლადიმერ გელაშვილმა, ნიკოლოზ ვაგლოითმა, ნიკამ, ვასო სანაყოთმა, მელიტონ ვაბულთმა, ჰაჯიმურატ ძუცათმა, ისიდორე ქოზათმა, ალექსი ბუქულთმა, ვლადიმერ ვაგლოითმა, გიორგი ბესთაუთმა.

ბევრ საინტერესოს ვგვირდებიან ახალგაზრდა მწერლები: ნ. ზაყათი, ლ. ხარებათი, ზ. ხოსთიყოთი, გ. ყოდალათი, ხ. ალბორთი, ს. მინდიაშვილი, საბავშვო მწერალი ქალი კ. ჯიოთი და სხვანი.

საბჭოთა მკითხველი კარგად იცნობს მწერალ დავით ჯიოთის ნაწარმოებებს: „უძლეველი ძალა“, „განთიადი“ და სხვ. ამჟამად იგი მუშაობს რომან „ილიკოს“ ახალ ვარიანტზე. სიახლით, ლირიზმითა და იდეურობით ხასიათდება დრამატურგ ვლადიმერ ვაგლოითის პიესები: „ზალინა“ და „ლეგენდა სიყვარულზე“. ახლახან გამოვიდა მწერალ გიორგი ძუგათის რომანი „დანის პირზე“, რომელიც დიდი სამამულო ომის თემას ეხება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ოს მკითხველს საშუალება მიეცა ვაცნობოდა რუს, ქართველ და უკრაინელ მწერალთა მრავალ ნაწარმოებს.

ოსურ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ნ. გოგოლის, ა. ჩეხოვის, ლ. ტოლსტოის, ვ. მაიაკოვსკის, მ. შოლოხოვის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ა. ყაზბეგის, ტ. შევჩენკოს, ი. ფრანკოს, გ. ტაბიძის, ლეო ქიაჩელიის, გ. ლეონიძის, ირ. აბაშიძის და სხვათა ნაწარმოებები.

შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ ოსურ ენაზე თარგმნა მწერალმა მუნტარ შავლოხოვმა (თარგმანი უკვე ორჯერ გამოიცა).

სამხრეთ-ოსეთის მწერლები მუდამ გრძობდნენ ქართველ თანამოკალმეთა ზრუნვასა და ძმურ დახმარებას. ჩვენ მწერლებს და მშრომლებს დიდხანს ემასსოვრებათ 1964 წელს ქართველ მწერალთა სტუმრობა ცხინვალში. ამ შეხვედრის დროს მათ გულდასმით განიხილეს ოსი მწერლების შემოქმედება და საერთოდ მთელი თანამედროვე ოსური ლიტერატურა.

ქართულ ენაზე სისტემატურად იბეჭდება ოსი მწერლების: გაფეხის, ი. კავკაზაგის, რ. ასათის, დ. ჯიოთის, გ. ძუგათის და სხვა ნაწარმოებები.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ოსი მწერლები ჯერ კიდევ ნაკლებად ქმნიან ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახულია ჩვენი ცხოვრების მტივიანული საკითხები, მუშების, კოლმეურნეების, ჩვენი ინტელიგენციის ცხოვრება და საქმიანობა. ზოგიერთი პოეტი ნოვატორობის მიზნით ხშირად წერს ფართო მკითხველისათვის გაუგებარ, იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით სუსტ ნაწარმოებებს. ასევე ჩამორჩება და ნაკლებ მოთხოვნილებებს უყენებს მწერლებს ოსური ლიტერატურული კრიტიკაც.

ოსური კულტურის განვითარებაში ერთ-ერთ წამყვან როლს თამაშობს კოსტა ხეთაგათის სახელობის სახელმწიფო თეატრი და სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „სიმღი“.

ოსური თეატრი უკვე 60 წელია ერთგულად ემსახურება ჩვენი ხალხის სულიერი აღზრდის ინტერესებს. მის სცენაზე დაიდგა როგორც მსოფლიო, ისე რუსული და ქართული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები.

ბოლო წლებში თეატრის კოლექტივი შეიგოსო ნიჭიერი მსახიობებით, რომელთაც წარმატებით დაამთავრეს მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის სტუდია. თეატრის ოსურმა დასმა შარშან წარმოადგინა შექსპირის „ჰამლეტი“, ხო-

ლო ქართულმა — ა. ყაზბეგის „მამის მკვლელი“, მაგრამ მათ რეპერტუარს ძირითადად თანამედროვე ცხოვრების სახველი პიესები შეადგენს.

დიდ შემოქმედებით აღმავლობას განიცდის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „სიმღი“, რომელიც პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს არა მარტო ოლქისა და რესპუბლიკის ფარგლებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ბოლო ხანებში ანსამბლი საგასტროლოდ იმყოფებოდა უკრაინაში, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში, მათ შორის შორეულ აღმოსავლეთში.

ოსური მუსიკალური კულტურის განვითარებაში სერიოზული წვლილი შეაქვთ კომპოზიტორებს ბ. გალათს, დ. ხახანთს, ხ. ფლითს, ი. გაბარათს, ფ. ალბორთს, ვ. ფლითსა და სხვებს.

შარშან მოსკოვში გამოვიდა კომპოზიტორ ბ. გალაის „ოსური ხალხური სიმღერები“. ეს მონუმენტური შრომა მეტად მნიშვნელოვანია როგორც წმინდა მეცნიერული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

საქართველოს მხატვართა კავშირის სამხრეთ-ოსეთის განყოფილების შექმნამ ხელი შეუწყო სახვითი ხელოვნების შემდგომ განვითარებას. სამხრეთ-ოსეთის მხატვრები ბ. სანაყოთი, ვ. ქოქოთი, გ. ყოთათი, უ. გასათი, გ. დოღუთი და სხვ. აგრძელებენ სახალხო მხატვრის მხარებე თულანთის ტრადიციებს და მტივიცედ დვანან სოციალისტური რეალიზმის გზაზე. მათი ტილოები დიდ მოწონებას იმსახურებს გამოფენებზე თბილისში, მოსკოვსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

მრავალი ჩვენი მხატვარი ცხინვალის მ. თულანთის სახელობის სამხატვრო სწავლებლის აღზრდილია.

რეკოლუციამდელ ოსეთში წერა-კითხვის მცოდნე თითზე იყო ჩამოსათვლელი. სკოლები თითქმის არ არსებობდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად ოლქი დაიფარა სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელით.

ამჟამად სამხრეთ-ოსეთის ოლქში



320-ზე მეტი დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლაა, სადაც 21 ათასზე მეტი ბავშვი სწავლობს. სამხრეთ-ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტი ყოველწლიურად ამზადებს ასამდე მაღალკვალიფიციურ პედაგოგს ოლქისა და რესპუბლიკის სკოლებისათვის.

სერიოზულ მუშაობას ატარებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ოსეთის ისტორიის, ლიტერატურის, ენისა და კულტურის შესწავლის საქმეში. დღეს ინსტიტუტი მუშაობს ოსეთის ისტორიისა და ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენაზე.

ცხინვალის ორივე ინსტიტუტში 30-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი და ორი მეცნიერებათა დოქტორია (უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვი 2500 აღწევს).

მარტო ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის სამედიცინო, ტექნიკურ, სასოფლო-სამეურნეო და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს სამასზე მეტი ჩვენი სკოლადამთავრებული ახალგაზრდა.

მშრომელთა იდეურად აღზრდის საქმეს ემსახურება ოლქის 160-მდე ბიბლიოთეკა, კლუბი, კულტურის სახლი, ქ. ცხინვალის სახელმწიფო მუზეუმი და კინოთეატრები. ქ. ცხინვალსა და რაიონულ ცენტრებში არის მუსიკალური სკოლები, ხო-

ლო უახლოეს მომავალში ქალაქში მუსიკალური სასწავლებელიც გაიხსნება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამხრეთ-ოსეთში დიდად განვითარდა წიგნების გამოცემა. ჩვენი გამოცემლობა ყოველწლიურად უშვებს მხატვრული, პოლიტიკური, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ხასიათის წიგნებს, აგრეთვე სახელმძღვანელოთა მნიშვნელოვან რაოდენობას საოლქო სკოლებისათვის. მარტო 1930 წლიდან გამოიცა 1566 სახელწოდების სხვადასხვა წიგნი საერთო ტირაჟით 3,5 მილ. ეგზემპლარი.

შარშან ოსურ ენაზე გამოვიდა ვ. ი. ლენინის ბიოგრაფია და „მოგონებანი ვ. ი. ლენინზე“.

ოლქის მშრომელთა საყვარელი ჟურნალი „ფიდიუაგი“ სულ უფრო და უფრო საინტერესო და შინაარსიანი ხდება.

სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა მიღწევები სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგია.

სამხრეთ-ოსეთის მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, მთელი შემოქმედი ინტელიგენცია, შეიარაღებულნი მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებით, არ იშურებენ ძალასა და ენერგიას ახალ ნაწარმოებთა შესაქმნელად, რომლებიც ღირსეულად შეესატყვისება ჩვენს დიად ეპოქას — კომუნიზმის მშენებლობის ეპოქას.



## ნაზი ჯუსოთი

### ოსური მწარლობის გზა

მშობლიურ ლიტერატურაზე, მშობლიურ ენაზე კაცმა შეიძლება სიყვარულის ჰიმნი იმღეროს, შეიძლება გულს ალტაცებისა და მადლიერების სიტყვები აღმოხდეს. ამ გრძნობას მთელი სიღრმესიგანით მხოლოდ ის გაიგებს, ვისაც ეს ენა ესმის, ვინც იცნობს ამ ლიტერატურას. მაგრამ როგორ გავაცნოთ იგი სხვა ენაზე მოლაპარაკე მკითხველს ისე, რომ ამ ლიტერატურისადმი ჩვენი უსაზღვრო სიყვარული ვაგრძნობინოთ?

არ ვიცი, იქნებ სჯობდეს მათ ლიტერატურის ისტორიაზე ვესაუბროთ? მაგრამ ჩვენ ისტორიას არა ვწერთ.

ოსები უძველესი ისტორიისა და კულტურის ხალხია, მაგრამ ნუ გამოვეკიდებით ძველი დროის აღწერას, მოკლედ მოვნიშნოთ ახალი ოსური ლიტერატურის განვითარების ეტაპები.

მონღოლების მძვინვარე შემოსევამ გააუკაცრიელა ოსეთი. მონღოლთა ურდოებმა გაჰლიტეს არა მარტო ოსი ხალხის უმამაცესი შვილები, მისი კულტურის ძეგლებიც აღგავეს პირისაგან მიწისა.

თითქმის ხუთი საუკუნე დასჭირდა ოსი ხალხის მკვდრეთით აღდგომას.

რა თქმა უნდა, ხალხის სულიერი შემოქმედება არასოდეს არ წყდება. ხალხი თავისი ისტორიის უმძიმეს ხანაშიც კი გმინვასთან ერთად მღერის. ხელოვნება და ადამიანის ცხოვრება ორგანულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ხალხი არა მარტო დამცველია ხელოვნებისა, მისი შემოქმედიც არის.

ოსი ხალხი იმ შავზნელი ხუთასი წლის განმავლობაშიც კმნიდა თავის ხელოვნებას, ყანის ხენისას თუ მთის მდებარეობაზე ცელის წყარუნში, გლოვისა და სიხარულის დღეებში თხზავდა თავის სიმღერებს. ზეპირსიტყვიერებისა და მუსიკალური ხელოვნების ეს მარგალიტები უწყობდნენ ხელს მეცხრამეტე საუკუნის ოსური პროფესიული ლიტერატურის აყვავებას.

ხალხმა, რომელმაც საშინელი ისტორიული მარცხის შედეგად თავისი დამწერლობა დაკარგა (ამას მოგვითხრობს ნაღვლიანი „თქმულება დაკარგულ წიგნზე“), შეძლო დიდებული ჰეროიკული ეპოსის, თავისი პოეტური გენიის ძეგლის, „ნართების“ შენარჩუნება. ოსი ხალხის შემოქმედებითმა გენიამ შექმნა ზღაპრების, თქმულებების, ანდაზებისა

და სხარტულების მთელი ზღვა, ე. ი. ყველაფერი ის, რაც წინ უძღვის ლიტერატურას და აყალიბებს მის იდეურ-ესთეტიკურ სახეს.

ლიტერატურის განვითარება მრავალკულტურულ და იდეოლოგიურ წანამდღვარზეა დამოკიდებული, იქნება ეს მეზობელ ხალხებთან და მთელ კაცობრიობასთან ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი, ეროვნული თვითშეგნების დონე თუ ენის მხატვრული სრულყოფის ხარისხი.

პროფესიული ლიტერატურა განვითარებული დამწერლობისა და ხალხის რაღაც ნაწილის თუნდაც ელემენტარული მწიგნობრობის გარეშე ვერ იარსებებს.

სწორედ დამწერლობის მოგვიანებით შექმნამ (მეთვრამეტე საუკუნის დამლევს) შეაფერხა ოსური ლიტერატურის განვითარება. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ოსეთის მშვიდობიანმა შეერთებამ რუსეთთან ხელი შეუწყო დამწერლობის წარმოქმნას, წერა-კითხვის გავრცელებას (მართალია, რელიგიური განათლების მიზნით) და, რაც მთავარია, ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას. მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმი, ცხადია, განმანათლებლურ მიზნებს არ ისახავდა, მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია: ოსები საეკლესიო სქოლასტიკასა და სამხედრო-ჩინოვნიკურ ცოდნას რომ აზიარა, ამით ცარიზმმა უნებურად რუსულ დემოკრატიულ კულტურასთან მისასვლელი გზა გაუხსნა ხალხს. ეკონომიურ და პოლიტიკურ კავშირს, ბუნებრივია, თან მოყვებოდა კულტურული ურთიერთობაც, მოგვიანებით კი საკუთრივ ლიტერატურულმა ურთიერთობებმაც იჩინა თავი.

ოსებს რუსეთთან შეერთებამდეც ჰყავდათ უძველესი კულტურის მქონე მეზობელი — მოჰმე ქართველი ხალხი. კავკასიის ამ უდიდესმა კულტურულმა კერამ დიდი როლი ითამაშა ოსეთის განათლებაში.

ცარიზმი ხელს უშლიდა ხალხებს შორის მეგობრულ დამოკიდებულებას. პრინციპი—დაყავი და იბატონე—ყველ-

გან განუხრელად ხორციელდებოდა, ამიტომ საქართველოს კულტურული გავლენა ოსეთზე კავკასიაში ~~კარგად~~ დამკვიდრებისთანავე თითქმის შეწყდა. 1836 წელს ოფიციალურად აიკრძალა ოსური წიგნების ქართული გრაფიკის თარგზე ბეჭდვა, ღვთისმსახურების ქართულად აღსრულება.

და მაინც, ქართული კულტურის გავლენამ ოსეთს სულ ცოტა, ორი გამოჩენილი სახელმწიფო და კულტურული მოღვაწე მისცა. პირველი იყო ელიზბარელიყანთი, ერეკლე მეორის კარზე მომსახურე დიპლომატი, ჭკვიანი და განათლებული მოღვაწე, რუსეთის ორიენტაციის მხურვალე მომხრე. ოსეთის რუსეთთან მშვიდობიანი გზით შეერთების იდეაც და მისი განხორციელებაც, შეიძლება ითქვას, ელიყანთს ეკუთვნის.

მეორეა ივანე იალღუზიძე (გაბარათი), რომელმაც ქართულ ენაზე დაწერა პოემა „ალღუზიანი“. მანვე, ქართული გრაფიკის საფუძველზე, შეადგინა ოსური ანბანი. იგი სასულიერო წიგნების ოსურ ენაზე პირველი მთარგმნელიც იყო.

დამწერლობისა და მწიგნობრობის, ეროვნული თვითშეგნებისა და რუსეთთან კულტურული ურთიერთობის განვითარებას თან მოჰყვა ეროვნული ლიტერატურის აღმოცენება. მხოლოდ ლიტერატურას შეეძლო აესახა ხალხის ფიქრები და იმედები, ხორცი შეესხა მათთვის და ისევ ხალხის სულიერი სამყაროსათვის დაებრუნებინა.

რა თქმა უნდა, ეროვნული ლიტერატურის შექმნაში მხოლოდ ობიექტური ფაქტორები როლი მონაწილეობენ. ამისათვის აუცილებელია დიდი მხატვრული ტალანტისა და ცოცხალი, შემოქმედებითი აზროვნების ადამიანების ლიტერატურაში მოსვლა.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ოსეთში ბევრი წერდა ლექსებს მშობლიურ ენაზე, მაგრამ მათ ლიტერატურული ტრადიციის შექმნა ვერ შეძლეს. ამისათვის უფრო დიდი ნიჭი აღმოჩნდა საჭირო. მათგან საუკეთესოც კ. მღვდელი აქსო ქოლითი, როგორც იტყ-

ვიან, კალმის მოსინჯვის დონეს არ გასცილებია.

მაგრამ აი 1865 წელს კავკასიის მაჰმადიანური საარწმუნოების მთიელთა ნაწილი, მეფის ადმინისტრაციის წაქეზებით, ერთმორწმუნე თურქეთში გადასახლდა. თავისუფალი და ქედმოუხრელი მთიელები მუჰაჯირებად გადაიქცნენ. მათ შორის ოსიც ბევრი იყო.

ეს ამბავი ეროვნული მასშტაბის ტრაგედია გახდა.

სწორედ ამ პერიოდში დაიბადა როგორც პოეტი თემირბოლათ ოსმანის ძე მამსურათი (1843—1899). ამ პირველი დიდი ოსი პოეტის ლექსები გამსჭვალულია უდიდესი, ტრაგიკული, ამადლებული სიყვარულითა და სევდით. ეს ლექსები კი არა, მამაკაცის დარდიანი ქვითინია, აღმასივით მტკიცე ცრემლებია, ოსტატის ჯადოქრული ხელით დახვეწილი და ხელოვნების ფასდაუდებელ ნიმუშად ქცეული.

ოსურ ლიტერატურაში თემირბოლათ მამსურათის მსგავსი ტრაგიკული ფიგურა არ არსებობს. ოცდაორი წლის ჭაბუკი, „შეურაცხყოფილი, სამშობლოდან ძალით განდევნილი“, უცხო მხარეში მოხვდა და შორეულ ანატოლიაში „ტკბილ ოსეთზე“ დარდით დალია სული.

მაგრამ თემირბოლათის პოეზია ოსური თორმეტსიმინი ფანდურის მხოლოდ ერთი ტრაგიკული სიმის სიმღერაა. საჭირო გახდა კოსტა ხეთაგათის (1859—1906) გენია, რომ ამ ფანდურის თორმეტსიმე სიმი მძლავრად აქლერებულყო. მხოლოდ კოსტამ შეძლო თავისი უდიდესი პოეტური ტალანტითა და ირანეულებრივი გამჭრიახობით საფუძველი ჩაეყარა ოსური ეროვნული ლიტერატურისათვის.

მასთან ერთად ლიტერატურაში მოვიდა მთელი პლეადა ნიჭიერი ოსი პოეტებისა და მწერლებისა, რომლებმაც დაასრულეს თვითმყოფადი ეროვნული მხატვრული ტრადიციის ჩამოყალიბება. ესენი იყვნენ დიდი დრამატურგი და რე-

ვოლუციონერი ელბიზდიყო ბრიტილი (1881—1923), ოსური პროზის ფუძემდებელი და უპარესად ნიჭიერი ნიჭიერი სეკა გადიათი (1855—1915), რომანტიკოსი და ნართების ეპოსის უბადლო მცოდნე ალექსანდრე კუბალთი (1871—1937), კ. ხეთაგათის რევოლუციური პოეზიის მიმდევარი, პროზაიკოსი, დრამატურგი, პოეტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ოსური ლიტერატურის პირველი ისტორიკოსი, დიდი საზოგადო მოღვაწე ცომაყ გადიათი (1882—1931), ოსურ პროზაში რეალისტური სატირისა და იუმორის გზის გამკაფავი არსენ ქოცოიანი (1871—1944).

ერთი სიტყვით, ამ მწერლების შრომისა და შემოქმედებითი გამირობის წყალობით მეცხრამეტე საუკუნის დამლევისა და მეოცე საუკუნის დამდევის ოსურმა ლიტერატურამ ჩამოყალიბებული, ორიგინალური ეროვნული სახე მიიღო.

ოსური ლიტერატურის შემდგომი განვითარების გზები დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებასთან, სამოქალაქო ომისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის ქარცეცხლთან იყო დაკავშირებული.

პირველ ოცწლეულში ოსურ საბჭოთა ლიტერატურაში რევოლუციამდელ მწერლებთან ერთად მოღვაწეობდნენ ახალგაზრდა ლიტერატორები, სამოქალაქო ომის ქარცეცხლგამოვლილი ჭაბუკები, რომელთაც ცხოვრების გარდაქმნისათვის რევოლუციური ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდათ.

ამ წლების ლიტერატურის ავანგარდში ცომაყ გადიათისა და არსენ ქოცოიანის გვერდით იდგნენ შესანიშნავი მწერლები: ჩერმენ ბეჯიზათი, სიკო ყულათი, ვინო ბარაყთი, გიორგი მალითი, ნიგერი, მისოსთ ყამბერდიათი, კოსტა ფარნიონი, ქუძაგ ძესთი, დაბე მამსურათი და სხვები.

ამ წლების ლიტერატურული პროცესი მარტოოდენ ახალი ენარების შემოტანით როდი ხასიათდება. აღმოცენდა და დამკვიდრდა ლიტერატურული კრიტიკა და, რაც ფრიად მნიშვნელოვანია, კიდევ

უფრო გაღრმავდა რეალიზმი, დიდი ფსიქოლოგიზმი და პრობლემატიზმი.

ოცდაათიან წლებში დაიბადა აგრეთვე ოსური რომანი. ეს შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. ლიტერატურა მწვავედ გრძნობდა ამ ქანრის აუცილებლობას, მაგრამ რომანის წარმოსაშობად თხრობის საზღვრებისა და მასშტაბების უბრალო გაფართოება არ კმაროდა, საჭირო იყო თხრობის რეალისტური მანერა, ხასიათების ღრმა და ფსიქოლოგიურად მართალი მოტივირება, სინამდვილის წინააღმდეგობათა დანახვისა და გაგების უფრო მეტი უნარი, ეპოქის პრობლემატიკის არსის ახსნა და გადამუშავება.

დიდი სამამულო ომის წლებმა ოსური ლიტერატურა ჯარისკაცული ცხოვრების მკაცრი სინამდვილით გაამდიდრა. ომის შემდგომ ათწლეულში კი ლიტერატურაში გაბატონდა სინამდვილის ქებათაქების ტონი. გამოჩაყლის მხოლოდ ისტორიულ და ომის თემაზე დაწერილი ნაწარმოებები წარმოადგენდა. მაგრამ აქაც ცხოვრებისადმი გამარტივებულმა მიდგომამ ზოგიერთ მწერალს სინამდვილის წინააღმდეგობათა ღრმად ასახვის უნარი წაართვა, მხატვრული აზროვნების პრობლემატურობას გადააჩვიდა. რეალისტურობა ილუსტრირებით იცვლებოდა, პრობლემატურობა—სინამდვილის სოციალური პოლარიზაციის შიშველი სქემით, ფსიქოლოგიური სიღრმე — ხასიათების სწორხაზოვნებით, სტილისტური სიმდიდრე — მონოტონური მეტყველებით.

უკანასკნელი წლების მანძილზე შეძლო ოსურმა ლიტერატურამ ცხოვრებისეული სიმართლის მხატვრული ათვისებისაკენ გზის გაკაფვა. ოსური საბჭოთა ლიტერატურის ამ ხანას შეიძლება ვუწოდოთ რეალისტური სიმწიფის პერიოდი. ეს ეხება ყველა ქანრს: პოეზიას, პროზას, დრამასა და ლიტერატურულ კრიტიკას. რა თქმა უნდა, ამჟამადაც შეზღუდვებით ოსურ ლიტერატურაში მხატვრულად განუზოგადებელ ამბებს, უგემოვნო ნაწარმოებებს, მაგრამ ისინი არ

განსაზღვრავენ დღევანდელ ოსური ლიტერატურის დონეს.

ასეთია ზოგადად ოსური ლიტერატურის განვითარების გზები. ამჟამად ჩვენს მწერლობას ამშვენებს როგორც მრავალი საინტერესო ორიგინალური ნაწარმოები, ისე მსოფლიო კლასიკოსებისა და მოძმე ხალხების ლიტერატურის შესანიშნავი თარგმანებიც.

მე მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა ჟურნალ „ცისკრის“ ამ ნომერში წარმოდგენილ თანამედროვე ოსური ლიტერატურის თვალსაჩინო ოსტატებზე.

თანამედროვე ოსურ პროზაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რეზო ცოციტისა და ელიოზ ბეკოიტის რომანებსა და მოთხრობებს. ეს ორი მწერალი ლიტერატურაში ოცდაათიან წლებში მოვიდა. ხანგრძლივ შემოქმედებით პრაქტიკაში მკაფიოდ გამოიხატა მათი ინდივიდუალური მხატვრული თავისებურებანი.

რეზო ცოციტი უფრო ყოფა-ცხოვრების აღწერისკენ მიილტვის, იგი დაინტერესებულია სიტყვის ხატოვანებითა და მორალურ-ეთიკური პრობლემატიკით, რომანტული და მწვავე სიუჟეტებით. ცოციტი რამდენიმე დრამისა და კომედიის ავტორია, ამიტომ პროზაშიც ხშირად იყენებს მწვავე სიტუაციებს. ელიოზ ბეკოიტს კი, პირიქით, დინჯი, ობიექტური თხრობის მანერა ახასიათებს; მისი ნაწარმოებები საკმაო სისრულით ასახავს სინამდვილეს და ადამიანების ხასიათს.

ორივე მწერალი გულმოდგინედ ეძებს მოწინავე იდეების მატარებელ დადებით გმირს. სამწუხაროდ, ისინი ჯერ კიდევ ვერ ზედავენ ცხოვრების წინააღმდეგობათა მნიშვნელოვან პრობლემებზე მუშაობას.

ოსურ პროზაში ნაყოფიერად მუშაობს ცოციტისა და ბეკოიტის თაობა: მრავალი მოთხრობის, რომანისა და ნარკვევის ავტორებია; ნინა გაღვანთი, ვლადიმერ გოლოთი, ვასილ სანაყოთი, ნიკოლოზ გაგლოითი, ილია ფლითი და სერგი ხაცირთი. მათ შექმნეს არაერთი საინტერესო ნაწარმოები, მაგრამ აქ შე-

საძლეულობა არა გვაქვს თვითიული მათგანი ცალ-ცალკე დაეახსიათოთ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დავით ჯიოთის შემოქმედება. ტრაგიკულმა შემთხვევამ იგი საწოლს მიაჯაჭვა, მაგრამ აგერ მეოთხედი საუკუნეა ნაყოფიერად იღწვის ლიტერატურულ ასპარეზზე. მის კალამს ეკუთვნის რომანი-ეპოპეა ოთხ ტომად — „უძლეველი ძალა“, რომელიც ნათარგმნია ქართულ და რუსულ ენებზე, რომანები „ილიკო“, „ვანთიადი“, აგრეთვე მრავალი მოთხრობა, პიესა და ლექსი. დ. ჯიოთს განსაკუთრებით ეხერხება საბჭოთა სინამდვილის საფუძველზე ჩამოყალიბებული ხასიათების ჩვენება.

უფროსი ამხანაგების ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებს პროზაიკოსების ახალგაზრდა თაობა: ალექსი ბუქულთი და ვლადიმერ გავლოთი, მელიტონ ვაბულთი და მიხეილ გუცმაზთი, მიხეილ ნართიხთი და მიხეილ ბულკათი.

ოსური ლიტერატურისათვის ჯერ კიდევ არ არის ნიშანდობლივი „ვიწრო სპეციალიზაცია“. თითქმის ყველა პროზაიკოსი წერს ლექსებსა და პიესებს, პოეტები კი ბევრს და წარმატებით მუშაობენ პროზისა და დრამატურგიის სფეროში.

სამხრეთ-ოსეთის ცნობილმა პოეტებმა გაფეზმა და გიორგი ძუგათმა მრავალპროზაული ნაწარმოები და პიესა შექმნეს, მაგრამ მათ შემოქმედებაში მთავარი მაინც პოეტური სიტყვაა.

მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც ორივე პოეტი ოსური ლიტერატურის ავანგარდში დგას. მათი პოეტური ინდივიდუალობა უკვე სრულად და ყოველმხრივ არის გამოვლენილი.

გაფეზი ლირიკულ-ეპიკური პოემისა და რეალისტური პოეტური თხრობის ოსტატი. მშობლიური ხალხის ისტორიული ბედი, მისი გმირობა, ცხოვრება და შრომა მშვიდობიან თუ ომის დღეებში, — ასეთია პრობლემების წრე, რომელსაც პოეტი ამუშავებს.

შემოქმედებითი გზის დასაწყისში გაფეზი უფრო ობიექტური თხრობის მიმდევარი იყო, თითქოს სიუჟეტური ფაქ-

ტი თავისთავად გამოხატავდა ავტორის ყველა ფიქრსა და განწყობილებას. მისი შემოქმედებითი პოზიციაც მხოლოდ მოვლენის ზერელე კომენტარებით ამოიწურებოდა. მაგრამ მოგვიანებით გაფეზი უფრო ღრმად ჩაწვდა მოვლენების არსს. მისმა პოეზიამ მეტი ლირიკული გააზრება შეიძინა.

გაფეზისათვის ისტორია ხალხის მთელი ცხოვრებაა, ერთიანი გზაა უძველესი ხანიდან დღემდე. მის შემოქმედებაში თანამედროვეობა წარსულთან ერთად, განუყოფლად არის წარმოდგენილი. წარსული თანამედროვეობის თესლს შეიცავს.

გაფეზის პოეტურმა მოღვაწეობამ ოსური ლიტერატურა მრავალი ნოვატორული ნაწარმოებით გაამდიდრა. პოეტმა თავისი რეალისტური პოეტიკით, ყოველდღიურობაში პოეტურის აღმოჩენის უნარით გაამრავალფეროვნა ოსური პოეზია.

გაფეზის პოეზიისაგან მკვეთრად განსხვავდება ძუგათის თვითმყოფადი პოეზია. მის შემოქმედებაში გაბატონებული ადგილი უჭირავს ეპიკურ თხრობას. აქ აშკარად იჩენს თავს ხალხური პეროიკული პოეტიკის თვისება, ლეგენდური თხრობის მანერა. ძუგათის პოეზიას მომხიბვლელობას მატებს ფოლკლორთან ღრმა კავშირი. პოეტს, უწინარეს ყოვლისა, ხალხურ-პეროიკული მოტივი იპყრობს. იგი ღირსეულად აგრძელებს ოსური პოეზიის დიდი ოსტატების ალექსანდრე კუბალთის და ნიგერის ტრადიციებს.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა ილია კავკაზაგისა, რომლის პოეზიაც პოპულარობით სარგებლობს ჩვენს მკითხველებში.

თანამედროვე ოსურ პოეზიაში ყურადღებას იმსახურებს რევავ ასაევისა და კოსტა მარდიის შემოქმედება. ისინი პოეზიაში ჯარისკაცული ფარაჯებით მოვიდნენ და ოც წელიწადში ჩვენი ლიტერატურის თვალსაჩინო ოსტატებად იქცნენ. მათი შემოქმედება ძირითადად

ეძღვნება თანამედროვე თემებს, ომსა და მშვიდობას, საბჭოთა ადამიანების გმირულ შრომას. ასავეის პოეტური ფორმა უფრო მდიდარი და ნათელია, მარდიის ლექსი გარეგნულად ისე მიმზიდველი არ არის, მაგრამ უფრო ღრმაა.

უკანასკნელ ათწლეულში ჩვენს ლიტერატურას შემოემატნენ ნიჭიერი პოეტები ჰაჯი-მურატ ძუცათი და გიორგი ბესთაუთი. თანამედროვეობის მკაფიო შეგრძნება, აი მათი შემოქმედებითი მსგავსების საფუძველი, მაგრამ ისინი მაინც საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ძუცათის სტილი უფრო მკაცრია და რეალისტური. ყოველდღიური სინამდვილის სურათების კონტრასტული დაპირისპირებით ან ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობების ღრმა განხილვით, იგი თავის პოეზიას საინტერესო ორიგინალობას ანიჭებს. ემოციები თითქოს მიჩქმალულია, მაგრამ მის ლექსებში უეცრად იჩენს ხოლმე თავს მოქალაქის, მებრძოლისა და პოეტის მგზნებარე ტემპერამენტი.

ბესთაუთი კი ინტონაციითა და ემოციური შეფერილობით ხან ღრმად ლირიკულია, ნაზია, ხან კი — მკაცრი და ძლიერი.

ამ პოეტების სტილისტურ მანერაში საფრთხე იმალება: ძუცათისათვის —


ზედმეტი რაციონალისტობის, ბესთაუთისათვის კი — რომანტიკული ანტილორიკისა. ეს საფრთხე მათ ცალკეულ ლექსებში ხანდახან მკაფიოდ გამოვლინდება ხოლმე.

უფროს ამხანაგებს მხარს უსწორებენ ისიდორე ქოზათი, ლეონიდ ხარებათი და ნუგზარ ბაყათი.

მწერლობაში პირველ ნაბიჯებს დგამენ სრულიად ახალგაზრდა ავტორები: ხაჯუმარ ალბორთი, გერსან ყოდალათი, რიურიკ თედეთი და ფელიქს ფლითი. მომავალი გვიჩვენებს, რამდენად გაამართლებს მოლოდინს მათი კარგი დებიუტი.

მწერალს ყველაზე უკეთ აფასებს არა კრიტიკოსი, არამედ საკუთარი შემოქმედება. მკითხველი მწერლის ტალანტსა და აზროვნებაზე, უპირველეს ყოვლისა, ამ მოუსყიდველი მოწმეებით მსჯელობს. და თუ ჩემი აზრი მკითხველის შთაბეჭდილებას ყოველთვის არ დაემთხვევა, ამაში ჩემი „კრიტიკული აპარატი“ კი არ იქნება დამნაშავე, არამედ ის, რომ „ცისკრის“ ამ ნომერში მწერლები მხოლოდ ერთი ან ორი ნაწარმოებით იქნებიან წარმოდგენილი. ჩემს მსჯელობას კი ავტორების მთელი შემოქმედება უღევს საფუძვლად.

ახლა სიტყვა მწერლებს ეკუთვნის.





## გაუპი

### ქველი კოშკი

შუალამის ძილს მისცემია  
სოფელი ჩემი,  
ჩქამიც არ ისმის,  
არ სისინებს შუკებში ქარი,  
აქედან ვხედავ, —  
დიდი მთები ბურანში თვლემენ,  
ხავსიან კოშკზე კოცონივით ბრიალებს მთვარე.

კოცონს ანთებდა კოშკის თავზე მარჯვედ და სწრაფად,  
ფერდობს მრისხანედ გახედავდა მტრებით მოფენილს,  
ეს იყო წინათ...

დღეს ცოცხალი არ არის პაპა,  
დღეს შვებით სუნთქავს ბედნიერი ჩემი სოფელი.

საუკუნეთა ყრუ დუმბილში ძველ კოშკსაც ძინავს,  
ძილში ჩაესმის მდინარის ხმა საოცრად ნაზი;  
გამიგონია:

პაპაჩემი დიდი ხნის წინათ  
კოცონს ანთებდა საომარი ნაღარის ხმაზე.

ისევ დგას ჩვენი ძველი კოშკი სოფლის დარაჯად,  
ჩვენი წარსული,  
ჩვენი ძალა, ჩვენი დიდება.  
ზვერავს მიდამოს,  
არსაიდან მტერი არა ჩანს,  
არა ჩანს მტერი და ბებერი კოშკი მშვიდდება.

რუხი და გამძლე ქონგურები შენ ახლაც გშვენის,  
არ დაგცდენია ომგადახდილს არასდროს კენესა,  
ნეტავი, კოშკო ძველებურო,  
რადა მშურს შენი,  
მინდა შენსავით გამოვადგე ქვეყანას ჩემსას.



ვიცი,  
ღირსი ვარ გაკიცხვისა და საყვედურის,  
ჩემი წუხილის,  
ჩემი დარდის მიჭირს გამხელა,  
მე მიზეზიც მაქვს საამისო,  
თავს თუ ვემდური,  
სამშობლო ჩემი ჯერ ვერაფრით ვერ ვასახელებ.

იქნებ ის კმარა,  
რომ მე მიყვარს ქვეყანა ჩემი  
ან ის,  
რომ მისთვის არად ვაგდებ ტკივილს და დაღლას, —  
მის მთას და ველებს,  
მის ბაღნარებს შევყურებ კდემით? —  
არა!  
სამშობლოს სამსახური სულ სხვა რამ გახლავთ.

მას რომ ვუმღერო,  
ჩვენი კოსტას ქნარი მჭირდება,  
მთელი არსებით მას ვეკუთვნი  
და ვემონები;  
უბრალო სიტყვით მე როგორ ვთქვა  
მისი დიდება,  
როგორ ავანთო წრფელი გული  
მილიონების.

ჩერმენისთანა! ვაჟკაცია ახლა საჭირო,  
რომ ოფლი ღვაროს,  
დაახვავოს ოქროს თაველი;  
მტერთან ბრძოლაში გოლიათმა თავიც გაწიროს,  
არვის დაუთმოს ჩვენი მიწის ერთი მტკაველიც.

ახლა გვჭირდება ურუზმაგი,<sup>2</sup> —  
მოხუცი ბრძენი,  
ვინაც გეშველოდა,  
ვინც იცოდა ხალხის გარჩევა;  
დარბაისელი, თმაჭაღარა,  
სინდისი ჩვენი,  
მისი სახელი ჩვენს ხსოვნაში  
მარად დარჩება.

...მაგრამ ბობოქრობს საოცარი ატომის ხანა  
და, როგორც გლეხკაცს, შრომით დაღლილს,  
ძინავს ჩემს მიწას,  
დგას ძველი კოშკი,  
დიდი მთები ბურანში წვანან...  
და მე მგონია,  
მათ სანუკვარ სიმშვიდეს ვიცავ.

<sup>1</sup> ჩერმენი — ოსეთის სახალხო გმირი.

<sup>2</sup> ურუზმაგი — უხეცესი ბრძენი ნართების ეპოსში.

მწვანე დაბლობში მიდის ლიახვი,  
დადინჯებულა, ირეკლავს ზეცას,  
კლდეს მღვრიე ტალღებს ველარ მიახლის,  
მოსარკულ ფსკერზე ბრიალა მზე ჩანს.

გამოლევია მდინარეს ძალა,  
გზას ვერ მიიკვლევს ზრიალით, ყეფით;  
რისთვის ეწვია ატეხილ ჭალას,  
რისთვის დატოვა მშობელი მთები.

ყურს აღარ უგდებს ტყეების ძახილს  
და ქვებზეც ველარ მოხტის კვიცივით,  
აქ წყდება მისი სიმღერა ლალი,  
აქვე თავდება მისი სიცილი.

მიუხარია ბარისკენ ლიახვს, —  
ასე ყრმა ეძებს საყვარელ დედას,  
ნისლის ფთილებით ოცნება მიაქვს  
და ფერად-ფერად სიზმრებსაც ხედავს.

მონატრებია გაშლილი ველი,  
ლოდებზე ცეკვამ იქნებ დაღალა,  
იქნებ მოსწყინდა ხეობა ბნელი  
და მიატოვა მთანი მაღალნი.

მწვანე დაბლობში მიდის ლიახვი,  
დადინჯებულა, ირეკლავს ზეცას,  
კლდეს მღვრიე ტალღებს ველარ მიახლის,  
მოსარკულ ფსკერზე ბრიალა მზე ჩანს.



# მეგობრები



## მოთხრობა

„არა, არა, დედიკო, არ იფიქრო, რომ შემიყვარდა. აბა რას ამბობ, ისე როგორ შევიყვარებდი ვინმეს, რომ შენი ნებართვა არ მქონოდა! მაგრამ ეს აზამათი, იცი, რა ბიჭი გამოდგა! მე კი... მე ხომ შეშინოდა მისი, თავს ვარიდებდი. ოჰ, ნეტავი იცოდე, დედიკო, როგორ გადაშეკიდა მას უკან, რაც აქა ვარ. ჩემი ბინის დიასახლისმა რამდენჯერმე დაიფრინა კიდევაც! რომ დამინახავდა, თვალები აენტებოდა, წარბები მერცხლის ფრთებით მალლა წაუვიდოდა, ბაგეზე ღიმილი გაუკრთებოდა, წამით გაინაბებოდა ხოლმე, — მერე კი, რომ დაიწყებდა! რომ დამიშენდა თავისი კვიმატი ენის ისრებს! რა გგონია, საით მიმიზნებდა? გულში, შიგ გულში.“

მე ამ დროს რაღაცნაირად ვრინდებოდი. მინდოდა მოვწორებოდი და... არც მინდოდა; გული მომდიოდა და... არც მომდიოდა. ლოყები ამეფაკლებოდა, გული ამოვარდნას ღამობდა.

რამდენჯერ გადამიწყევტია გუნებაში. წავალ ამ ხეობიდან სადმე, უფრო შორს, თორემ ეს ჯოჯოხეთიდან მოვლენილი

მეტიჩარა უბედურებას გადამყრის-მეთქი. ეს ხომ მისთვის სულ იოლი საქმეა! ერთ ბნელ ღამეს დაგტაცებს ხელს, გაგზვევს თავის დიდ, შავ ნაბადში, გადავიგდებს ცხენზე და ჰერი, ბიჭო! სადმე გამოქვაბულში მივიყვანს და იყვირე მერე ოსეთიდან მოსკოვში:

— ვაიმე, დედიკო, მიშველეე!

მაგრამ გუშინწინ ისეთი რამ მოხდა, დედიკო, რომ ფიქრადაც არ მომივიდოდა...“

ასე წერდა ირა დედას.

მერე წამოდგა, გაიცინა, ლოყები აუვარდისფერდა და... ანაზად ტანსაცმლის კარადის სარკეში დაინახა თავისი თავი. მოკლედ შეკრეჭილი თმა ელექტრონის შუქზე ოქროსფრად უზზინავდა. ზღვის ტალღასავით ლურჯი, კამკამა თვალები სიხარულსა და ცნობისმოყვარეობას გამოხატავდნენ. უცებ, რატომღაც, თხელი თითებით ზევით აიწია პაჭუა აპრეხილი ცხვირი და წამით გაიელვა ბროლის კბილებმა. მერე, თითქოს ვიღაცას ელაპარაკებო, წაიჩურჩულა: „ოჰ, ღმერთო, მთელი ღამე...“ ფიქრები

აერია, თვალწინ დაუდგა გუშინწინ მომხდარი ამბები.

სალამო ხანს მას, ვეტერინარ ექიმს. შეატყობინეს, რამდენიმე ცხვარი ავად შეიქნაო. მწყემსებს ეშინოდათ, ეს რაღაც სენი სხვებსაც არ დაერიოსო. ირა დილაუთენია უნდა გამგზავრებულიყო სამწყესურში. ცხენს სოფლსაბჭოში მისცემდნენ.

მეორე დილით ირა სოფლსაბჭოში მივიდა. აივანზე იდგა, მხარზე წითელჯვრინანი ჩანთა ეკიდა. იდგა და გაჰყურებდა მთებს, სადაც სამწყესური ეგულებოდა, მოგონებებში ჩაიძირა.

შარშანწინ დაამთავრა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და თვითონ ითხოვა, კავკასიაში გამგზავნეთო. ამ პირმრგვალმა, მუდამ მოცინარმა გოგონამ ვახუშტის ყვავილივით ამოჰყო თავი ოსეთის ხეობაში და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. თითქოს ჭიბი აქ მოეჭრას, ისე შეიყვარა მთები, დაუმეგობრდა მთელ სოფელს. დიასახლისი, ვისთანაც ბინა დაიღო, შვილიკოს ეძახდა.

ირას უყვარდა ბატკნები. აიყვანდა ხელში თოვლის გუნდასავით მრგვალ, ქათქათა ბატკანს და ნაზად უსვამდა ფაფუკ ხელს, თან რაღაცას ეჩურჩულებოდა. აზამათი ამ დროს თუ თვალს შეაგლებდა ხოლმე, თავს გაიქნევდა და შურით იტყოდა:

— ეჰ, ბატკანო, ბედი შენა გქონია, მე კი...

აი ახლაც გამოჩნდა კოსტა ცხენზე ამხედრებული აზამათი. მკვირცხლად ჩამოხტა, ცხენი კადოზე მიაბა, სწრაფად წაჰყარა პირიდან ლაგამი, მერე უნაგირის გარსაკრი შეუხალვათა. ცხენმა ღრმად და შევებით ამოიფშვინა, ნესტოები დაეებრა, გაიქნია პატარა, მოხდენილი თავი და აივანისკენ წაიღო თვალეები. ის წუთი იყო, მზემაც გამოიჭიატა.

— აა, კეკლუცო! მეც არა ვთქვი, ჩემს იორდას თვალეები აივანისკენ რამ დაუბრიცა-მეთქი?! ახლა მორჩა შენი საქმე. აჰა, ზღაპრული რაში, შეგეჟ ხედ

და გავაქროლოთ, — კვლავ დაუშინა აზამათმა თვალთა ისარი, თან შენედა და შეისწორა ნაბდის ქული.

ირა კვლავ გაშეშდა, ენა ვერ დაძრა. აღრიანი მზის სხივები ოქროდ ეღვრებოდა თმაში, უელვარებდა ლოყებს, უღრმავებდა ლაყვარდისფერ თვალებს. მთის ანცმა ნიაგმა დაჰქროლა, ჩაუქყიტა წითელ კოფთაში, ნაზად შეეხო ყარყარა ყელს და თითქოს ოდნავ შეყოვნდა ამობურცულ მკერდზე. ამჯერად თითქოს აზამათსაც რაღაცამ შეუტრა კრაჭა. მათრახი წადის ყელში ჩაიღო, კიბის მხოლოდ ერთ საფეხურზე აღდა ფეხი და თვალმოუწყვეტლივ მიაჩერდა ქალიშვილს. აფორიაქებული ირა იმის ფიქრში იყო, როგორ მოვიშორო თავიდან ეს აბეზარი ბიჭი, ჩაქვესკნელებულ და ჩამამებულ ხეობაში მარტოკა, აბა, რანაირად წაგყვეო. აუცილებლად კი უნდა წასულიყო.

არა, რაღაც უნდა მოიფიქროს! ერთი უყურე, კიდევ სამი საფეხური ამოიარა, დგას და თვალეები უგვიზვიებს, შავვკრემან სახეზე რაღაცნაირი ეშმაკური ღიმილი დასთამაშებს.

„მას რომ წაგყვე, გინდამც ჩემი ნებით ჩავვარდნივარ ხელში! არა, ვერ წაგყვები!“ ირამ უცებ რაღაც მოიფიქრა, ჩანთიდან უბის წიგნაკი და ავტოკალამი ამოიღო, რაღაც დაწერა და ფურცელი ამოხია.

ანაზად ეზოში სოფლსაბჭოს თავმჯდომარე შემოვიდა:

— რაღას უყურებთ? შენ მაინც რას ფიქრობ, აზამათ, ფეხით ხარ სასიარულო. ცხენისთვისაც დილის გრილი სჯობია.

— ფეხით რატომ ვივლი! განა ერთი თუ ორი ქალიშვილი მომიტაცნია ამ ჩემი იორლით! აი, ავაგდებ ახლა უნაგირზე და თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებთ, გავიტაცებ და ვეღარც დალანდავთ! — უპასუხა აზამათმა და აივანზე ამოჰყო თავი.

თავმჯდომარეც ავიდა აივანზე, ხელი ჩამოართვა ორივეს. ირამ მაშინვე მიახალა:

— არა, აგრე წასვლა არ ივარგებს! ჯერ მედიკამენტები უნდა მივიღო რაიონში. ავადმყოფ პირუტყვეთან სისულელეა უწამლებოდ წასვლა! — მან თავმჯდომარეს წიგნაკიდან ამოხეული ფურცელი მიაწოდა. თავმჯდომარემ კი ფურცელი აწამათს გადასცა.

— აბა, მოახტი ცხენს და გაქანდი რაიონში! გახედე ბურხონს, რა ღრუბლები დაუხვევია — წვიმას აპირებს! ირა კი აქ დაგელოდება.

— რალას დაველოდო, ბარემ წავალ. ავადმყოფი ცხვარი თუ არ გავაცალკევე... — წაილაპარაკა ირამ და კიბე ჩაირბინა.

„რა კუდიანი ვოგოა“, — გაიფიქრა აზამათმა, მათრახი დაიძრო წალის ყელიდან, ფეხზე შემოიტაცა ტუნა და ცხენისკენ გაემართა. ცხენი ალაგმა, უნაგირის გარსაკრი მოუჭირა, უზანგში ფეხი გაუყარა, ზედ მოექცა და ისე გაქუსლა, მისი თეთრი ქუდილა აკიაფდა საღდაც, შორს.

მიდის ირა, მიიჩქარის სამწყესურში. გზადაგზა მიანიც სული წასძლევს ხოლმე და გზისპირას ამოყელყელავებულ ყვავილებს კრეფს — უკვე კარგა დიდი თაიგული შეკრა.

მიდის ქალიშვილი, ლალად მიდის, მაგრამ ჰაერი თითქოს ჩამოწვა. ჩანთაც დაუმძიმდა. უცებ მიწაზე დიანახა ვეება ჩრდილი, ნელა რომ მიემართებოდა საღდაც. თავდაპირველად ვერ მიხვდა, რა იყო, ხოლო როცა თვალი გააყოლა, გაშრა — მთამდე გადაჭიმულიყო უზარმაზარი შავი საავდრო ღრუბელი. „ვაიმე, წვიმა მომისწრებს. ხიდზე მიანიც გადავსულიყავ“, — შეშინდა ირა და ნაბიჯს უმატა, ყვავილებისთვის აღარ ცხელოდა.

თანდათან ჩამოსკვარამდა ზეცა. საღდაც ვაიკრიბნენ ჩიტები. ბუნება გაირინდა, ჩანჩქერისა და აბობოქრებული მდინარის ხმაურიღა ისმოდა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა ირას, მაგრამ ნაბიჯს არ ანელებდა.

უცებ, თითქოს მთა მოსკდაო, დასავლეთიდან ერთი ისეთი დაიგრუხუნა, გე-

გონებოდით შავნაბდიანმა გოლიათმა უზარმაზარი რკინის ჯაჭვი ააქვდა უნაყო. თვალისმოპყრელმა ელვამ დასკვესა მთებს.

საცაა ტყის პირს მიატანს. უხსოვარი დროიდან ნაკრძალად ითვლებოდა ეს ტყე. სიგრძით სწორედ მდინარემდე აღწევდა. ქალიშვილი თითქმის მირბოდა. ტყეში შევიდა, თითქოს ბნელ ფარდულში ამოჰყო თავი. უცებ ფოთლები აშრიალდნენ. ცის თალი გაიხსნა და ტყეში წამოვიდა. ყველაფერი აგრუხუნდა, აგრიალდა. ირამ თხელი აბრეშუმის ლაბადა წამოიხურა, მაგრამ ხელად გაილუმპა. წყალი წურწურით ჩამოდიოდა. ძლივს მიაღწია ვეება მუხას. ირგვლივ ყველგან წვიმის ხმაური და აღიდებული მდინარის გრიალი ისმოდა. საღდაც ქვა-ლორღი მოწყდა მთას და ისეთი გრუხუნით დაეშვა, ირა შიშმა აიტანა.

სანამდე უნდა იდგეს აქ? მალე დაღამდება კიდევაც. გალუმპულ თმაზე ხელი გადაისვა და გზა განაგრძო. გზა გუბეებს დაეფარა, მაგრამ მისთვის ახლა სულ ერთი იყო — გუბე-გუბე მიაბოტებდა. წვიმა კი ხან ნელდებოდა, ხან მატულობდა.

საცაა ტყიდან გავა. აგერ, გამოჩნდა მდინარეზე გადებული მორიც. თუმცა საღდაა მორი, წყალს დაუფარავს, მოაჯირიღა ჩანს. ირამ ხილამდე მიაღწია. ვაღარეული მდინარე ქვებს მოაგორებდა. მორის ბოლოები ხან ჩნდებოდა, ხან ინთქმებოდა მის მღვრივ, გაუმაძღარ ხახაში. ქუჭყიანი ქაფი ხანდახან მოაჯირსაც ევლებოდა თავზე.

დაღლილი და დამფრთხალი შეჩერდა ხიდთან. ფეხს გადადგამდა თუ არა, მდინარე ჯაჭვით დაბმული ავი ძალღივით იღრინებოდა და ფეხებში წვდებოდა, შეშინებული ქალიშვილიც უკან იხევდა. მერე გაიფიქრა: „აზამათი აქ მომისწრებს და მერე ქვეყანას მოსდებს: ირა დაფრთხა და ხიდთან აკანკალებული იდგავო. არა, არა, ნახოს, რომ მშიშარა არა ვარ...“ შედგა ფეხი ხიდზე და ნელ-ნელა წავიდა, თან მოაჯირს ებლაუჭებოდა. აბობოქრებული მდინარის ტალღები და

ქაფი სახეში ურტყამდა. მაინც წინ მი-  
დიოდა. ფეხქვეშ მორს სინჯავდა. მეორე  
ბოლოს რომ მიუახლოვდა, თავბრუ  
დაესხა, მდინარე და ხიდი თვალწინ და-  
უტრიალდა. აი ახლა კი... თვალი დახუ-  
ჭა...

წელქვევით წყალში იყო. გონების და-  
კარგვას აღარაფერი უკლდა, ორივე ხე-  
ლით ჩაებლაუჭა მოაჯირს, ზედ ჩამოეკი-  
და და თავზარდაცემულმა იყვირა.

სწორედ ამ დროს აზამათამც მოაგელ-  
ვა ცხენი. მარდად ჩამოხტა, ნაბადი  
უნაგირზე გადაავდო, მოაჯირს ჩაეჭიდა,  
ხიდი გადაიბრინა, ირა ხელში აიტაცა და  
ფრთხილად გამობრუნდა...

●  
სადამოვდებოდა... ირა გონს მოვიდა,  
თვალი გაახილა. მის წინ, დიდი ხის ძი-  
რას, ცეცხლი ენთო, ხმელ ტოტებს ტკა-  
ცატყუცი გაჰქონდა. მოისინჯა სხეული:  
არც დაშავებულა, არც დაიარავებულა,  
არც არფერი სტკივა. თავქვეშ უნაგირის  
რბილი ბალიში უდევს, ლაბადის ნაცვ-  
ლად ჩოხა და ნაბადი ჰხურავს. გაუბე-  
დავად მიმოიხედა, მაგრამ ვერაფერ და-  
ლანდა, ხის ტოტზე გასაშრობად გაკიდე-  
ბული ლაბადა შეამჩნია მხოლოდ. „უც-  
ნაურია, თუ აზამათი იყო, რა იქნა?  
ხიდზე აკი იმან ამიტაცა, სიზმარივით  
მახსოვს, მერე კი... ახლა აქ, ამ ბნელ, სა-  
ზარელ ტყეში მარტოკა ვარ? ღმერთო  
ჩემო!“ — აწრიალდა ქალიშვილი და წა-  
მოიწია.

ამ დროს აზამათიც გამოჩნდა. ხმელი  
ტოტები მოიტანა. გაუბედავად, შეპარ-  
ვით გაიხედა ირასკენ, მერე ცეცხლს შე-  
უკეთა და ჩაილაპარაკა:

— მპატიე, მაინც შემავგიანდა. აფ-  
თიაქის გამგემ საშველი არ დამაყენა.  
ეს რომ თქვა, ქალიშვილს კამფეტით  
საესე ქაღალდის პარკი დაუდო წინ:  
— პირი ჩაიტკბარუნე. ვახშმის მაგივ-  
რობას ვერ გაგიწევს, მაგრამ...

აზამათი ისევ მობრუნდა. უბალიშო  
უნაგირი და ნაბდის საოფლე მოიტანა.  
ცეცხლის მეორე მხარეს უნაგირი დადო,  
საოფლე დაავო, ცეცხლს შეუკეთა, და-

წვა, საოფლის ბოლო წაიხურა, თავი  
უნაგირზე დადო და წყნარად უთხრა:  
— ძილი ნებისა, ირა!

წვიმა რა ხანია შეწყდა. მდინარისა და  
ჩანჩქერის გრილიც მიწყნარდა. აქა-იქ  
ვარსკვლავებმაც გამიოჭყიტეს. მაგრამ  
ძილი არ ეკარება აზამათს. მისი ფიქრე-  
ბი, ოცნებანი, თავს დასტრიალებენ ირას,  
ეშვებიან მის მოშვილდულ წარბებზე,  
ფრთებით ნაზად ელაშუენებიან ვარდის-  
ფერ ბაგეს და ქათქათა ყელს.

ეჰ, ნეტავ დააძინა აზამათს, მაგრამ  
საქმეში ხარ! მოუსვენრად ტრიალებს.  
ცხენის ფრუტუნის მოესმა. წამოხტა, გა-  
ირბინა სველ მდელოზე.

ცეცხლის პირას ნაბადში მოუყუჟული  
ირა ჩათბა. მტრედის მართვესავით მო-  
კუნტულა და ისე ჩაფუთუნულა, მარტო  
სახე მოუჩანს.

აზამათი ისევ დაბრუნდა. ცეცხლს შე-  
უკეთა. მერე ირას ლაბადა ჩამოიღო ხი-  
დან და ცეცხლს მიუშვირა. ხან ერთ მხა-  
რეს მოატრიალებდა, ხან მეორეს. ისე  
ფრთხილად ჰკიდებდა ხელს, თითქოს  
ეშინია, არ ატკინოსო. კარგა ხანს იყო  
ასე, მერე ხელი გადაუსვა, გამშრალაო,  
ჩაილაპარაკა და ისევ ხეზე ჩამოჰკიდა,  
ჩანთისა და წამლების გვერდით.

აზამათმა ცეცხლს შეუჩუჩხურა, მერე  
ფრთხილად შეუკეცა ფეხებთან ნაბადი  
ქალიშვილს. ირას გული აუფართხალდა.  
ცოტაც კიდევ და კვილის მორთავდა.  
აზამათმა კი ერთხელ კიდევ შეავლო მო-  
სიყვარულე მზერა მის სახეს, ალერსი-  
ანად გაიღიმა და კვლავ თავის საწოლზე  
დაეშვა.

ვინ იცის, რას ფიქრობდნენ, რას ოც-  
ნებობდნენ იმ დამეს. მაგრამ ძილმა თა-  
ვისი ჰქნა — რბილ საბურავში გაახვია  
ორივენი და ზღაპრული ფრთებით გაი-  
ტაცა მათი ოცნებები შორს, უსაზღვრო  
სივრცეში.

●  
საუცხოო, კაშკაშა დილა დადგა. ზე-  
ცაზე ღრუბლის ნატამალიც არსად ჩან-  
და. გუშინ ადიდებული მდინარე და ღე-  
ლეები ახლა მიჩუმებულიყვნენ, თითქოს

ბრძოლით დაქანცულანო. ნელ-ნელა ეშ-  
ვებიან ფერდობზე მზის სხივები. წვიმამ  
მოაკრიალა კლდეები, სათიბები და ახ-  
ლა ვეება სარკეებივით პრიალებენ,  
ბრჭყვინავენ, მარგალიტებივით კიაფო-  
ბენ ყვავილთა გულში. გაიღვიძა ქვეყა-  
ნამ.

ავერ, მზის სხივებმა გააღწიეს ბუჩქ-  
ნარში, თავს დაესხნენ ცეცხლს, ნაბადში  
გახვეულ ქალიშვილს და საოფლეწახუ-  
რულ ყმაწვილს. ცეცხლი მიბჟუტულა,  
აქა-იქლა ბრჭყვინავს ნაპერწკლები.

წინა ფეხზე ლაგამიბიბული ცხენი გე-  
მრიელად ახრამუნებს ნამიან ბალახს. ბა-  
ლახ-ბალახობით უახლოვდება თავის  
მხედარს. შეჩერდა ცეცხლთან, დასუნა,  
თხელი ყურები აწკიპა და ერთი მაგ-  
რად დაიფრუტუნა. ნაცარი დატრიალდა  
და ნისლივით მოედო სახეზე მძინარეთ.  
აზამათს გაეღვიძა, ირამ ძილში ამოიფ-  
შვინა, ნაცარი ცხვირში შეეყარა და და-  
ცემინა. ბიჭმა გადაიხარხარა, წამოჯდა  
და ახალუხის შეეკრა დაიწყო.

ირაც წამოჯდა. ორივე ხელი თმაზე გა-  
დაისვა. აზამათს ტკბილად გაუღიმა:

— დილა მშვიდობისა, მწყემსო! —  
მერე წუხელ მოძღვნილი პარკიდან ამო-  
იღო ერთი კამფეტი, ნახევრად შემოაცა-  
ლა ქაღალდი და გაუწოდა:

— აჰა, მიირთვი, დიდ არს ძღვენი შე-  
ნი!

აზამათი წუთით დაიბნა, მერე თვალე-  
ბში კვლავ აუკიაფდა ის ნაპერწკლები,  
თავგზას რომ უბნედა ირას. გამოართვა  
კამფეტი, ჩატკვირა, შავ თვალეებში ღი-  
მი გაუქრთა და ცხენის შეკაზმვას შე-  
უდგა.

ამ წუთს ისეთი ხალისი და ნათელი  
მოეფინა, სხეულიც ისე გაუმსუბუქდა,  
ველარაფერს ვრძნობდა, აღარ იცოდა,

რას აკეთებდა. მხოლოდ მშვენიერი სი-  
ტყვეები ჩაესმოდა ყურში:

„დილა მშვიდობისა, მწყემსო! —  
ირთვი, დიდ არს ძღვენი შენი“.

დილის გრილი ნიავი ყვავილთა სურ-  
ნელივით უტრიალებდა გარშემო ამ სიტ-  
ყვებს...

როგორც იქნა, შეკაზმა ცხენი. აზამა-  
თმა ნაბადი მაგრად, გულდაგულ მიაბა  
უნავირის ტახტაზე, ცალი ხელით ლაგა-  
მი დაიჭირა, მეორეთი — უხანგი, თვა-  
ლით ანიშნა ირას უნავირზე და ალერსი-  
ანად უთხრა:

— შეგქე და წავიდეთ.

ირამ ჩამოხსნა ხიდან თავისი ლაბადა,  
ხელი მოუსვა, ეშმაკური ღიმილით შეხე-  
და აზამათს:

— ერთი ამას უყურე, მზე ეს წუთია  
ამოვიდა და რა ხელად გაუშვრია ჩემი  
ლაბადა!

აზამათს ხმა არ ამოუღია, ოღონდ თვა-  
ლებში ღიმილი ჩაუდგა.

ირამ რაღაც სწრაფი, იღუმალი მხერა  
შეავლო, მერე უხანგში შედგა ფეხი...

აი ეს ამბავი გაახსენდა ირას, როცა  
დედას წერილს წერდა.

კვლავ მიუჯდა მაგიდას.

„დედიკო, მე მოგიკვდე, თუ გულში  
გავივლო, რომ შენს შვილს შეეძლო ასე  
იოლად შეეყვარებინა ის უცნაური ყმაწ-  
ვილი. არა, მაგრამ რა კეთილშობილი და  
თავდაჭერილი ბიჭი გამოდგა, დედიკო.  
მე კი მეგონა, ამაზე უსაქიელო, თავზე-  
ხელალებული დედამიწის ზურგზე არ  
მოიძებნებოდა-მეთქი. იცოდე, დედა, მაინც  
არ იფიქრო, რომ მე...“

ირამ კალამი დადო, თვალი დახუჭა.  
ნანატრი ოცნებები მტრედებივით აფრ-  
თხილდნენ და გაფრინდნენ შორს,  
შორს, მთებში, მწვანე საძოვარზე, აზა-  
მათთან...





მოთხრობა

კარმა გაიჭრიალა. ბუნხართან მოფუს-ფუსე ფათიმამ თავი ასწია. ზღურბლზე ახსარმა გადმოდგა ფეხი. დედამ უმაღლვე შეამჩნია, რომ მისი შვილი აღელვებულ იყო.

„სიხარულის ნიშანია თუ ავამბავს გადაეყარა სადმე? — გაიფიქრა ფათიმამ, — აკი დილით დამიბარა, დღეს კრება გვაქვს და დამავციანდებო?! ასე აღრე რამ მოიყვანა? ეტყობა, ურბენია კიდეც, თითქოს ვიღაცას გამოქცევიაო“.

ახსარმა დედას არაფერი უთხრა, უმაღლვე თავის ოთახს მიაშურა, კარი იდაყვით შეაღო, ნაბიჯი გადადგა და, თითქოს იატაკზე მიაღურსმენესო, გახევდა.

— შვილო?! — შეცბა დედა.

ახსარს რალაც მოავგონდა, შემობრუნდა, ჯარისკაცული ნაბიჯი გამართა, დედასთან მივიდა, ღონიერი მკლავები გამხნადარ მხრებზე მოხვია, ფართო მკერდზე მიიკრა და ნაოჭიანი შუბლი დაუკოცა.

ისევ შეცბა ფათიმა. ცხელი ეჩვენა შვილის ბაგე.

„ვაიმე, სიცხე ხომ არა აქვს? აბა კრებიდან რატომ წამოვიდა ასე აღრე?“ — უცებ ცრემლით აევსო თვალი.

— შვილო, რა მოგივიდა?.. თითქოს გამოგცვალესო, — ფათიმამ აცახცახებული ხელი შუბლზე დაადო შვილს.

— რამ შეგაშინა, დედი, ვის უნდა გამოვეცვალე? — გაიღიმა ახსარმა და კვლავ თავის ოთახს მიაშურა.

დედამ გული მაინც ვერ დაიმშვიდა, გაედევნა.

— ლოყებზე თონე გინთია, შვილო... ალბათ ორბირ ქარში მოხვდი და გამიცვიცი, შე დაუდეგარო?

— ვითომ არ იცი ჩემი ამბავი. თითოც არასოდეს წამომტკენია, ახლა რა გამხდოდა ავად? დამშვიდდი, დედი, დამშვიდდი!

— რა ვიცი, შვილო, რა ვიცი. ავადმყოფობა მოულოდნელი სტუმარივითაა. გზა არა სჭირდება და ბილიკი. კარიდან არ შემოუშვებ. ფანჯრიდან შემოვა.

— ნუ გეშინია, დედი. განა ახლა მე ავადმყოფსა ვგავარ?

ახსარმა ტანსაცმლის კარადა გამოაღო. დედა მიხვდა, ბიჭი სადღაც აპირებდა წასვლას. ახსარმა ყავისფერი პიჯაკი გამოიღო, შეათვალა, თავი გადააქნია



და ისევ კარადაში ჩამოკიდა. ახლა ლურჯი პიჯაკი აიღო ხელში, რატომღაც ეს უფრო არ მოეწონა, საწოლზე მიაგდო და კვლავ ყავისფერი გამოიღო.

— სად მიდიხარ, ბიჭო? — ჰკითხა დედამ, — გექამა რამე, სადილი მზადა მაქვს. საით მიგეჩქარება?

— ჯერ არა მშია. მალე მოვალ და მერე თუ გინდა მთელ ქვაბს ამოვცილი, — შვილმა ისევ გაუღიმა დედას.

— უკმელი არსადაც არ წახვალ. შენი მალე მოსვლის ამბავი ვიცი მე. მაინც სად მიგეჩქარება ასე? ცეცხლი უკიდია ვინმეს?

ახსარმა უხმოდ ამოიღო ჯიბიდან ქაღალდი და დედას გაუწოდა. მერე სახეზე ბროწეულის ყვავილივით წამოენთო, შებრუნდა და ისევ პიჯაკს დაუწყო სინჯვა.

— სალიმათის დეპეშა? — თვალები გაუფართოვდა დედას. პასუხს არ დაელოდა, კვლავ ჩაიკითხა, თითქოს არა სჩერაო, — შვილივით მიყვარს, იმას შემოვევლე! — ფატიმამ ფურცელი ისე ჩაიხუტა, თითქოს ქაღალდს კი არა, ამ დეპეშის გამომგზავნს ეხვევაო.

ახსარმა პიჯაკი ჩაიცვა და კარადის კარში ჩანსმული სარკის წინ შეტრიალ-შემოტრიალდა.

— მოიცა, შვილო! — აფოფინებულნი დედა სხვა ოთახისკენ გაეშურა. ახლა იგი სულაც არა ჰგავდა ხნიერ ქალს, თითქოს უცებ გაახალგაზრდავდაო.

მალე დაბრუნდა. ხელში ახალთახალი კოსტუმი ეჭირა, გეგონებოდათ, მუქლურჯ ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნო.

— შვილო, ეს გუშინ გიყიდე. აგერ, ერთ თვეში ჩემი ბიჭი ოცდახუთი წლისა გახდება და დაბადების დღეზე ვავანარებ-მეთქი. რაღას დაუუცადოთ, ჩაიცივი ბარემ. ეს უფრო დაგშვენდება.

ახსარს ისე გაეღიმა, როგორც ბავშვობისას იცოდა ხოლმე, დედა ლამაზ სათამაშოს რომ მოუტანდა. კრინტი კი ვერ დაძრა მადლობის სათქმელად, მეტი სიხარულისაგან დაიბნა, მერე ეცა დედას და ლოყის მაგივრად ყურზე აკოცა.

კოტა ხნის შემდეგ ახსარს უკვე ახალი კოსტუმი ეცვა. გაუხარდა დედამ, მისმა საჩუქარმა შვილის ისედაც მოსწონილი მხარ-ბეჭი უფრო ვაჟაკური რომ გამოაჩინა. ახსარი ხან ისე შეატრიალა, ხან ასე. მერე უკან დაიხია და შორიდან შეათვალიერა. ყოველნაირად მოეწონა და თვალში მზე ჩაუდგა.

— მშვიდობაში, შვილო, სიხარულით ვაცვით! მის მოსვლამდე არაფერი გეტყინოს, მამაშენს რომ ჰქონდა, ისეთი ტანი გაქვს, ყველაფერი გშვენის. ცხონებულს ძონძებიც რომ ჩაეცვა, ისე მოიხდენდა, გეგონებოდა, უკეთესი ქვეყნებების ზურგზე არავისა სცმიაო, — ფატიმამ თავსაფრის ყურით მოიწმინდა გამხდარ პირისახეზე ჩამოგორებული ორი ცრემლი. მერე კედლის საათს შეხედა და წამოიძახა: — არ დაგავიანდეს, ბიჭო, მატარებელი ნახევარ საათში ჩამოდგება. ქუჩაში ხომ არ ირბენ?

ფატიმამ შვილი ჭიშკრამდე მიაცილა და კარგა ხანს ვერ მოაშორა თვალი ქუჩაში მიმავალს. მერე შინ შებრუნდა და ხალისიანად შეუდგა შვილის ოთახის დაგვა-დალაგებას. მაგიდაზე დაწყობილ წიგნებს რომ გადაუსვა ტილო, ფოტოსურათს მოჰკრა თვალი. ერთად მდგარი ახსარი და სალიმათი ღიმილით უცქერდნენ.

— ბედნიერი ვარ, ბედნიერი, — ხმამალა წამოსცდა თავისი ფიქრი, — ახლა ქორწილსაც მალე გადაგიხდით, დროა უკვე. სიკვდილის გარდა ყველაფერი ადრე სჯობია. პატარები აღარა ხართ.

ფოტოსურათი ხელში დაიჭირა და კარგა ხანს დაჰყურებდა სიყვარულით. მერე ფიქრმა წარსულში დააბრუნა. მოაგონდა, როგორ უყვარდა სოსლანს. პირველი კოცნაც გაიხსენა. ფატიმაც შორსა სწავლობდა და როცა შინ ბრუნდებოდა, სოსლანი ყოველთვის სადგურზე ხედებოდა. ალბათ ისიც ახსარით ღელავდა მაშინ, ახალ პიჯაკს იცვამდა, ახალ ქუდს იხურავდა. ბევრი რამ მეორდება წუთისოფელში.

ფატიმამ ფოტოსურათი გამოსაჩენ აღ-

გილას დადო და იატაკის წმენდას შეუდგა. ახსარი შინ რომ შემოვიდა, გაუკვირდა:

— ასე მალე დაბრუნდი? არ ჩამოვიდა?

— ჩამოვიდა.

— მერე, შინ არ მიაცილე?

— მივაცილე კიდეც. შენ ალბათ ისე გაერთე მუშაობით, გგონია, ცოტა დრო გავიდა. ხომ ხედავ, უკვე ვახშობამ მოაწია! — ახსარმა საათს შეხედა.

— ხომ ვითხარი. ახლა სადილსა და ვახშამს ერთადა სჭამ?

— რა უშავს, ზოგჯერ ასეც ხდება.

დედამ სწრაფად გაშალა სუფრა და შვილს გვერდით მიუჯდა.

— რა ვითხრა, შვილო?

— რა უნდა ეთქვა? ინსტიტუტი დავმთავრე, უკვე ექიმი ვარო.

— ქორწილზე არაფერი ჩავიარაკებია?

— რა დროს ქორწილია ამ შუა ზაფხულში?

— ქორწილი ყოველთვის შეიძლება. რაღას უყურებთ, მომავალ კვირას ბარემ მოაწერეთ ხელი.

— მომავალ კვირას? ასე უცებ?

— ქორწილისთვის რაც გვჭირდება, ყველაფერი გვაქვს. არც საკლავი გვაკლია, არც სხვა რამე. მეზობლებში სირბილს არ დავიწყებ, ნუ გეშინია.

— ქორწილისათვის მარტო ეს რომ არა კმარა, დედი? ხომ უნდა შევთანხმდეთ, ერთმანეთს ვუთხრათ რამე. — ახსარი იატაკს ჩააშტერდა, — მარტო ერთის სურვილზე ხომ არ არის ყველაფერი დამოკიდებული?

დედამ ჭიქურ შეხედა შვილს, რაღაცამ ჩააფიქრა, თავი გადააქნია და საყვედურით თქვა:

— ამ ახალგაზრდობის არაფერი მესმის. ერთად იზრდებოდით, საშუალო სკოლაც ერთად დაამთავრეთ, მერე ზაფხულს ერთად ატარებდით. აქამდე ვერ გაიცანით ერთიმეორე და ვერ შეთანხმდით? ხომ გიყვართ ერთმანეთი, მეტი რა გინდათ? თქვენს ბედ-იღბალს თქვენვე ვერ მოუვლით? არაფერი არ ვიცი მე.

მომავალ კვირას საქორწინო სიმღერად ჩემი სახლის ჭერი მაღლა უნდა ასწიოს, გესმის? შვილიშვილები მინდა <sup>არაქნეს</sup> <sup>ფეხები</sup> <sup>ფეხები</sup>

— სალიმათი ხუთ დღეში აგარაკზე მიემგზავრება. ინსტიტუტშივე უშოვია საგზური, — ეს ისე ჩუმად ჩაილაპარაკა ახსარმა, თითქოს დედას რაღაც დიდ საიდუმლოს უმკვლავნებსო.

— ავად არის? რა სტკივა? შენი არ იყოს, აქამდე არაფერი სტკენია და ახლა რა მოუვიდა? — ნამდვილად დაფრთხა ფათიმა.

— არაფერიც არა სტკივა, ისე უნდა დასვენება. ვიდრე მუშაობას დავიწყებ, ჯან-ღონეს გავიმეგრებო. საგზური უფასოდ უშოვია.

— ჰოო! დასვენება, რა თქმა უნდა, კარგია, ამდენს რომ ისწავლი. მანქანასაც კი ასვენებენ ხოლმე. კი, ბატონო, დაისვენოს. ამასობაში შენი დაბადების დღეც მოვა და ქორწილსაც მაშინ გადაგიხდი. თანახმა ხარ?

შვილმა თავი დაუქნია. დედა, თითქოს მის გულში იჯდაო, ყველაფერს მიუხედა.

— ხომ ვაცილებ აგარაკზე, შვილო?

— რა ვიცი.

— აბა მარტო ხომ არ წავა. ორიოდ დღით სამუშაოდან თავს გაინთავისუფლებ და აგარაკამდე მიაცილებ. მერე ჩამოიყვან კიდეც. ასე უნდა. ძმა არა ჰყავს, დედისერთაა. სხვა ხომ არავინ ვაცილებს. ქორწილის დღესაც დაუთქვამ ზაფხულის მიწურულისათვის, გესმის?



დიდი ხანია არ უწვიმია. ზაფხულის ვარვარა მზე აბრიალებს თვალს. დაიხრუკა სიმინდის ყანები. ტყეებიც უნიათოდ გამოიყურება. მანქანა ცხელ გზაზე გარბის და უკან მტკრის გრძელ კუდსა ტოვებს.

აქა-იქ ისეა მიწა დამსკდარი, პირუტყვი ვერც გაივლის. თითქოს წყალმოწყურებულ დედამიწას ათასი პირი ერთად დაუღია და უმოწყალო ცას სასოებით შეჰყურებსო. ჩიტებიც კი არსად ჭიკჭიკებენ. განაბულია ბუნება. ამ დიდ მყუდ-

როგებაც არდევებს მხოლოდ პურის ყანაში შეცურებული კომბინი, რომელიც მძლავრად გუგუნებს და უკან იტოვებს ოქროსფერ ბულულებს.

აგარაკზე მიმავალი მგზავრებით გაქედნილ ავტობუსს ხორბლით დატვირთული მანქანები ხვდებიან წინ.

— კიდევ კარგი, პური მაინც მოვიდა ხვავიანად, სიმინდს აღარაფერი ეშველება, — ამბობს მოხუცი მგზავრი.

ახსარი და სალიმათი იმ მოხუცის უკან სხედან.

მიგუგუნებს მანქანა გზაზე და მისი ბორბლების განუწყვეტელი ხმაური ქალ-ვაყს საამო სიმღერად ესმის. ახალია ეს სიმღერა, აქამდე არსად გაუგონიათ. ეს არის მათი უსაზღვრო სიყვარულისა და ბედნიერების საგალობელი, მათი ტკბილი ოცნებისა და ხვალისდელი ლამაზი დღის საგალობელი. უსმენენ ამ ჯადოქრულ სიმღერას და თავი ზღაპრულ ბაღში ჰგონიან, სადაც სირინოზთა სიმღერა იღვრება.

ირგვლივ ხვატია და მზე სწვავს ყველაფერს, მაგრამ ქალ-ვაყს ეს სულს არ უხუთავს.

მანქანა აქა-იქ საშინლად ჯაყჯაყებს, მაგრამ ქალ-ვაყს ეს აკვნის საამო რწევად ეჩვენება.

— მთელი ჩემი დღე და მოსწრება ამ გზას აკეთებენ და მაინც არ დაადგა საშველი, — ბუზღუნებს ვიღაც.

ქალ-ვაყს არც ეს ბუზღუნი ესმის.

სალიმათს ხუჭუჭა თავი ახსარის ფართო მხარზე დაუდგრა და თვალები მიუღულავს. ლამაზ პირისახეზე ბედნიერების ღიმილი დასთამაშებს. ქალიშვილის რბილი კულულები ვაყის მხურვალე ლოყას ელამუნება.

„ჩემზე ბედნიერი ქვეყნიერების ზურგზე არავინაა“, — ფიქრობს ახსარი. და ამ წუთში ექვციც არ ეპარება, რომ ეს ასეა.

მგზავრები კრინტს არა ძრავენ. თითქოს სუნთქვასაც კი უკლესო, ბედნიერ ქალ-ვაყს ნეტარი ფიქრი და ოცნება რომ არ დაურღვიონ.

ახსარს თვალი გახელილი აქვს, მაგრამ თავი მაინც სიზმარში ჰგონია.

ახსარის გული სალიმათის გულს მითერთდა და ორი გული ერთ გულად იქცა. ოღონდ ეს გული უფრო დიდი, ძლიერი, კეთილი და სათნოა. ასი გულის ღონე აქვს, წინ რა დაბრკოლებაც არ უნდა გადაეღობოს, გადალახავს, გზას თამამად გაიკაფავს და შეუსვენებლად ავა ცხოვრების ყველა მწვერვალზე. ახსარს ახლა ამ დიდი გულის საამო ვალობა ესმის და სხვას არაფერს უგდებს ყურს.

ავტობუსმა რამდენიმე მანქანას გაუუსწრო.

— ნელა, შე კაი კაცო! — აფრთხილებს მოხუცი მგზავრი, — ხრამში არსად გადაგყვარო. ადამიანი ერთხელ იბადება.

„შოფერი მაინც თავდაუზოგავად მიაქროფებს მანქანას.“

— გაჩერე, ძმობილო! — დაუძახა ახსარმა შოფერს.

მანქანამ სვლას უკლო და გზის პირას გაჩერდა.

მგზავრებმა ახსარს გადახედეს, რა უნდაო. რაკი ახსარი არ იძროდა ადგილიდან, მანქანაში მიმოიხედეს. პირზე ცხვირსახოცმიფარებული ქალი ნელა წამოდგა და გასასვლელისკენ მთვრალივით წაბარბაცდა. სრული კაბა ეცვა, მაგრამ მუცლის სიმრგვალეს მაინც ვერ უმაღავდა. ყველა მგზავრმა თანაგრძნობით გააყოლა თვალი.

— რატომ გავჩერდით? — უქმყოფილოდ ჩაილაპარაკა სალიმათმა, თავი ასწია და შოფერს შეუბღვირა.

— ქალი ჩავიდა, გულს ეზიდება! — წაუჩურჩულა ახსარმა.

— რას მოდიოდა, თუ მანქანას ვერ იტანდა! ახლა ამდენმა ხალხმა ერთს უნდა ვუცადოთ? — ზედიზედ მიაყარა სიტყვები სალიმათმა.

ორსული ქალი მანქანას მოადგა, კარს ხელი მოჰკიდა, მაგრამ ამოსვლა გაუჭირდა. მოხუცი მგზავრი წამოხტა და მიეშვილა.

— შვილო, აგერ დაჯექი, ჩემს ადგილას, ნაკლებად დაინჯღრევი, მე უკან გა-

დავალ. — უთხრა მოხუცმა და განზე გადგა, — დაბრძანდი, დაბრძანდი. არაფერია, ნუ გრცხვენია, ეგ ბუნებრივია.

ორსული ქალი წინ დაჯდა და თავი ჩაჰკიდა.

— შოფერო, ახლა რაღას უდგახარ, დაგეძინა? — უხეშად უთხრა სალიმათმა მძღოლს. იქნებ უფრო ავი სიტყვაც ეთქვა, მაგრამ ახსარმა ისე შეხედა, უმალვე გაჩუმდა.

დაიძრა მანქანა. სალიმათმა თავი კვლავ ახსარის მხარზე მიდო და ისევ მილულა თვალი.

ავტობუსი კვლავ მიგუგუნებს, თვლები წინანდებურად ხმაურობს. მაგრამ ახსარს მათი ხმაური სიყვარულის გალობად აღარ ესმის. მოსაწყენი გახდა მანქანის გუგუნე და თვლების ჯაყაჯაყ ხმაური. ეს ხმაური ახლა რატომღაც აწინებს კიდევ ახსარს. ფიქრის შორევი დაუტრიალდა თავში.

„სკოლაში ასეთი უხეში და უგულო არ იყო... ინსტიტუტში ხომ არ გამოცვალეს? ჩემს თვალწინ გაიზარდა და ასეთი რამ არასოდეს შემიმჩნევია. სალიმათ, ეს შენა ხარ?! ნუთუ აქამდე სიყვარული მპაბრძვებდა? არ ვიცი, არ ვიცი“.

მანქანა ხევში ჩავიდა და აჯაყაყადა. ახსარს ფიქრი გაუწყდა.

მერე მანქანა გზაჯვარედინს მიუახლოვდა. მარჯვნივ რომ აპირებდა გადახვევას, ავტობუსში კვნესა გაისმა:

— ვაი, მიშველეთ! დედაა!

შოფერმა უმალვე დაამუხრუჭა მანქანა და გვერდზე მიაყენა.

მგზავრები დაბნეულად მიაჩერდნენ გამხდარ მამაკაცს, უკან რომ იჯდა. მამაკაცს ორივე ხელით მუცელი ეჭირა, თითქოს ვიღაცას გაუფატრავს და ეშინია. წელები არ გადმომიცივდესო. წელში მოხრილს შუბლი ოფლით დასცვაროდა, ტუჩები გალურჯებოდა. იმ ერთი წამოყვირების შემდეგ ბაგეებს ამოძრავებდა, მაგრამ პირიდან ხმა არ ამოსდიოდა. რაღაცის თქმა უნდოდა და ვეღარ ახერხებდა.

დაიბნენ მგზავრები: ასე უცებ რა მოხდაო. ვერ მოისაზრეს, როგორ მოქცეუ-

ლიყვნენ. მოკუნტული კაცის ახლოს მჯდომი ორი ჩასკვნილი ახალგაზრდაც კი გაოგნებული იყურებოდა, ჯვარედინზე ვერ მიმხვდარიყვნენ, ადამიანს დახმარება რომ სჭირდებოდა.

— აბა, ბიჭებო, მომეხმარეთ, ჰაერზე გავიყვანოთ! — ავადმყოფთან პირველი შოფერი მიიჭრა.

ახსარი ახლად მოეგო გონს, წამოხტა და შოფერს მიეშველა. ავადმყოფი ფრთხილად გაიყვანეს მანქანიდან და ახსარის ლაბადაზე დააწვინეს, პატარა მუხის ქვეშ.

ავადმყოფი იკრუნხებოდა და მძიმედ სუნთქავდა, კვნესოდა და ოფლს ასხამდა.

მგზავრები შემოეხვივნენ და თანაგრძნობით უცქერდნენ. ყველაზე მეტად შოფერი იყო შეწუხებული.

ავადმყოფმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და მიღებული ხმით უთხრა შოფერს:

— მე უკან უნდა დავბრუნდე, თქვენ წადით, აქ დამტოვეთ.

ლოყებზე რამდენიმე ცვარი ჩამოუგორდა. ცრემლი იყო თუ ოფლი, ვერ ვაარჩევდით.

— სალიმათ, განზე რატომ გადქეი, მოდი, გასინჯე ავადმყოფი! — მუდარით უთხრა ახსარმა.

სალიმათი მოშორებით იდგა მეორე ხის ჩრდილში და მთებს გაჰყურებდა.

— რა ჩემი გასინჯვა უნდა, ისედაც ეტყობა, კარგად რომ არ არის. აქ რა ვუშველო, საავადმყოფოში წავიდეს. მე ახლა ისეთივე დახმარება შემიძლია, როგორც ყველა თქვენგანს.

— შენ ექიმი ხარ!

— ახლა ექიმი კი არა, მგზავრი ვარ, თქვენისთანა მგზავრი. ავარაკზე მიმავალი მგზავრი, — ავადმყოფისკენ არც გახიხნა სალიმათმა, — ესეც რომ არ იყოს, მე თერაპევტი ვარ, ქირურგი ხომ არა? — სალიმათმა ხელი აუქნია, აქაოდა, თავი დაამანებეო.

— სალიმათ, იცი ახლა შენ, რასაც ამბობ? — უსაყვედურა ახსარმა.

— დაუფიქრებლად ლაპარაკი მე არა

მჩვევია. რა მოხდა, კაცს მუცელი ასტკივდა, ცოტას დაისვენებს და გაუვლის. ალბათ, დილით მუცელი ხაბა-ხუბათი ამოიყორა, რალაცამ აწყინა და შეაწუხა.

— ეგეტ თუ ექიმია და... — ხმამალლა ჩაილაპარაკა იმ მოხუცმა, ფეხმძიმე ქალს ადგილი რომ დაუთმო, — უგულო ექიმი ღმერთმა დასწყევლოს.

სალიმათმა მოხუცის საყვედურს ყუ-რი არ ათხოვა, ისევ ჩაიქნა ხელი.

— ნეტავი სულ არ წამოგუსულიყავი ამ მანქანით. ერთს გული ერევა, მეორეს მუცელი აწუხებს, მესამეს კიდეც რალაც ჭირი შემოაფრინდება... ვიდრე აგარაკამდე მივალწევთ, ალბათ ყველა საკაციტ გამოისატანი გახდება... მოდი და, დასასვენებლად მიმავალმა ნერვები დაიწყვიტე, — გაანჩხლებული სალიმათი ავტობუსში ავიდა და თავის ადგილზე არხეინდა დაჯდა.

სალიმათის მაგივრად ახსარს შერცხვა, ხალხს თვალი ველარ გაუსწორა. ეგონა, ყველა მგზავრი მე მომჩერებია და მარტო სალიმათს კი არა, მეც ზიზღით მიყურებს და ავად დამცინისო.

ავადმყოფმა ისევ მოხედა შოფერს:

— მანქანაში ჩემი ჩემოდანი დევს, ყვითელი. ჩამომიღე და ეწიე შენს გზას. როგორც კი ტკივილი ცოტა გამიყუჩდება, მსუბუქ მანქანას გავყვები შინ. ჩემს გამო ამდენ ხალხს ნუ ალოდინებ. ხომ ხედავ, ზოგი უკვე ნერვიულობს და ალბათ მწყევლის კიდეც. აი, უკვე მიყუჩდება ტკი... — სიტყვა ვერ დაამთავრა, უცებ ისევ დაიკრუნჩხა და მუცელზე იტაცა ხელები: — ვაიმე, ვაიმე!..

შოფერი კვლავ შეწუხდა და მგზავრებს გადახედა, რა ექნათო.

— თქვენ განაგრძეთ გზა, ავადმყოფთან მე და სალიმათი დავრჩებით. უკან გავაბრუნებთ და მახლობელ საავადმყოფოში მივიყვანთ, — ეს ისე ხმამალლა თქვა ახსარმა, რომ სალიმათსაც გაეგონა.

— ღმერთმა გაცოცხლოს დიდხანს! — დალოცა მოხუცმა, — გმადლობთ, შვილო, გმადლობთ... მე ავადმყოფ დასთან მივდივარ, მაგრამ მაინც ვაპირებდი აქ

დარჩენას და რაკი შენ ითავებ, ახლა მშვიდად წავალ. გზაზე ავადმყოფი მარტო მიტოვება არ შეიძლება. ხალხს ვართ, ქუდი გვხურავს.

ახსარი მანქანაში ავიდა, ჯერ ავადმყოფის ჩემოდანი გამოიტანა, მერე სალიმათის ჩემოდანს დაავლო ხელი.

— ეგ საღლა მიგაქვს? — შეუბღვირა სალიმათმა.

— რაკი ვრჩებით...

— მე აღარა მკითხავ? შენ თუ გინდა, დარჩი, აქამდე მარტო დავდიოდი ყველგან, მაგრამ არ დავკარგულვარ.

— ავადმყოფს შველა უნდა.

— ჰოდა, უშველე, გინ გიშლის?

— მე მინდა ორივემ ერთად ვუშველოთ. ადამიანის მოვალეობაა, მით უმეტეს, ექიმის...

— მე ავარაკზე მივდივარ. შინიდან ის კი არ დაუბარებიათ, გზაზე ავადმყოფები აკრიფეო, ჩვენს მეტი აქ არავინ არის? დაღე ეგ ჩემოდანი თავის ადგილას და შენც ჩამოჯექი აქვე, თუ არა და... როგორც გინდა...

— აქ ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის ამბავი წყდება, შენ კი... — ახსარს შეეტყო, რომ ნამდვილად გაბრაზდა.

— მაგის დარდი მაქვს ახლა სწორედ. დარჩი შენ, დარჩი. შენისთანა გამცილებელი არა მჭირდება. როგორმე გავალიოლად. ჩადი, ნულარ გვაგვიანებ, ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ. სული მეხუთება ამ გზაზე...

— მაშ შენსას არ იშლი?

— გიმეორებ: უშენოდ არ დავიკარგებდი. თუ გინდა, დარჩი. ოღონდ მერე სანანებლად არ ვაგინდეს ეგ შენი სულელური ახირება.

ახსარმა მრისხანედ შეანათა თვალები სალიმათს, მაგრამ აღარაფერი უთქვამს, უხმოდ გაშორდა და ავადმყოფს მიაშურა.

— რაკი ასეა, მეც დავრჩები! — უთხრა მოხუცმა, — მარტო ცოდვა ხარ, შვილო! — წავიდა და თავისი ბარგი მანქანიდან ჩამოიტანა.

შოფერმა ავადმყოფს ბოდში მოუწადა და მანქანის ძრავა აამუშავა.

ავტობუსი დაიძრა და მალე მიეფარა  
გზაჯვარედინს.

ახსარმა თვალი გააყოლა ავტობუსს  
და კარგა ხანს იდგა განეგებულნი, ვიდრე  
გზაზე მსუბუქი მანქანა არ გამოჩნდა.

ავადმყოფს სასწრაფოდ გაუკეთეს  
ბრმა ნაწლავის ოპერაცია. ახსარი საავა-  
დმყოფოში დარჩა იმ ღამით.

— ექიმო, როგორ არის ავადმყოფი? —  
იკითხა დილით.

— მოიხედა უკვე. ცოტაც რომ დაჰკ-  
ვიანებოდა ოპერაცია, აღარაფერი ეშვე-  
ლებოდა. ახლა შეგიძლიათ დამშვიდდეთ.  
ბიძაა თქვენი თუ...

— არა. აქამდე არც ვიცნობდი. აქ გა-  
ვიგე, დამსახურებული მასწავლებელი  
ყოფილა. თუმცა ამას რა მნიშვნელობა  
აქვს. აღამიანი აღამიანია, ყველას უნდა

დახმარება... გზაში გახდა ავადმყოფი-  
ვიყვანე.

— გმადლობთ, დიდი მადლობა.


— მე თვითონ გმადლობთ, რომ გადა-  
არჩინეთ. ავადმყოფსაც გადაეცით მად-  
ლობა, სიმტკიცე რომ გამოიჩინა და ყვე-  
ლაფერი ასე კეთილად დასრულდა, —  
ეს უთხრა ექიმს, გულში კი გაივლო: —  
მადლობა იმ გზაჯვარედინსაც, ჩემს ბრმა  
სიყვარულს თვალი რომ აუხილა, თორემ  
ვინ იცის, რა უღელში გავებმებოდი.

შინ მისულმა ახსარმა უმაღვე დახია  
სალიმათთან გადაღებული ფოტოსურა-  
თი.

— ვაიმე! რა ჰქენი, შვილო?! დამღუ-  
პე?

— ნუ გეშინია, დედი, შეცდომის გა-  
მოსწორება არასოდეს არ არის გვიან, —  
დედას ეს უთხრა ახსარმა, გულში კი  
კვლავ ის გზაჯვარედინი დალოცა.





# მეტყველებს

## მეტყველება

ავტოსადგურის მახლობელ სასადილოში შევედი და კუთხის თავისუფალ მაგიდას მივუჯექი. მალე ჩემს მაგიდასთან ერთი ტანადი ახალგაზრდა მოვიდა. ასაკისათვის შეუფერებელი სიმსუქნე მორეოდა. სიტყვა არ უთქვამს, წარბები შეათამაშა და მანიშნა, ადგილი თავისუფალია თუ არაო. რაკი ჩემგან დასტური მიიღო, მაშინვე დაჯდა და მძიმედ ამოიოხრა. ეტყობოდა, ძალიან აღელვებული და აფორიაქებული იყო. მაგიდიდან მენიუ აიღო და დიდხანს ათვალიერა. მე შეფარვით ვაკვირდებოდი სახეზე. მერე უეცრად მენიუ დადო და თვალებში შემომაჩერდა, თითქოს ჩემი ფიქრის გამოცნობა უნდაო. მე ფანჯრისკენ გავიხედე, საიდანაც ავტოსადგურის ეზო ჩანდა, თან ვწუხდი, ვაითუ შემამჩნია. თვალს რომ ვაღვევებდი-მეთქი.

— თქვენ არაფერი შეგიკვეთიათ? — მკითხა უეცრად უცნობმა.

უარის ნიშნად თავი გავაქნიე. მაშინ მან მომტანი იხმო და ორი თავი სხვადასხვა კერძი შეუკვეთა. ვიფიქრე, ალბათ, ვილაცხს კიდევ ელოდება-მეთქი, მაგრამ

მოეტყუედი, არაფერს ჩანდა. მერე უცნობი კვლავ მომიბრუნდა.

— რას დალევთ?

— გმადლობთ, მე არა ვსვამ. თანაც, გულანდილად რომ გითხრათ...

თავი შევიკავე. „მიცნობ? გიცნობ? რომ მეპატიჟები, რას მეპატიჟები?!“ გავიფიქრე გულში.

უცნობს გაეღიმა, თითქოს ფიქრს მიმიხვდაო.

— ნუ გაგიკვირდებათ, ცოტა სხვანაირი ტიპი ვარ, მარტო ლუკმასაც ვერ ჩავიდებ პირში და წვეთსაც ვერაფერს დავლევ.

კინალამ სიცილი წამსკდა. მეხამუშა, თავის თავს „სხვანაირი ტიპი“ რომ უწოდდა. არადა, ჩვეულებრივ კაცს მართლაც არ ჰგავდა.

— რას ფიქრობთ? არაფერი არ გამოვა, ხასიათი უნდა გამისწოროთ.

— კი, მაგრამ რანაირად?

— ეს მე ვიცი, — კვლავ უხმო მომტანს, — ერთი ბოთლი „წინანდალი“ და ოთხასი გრამი თეთრი, — მერე ისევ მე მომიბრუნდა, — თქვენ, როგორც სამხ-

რეთ-ოსეთში მცხოვრებს, ალბათ, ღვი-  
ნო გირჩევენათ.

— ყველაფერი მიჩვევაზეა; — მხრები  
ავიჩეჩე მე.

— მართალი ხარ, ნამდვილად ასეა, —  
მაშინვე დამეთანხმა ჩემი თანამეინახე.

სანამ საუზმესა და სასმელს მოგვი-  
ტანდნენ, ერთმანეთი გავიცანით — ჯე-  
თალაზი ერქვა, გვარად ძინძილათი იყო.  
ოცდახუთი არ შესრულებოდა, ისე კი  
მეტსაც მისცემდით. თითქმის გამელო-  
ტებული იყო. მეტისმეტად დაღლილი  
და უფერული თვალები ჰქონდა.

ჯეთალაზი მალიმალ იყურებოდა ავ-  
ტოსადგურის ეზოსკენ. ორიოდ საათის  
წინათ დიდი წვიმა მოვიდა და ახლა გაკ-  
რიალებული ავტობუსები მზეზე ელავდ-  
ნენ. ერთი რომ ჩამოდგებოდა, მეორე  
მიდიოდა. დროდადრო ჰაერში ცისფერ  
ლამაზ კვამლს უშვებდნენ, მერე კვამლი  
ნელ-ნელა ქრებოდა, უჩინარდებოდა.  
მანქანის ყოველ ნიშანზე ჯეთალაზი ნერ-  
ვიულად შეტოკდებოდა ხოლმე, თვალები  
აემღვრეოდა. ერთმა მძღოლმა ზედ  
ფანჯარასთან მოაყენა ავტობუსი, ძრავა  
კარგა ხანს არ გამოურთავს, მინებს ზრია-  
ლი გაუდიოდა.

ჯეთალაზმა კბილების კრაჭუნით თავი  
გვერდზე მიატრიალა და ვიღაცის ლანძ-  
ღვას მოჰყვა.

„ვის ლანძღავს-მეთქი“, გამიკვირდა.  
მივიხედ-მოვიხედე, ირგვლივ ისეთი არა-  
ვინ იყო. ჯეთალაზმა კიდევ უფრო შეიკ-  
რა კოპები:

— ფანჯარასთან ჩემს ჯინაზე დააყენა  
მანქანა იმ ოხერმა. მაცოფებს, ამით მე-  
უბნება: იჯექი და ელოდე შენს გულის-  
წორს, ერთბაშად არ მოგაკითხოსო.

— ვისზე ლაპარაკობ? — ვკითხე და-  
ბნეულმა.

ჯეთალაზმა ისევ ამოიოხრა. ეტყობა,  
პასუხის გაცემა უჭირდა. მერე პაპირო-  
სი ზედიზედ მოქაჩა და მომაჩერდა. ის-  
ის იყო ლაპარაკის დაწყებას აპირებდა,  
რომ მომტანი მოვიდა, საუზმე, ლამაზი  
ბატარა გრაფინი და ერთი ბოთლი „წი-  
ნანდალი“ შნოიანად დააწყო მაგიდაზე,  
თავი დაგვიკრა და თვალს მიეფარა. ჯე-

თალაზმა მომცრო ჭიქაში არაყი დაისხა  
და მეც შემომთავაზა:

— მოდი, თითო გადავკრათ, ხასიათზე  
მოგვიყვანს. დარდს ყველაზე უკეთ ეს  
აქარებს. ამის გამოცდილება მაინც  
მაქვს.

— გეშლებათ, მეგობარო!

— რა მეშლება? — გაცოცდა ჯეთალაზი.

— რა და მომეტებულ სმას ჯერ არა-  
ვისთვის არ დაუყრია ხეირი. ვინ იცის,  
რამდენი ბოროტება მოჰყოლია ლოთო-  
ბას?!

— მე თუ მკითხავენ, ყველა ბოროტე-  
ბის სათავე ქალია, ქალის სიყვარუ-  
ლია, — თქვა აღელვებულმა ჯეთალაზმა  
და არაყს კინალამ ჭიქიანად ხახაში გადა-  
უძახა, — რაც კი ქვეყანაზე უმსგავსოე-  
ბა მომხდარა, ყველაფერში ქალია გარე-  
ული.

ახალა მივხვდი, რა ცეცხლიც სწვაე-  
და ჩემს ახალ ნაცნობს. თანაც არ მინ-  
დოდა გული სტკენოდა, მორიდებულად  
დავიწყე:

— ვერ დავეთანხმებით, ჩემო ჯეთა-  
ლაზ, რამდენი დიდებული რამ არის და-  
კავშირებული ქალთან, სიყვარულთან.  
პოეზიის, ხელოვნების შედეგები ქალის  
სიყვარულის გარეშე წარმოუდგენელია.  
ბოლოს და ბოლოს ეს ქვეყანაც სიყვა-  
რულზეა აშენებული.

ჯეთალაზი ჩაფიქრდა. ცალ ხელში გრა-  
ფინი ეჭირა, მეორე ხელის თითებს თეფ-  
შზე აკაკუნებდა. „რა მეთქმის, მართალი  
ხარ“, მესმოდა ამ კაკუნში.

— ჯანი გავარდეს, თითოც დავლიოთ!  
ჭიქა ჯეთალაზისკენ გავწიე, მინდოდა ლა-  
პარაკში ჩამეთრია.

ნასიამოვნებ სახეზე ღიმილი მოეფინა,  
ჭიქა მაშინვე შემვივსო.

მივაჭახუნეთ თუ არა, ჯეთალაზმა იმ-  
წამსვე გამოცალა თავისი ჭიქა და მე მო-  
მაჩერდა.

— დაწყება ჭირს სმის, თორემ მერე  
საქმე სულ იოლად წავა, — დამამიდა  
მან, — მართლა, თქვენ საით მიემგზავ-  
რებით?

— ძანკაუში.

— ძანკაუში? — გაუკვირდა ჯეთალაზს.



„რა ვუთხარი ისეთი; იმ სოფელთან, ალბათ, რაიმე აკავშირებს-მეთქი“, გავიფიქრე.

— ნათესავეები ხომ არა გყავთ ძანკაუში? — შემიკითხა იგი.

— არავენ არ მყავს, ისე, საქმეზე მივდივარ.

— დიდხანს აპირებთ დარჩენას?

— არა, პატარა საქმე მაქვს.

— კიდეც კარგი. თორემ დიდხანს იქ რა გაგაძლებინებდათ!

— რატომ, ისეთი რა ადგილია?

— როგორ ვითხრათ, — მხრები აიჩეხა ჭეთალაზმა, — საერთოდ, ქალაქელ კაცს უჭირს სოფელში გაძლება.

— სამწუხაროდ, აქაც ცდებით, — ისეთი კილოთი ვუთხარი, რომ არ სწყენოდა, — ქალაქისა და სოფლის ცხოვრებას შორის ჩვენს დროში მიინცადამაინც დიდი განსხვავება აღარაა.

— ეს ლიტონი სიტყვებია, ნამდვილად კი სოფელსა და ქალაქს არასდროს არაფერი არ ექნებათ საერთო.

— ასე არ შეიძლება ლაპარაკი, სოფელს თავისი ლაზათი აქვს, თავისი...

— ქალაქთან მაინც არ არის სახსენებელი, — შემაწყვეტინა მან, — დღემდე ვერ გამიგია, როგორ გავძელი ორი წელიწადი იმ წყეულ სოფელში და ახლაც იქ რატომ ვბრუნდები, — გაბრაზებულმა ჭეთალაზმა მკაფე კიტრს დაასო ჩანგალო.

— კი მაგრამ, ორი წლის წინათ რამ ჩავიყვანათ ძანკაუში?

— ჩემმა ხელობამ.

— რა ხელობა გაქვთ?

— მექანიკოსი ვარ.

— მერედა, თქვენი ხელობის კაცისათვის სოფელში მუშაობა არა სჯობია?

ჭეთალაზმა თავისი უფერული თვალეები მომაპყრო. ნიკაბი აუკანკალდა. ვიფიქრე, ახლა თავს ვერ შეიკავებს და ცრემლები წამოუვა-მეთქი. ვერ მივმხვდარიყავი — რა ტანჯავდა ყმაწვილს ასე. შეკითხვაც მიძნელდებოდა, ვაითუ ნატკენი გული უარესად ვატკინო-მეთქი. ცარიელი გრაფინი გვერდზე გადავდგი, მოზრდილ ჭიქებში ღვინო ჩავასხი და

მომტანს ვანიშნე, ორი ბოთლი ღვინო კიდეც მოეტანა. ჭეთალაზს ვეშინებოდა ჩაეცინა უღვაშებში.

— აკი თქვენ არა სვამდით!

— რა გავწყობა, ჩვენი ავტობუსის მოსვლამდე დიდი დროა.

— მართალი ხართ, — ისევ გაელიმა ჭეთალაზს.

მომტანმა დიდი ხონჩიდან ორი ბოთლი ღვინო ჩამოგვიდგა და მეზობელი მაგიდისკენ გასწია. მე ჭიქები შევავეს.

— გაგვიმარჯოს, ჩვენი სურვილების შესრულებას გაუმარჯოს! — ეთქვი და დავლიე.

— გაუმარჯოს! — მოკლედ მოსჭრა მანაც და დალია, ისევ მწნილს წაეტანა. მერე უკმაყოფილოდ გააქნია თავი, — სადღეგრძელოში ადვილია თქმა, გაუმარჯოსო.

— თუ კაცი მოინდომებს, საწადელს უსათუოდ აისრულებს, — აღარ დავუთმე მოსაუბრეს.

— უბედურებაც ის არის, რომ ყოველთვის ვერ აისრულებს, — დაიწყო მან, — ამ ორი წლის წინათ სწორედ აქ ვიქვეყი და ძანკაუში მივემგზავრებოდი. ვიფიქრე, სოფელში შვებას ვიპოვი, გაბზარული გული გამიმთელდება-მეთქი. უარესი კი დამემართა.

ძალიან შემებრაღა ეს უცნაური ყმაწვილი, მაგრამ მაინც ვაკვიცხე:

— შეუძლებელი არ უნდა მოინდომოს კაცმა. თუ ატყობ, რომ არაფერი გამოდის, სხვა გზას უნდა დაადგე. ბოლოს და ბოლოს, რამ გაგიტეხათ გული. სირცხვილია, ჩვენს დროში ახალგაზრდა ასე რომ წუწუნებდეს.

— არც ჩვენს დროს ვემდური და არც საკუთარ თავს. ტრაზანში ნუ ჩამომართმევთ და, ქალაქში ყველა მიცნობს, ვინაც არ უნდა შეეკითხოთ. მექანიკოსად ვმუშაობდი ერთ-ერთ ქარხანაში. ცხოვრებითაც კმაყოფილი ვიყავი და მუშაობითაც — ჩემი სურათი საპატიო დაფას არ მოსცილებია, ბინაც კარგი მქონდა და გავლა-გამოვლაც არ მაკლდა. ხომ გაგიგონიათ: ჭიანჭველას აღსასრული რომ დაუდგება, ფრთები ეზრდებაო. მეც

სწორედ ასე დამემართა — საშინლად გაეყოფოჩნდი, ყველას ზემოდან დაეუწყე ყურება. კარგა ხანს ვიყავი ასე რეტდას-ხმული. ცხოვრება წინ მიდიოდა, მე კი ერთ ადგილზე ვავიყინე, მუშაობასაც ვუკეღ, ნელ-ნელა სმაც დაიწყო. მე-გობრების რჩევა ყურში არ შემიშვია, საცოლის მუღარაც არაფრად ჩავაგდე.

ერთხელ ქარხნის კედლის გახეთქიში ჩემი კარიკატურა მოათავსეს: ფრთები არ მქონდა და ცისკენ მივიწევიდი გასაფრენად. თვალცრემლიანმა ჩემმა საცოლემ, ვისზედაც აღრე მზე და მთვარე ამომდიოდა, იმ დღესვე ჩემთან მოირბინა, მეტის ატანა აღარ შემიძლია, ჭეთაღაზ, ან გონს მოდი, ან ჩვენი გზები სამუდამოდ გაიყრებათ. ერთბაშად კალთები არ ჩამოგახიო-მეთქი, უკმეხად ვუთხარი საწყალ გოგოს. ზღუქუნით გაიქცა.

მეორე დღეს ქარხნის დირექციის სახელზე განცხადება შევიტანე — მე დავარზეთმა ერთმანეთს ვერ გავუგეთ. აქ სამუშაოს გულს ვერ ვუღებ. გთხოვთ გამანთავისუფლოთ, სოფელში ვაპირებ მუშაობის დაწყებას-მეთქი, ვწერდი განცხადებაში. „კეთილი, — მითხრა დირექტორმა, — მაგრამ არ იფიქრო, სოფელში ნაკლები საქმე გექნება, უქმად ვერც იქ ივლი“. კაცმა რომ თქვას, დირექტორს ისეთი არაფერი უთქვამს, მაგრამ მასაც შევუტეე. ძალიან გთხოვთ, ჩემზე ზრუნვას თავი დაანებეთ-მეთქი, ვუთხარი და სწრაფი ნაბიჯით გამოვედი კაბინეტიდან. ვარზეთს არც კი გამოვმშვიდობებდევარ, ისე წავედი სოფელში.

ჭეთაღაზმა ცოტა ხნით შეწყვიტა საუბარი. თვალეზზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და ფანჯარაში გაიხედა. ვატყობდი, რაღაც დიდი დარდი აწვა, მაგრამ რა, ვერ გამეგო. მერე უცებ მოტრიალდა და ღვინო დამისხიო, მითხრა.

ჭიქები შევაგვებ და მოკლედ ვთქვი მორიგი სადღეგრძელო. დალია თუ არა, ისევ კიტრის მწნილს დასწვდა.

— ხორცი შეატანეთ, რა შეაკალით თავი ამ მწნილს, — წვრილად დაჭრილი მშრალი ხორცი გავუწოდე ჭეთაღაზს.

— გმადლობთ, ისეთ გუნებაზე ვარ,

სხვა რამის ჭამა არ შემიძლია, ხორციანი თეფში გვერდზე გასწია. ვაჩვენებდი ჭეთაღაზის ბედზე დაეფიქრებოდა. როგორც თვითონ ამბობდა, აღრე მოწინავე მუშა იყო. შესახედავად არა უშავდა, თუმცა თავის ასაკზე მეტი ხნისად გამოიყურებოდა. უკვე გავიგე, რატომ გაიქცა ქალაქიდან სოფელში და იმასაც მივხვდი, იქიდანაც რატომ გამოიქცა.

— ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ქალაქიდან საყვარელ არსებას გაექეციოთ. მერე რაღა დაგემართათ? — ვკითხე ჭეთაღაზს, რომელიც სახეს მარიდებდა.

— მოგეხსენებათ ახალგაზრდა კაცის ამბავი, სოფლად ერთი გოგო ჩამივარდა გულში. იმ გოგოსაც მოვწონდი, მაგრამ ბოლოს ისე მოხდა, მანაც შემაქცია ზურგი.

— მერედა რას იკლავთ თავს, იქნებ არც ერთი არ არის თქვენი ღირსი.

— ამის თქმა ცოდვის გადიდება იქნებოდა. მეორემ მაინც სულ გადამავიწყა პირველი. ვინ არ იცნობს ინესას — გაზეთებს რამდენჯერ დაუწერიათ მის მუყაით შრომაზე — საუკეთესო კომბაინერია.

— გამიგია, როგორ არა.

— ამ ერთი თვის წინათ გაზეთში მისი სურათი იყო, ალბათ ნახავდით. მზე-თუნახავი არ არის, მაგრამ საკმაოდ კარგი გარეგნობის პატრონია. თვალეზი კი წარმოუდგენლად ლამაზი აქვს, ცისფერი, უძირო თვალეზი. ნეტავი სულ ამის თვალეზისთვის მაყურებინაო, იტყვი. ბევრი გოგო მინახავს, მაგრამ ისეთი არავინ შემხვედრია. როცა რაიმეს მიყვებოდა, სულ იმაზე ვფიქრობდი, ლაპარაკი არ გაათავოს-მეთქი, ისეთი საინტერესო მოსაუბრე იყო. ძალიან მიკვირდა, როდის მოასწრო ამ პატარა გოგომ ამდენი რამის წაკითხვა. მშობლებს ინესას გარდა ერთი ვაჟიც ჰყავდათ. კარგი ხალხია. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ექვის თვალით შემომხედეს. სასაცილოა, არა?

ვერ მივმხდარიაყავი, რა იყო სასაცილო. ორი შეყვარებული ვერ შეუღლდა, მათ სიყვარულს ბზარი გაუჩნდა. ეს უფრო ტრაგედიას ჰგავდა. ჭეთაღაზი ჩემს

პასუხს ელოდა. ამ დროს ვილაცამ კვლავ მოაყენა მანქანა სასადილოს ფანჯარასთან. ღია ფანჯრიდან ბენზინის კვამლი შემოიჭრა. გამწარებულმა ჯეთალაზმა ტუჩზე იკბინა.

— ისევ ის არის, ნერვებზე მშლის. დამინახა, აქ რომ შემოვედი და განგებ აყენებს ავტობუსს ფანჯარასთან.

— ვინ ის? — დავინტერესდი მე.

— ძანკაუელია, ერთი აბეზარი ვინმე. ტრაქტორისტად მუშაობდა იქ. ინესას გადაეყიდა, ცოლად გამომყვეო. რაკი ვერაფერს გახდა, სოფლიდან გამოიქცა, ავტობუსზე დაიწყო მუშაობა. ბევრჯერ მომიგზავნა ვილაცები — აქედან მოუსვი, თორემ რაც სიგრძე გაქვს სივანედ მოგცემო. იმის მუქარას ვინ დაუგდებდა ყურს, ინესას რომ არ გამოეჭრა ყელი.

— კი მაგრამ, რამ შეგიშალათ ხელი, ხომ ყველაფერი გადაწყვეტილი გქონდათ?

ჯეთალაზმა პასუხი დააყოვნა, ღვინო მოწრუბა და წარბებს ქვემოდან გამომხელა:

— ხელისმოწერა და ქორწილი რომ ვუხსენე, შორს დაიჭირა; ჯერ ჩვენი კუთხე გავიჩინოთ და ქორწილზე მერე ვიფიქროთო. ინესას მშობლები რომ შემხვეწნოდნენ, ზედსიძედ მეც არ შევიდოდი მათ ოჯახში. რა გაჭირვება მადგა, როდესაც მე თვითონ შემეძლო კონტა სახელი წამომეჭიმა. ვიფიქრე, ინესას ქალაქში ვადასვლას შევთავაზებ და ვავახარებმეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ. ეს რომ ვუთხარი, ქვა აავდო და თავი შეუშვირა — ჩემს სოფელს არასგზით არ დავთმობო.

რა თქმა უნდა, ინესას ღედ-მამაც განზე გამიდგა. არც მე შევხვეწნივარ. ინესამაც გული აიცრუა ჩემზე — სულ სხვანაირი მეგონეო. როცა ერთხელ კიდევ გავუმეორე ჩემი წინადადება, გადაჭრით მითხრა: წადი, საშენო ქალს ისევ ქალაქში იპოვი, მე არ გამოგადგებიო. რაღას ვიზამდი, რაკი არაფერმა არ გასჭრა, დავკარი ფეხი და კვლავ ქალაქში გამოვიქეცი. მეგონა გულს გადავა-

ყოლებ, ინესას დავივიწყებ-მეთქი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. რაც დავუგადის, უარესი და უარესი მემართებოდა, ჯეთალაზმა მაგიდაზე ჩამოდო თავი.

ყველაფერი ეს ისეთი გრძნობით თქვა, მისი საცოდაობით დავიწვი. ასეთ ყოფაში ჩავარდნილ ადამიანს მხარდაჭერა და დახმარება უნდა, თორემ უსათუოდ გზას ასცდება, დაიღუპება. ტყუილი ჭირის დღესავით მეზარება, მაგრამ სხვა გამოსავალი ვერ ვნახე, გადავწყვიტე, ერთი რაღაც მომეგონებინა. ჯეთალაზს მხარზე დავადე ხელი:

— ძილი მოგერია, ვაჟკაცო!

ჯეთალაზმა თავი ასწია და გაეღიმა, პირველად გაიღიმა ამ ხნის განმავლობაში.

— არ დამიჯერებთ და, როცა თვალს ვხუჭავ, ინესას სახეს ვხედავ.

— თქვენი ბედი ერთი ჩემი ამხანაგის ბედს მაგონებს, — ოცნება არ დავაცალე ყმაწვილს, — ოღონდ მისი ამბავი პირიქით იყო: ქალაქელ ქალს გადაეყარა და სოფელს ვერ ტოვებდა, შისმა შეყვარებულმა კი ქალაქი ვერ დათმო.

— კი მაგრამ, ეს რა შეღავათია ჩემთვის?

— ის შეღავათია, რომ ეს ამბავი შეიძლება გაკეთილად გამოგადგეთ. ჩემმა ამხანაგმა საესებით დაივიწყა ის ქალი. „ვისაც ჩემი ცოლობა უნდა, უდაბნოშიც წამომყვებო“, ასე ფიქრობდა იგი. მალე საუკეთესო გოგონა შეირთო და ახლა ორი წლის ვაჟი ჰყავს, ვარსკვლავებს ეთამაშება. ჩემი ამხანაგი სატრაქტორო ბრიგადას თავაკცობს. ასპარეზი დიდი აქვს. მუშაობს, შეხმატკბილებული ოჯახი აქვს. თქვენი აზრით, ვინ დარჩა წაგებული, ვაჟი თუ ქალი?

— რა თქმა უნდა, ქალი, — გამოცოცხლდა ჩემი მოსაუბრე, — რა ბედი ეწია იმ ქალს?

— მაინცადამაინც კარგ დღეში არ არის. ერთი უკმური ქმარი შეხვდა. ამას წინათ თვალი მოკვარი, სულ ჩამომხმარა დარდისაგან.

— ჩემს პირველ შეყვარებულსაც ასე დავემართა, ვილაც უხეიროს გაჰყვა. ქმა-



რი დღედალამ ქალაღებში იქეჭება, ზე-  
დინედ ორ სიტყვას არ ეტყვის ცოლს.  
ვარზეთი თავბედს იწყევლის, მაგრამ  
ჩემთან სხვანაირად უჭირავს თავი, ვი-  
თომ ძალიან კმაყოფილია. ჩემი ცოლი  
რომ ყოფილიყო, გაცილებით ბედნიერი  
იქნებოდა. თუმცა ამაზე აღარ ვფიქრობ.  
ის მტანჯავს, რომ ინესა ვერ დავივიწყე.  
ეკ, რას ვბოდავ, მეც არ ვიცი, თავი შე-  
გაწყინეთ ყბედობით.

— როგორ გეკადრებათ!

— არ მოგებურდათ ჩემი სულელური  
თავგადასაყლები?

— სულელურს აქ მე ვერაფერს ვხე-  
დავ, მხოლოდ ერთ რამეში ვერ დავე-  
თანხმებით, — თვალი თვალში გავუყა-  
რე ჯეთაღას, — ვფიქრობ, ცდებით, ინ-  
ესას რომ კიცხავთ. ქალიშვილს მშობლი-  
ური სოფლიდან წასვლა არ უნდა, განა  
ეს დასაძრახია? საერთოდ, სოფელზე ძა-  
ლიან ცუდი წარმოდგენა გაქვთ. ძველად  
რომ იყო, დღეს ისეთი აღარაა სოფელი,  
დღითი დღე მშვენიერდება. ნახავთ, მა-  
ლე ახალგაზრდობის დიდი ნაწილი სოფ-  
ლისკენ იზამს პირს. ინესაც სწორედ ქე-  
ბის ღირსია და არა ძაგების. ასეთი ახალ-  
გაზრდები სჭირდება სოფელს. თქვენ  
მხარი უნდა აუბათ მას.

— რალა დროსია, — თავი დაღუნა ჯე-  
თაღაზე.

— ჯერ კიდევ არაფერი დაგიკარგავთ,  
ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებუ-  
ლი, — ვცადე მისი გამხსნევა.

— რა ვიცი, სულ დაკარგული მაქვს  
ხალისი, ჩემო ძმაო. ასე მგონია, ძველი  
ჯეთაღაზი აღარ ვიქნები.

— არა გრცხვენიათ, ახალგაზრდა კა-  
ცი ხართ, ჯან-ღონით საგსე, მთელი  
ცხოვრება წინა გაქვთ, — გამოცლილი  
ქიქები შევავსე, — მოდი, ჩვენს მომა-  
ვალს გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს, — მაშინვე შემავება  
ჯეთაღაზე, — არ ვიცი, ჩემმა გამხსნევე-  
ბამ იმოქმედა თუ ღვინომ, უფერულ  
თვალეებში შუქი ჩაუღდა, გამოცოცხლ-  
და, — ჩვენს შეხვედრას და გაცნობასაც  
გაუმარჯოს!

კიდევ კარგა ხანს ვსაუბრობდით. ღვი-

ნო შემოგველია. ხომ არ დავუმატოთ  
მეთქი, შევთავაზე ჯეთაღას. <sup>სანამ ჩემი</sup>  
სად დავლიეთ, სხვა დროს იყოსო“, მა-  
ჯაში ხელი მომკიდა. გამიხარდა, თვი-  
თონვე რომ თქვა უარი. ეტყობა, ჩემმა  
სიტყვებმა უქმად არ ჩაიარა. ჯეთაღაზი  
ის აღარ იყო, ამ რამდენიმე საათის წი-  
ნათ რომ გავიცანი. თავაღაც მიკვირდა,  
მაგრამ ასე მოხდა.

ჯეთაღაზე საათს დახედა და წამოა-  
წია:

— წასვლის დროა, საცაა ავტობუსიც  
ჩამოდგება.

— საით მიემგზავრებით?

— აკი ვითხარით, ძანკაუში მივდივარ.  
კიდევ კარგი, თქვენ შემხვდით, თორემ  
არყით ვატიალებული მივიდოდი იქ და  
ვინ იცის, რა ამბავს დავატრიალებდი.  
ახლა კი მინდა იქაურებს დავუმტყიცო,  
რომ არც ისე ურიგო ბიჭი ვარ. თქვენც  
ხომ ძანკაუში აპირებთ წამოსვლას.

— არა, გადავიფიქრე, სხვა დროს ჩა-  
მოვალ, — მინდოდა, თავის ფიქრებთან  
მარტო დამეტოვებინა ეს კაცი.

ჯეთაღაზე სვეტთან აყუდებულ მომ-  
ტანს უხმო.

— ნება მომეცით, მე გავისტუმრო, —  
გავიბრძოლე მე.

ჩემმა უცნაურმა ნაცნობმა კვლავ ჩა-  
მაგლო მაჯაში ხელი და ფული თვითონ  
გადაიხადა. გარეთ გამოვედით. ავტობუ-  
სი თითქმის შევსებული იყო.

— ჩავალ ძანკაუში და უკან აღარ ვი-  
ზამ პირს, — თითქოს თავისთავს ელაპა-  
რაკებოდა ჯეთაღაზი, — რაც აქამდე არ  
გამიკეთებია, ის უნდა გავაკეთო; ისეთ  
სახლს ავიშენებ სოფელში, ავ თვალს არ  
ენახებოდეს. მერე გოგოა და უარი მით-  
ხრას ინესამ.

— ჰოდა წადი, დროზე ჰქენი სიკეთე,  
თორემ ინესაც პირველი შეყვარებულის  
კვალს ვაპყვება, ვაგიფრინდება, — მხა-  
რზე ხელი მოვუთათუნე ჯეთაღას.

— მისამართი მომეცით, — სიცილით  
მითხრა ჯეთაღაზე, — თუ ყველაფერი  
ისე დამთავრდა, როგორც მე და თქვენ  
გვინდა და ქორწილი გადავიხადე, წე-  
რილს გამოგიგზავნით.

— აუცილებლად ჩამოვალ, — ვეუბ-

ნები და თან მისამართს ვუწერ უბის წი-  
გნაკში, — მადლობელი ვიქნები, თუ არ  
დაგავიწყდებით.

— ჯეთაღას ასეთი რამეები არ ეშლე-  
ბა, — მითხრა და დიდი, ძარღვიანი მარ-  
ჯენა გამომიწოდა.

გულთბილად დავემშვიდობე, თითქოს  
დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით.  
ავტობუსი ლურჯ კვამლში გაეხვია და  
დაიძრა. კარგა ხანს ვუქნევდით ერთმან-  
ეთს ხელს.

●  
თვეების განმავლობაში თვალწინ მედ-  
გა ამ უცნაური ყმაწვილის სახე. ვწუხ-

დი, როგორ წაუვიდა საქმე, ისევ ხომ არ  
აერია გზაკვალი-მეთქი. მერე <sup>მანდათი</sup> ~~მანდათი~~  
ნობით მიმავიწყდა.

ერთხელ, სამსახურიდან რომ ვბრუნ-  
დებოდი, წერილი დამხვდა. მაშინვე გავ-  
ხსენი და ოთახში შესვლამდე, კართან  
წავიკითხე: „ვინ იცის, ალბათ დაგავიწყ-  
დით კიდევ. მე კი გუშინდელივით მახ-  
სოვს ჩვენი შეხვედრა და საუბარი.  
თქვენს პატივისცემას ვერასდროს ვერ  
დაგვიწყებ. ახლა კი, დაპირების თანახ-  
მად, ქორწილში უნდა გვეწვიოთ მე და  
ინესას. არ გეგონოთ, უბრალო სტუმარი  
იქნებით, მეჯვარეობა უნდა გამიწიოთ.  
ჯეთაღასი“.



## ღაკით ჯიოთი

### დ ე დ ა ს

მოხუცო ჩემო, დღენიადაგ დარდიანს გხედავ,  
ჩემზე ფიქრებმა სიხარულის წაგართვეს ეშხი.  
ვერ გამოვდექი ბედნიერი, ძვირფასო დედავ,  
რადგანაც ბედმა ულმოზელმა გამტეხა წელში.

„უბედური ვარ“, ამბობ ხოლმე და გიპყრობს სევდა,  
ჩემგან მალულად იცრემლები და შველას ითხოვ  
და შენივე გულს ეკითხები, ძვირფასო დედავ,  
იმ დიდ წუხილზე, რომელზედაც მე უნდა მკითხო.

მე მესმის, დედავ, შენ იგონებ იმ საათს, იმ წუთს,  
როცა პირველად შევიგრძენი მშობელი მიწა.  
იგონებ, ფეხი რომ ავიდგი და... გული გიწუხს,  
რადგანაც, დედავ, ბედნიერი იყავი იმ წამს.

შენმა ცრემლებმა სიხარულით ქვეყანა შეძრეს,  
მზე ჩაგედვარა მაგ თვალეში ლამაზი ზეცის, —  
„შეხედეთ ერთი, ჩემი შვილი დადგაო ფეხზე  
და აინთოო კერიაზე მაღალი ცეცხლი“.

ო, შენს სიხარულს არა ჰქონდა საზღვარი, სივრცე,  
რადგან შენმა ძემ მზეს შესცინა და ფეხზე დადგა,  
მე, დედავ, შენი კაბის კალთა მეჭირა მტკიცედ  
და შენი გულის დიდი სითბო მზის სითბოს ჰგავდა.

ახლა იგონებ, სიმღერით რომ წავედი ცხვარში,  
დაკერებული ახალუხით და გრძელი ჯოხით.  
არ გველეოდა მზის ჩქერები წისქვილის ღარში  
და მამაჩემის ალესილი წალდი და თოხი.

აბგაც მე შენი შეკერილი მეკიდა მხარზე,  
მივიმღეროდი სკოლისაკენ საყვარელ ლექსებს,  
ახლა ვიგონებ და ცრემლები ყელამდე მავსებს,  
განსოვს? ყველაზე წინ ვიჯექი პატარა მერხზე.

იგონებ ალბათ, მთებისხელა ზვინი რომ შევკარ,  
დაღამებამდე ვტრიალებდი და ცელს ვიქნევდი,  
ვის უხდებოდა ჩემნაირად სიმღერა, ცეკვა,  
იმ სანატრულ დროს არ შორდება ჩემი ფიქრები.

იგონებ ალბათ ჩემს სიმღერას იმ ძველ მინდორთან,  
და ერთი გოგოც გაგონდება — შავთვალა, მორცხვი,  
როგორ გინდოდა, დედაჩემო, როგორ გინდოდა,  
მზეს მისწვდენოდა, ცა გაეპო ჩემს ოსურ ქორწილს.

ნუ დარდობ, დედავ საყვარელო, შენს თვალებს ვფიცავ,  
კვლავ მხარზე მადევს ჩემი ხალხის ძლიერი ხელი,  
ვით შენი სახე, გულში მიზის ოსეთის მიწა,  
ახლაც ფეხზე ვარ, მზეს ვულიმი და თქვენზე ვმღერო.

### რა ძნელია, როცა გიყვარს

რა ძნელია, რა მწარეა, როცა გიყვარს —  
მის მზეს ფიცავ, თავსაც აღარ ზოგავ მისთვის,  
როცა გულით ელოდები გულწრფელ სიტყვას,  
როცა შენი გულისწორი დელავს, გიცდის.

როცა შენი ქორწილია კვირა ღამეს,  
მერე, როცა ელოდები თრთოლვით მის ხელს.  
რა ძნელია, ელოდები, ითვის წამებს,  
შენ კი ამ დროს ბედის რისხვა ფიქრებს გიმსხვრევს.

რა ძნელია, მზეზე დიდი ცეცხლი გწვავდეს,  
რა ძნელია, ბედისაგან დაიწყევლო.  
დაჭრილ ირემს და მწყურვალე ირემს ჰგავდე,  
გულისწორზე ჯვარი თუ ვერ დაიწერო.

ასე ბედის ანაბარა დამრჩა სატრფო, —  
რა ვიღონო ან რა წყალში გადავვარდე,  
სარეცელთან მე პირისპირ დავრჩი მარტო,  
ვაგლახ, სატრფოს ველარ ვუმხელ წყეულ დარდებს.

მივწერე, რომ დავიჭერი მკერდში მძიმედ,  
ველარ მოვალ, მე უშენოდ სადღაც ვკვდები,

ჩემო მზეო, სხვის მკლავებში დაიძინე,  
საბოლოოდ გაიყარა ჩვენი გზები.

წერილითვე მიპასუხა ჩემმა სატრფომ, —  
„ქვეყნად მხოლოდ შენზე ლოდინს დაფუძლივარ,  
მალე გნახავ, არ დარჩები ქვეყნად მარტო,  
მე უშენოდ ნიაღვარსაც წაფუძლივარ“.

## მე შენ გიგონებ

მართლა ზღვა იყო თუ შენ მიმღერდი,  
ჩუმად მდიოდა ცისფერი ცრემლი...  
თითქოს სამოთხის კარებს მიღებდი, —  
ჩემს წინ გაიხსნა სამყარო ვრცელი.

და მე ვიგონებ ახლა იმ სურათს,  
სურათს, რომელსაც ღიმილი შვენის...  
ბედნიერების მზესთან მისული,  
შენი თვალების ცისკარი მშველის.

მე მაშინ ვეფხვსაც დავამარცხებდი  
და გულგოროზად ავწევდი ზევით...  
ახლა კი გულის ძარღვი მაწყდება,  
კვლავ მინდა გავძლე მაგ თვალთა მზერით.

კვლავ გამახარე და შემიცოდე,  
ჩემთვის რიჟრაჟი შენით იწყება,  
ვისიც გინდ იყავ, ერთი იცოდე, —  
ვერა, ვერ შევძლებ შენს დავიწყებას.





## ნაზი ჯასლოთი

\* \* \*

ზღვა დაახლის ნაპირს  
თავის მლაშე ტალღებს, —  
იმსხვერვეიან თვალწინ  
კლდეები და მთები...  
ამ ცვალებად გულს კი  
რა გრიგალი ამღვრევს?  
მიჰქრის გული ჩემი,  
თითქოს ჰქონდეს ფრთები.

მალა, მთისკენ, ჩქარა!  
ვცეკვავ, როგორც წვიმა,  
არ ვარ დიდი კაცი —  
ნაბიჯები ვზომო!  
ხეთა რივი მომღევს,  
მან რა იცის, ვინ ვარ,  
წინ გამისწრებს მაინც,  
რაგინდ მოვინდომო.

ცხენებივით მივქრით  
ფეხშიშველნი, მხნენი,  
გზაზე ვაფრთხოთ ბატებს,  
თუკი შეგვხვდა სადმე  
მიერზვიართ და მივხტით  
ძე კაცის და... ხენი,

ასე ვირბენთ, ვიდრე  
არ მივალწევთ მთამდე...  
ჰეი, ჰეი, ჰეი!  
მე კაცი ვარ, ხე ვარ,

მე წვიმა ვარ, მთისკენ  
მეც მაშხალეზს ვისვრი,  
პურსა ვთესავ, ვიბრძვი,  
ოლონდ მონის ჩევეა —  
მძიმედ თავის დაკვრა  
რომ არ ძალმიძს, ვიცი.

\*

მე თვითონვე მიკვირს:  
კაცი როდი ვძღვები  
ხან ტირილით, ცრემლით,  
ხან სიმღერის ხმებით.  
ხან მიზეზი მცირე  
სიხარულად მაქცევს,  
ხან მიზეზი მცირე  
გულზე დარდად მაწევს.

და წვიმაში, გუშინ,  
ავირბინე მთაზე,  
ღღეს დავემხე შენს წინ,  
მიწავ, შენით სავესე.

ზღვა შორიდან მღერის,  
ვით ბერძნული ქორო,  
ზღვა ახლოდან მღერის  
ბახის გრძნეულ ენით,  
ზღვა ჩემს გვერდით მღერის  
ჩემდა სამახსოვროდ,  
ვით ფანდირი ოსთა —  
გულთმისანი ჩვენი.

სად მივგორავ, ნეტავ,  
ვით ეს კენჭი ღურჯი,  
უსახელო, უტყვი?  
რად შემიპყრო სევდამ?  
ურწმენობის ხაფანგს  
ველარ გადავურჩი?  
შებრძოლებას მასთან  
ნუთუ ველარ ვბედავ?

აკი მხოლოდ გუშინ  
ცის ქუხილი მძლავრი  
ღვთის ძახილად მიჩნდა,  
მაგრამ როდი ვთრთოდი.  
მაშ რად შევკრთი ასე,  
ამ ცხოვრების მგზავრი,  
რად ვიგონებ ახლა  
უიმედო ლოდინს.

რატომ მაგონდება,  
რაც ვიგემე ჩაგვრა,  
რაც ვიხილე ცული,  
ბოროტების ფესვი?  
რად მივუგდე გული  
უყოყმანოდ, სწრაფად.  
სევდასა და ნალველს  
ისე, როგორც ლეში?

მეც ხომ მქვია კაცი,  
საუკუნო ტვირთად  
რომლის დიდი ფიქრიც  
დედამიწას აკრავს.  
მაშ ნალველმა ავმა,  
ქვეშევეშამ და ფლიდმა,  
სიხარული ჩემი  
როგორ უნდა ჩაკლას?

როგორ უნდა სძლიოს  
თუნდაც ერთი წამით!  
როგორ მივცე თავი  
მაცდურსა და მუხთალს?  
აკი გუშინ იყო  
და ვხარობდი ამით,  
რომ ხალისი შლეგი  
ჩემს ძარღვებში დულდა!

ჰეი, ჰეი, ჰეი!  
მეც კაცი ვარ, გესმით?  
მეც თანაბრად მერგო  
სიხარულიც, ჯავრიც.  
გულის ტკივილს ჩემსას  
არ შევხვდები კვნესით  
და ჩემს ნათელ იმედს  
არ დავუთმოვ არვის!



## ილია ჭიაბერაძე

### დღე მშვიდობისა

ზემოთ ცა ბრწყინავს, მზე არის ზემოთ,  
სამყარო მთელი მზეზე ელვარებს,  
დღე მშვიდობისა, ოსეთო ჩემო,  
შენს ამაყ ხალხს და ამაყ მწვერვალებს.

შენი ველები მზის ციალს ენდო  
შენი მწყემსების გულგასახარად;  
ნიაღვარივით მოედო ფერდობს  
დილის ნისლივით აშლილი ფარა.

ცას ებჯინება ლურჯი ქედები  
და კლდეს ჩანჩქერის ეღება ქაფი,  
არხებში წყალი ველარ ეტევა,  
ბობოქრობს, შფოთავს, გადადის ნაპირს.

დამწიფებული შრიალებს ყანა,  
ამ დღის მნახველი როგორ მოკვდები!  
ტრიალ მინდორზე მუხები დგანან  
და მზე უჭირავთ მძლავრი ტოტებით.

და გვაქვს სამშობლო ასე ფერადი,  
ასე ლამაზი, ბარაქიანი;  
მიწავ, სულ მუდამ მზესთან ელავდე,  
რომ ქუხდეს შენი ადამიანი.

ზემოთ ცა ბრწყინავს, მზე ფეთქავს ზემოთ,  
სამყარო მთელი მზეზე ელვარებს,  
დღე მშვიდობისა, ოსეთო ჩემო,  
შენს ამაყ ხალხს და ამაყ მწვერვალებს.



## ილია კავკაზაგი

### მ ზ ე კ ა ტ ი

თქმულება ვაჟა-ფშაველასზე

წამო, ავიდეთ იმ მთაზე,  
იქით მიილტვის ყველა,  
ამბავს ამბობენ საოცარს,  
დასაჯერებელს ძნელად.

ამბობენ: ის მთა მაღალი  
წმინდა სავანე არის,  
იქ ასვენია მზეკაცი  
უზარმაზარი ტანის.

მთაზე ვერ მოთავსებულა,  
და გაწოლილა იგი  
ნახევარ ტანით — მთას აქეთ,  
ნახევარ ტანით — იქით.

აჯადოებსო კაცის თვალს  
ახოვანება მისი  
და ის ზღაპრული სავანე  
უხვად მოურთავს მზის სხივს.

დაბადებულა მიწაზე  
და ცათა ხილვის მსურველს,  
მიწიდან მზისკენ გაფრენა  
მონდომებია თურმე:

და თურმე, როცა ცხრათვალა  
მზემ მიაღწია ზენიტს,

მაღალი მთიდან მზეკაცმა  
მზეს გაუწოდა ხელი, —

მაგრამ შეტოკდა მზის რაში,  
განზე გაუხტა მზეკაცს,  
მზემ მთაზე ოქრო დაყარა,  
მთებმა დაიწყეს დრეკა.



მაშინ გაისმა სიმღერა  
მზისკენ მარადი ლტოლვის,  
მღეროდა მთების მგოსანი  
გზნებით, წვითა და თრთოლვით...

გაშალა შუქი და შუქში  
მკვდარი დაეცა იგი, —  
ნახევარ ტანით — მთას აქეთ,  
ნახევარ ტანით — იქით.

აჯადოებსო კაცის თვალს  
ახოვანება მისი  
და ის ზღაპრული სავანე  
სულ დაუქარგავს მზის სხივს...

წამო, ავიდეთ იმ მთაზე,  
იქით მიილტვის ყველა,  
ამბავს ამბობენ საოცარს,  
დასაჯერებელს ძნელად.





მოთხრობა

ცა მოკრიალებულია, მზე დაჰყურებს ქვეყნიერებას. მაინც ცივა. შორს მოჩანს კავკასიონის დათოვლილი მწვერვალები.

პატარა სადგურის ბაქანი ცარიელია. აქა-იქ მხოლოდ ყვითელი ფოთლები უყრია.

შენობიდან რკინიგზელისქუდიანი კაცი გამოვიდა, ჯერ ლიანდაგს გახედა, მერე კავკასიონის ქედს. რაკი ირგვლივ სიმყუდროვე დაიგულა, შენობაში შებრუნება დააპირა.

ბაქანზე ფარაჯიანი კაცი გამოჩნდა. რკინიგზელი დააკვირდა მის სამხრეებს და გაიფიქრა: „ასე რატომ მოიჩქარის პოლკოვნიკი? ეტყობა, რაღაც უჭირს“.

პოლკოვნიკი რკინიგზელთან მიიჭრა.

— ამ სადგურის უფროსი თქვენა ბრძანდებით? — ჰკითხა თავაზიანად, თანაც აშკარად ეტყობოდა, ღელავდა.

— დიახ, მე გახლავართ. რამ შეგაწუხათ?

— ხაშურისკენ მიმავალი მატარებელი მალე ჩამოდგება?

— სამწუხაროდ, არა. შუალამისას ბათუმის მატარებელი ჩამოდგება მხოლოდ. ეგ არის და ეგ.

— რაღა მეშველება! ნუთუ მანამდე აღარაფერი გამოივლის, ან საბარგო ან ისე?

— მალე გამოივლის მოსკოვის მატარებელი, ოღონდ აქ არ გაჩერდება.

— რაღა მეშველება! — ნერვიულად მოიფშენიდა ხელები პოლკოვნიკმა.

— რამ შეგაწუხათ, ბატონო? — თანაგრძნობით შეხედა რკინიგზელმა.

— ეჰ, ნუღარ მკითხავთ! მტერს ამისთანა ამბავი. ვიფიქრე, ომი დამთავრდა და ცოტას დავისვენებ-მეთქი. გუშინ შვებულებით ჩამოვედი დედ-მამასთან. მშობლიურ სოფელში. იქ კი ავიამბავი დამხვდა... ჩემი და თურმე უკანასკნელ დღეშია. ხაშურის საავადმყოფოში წევს. ერთი უებარი წამალი გამოუწერიათ, მაგრამ ხაშურში ვერ უშოვიათ, ლენინგორში დაურეკავთ ჩვენებთან, იქნებ მანდ მაინც იყოსო. დავტრიალდი, ვიშოვე, სასწრაფოდ გამოვქანდი, მაგრამ, თითქოს ეშმაკი გადაგვიდგა გზაზეო, მანქანა გაგვიფუჭდა. არა და, საღამომდე რომ ვერ ჩავუსწრო, მერე გვიან იქნება, ღვიძლი და ხელიდან გამომეცლება. ახლა რაღა ვქნა? ვიფიქრე, რომე-

ლიმე მატარებელს მაინც გაყვები-მეთ-  
ქი. ჭირი ჭირს მიებაო, ამას ჰქვია.  
მკვდარს წამალი რაღას უშველის!

— ძალიან სამწუხარო ამბავია, ბატონო,  
თუ ადამიანს გული გაქვს... დედმა-  
მიშვილი ჩვენი სისხლი და ხორცია. მო-  
დი, ასე ვიზამ, — თითქოს თავისთვის ჩა-  
ილაპარაკა რკინიგზელმა, — ერთი წუ-  
თით შევჩაგრებ მოსკოვის მატარებელს  
და შეახტებით.

— ეჰ, სამწუხაროდ, არ შეიძლება. მე  
ვიცი, ამისთვის შენ დაგსჯიან. რკინიგზას  
თავისი კანონები აქვს. ვინც დაარღვევს,  
არ აპატიებენ.

— ჰო, შეიძლება დამსაჯონ კიდევ,  
მაგრამ...

— რატომ უნდა გაეზათ ხათაბალაში?!

— თუ უკულო და უხიაგი ვინმე არ  
შემხვდა, ავუხსნი ყველაფერს და გამი-  
გებს... კანონის გარდა ამ ქვეყნად არსე-  
ბობს ადამიანის გული.

პოლკოვნიკმა შარვლის ჯიბიდან პორ-  
ტსიგარი ამოიღო, ხუფი ახადა და რკი-  
ნიგზელს გაუწოდა.

— არ ვეწევი, ბატონო, გმადლობთ.

პოლკოვნიკმა პაპიროსი ნერვიულად  
გაბოლა. პორტსიგარს ჯიბეში რომ იდე-  
ბდა, შეუკრავი ფარაჯა უფრო გაეხსნა  
და ორდენებით ჩარიყლინებული მკერდი  
გამოუჩინდა.

— ბევრი გიბრძოლიათ, ბატონო.

— ორმოცდაერთი წლის ოცდაორი  
ივნისის დილით რომ დავიწყე, ორმოც-  
დახუთის ცხრა მაისს ძლივს დავამთავ-  
რე...

— თქვენი გვარი, ბატონო?

— პრიევი, ხეთავ პრიევი.

— ჰო, გამიგონია, ომის დროს გაზეთ-  
ში ხშირად წერდნენ. თქვენ კვაკასიის  
ფრონტზეც იბრძოდით, არა?

— კარგი მახსოვრობა გქონიათ. აქაც  
ვიბრძოდი და ყირიმშიც. მერე ბელო-  
რუსიაში და ოდერზე. ეჰ, საშინელი  
წლები იყო.

— უეჭველად გავაჩერებ მატარებელს,  
რაღაც არ უნდა დამიჯდეს.

— არა, ძალიან გთხოვთ, ნუ შეწუხ-  
დებით. გზაზე გავალ, იქნებ ავტომანქა-  
ნამ გამოიაროს.

— ახლა აქეთა მხარეს მანქანები იშვო-  
ათად დადის. თქვენ თვითონ, თუ გინდათ  
ძოდით, განა ერთხელ ჩაგიგდრათ მატარებ-  
ელში თავი?

— იქ, რა თქმა უნდა, ხშირად ვიგდებ-  
დი თავს ხიფათში, მაგრამ იქ ომი იყო,  
მტერს ვებრძოდი. გმადლობ, თანაგრძ-  
ნობისათვის. ბოდიში, თქვენი გვარი?

— გრძელიშვილი გახლავართ, კარლო.  
უეჭველად გავაჩერებ. თუ უკიათი არა-  
ვინ შემხვდა, არაფერიც არ მოხდება.  
თუ მოხდება და სიმართლისთვის მოჭრი-  
ლი თითი არ მეტყინება. ადამიანმა თუ  
ადამიანს ვაჭირვებისას არ უთანაგრძნო  
და არ დაეხმარა, აბა, რისთვის ვართ ამ  
ქვეყანაზე, რისთვის გვახურავს ქული?  
ფრონტზე, ვიცი, ერთმანეთისათვის თავ-  
საც სწირავდნენ.

სწორედ ამ დროს შორიდან მოაკივლა  
მატარებელმა. სადგურის უფროსმა ნი-  
შანი მისცა, მატარებელმა სვლას უკლო  
და გაჩერდა. წინა ვაგონის კარში მსუქა-  
ნმა, წითლად აღაყლაყებულმა კაცმა გა-  
მოყო თავი.

— რა მოხდა? რატომ გააჩერეთ მატა-  
რებელი?

— პოლკოვნიკს ძალიან ეჩქარება, უნ-  
და დასვათ.

— რა უფლება გქონდა? ეს დანაშაუ-  
ლია. მე შენ ჩავსვამ!

— ახლა პოლკოვნიკი წაიყვანე და და-  
ნარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

— უყურე შენ, რა თავხედი ყოფილა,  
ბოდიშსაც არ იხდის! კეთილი, კეთილი,  
ახლა პოლკოვნიკს მატარებელში ჩავს-  
ვამ, მერე შენ — რკინის გალიაში! თა-  
ნამდებობის ბოროტად გამოყენებას და  
მატარებლის განრიგის დარღვევას არა-  
ვინ ვაპატიებს, იცოდე!

— ნულარ აგვიანებ, კაცს ეჩქარება!  
აბრძანდით, ამხანაგო პოლკოვნიკო! —  
გრძელიშვილმა მატარებელს წასვლის  
ნიშანი მისცა.

— გმადლობ, მეგობარო! — ჩამოსძახა  
გრძელიშვილს ვაგონის ბაქანზე ასულმა  
პოლკოვნიკმა.

— განანებ მაგ თავხედობას! — დაე-  
მუქრა პატარა სადგურის უფროსს სიან-

ჩხლისაგან კიდევ უფრო აწითლებული მატარებლის უფროსი.

— ნუ მაშინებ! — მიძახა გრძელი-  
შვილმა, — მხოლოდ უფულო კაცს შეუძ-  
ლია, გაჭირვებულ ადამიანს არ დაეხმა-  
როს. ვაი მისი ბრალი, ვინც თანამდებ-  
ობას ბოროტად იყენებს. მე სასიკეთოდ  
გამოვიყენე. კი, ბატონო, მიჩივლე! ოლ-  
ონდ გახსოვდეს, თანამდებობა კი არ ამ-  
შვენებს ადამიანს, არამედ ადამიანობა!  
ნახვამდის, პოლკოვნიკო!

მატარებელი მალე მიეფარა თვალს.

— თქვენ მართლა პოლკოვნიკი ხართ,  
თუ ვიღაც გადაცმული? — მიადგა ლაყ-  
ლაყა კაცი პრიევს.

— საბუთები წარმოგიდგინო?

— სად მიხვალ?

— ხაშურში. და მყავს ავად, წამალი  
მიმაქვს.

— კი, დაგიჭერებ ახლავე. მოიგონე  
რადაც, რაკი მატარებელი გააჩერებინე  
იმ შენს ნათესავ-მოყვარეს, ახლა გინდა  
თავი იმართლო და მისი დანაშაულიც  
გაამართლო? ჩავსვამ გლიაში, უეჭვე-  
ლად ჩავსვამ. გამოძიებაც არ არის საჭი-  
რო, ათასი მოწმე მყავს. ხუთიოდე კაც-  
საც რომ მოვაწერიხო ოქმზე ხელი, კმა-  
რა.

— ბუზი გინდა სპილოდ აქციო? ის  
სადგურის უფროსი პატიოსანი კაცია.  
ყველაზე დიდი დანაშაული, იცით, რა  
არის? როცა ციხეში სვამენ უდანაშაუ-  
ლო ადამიანს, ხელწმინდასა და გულწმი-  
ნდას. კაცი მართლაც უნამუსო უნდა  
იყოს, პატიოსან კაცს რომ ციხით დაე-  
მუქროს.

— იმ შენმა პატიოსანმა კაცმა მატარე-  
ბელი შეაჩერა უმიზეზოდ, როცა ამის  
უფლება არ ჰქონდა. ჩვენს კანონში წე-  
რია...

— გულზე სულ არაფერი არ გაწერია,  
გული სუფთა გაქვს?

— საბჭოთა მოსამსახურეს შეურაცხ-  
ყოფასაც მაყენებ? ესე იგი, რაკი მე წეს-  
რიგს ვიცავ, უპატიოსნო ვარ, არა? ახლა  
კი მესმის, ორივე ერთმანეთის კუდები  
ხართ. იმ ვიგინდარას ნამდვილად მოუხ-

დება ციხეში ჯდომა. მე კანონს ვერ და-  
ვარღვევ. რომ მკითხავენ, რატომ ვაჩე-  
რეო, რა ვუპასუხო? მე რომ დავუფარო  
ასმა იცის, ყველას პირს ვერ აუკრავ.

— სხვები არაფერს იტყვიან.

— არ ვიცი, მე მაინც ვიტყვი. ოქმზე  
თქვენც მოვაწერიებთ ხელს.

— იცით, რას გეტყვით? თანამდებო-  
ბის კაცს მეტი დაკვირვება მართებს. რა  
საჭიროა ამდენი ყვირილი და მუქარა. იმ  
სადგურის უფროსს თავი დაანებეთ. თუ  
საჭიროა, პასუხს მე ვაგებ. ჩაიწერეთ ჩე-  
მი მისამართი.

— თქვენ პასუხს არავინ ვაგები-  
ნებთ! — გაანჩხლდა ლოყებლად ლაყა კა-  
ცი, — თქვენს ტყავში დაეტიეთ.

— მატარებელი ჩემთვის გააჩერა.

— პასუხს მაინც ის აგებს.

— ძალიან ჯიუტი კაცი ყოფილხართ.

— რაკი კანონს მტკიცედ ვიცავ? დიხხ,  
როცა კანონის დაცვაა საჭირო, მე ჯიუ-  
ტი ვარ.

— ღმერთო ჩემო, რამდენნაირი ადა-  
მიანი არსებობს ქვეყნად! — პოლკოვ-  
ნიკმა ზურგი შეაქცია ლოყებლად ლაყა  
კაცს.

პროკურორმა საქმე № 303 გადაფურ-  
ცლა. ჯერ უხმოდ კითხულობდა, შემდეგ  
აჩურჩულდა:

„უსაფუძვლოდ გააჩერა მატარებელი  
№ 13. ჭირვეული კაცია, წესრიგს ხში-  
რად არღვევს, შემდგომთა მითითებებს  
არ ასრულებს, ურთიერთობა აქვს საექ-  
ვო ხალხთან...“

— ჰმ, საექვო ხალხთან. დახეთ, რა ამ-  
ბავი ყოფილა! — ჩაილაპარაკა პროკუ-  
რორმა და კითხვა განაგრძო:

„აუცილებლად უნდა დაისაჯოს მკაც-  
რად, ხოლო ციხიდან გამოსვლის შემ-  
დეგ აეკრძალოს რკინიგზაზე მუშაობა...“

— ოჰო, უჩივის და განაჩენიც თვი-  
თონვე გამოაქვს! გვეხმარება!

პროკურორი ჩაფიქრდა, პაპიროსი გა-  
აბოლა, მერე ფანჯარა გამოაღო, ოთახი  
განაიწავა და გამოძიებელი ზარადა პრი-  
ვეი იხმო:

— გეტყვავ, აი ეს საქმე გამოარკვეით. დასკვნა წარმომიდგინეთ. აქ რალაც ისეთი ამბავია, დაწვრილებით უნდა შესწავლა, შენებურად, გულისხმიერად. არც ისე რთულია, მაგრამ ჩახლართულია. — პროკურორი დაიხარა და ყურში ჩახსურჩილა: — რალაც პოლიტიკური საჩრეული უღევს.

— კი მაგრამ, რატომ მეჩუბრჩულებით?! — გაუკვირდა ზარადამ, — ჩვენ ახლა ხომ სხვა არაფერ ვგისმენს?

— ასეა საქმე.

პრიემა საქმე გადაფურცლა.

— გრძელიშვილი კარლო?! — წამოიძახა და პროკურორს შეხედა.

— რამ შევაშფოთა? იცნობ?

— პირადად არა. გამიგონია, ძალიან კარგი კაციო, სამართლიანი და პატიოსანი. სიმართლისათვის ცეცხლში ჩაუარდებაო. არა მგონია, ასეთ ადამიანს დანაშაული ჰქონდეს.

— ვინ იცის, მავანსა და მავანს რა ეშმაკი უზის გულში. ზოგჯერ პატიოსნება ნიღაბია ბოროტების დასაფარავად. კაცი უკვე დაპატიმრებულია.

— კარგი იქნებოდა, მომივიანიც დავეპატიმრებინა. აქ რალაც ისეა შეთითხნილი, ეჭვი მეპარება.

— კანონი დაურღვევია, მეტი დანაშაული რაღა გინდა?

— იქნებ კანონი დაარღვია, მაგრამ ამით არაფერი დაშავებულა და კაცი პატიოსანი დარჩა? გააჩნია, ვინ რა ზნეობისაა, რატომ არღვევს კანონს. ზოგი ისე იცავს ხოლმე კანონს, უფრო მეტ დანაშაულს ჩადის, ვიდრე კანონის დამრღვევი.

— კი ბატონო, საქმე თქვენს ხელშია, — დაეთანხმა პროკურორი, — შეისწავლეთ და, თუ პატიოსანი აღმოჩნდება, გაამართლეთ. ჩვენ უდანაშაულო ადამიანს არ დავსჯით. ოღონდ ნუ აჩქარდებით.

ვიდრე ბრალდებულს დაკითხავდა, გამოძიებელი გრძელიშვილის დედ-მამას ეწვია. მოხუცებმა რომ გაიგეს, რის-

თვისაც იყო მისული ეს ლამაზი ქალაქი, ატირდნენ და მუდარა დაუწყეს.

— ნუ დაგვილუპავთ შვილს, — ეტყობოდა ერთ შვილს!

— დამშვიდდით, ნუ გეშინიათ! — ტკბილად უთხრა ზარადამ, — ჩვენ უდანაშაულოდ არავის დავსჯით. ისე შემოვიარეთ. მაინტერესებს, როგორი ბავშვი იყო თქვენი ვაჟი.

კარლოს დედ-მამამ და გამოძიებელმა ქალმა კარგა ხანს ისაუბრეს. შემდეგ ზარადამ გრძელიშვილის მასწავლებელი ინახულა.

— კარლო გრძელიშვილი? როგორ არ მახსოვს, — უთხრა მასწავლებელმა, — ჩინებული მოწაფე იყო, ყველას ქომაგი.

კარლო გრძელიშვილი დასაკითხად გამოიძახეს.

— ბრალდებულო გრძელიშვილო, მიგაჩნიათ თუ არა თავი დამნაშავედ?

კარლოს კრინტი არ დაუძრავს.

— გქონდათ თუ არა ჩქარი მატარებლის გაჩერების უფლება?

— არა, კანონით არა.

— მაშ რატომ გააჩერეთ?

— ერთ მგზავრს ძალიან ეჩქარებოდა, ავადმყოფ დასთან წამალი მიჰქონდა.

— იცნობდით იმ მგზავრს?

— არა, არ ვიცნობდი. მითხრა, მაგრამ გვარიც არ დამამახსოვრდა. სულ ცოტა ხანს ვისაუბრეთ. თავისი გაჭირვება შემომჩივლა.

— იქნებ მოგატყუათ?

— მატყუარა კაცს სხვანაირი თვალეზი აქვს, უმალვე შევაცხოვ. საერთოდ კი, როცა ტყუილის თქმა უნდათ, ასეთ რამეს არ ამბობენ.

— ადამიანს არ იცნობდით და მატარებელი მაინც გაუჩერეთ? ამით ხომ განრიგი დაარღვიეთ, ვინ მოგცათ უფლება?

— ჩემმა გულმა. მე სხვანაირად არ შემეძლო მოგქცეულიყავი. არა მგონია, რომ იმ ერთწუთიან გაჩერებას მოსკოვის მატარებლის განრიგი დაერღვიოს. მე შევამოწმე, მეზობელ სადგურში დროულად მივიდა. ადამიანს უჭირდა და აბა



რა უნდა მექნა? თქვენ რომ ჩემს ადგილას ყოფილიყავით, რას იზამდით? სხვა-ნაირად მოიქცეოდით?

კარლო გამოუშვეს. შინ რომ დაბრუნდა, იქ გაიგო გამომძიებლის გვარი და სახელი.

„პრიევი. პრიევი ზარადა. მგონი, ის პოლკოვნიკი პრიევი იყო. იქნებ... რა ვიცი, რა ვიცი... რაკი კეთილად დამთავრდა ყველაფერი...“

გავიდა რამდენიმე წელი. ხეთავ პრიევი პატარა სადგურში მარტო ჩამოხტა. წვიმს. ელვა სერავს ღრუბლიან ღამეს. მგზავრმა ბაქანს მიაშურა. ესმის, ვიღაც მოსდევს. შეტრიალდა და უცნობი ადამიანი დაინახა. უცნობს საწვიმარი ეცვა და ხელში ფარანი ეჭირა.

— სადგურში მიბრძანდებით? — ჰკითხა პრიევმა.

— აბა ამ თავსხმაში სად წავალ?

— კარგია, რომ ამემგზავრეთ, სიბნელეში სიარული ძალიან ჭირს.

— საიდან მიბრძანდებით?

— მოსკოვიდან.

— რა ამბებია მოსკოვში?

— რადიოს ხომ უსმენთ?

— კი, მეტი რა საქმე მაქვს, როცა მატარებელს არ ვხვდები.

— ჰოდა, რადიოზე მეტი მე არაფერი ვიცი, — მოკლედ მოუჭრა პრიევმა და გუბზე გადახტა, — სადგურში რატომ არ არის შუქი? არა გაქვთ?

— შუქის მეტი რა გვაქვს, ჭექა-ქუხილის დროს გამოვრთავთ ხოლმე.

— ძნელი იქნება ახლა ვითომ გზაზე სიარული? — იკითხა პრიევმა.

— შორსა ხართ წასასვლელი?

— ათიოდე კილომეტრი იქნება.

— რა ძალაა, აგერ მოისვენეთ, ჩვენს სადგურში, დილით წახვალთ. იქნებ გამოიდაროს კიდევ.

— უნერხული ხომ არ იქნება? ახლა ისე გვიანაა.

— ისეთი სადგურის უფროსი გვყავს,

შინაც მიგიატიყებთ, ვიცი მე მისი ამბავი, ღმერთივით კაცია.

პრიევის თანამგზავრმა კარი გაუფრთხილებლად შეაღო:

— უფროსო, სტუმარი მოგიყვანე, მოსკოვიდან მოდის.

ოთახში უცებ სინათლე გაჩაჩხანდა და ამ სინათლემ პრიევის თვალი მოსჭრა.

— გამარჯობათ!

— იცოცხლეთ, ბატონო! დაბრძანდით! — სადგურის უფროსმა სტუმარს სკამი დაუდგა.

— გმადლობ. ცოტა ხანს შევისვენებ და მერე უნდა წავიდე.

— ამ წვიმაში?

— შევბუღებით მოვდივარ. ხომ იცით, ადამიანს ყოველთვის მიეჩქარება შინ.

— წვიმას არ შეეპუებოდა კაცი, ასეთი ქარი რომ არ იყოს. არ გესმით, როგორ ღმუის? წვიმა, ღამე და ქარი ერთად საშინელია. გზას ადვილად ავიბნევთ. ხევში წყალი ადიდებული იქნება. დილამდე აქ მოისვენეთ, ასე აჯობებს.

— თქვენ მართალი ხართ, — ჩაფიქრდა პრიევი, — გემებს ზღვა კი არა, ქარი ღუპავს.

— თუ აქ ღამის გათევა გეუხერხულე-ბათ, შინ მოგასვენებთ. აქვე ვცხოვრობ, — უთხრა სადგურის უფროსმა და პასუხს არც დაელოდა, თანამშრომელს მიუბრუნდა, — სტუმარი ჩემს სახლამდე მიაცილეთ და ნათელას უთხარი, ვახშიში მოგვიმზადოს, მე მალე მოვალ.

— არა, ბატონო, ასე როგორ დაგსჯით. აქაც არაფერი მიშავს. მე ჯარისკაცი გახლავართ, შეჩვეული ვარ ყველაფერს. ძილს სასთუმალი არა სჭირდება. — პოლკოვნიკი უცებ სადგურის უფროსს მიაშტერდა: — შენ გრძელიშვილი არა ხარ, კაცო?

— დიახ, გრძელიშვილი ვარ, კარლო.

— მე ვერ მიცანიეთ?

— ვერა! აქ ბევრს გაუვლია.

— პრიევი ვარ. ხომ გახსოვთ, ამ ხუთიოდე წლის წინათ ჩემი გულისთვის მატარებელი რომ გააჩერეთ? მადლობის სათქმელად მაშინ ვერ გამოგიარეთ. სასწრაფოდ მომიხდა მოსკოვში გაბრუ-

ნება. თქვენ რომ არა, და ნამდვილად მომიკვდებოდა. ისე, ხომ მშვიდობით ჩაიბრა იმ ამბავმა?

— არა, დამიჭირეს და გამასამართლეს.

— რას ამბობთ?!

— მეგონა, თქვენ იცოდით ეს ამბავი.

— აბა, საიდან?

— თქვენს დას რა ჰქვია?

— ზარადა.

— გამომძიებელია?

— დიახ, ახლაც გამომძიებლად მუშაობს.

— ის იყო მაშინ ავად?

— მე სხვა და არა მყავს.

— არ ვიამბნიათ, რა გაჭირვებით მიუტანეთ წამალი?

— სააქაოსკენ რომ იბრუნა პირი, მე მაშინვე გავემგზავრე მოსკოვში, აკი გითხარით. მომაკვდავს კი, აბა, რას ვეტყვოდი?

— მაშ არაფერი იცოდა და მაინც გამამართლა? კიდეც უკეთესი. მე მეგონა...

— რას ამბობ, ძმაო!

— სწორედ თქვენმა დამ გამოვიღებ ჩემი მი საქმე და გამამართლეს. კვლავ ვუცდლით აქ, წავიდეთ ჩემს ოჯახში.

პრივეს ახლა უკვე უარი აღარ უთქვამს, წაჰყვა.

— კარლო, ის კაცი ვინ იყო, თუ ძმა ხარ?

— ჩვენი მეისრეა, მირიანი.

— ღმერთმა უშველოს, ბედზე შემხვდა ამ დღეგამაში.

— კიდეც კარგი, თორემ შეიძლება ერთმანეთი არც გვენახა.

— ნათელი კაცი ხარ. რა კარგია, რომ კეთილად დამთავრებულა ის ამბავი, — ძველ ფიქრს დაუბრუნდა პოლკოვნიკი.

— ქვეყნად კარგ აღამიანს რა გამოლევს! — ასე მიუგო პატარა სადგურის უფროსმა სტუმარს, გულში კი გაივლო:

„სიკეთე არ იკარგება, არც სიმართლე. ვინც კარგად დაუკვირდება, ჭეშმარიტ სიმართლეს მიაგნებს და იმ სიმართლეს მოყვასის საკეთილდღეოდ გამოიყენებს. უამისოდ წუთისოფელი რამ გაანათოს?“



## ჩვეუბანი

### პაპიროსის ცეცხლი

ფრონტის ხაზი. გრძელი ღამე. ომის ხმები.  
შავი ღამე, როგორც შავი ყორნის ფრთები.

ქინკლაგს, მთვარემ გზა დაკარგა და ვერ ჰპოვა,  
ზუჩქთან გაწეწ და... ვიღაცამ ცეცხლი მოხოვა.

მივაწოდე... ჯარისკაცი არტყამს ნაფაზს.  
წეკოს ცეცხლზე ანთება სახე სწრაფად.

პაპიროსის ცეცხლიც, როგორც მთვრალის თვალი,  
მიიღულა, წვიმისაგან ფერგამკრთალი.

— დაჯექ! — ვეტყვი. — ჩვენები ხომ ახლოს დგანან,  
სად იქნარი, ღამით საქმე არის განა?

მიპასუხებს: — მწვერაღი ვარ, ძმაო და შეც  
უფრო მეტად ვეტანები ასეთ ღამეს...

ხმით ვიცანი, ამიძგერდა უცებ გული,  
თანასოფლელს მოგეხვეი სიხარულით.

გამახსენდა მშობლიური მთა და ველი,  
ნეტარი დრო და ოსეთი საყვარელი.

ფრონტის ხაზი. გრძელი ღამე, ბნელი ღამე  
გულს დამაწევა... და ფიქრებმაც გამაწამეს:

ვინ რა იცის, ჩემო ძმაო, ამ დროს ასე  
მერამდენედ გადასულხარ ფრონტის ხაზზე?

იქნებ ჩაქრა იმ ბნელ ღამეს შენი თვალი,  
როგორც სველი პაპიროსის ცეცხლი მკრთალი.

მე თქმაც მიმძიმს, მაგონდება გულის ცემით, —  
რომ ფრონტიდან არ დაბრუნდა მოძმე ჩემი.

...ალარ ჩანხარ, მეგობარო, სად არ გექძებთ,  
დღესაც, დღესაც ვერ ვისვენებ, ვწუხვარ შენზე.

### შემოდგომის დღე

შემოდგომის დღე — მოგიზგიზე ფერთა ზღაპარი...  
სხივების ქსელში გახლართულა მთელი მთა-ბარი.

მივდივარ მარტო, ჩემს გარშემო უღრანი ტყეა.  
რა სიმშვიდეა, ღმერთო ჩემო, რა სიმშვიდეა!..

ნეტა ვინ არი? (საიდანღაც ისმის კაკუნი).  
ალბათ კოდალა — ათასწლოვან მუხას ჩაკრული.

როგორც მეზრძოლი, მოქნილ წელზე ხელყუმბარებით, —  
დგას ურიცხვ გირჩით დახუნძლული ნაძვი ყარიზი.

მკერდს მიყრდნობია თეთრი არყი, ცისკენ წასული,  
თითქოს ჯარისკაცს ეხვევაო ნაზი ასული.

თითქოს ჩაჩუმდა ტყვიამფრქვევი ბრძოლის მერეო, —  
მიწყდა კაკუნი... და უღრანსაც თვლემა ერევა.



## გიორგი ბასთაუთი

### გაზაფხულის დღე

კუნაპეტ ღამეს  
ანათებენ თეთრი ტყემლები  
და გახლართულა რტოებშუა  
ნიაფი თმეებით,  
აქ ხავერდით გადაშლილა  
ვრცელი ველები  
და მიწის მძაფრი სურნელებით  
უჩუმრად ვთვრები.

ზეცაც მშვიდია,  
მწვერვალებიც — ყალყზე შემდგარნი,  
და მთვარე ჩუმად  
ცას ეკრობა ვერცხლის ნალივით  
და მიწკარუნებს ვარსკვლავეთში,  
როგორც მხედარი,  
რომელიც ბექობს თქარა-თქურით  
სწრაფად აივლის.

ვდგავარ მალღობზე  
და ცხინვალი თითქოს ერთიან  
ცის ნაჭერია,  
მიწის მკერდზე ჩამოტანილი...  
გახედავ მთებს და  
მწვერვალები ისე თეთრია —  
გგონია შუქი  
უზარმაზარ ტყემლის ყვავილის.

და ჩემი სულის აღზევებას  
ნატრობს ღიახვი  
და საგულეში აქლურტულდა  
ჩიტი მზეწვია...  
მე დღეს არ ვიცი — გაზაფხულის  
ღამე მეახლა,

თუ სიყვარულის ელვარება  
ისევ მეწვია.

ასეთ ღამეში

მე რატომღაც ბავშვივით მჯერა,  
რომ ღამის ფერი სავსე არის  
შუქის ჩანჩქერით.

და გულს მიაშვებს გაზაფხულის  
ბგერების ჟღერა

და დიდ სიყვარულს

საალერსო თვალში ჩავცქერი.

\* \* \*


ცაზე განერთხნენ შავი ღრუბლები,  
მზეს დაწვზე იქნებ უკრთის ცრემლები, —  
შორსა ხარ, მაინც გესაუბრები  
და მელანდება თეთრი ხელები.

ღრუბლების მიღმა ცაა კრიალა  
და მწვერვალებზე შუქი იღვრება, —  
შენ განმიქარვებ გულის იარას  
და ააქლერებ გრძნულ სიმღერას.

მიმოიფანტნენ ლეგა ღრუბლები  
და... ახლოს არის ჩემი ოცნება;  
ასე უჩუმრად გესაუბრები  
სურვილთა ჩემთა გასხივოსნებას.

## გ ა ნ თ ი ა დ ი

გარინდებული და მთრთოლვარე დგას ხეთა ჯარი,  
ტრიალ მინდვრებზე ნაზად კრთება ახლა აპრილი,  
შორიდან უმზერ და გვონია საოცრად წყნარი  
ის ზღვა, რომელიც ქარიშხალს და ღელვას აპირებს.  
სიჩუმე ელავს ბუნების და მიწის განგებით  
და, გულო, გულო! შენც შეწყვიტე ხმაური ახლა.  
ტყეებს ედება სასიცოცხლო მწვანე ჰანგები  
და დღეს კვირტების აფეთქებას ფერები ახლავს.  
ახლა ნიავიც ფრთხილია და მშვიდია ისე, —  
არსით იძვრიან, გაინაბნენ მთებზე ნისლეები, —  
მოაქვს სიცოცხლის აღზევება მზის ოქრო-ისრებს  
და... გაზაფხულის ძლიერებით ჩუმად ვივსებით.





## მიხეილ ნაკთიბთი


### ს ა ყ უ რ ე

ეკატერინეს საყურის რხევამ გადაშრია!

ნ. ბარათაშვილი.

მხიარული დარბაზი  
სტუმრებს ხედება სანატრელს...  
ლამაზებში ლამაზი  
ზის და ისე ანათებს  
და ცას ისე გაჰყურებს,  
მთვარეს მოიმსახურებს.  
ტოკავს ჩრდილი საყურის  
და ირხევა საყურე.  
თვალებს ველარ აცილებს  
იმ საყურეს მგოსანი,  
რა მცირეა მანძილი,  
ის კი მაინც შორს არი.  
შორეული შორეთის  
ვარსკვლავს თვალი გაჰყურებს  
და ცახცახებს პოეტის  
გული, როგორც საყურე.





# თოთჯი ჰაჯაჯ

მონხრობა

„არა, ექიმო, არა, შენ სწორად ვერ გავიგია ცხოვრების აზრი! ცხოვრებას ისე უყურებ, როგორც ხანგრძლივ სიცოცხლეს. არა, ძვირფასო! შესაძლოა ერთ წამში გააკეთო ისეთი რამე, რასაც სხვები მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ შეძლებენ. ალბათ, გგონია, რომ შეშინია. არა, მშიშარა არა ვარ. სიკვდილი ჩემგან შორსაა. უფრო ახლოსაც ვყოფილვარ სიკვდილთან, თვალეში ვუყურებდი, ცალი ფეხი სამარეში შედგა, მაგრამ არ მოვკვდი. ღიახ, სიკვდილი ჭერ კიდევ შორსაა ჩემგან! მე მინდა სიცოცხლე, სიცოცხლე!“ ასე ფიქრობდა ლოგინად ჩავარდნილი ჯამბულათი და თვალწინ განვლილი დღეები ედგა.

აი, თერთად დანისლული მისი მშობლიური სოფელი. ბავშვები წისქვილობანას თამაშობენ.

სოფლის ქვემოთ, ღრმა ხეობაში, მდინარე მიიმდრის. ცის სიღრმეში ირაოს აკეთებს მთის არწივი და ღრმა ხეობებს ათვალეირებს, მსხვერპლს ეძებს. უწყინარი, კეთილი მერცხლები ჰაერში დახრიალებენ, მწერებს იჭერენ. მერცხლებს პატარა ბარტყები ელოდებიან. იმათაც

ხომ სიცოცხლე უნდათ! ახლადშეთებულ კედელზე, ჭერთან, ბუდეა მიკრული. მერცხალი მოფრინდა. ბარტყებს გემრიელი ლუკმის მოლოდინში ხარბად დაულიათ ყვითელი ნისკარტები.

ხეობაში პატარა მდინარე მოედინება და სალ კლდეებს პირსა ჰბანს. იქ, სადაც დინება მდორეა, ხანდახან წითლად დაწინწკლული თევზის თეთრი მუცელი გამოჩნდება. აქაც, ამ პატარა მდინარეშიც, იგრძნობა სიცოცხლე. რომელიღაც უჩინარი ჩიტუნა თავის სიმღერას გაუთავებლად სტვენს.

სოფელში ყველაზე ხანდაზმული კაცი, ძია გაბო მოკვდა. ჩიტი კი გალობდა და გალობდა. რამდენიმე წლის შემდეგ ჯამბულათს დედა გარდაეცვალა. ჩიტუნა მაინც არ ეშვებოდა თავის სიმღერას.

გათიბულ ბალახს ზვინებად დგამენ, ზამთარში საქონელს აჭმევენ, მაგრამ ბალახი კვლავ ამოდის. ადამიანიც ასეა. ხანმოკლეა კაცის სიცოცხლე, მაგრამ მაინც, ცხოვრების ხანგრძლიობა წლებით არ უნდა იზომებოდეს.

აი, გაფრინდა ჯამბულათის ფიქრები საღდაც შორს და ისიც თან გაიტაცა:



მაშინ ათი წლის იქნებოდა ჯამბულათი. მოხუცი ვაბო ზღაბრებს უამბობდა შვიდთავიან დევებსა და მამაც ვაჟკაცებზე. როგორ უნდოდა ჯამბულათს, ამქვეყნად ყველაზე უფრო ძლიერი ყოფილიყო. ძირფესვიანად ამოეთხარა ხეები, მიწასთან გავსწორებინა მთები, შიშის ზარი დაეცა ყველასათვის...

ჯამბულათი ახლა გულალმა წევს თავის საწოლში და ჩუმად ლაპარაკობს: „ო, ფიქრებო, უსასრულო ფიქრებო! წადით, გაფრინდით, სადაც გინდოდეთ, საითაც გინდოდეთ! სულ ერთია, უჩემოდ ვერსად წახვალთ, ვერ მიმატოვებთ“.

ჯამბულათი მაშინ სკოლაში დადიოდა. მამა მოუყვდა და საბრალო ბიჭი სულ დაობლდა. ბიძის ოჯახში იზრდებოდა. მართალია, არასოდეს მოშეიბია, მაგრამ ფენშიშველი და ჩაუტემელი ხშირად ყოფილა. ის წლები სიღარიბეში გაატარა, თითქოს სასიამოვნოსაც ვერაფერს მოიგონებდა, მაგრამ რაღაც კარგი, სასიხარულო იმ წლებმაც შემატა.

ერთხელ, შემოდგომაზე, სწავლა რომ განახლდა, ჯამბულათმა სკოლის ეზოში ხაღიზათი დაინახა, დაინახა და მაშინვე გულში ჩაუვარდა. ხაღიზათთან შეხვედრისას თავს ყოველთვის უხერხულად გრძნობდა და უნებლიეთ თვალებს ძირს ხრიდა. როგორ უნდოდა გამებეღაოდა მოეკრიბა და დალაპარაკებოდა! ამბობენ, ღარიბი მხოლოდ სიზმარშია მდიდარიო და ჯამბულათსაც ასე ემართებოდა: ოცნებაში სულ მასთან იყო, ესაუბრებოდა კიდევ, ცხადად კი შეხედვაც ვერ გაებეღა.

დრო კი მიდიოდა. ჯამბულათი მეთათე კლასს ამთავრებდა. ხაღიზათს ერთი წელი უკლდა სკოლის დამთავრებას. ჯამბულათი ქალაქში უნდა წასულიყო და სწავლა გაეგრძელებინა.

სწორედ ამ დროს ომიც დაიწყო. სამშობლომ თავის შვილებს უხმო.

„ვანანებო მტერს თავხედობას!“ — გაისმოდა ახალგაზრდების ხმა რკინიგზის ბაქნებზე. ჯამბულათიც მათ შორის იყო.

მატარებელი ჩამოდგა. ბაქანზე უამრავ

გამცილებელს მოეყარა თავი. სხივი გულში იკრავდნენ, ეხვეოდნენ ომში მძიმეალ შვილებს, ძმებს, ამხანაგებს ნათესავებს. აქვე იყო ხაღიზათიც. თვალცრემლიანი ერთადერთ ძმას აცილებდა ფრონტზე. როგორ უნდოდა ჯამბულათს მისულიყო, ცრემლი მოეწმინდა, მოფერებოდა...

მატარებელი დაიძრა: „გზა მშვიდობისა, გზა მშვიდობისა!“

შემდეგ კი ფრონტი, ბრძოლის ველი. ერთხელ მძიმედ დაიჭრა ჯამბულათი — ფილტვში მოხვდა ყუმბარის ნამსხვრევი. ოპერაცია გაუკეთეს, გამოჯანსაღდა. მალე ომიც დამთავრდა. სამშობლოში დაბრუნდა ვაჟკაცი. დაბრუნდა და ძველმა ჭრილობამ კვლავ გაუხსენა. ტკივილისაგან ღამეები არ ეძინა, დასუსტდა, ლოკინად ჩავარდა. ჩანდა, ფილტვში მაინც ჩარჩენილიყო ნამსხვრევი.

„ნუთუ ამ ჭრილობამ უნდა გადაშიყლოს? ხაღიზათის ნახვა მაინც მომესწრო. ახლა ალბათ გამოცვლილი იქნება. დაქალბული. უცებ, შეიძლება, ვერც ვიცნო“, ფიქრობდა ჯამბულათი.

ლოკინში წამოჯდა. სარკე აიღო. გაიღიმა. ლოყებს ცეცხლი წაჰკიდებოდა.

ორი კვირა გავიდა, რაც ჯამბულათი საავადმყოფოში დააწვინეს. ახალი ოპერაცია იყო საჭირო. ქირურგი, შუახნის ხმელ-ხმელი კაცი, ამშვიდებდა, ჯავრი ნუ გაქვს, ყველაფერი კარგად ჩაივლილია.

მისუსტებულ ჯამბულათს სანდომიახი სახის ექთანე თავს დასტრიალებდა. ვერაფრით ვერ გაიხსენა, სად და როდის ენახა ეს ახალგაზრდა ქალი.

ერთხელ, როდესაც რენტგენის კაბინეტში შეიყვანეს და რენტგენოლოგმა ექთანს სახელით მიმართა, ჯამბულათმა მაშინვე იცნო ხაღიზათი. თვალებზე აიფარა ხელი, რომ არ დაბარბაცებულყო. ხმა არ ამოუღია. არც მაშინ უთქვამს რამე, როცა რენტგენოლოგმა გვერდით მდგარ ხაღიზათს რაღაც გადაულაპარაკო.

პალატაში დაბრუნებულ ჯამბულათს

ამხანაგებმა მოაკითხეს. საწოლიდან ად-  
გა და ბაღში გასასვლელად მოემზადა.  
ხადიზათს არ უნდოდა ვაეშვა. მაგრამ  
ავადმყოფმა დაამშვიდა.

— ნუ გეშინიათ, არაფერი მომივა.  
ამხანაგების ნახვა ძალიან ეამა, სახე  
გაუნათდა, თითქოს ძალაც მოემატა.

ხადიზათმა მალე მიაკითხა და სთხოვა:  
— წავიდეთ, გეთაყვა, კმარა საუბარი.  
გადაიღლები, — და წაიყვანა.

იმ ღამეს ჯამბულათს სიცხემ აუწია.  
ბოღვა დაიწყო. ხადიზათი არ მოშორე-  
ბია, საწოლთან უჯდა. ახლაც სიცხის  
დასაკლები წამალი მიეცა და იცდიდა.  
სიცხემ არ დაიკლო. ხადიზათს თვალები  
ცრემლებით აევსო. გაახსენდა ბავშვობა.  
სკოლა. გაახსენდა, როგორ ობლად იზ-  
რდებოდა ჯამბულათი და ძალიან შეე-  
ცოდა.

ავადმყოფს უკეთესობა მხოლოდ მე-  
ორე დღეს დაეტყო. ხადიზათმა ინახუ-  
ლა.

— როგორა გრძნობ თავს, ჯამბულათ.  
ხომ უკეთა ხარ?

— არა მიშავს რა...

ჯამბულათმა თვალები დახუჭა და  
ფიქრში წავიდა...

— დაიძინე, მალე სულ კარგად იქნე-  
ბი, — ხადიზათმა შუბლზე დაადო ხელი  
ავადმყოფს.

ოპერაციის დღეც დადგა. ქირურგმა  
ერთხელ კიდევ დაათვალიერა რენტგე-  
ნის სურათები. მარცხენა ფილტიდან  
ჩარჩენილი ნამსხვრევი უნდა ამოეღო.  
ქირურგის ვარაუდით ოპერაცია ორ სა-  
ათს მაინც გასტანდა; შეწუხდა, ვაითუ  
დასუსტებულმა ორგანიზმმა ოპერაციას  
ვერ გაუძლოსო. სხვა გზა კი არ იყო.

ხადიზათი ქირურგს ეხმარებოდა. ჯამ-  
ბულათს დასაძინებელი წამალი მისცეს  
და ოპერაციაც დაიწყო. ავადმყოფს მხო-  
ლოდ გულმკერდის ნაწილი უჩანდა. ქი-  
რურგის ხელები სწრაფად მოძრაობდ-  
ნენ.

ოპერაცია დამთავრდა, ექიმმა ღრმად  
ამოისუნთქა, ავადმყოფს მკერდი შეუხ-

ვია. ოფლი მოიწმინდა. მერე აკანკარე-  
ბულ ხადიზათს გადახედა:

— გაუჭირდება. ძალიან გაუჭირდება,  
ხადიზათ. გამუდმებით უნდა ვაძლიოთ  
ქანგბადი.

ორი დღე არ გაუღვიძია ჯამბულათს.  
მესამე დღეს ოდნავ შეინძრა და მკერდ-  
ში ტკივილი იგრძნო. წამოჯდომა სცადა,  
მაგრამ ვერ შეძლო. თვალი გაახილა და  
პირველი, რაც დაინახა, ხადიზათის დალ-  
ლილი სახე იყო.

ამხანაგები ჯამბულათის სანახავად და-  
დიოდნენ, მაგრამ მან არაფერი იცოდა.  
ჯამბულათის მდგომარეობით შეწუხებუ-  
ლნი უხმოდ ტოვებდნენ საავადმყოფოს.  
„რა ცეცხლივით ბიჭი იყო, როგორ მოი-  
ნელა ამ ჭრილობამ“, ფიქრობდნენ ისი-  
ნი, მაგრამ მაინც მტკიცედ სწამდათ, რომ  
ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა.

ჯამბულათის საწოლთან ხშირად მო-  
რიგებდა ხადიზათი. ავადმყოფს თან-  
დათან უკეთესობა დაეტყო, სიცხე ისევ  
ჰქონდა, მაგრამ აღარ ბოღავდა.

მკერდის არეში ისევ ტკივილს გრძნო-  
ბდა, პირი უშრებოდა, მაგრამ სიტყვის  
დაძვრას ვერ ახერხებდა. ხადიზათი მიხ-  
ვდა, წყურვილი რომ აწუხებდა ავადმ-  
ყოფს და პირში ლიმონის ნაჭერი ჩაუ-  
დო. ჯამბულათს ძალიან ეამა, მადლობის  
ნიშნად გაუღიმა.

ექიმმა და ხადიზათმა ადრევე იცოდ-  
ნენ, ოპერაცია რომ იოლად არ ჩაივლიდა  
და ძალიან წუხდნენ. განსაკუთრებით ხა-  
დიზათი ღელავდა. აგონდებოდა მეგობა-  
რი გოგონას სიტყვები: „ჩვენს სკოლაში  
ჯამბულათისთანა ბიჭი არ არის. სულ  
შენკენ უჭირავს თვალი, როცა გელაპა-  
რაკება, სახეზე წითლდება. ეს უთუოდ  
რალაცას ნიშნავს“. მაგრამ რას ნიშნავდა  
ყოველივე ეს, ხადიზათს მაშინ არ ესმო-  
და და მხოლოდ ახლა, აქ, საავადმყოფო-  
ში, მიხვდა, რომ ჯამბულათს თავდავიწყ-  
ებით უყვარდა.

მოგონებები ერთმანეთს მიჰყვა და ხა-  
დიზათს თავისი გათხოვებაც გაახსენდა.  
„რა აუტანელი ცხოვრება მქონდა. მუ-

დამდე საყვედური და უსიამოვნება, მეტი არაფერი. მიყვარდა, მაგრამ ჩემს სიყვარულსაც არაფრად აგდებდა. რა მექნა, ბოლოს დავშორდით ერთმანეთს... სწორად მოვიქეცი. ჩემს ბიჭუნას მე თვითონ აღვზრდი“... — ფიქრობდა ხადიზათი.

თავდაპირველად ქმარი კარგად ექცეოდა ხადიზათს, ტკბილად ცხოვრობდნენ. მაგრამ შემდეგ, ბავშვი რომ შეეძინათ, მეუღლემ ექვიანობა დაიწყო. ხადიზათს ხშირად იბარებდნენ საავადმყოფოში. ზოგჯერ მძიმე ავადმყოფთან მოუხდებოდა დიდხანს დარჩენა, შინ კი ჩხუბი და აყალმყალი ელოდა.

ოთხი წელი ითმინა ხადიზათმა მისი ქირვეულობა, ჩხუბი, ლანძღვა. ბოლოსდაბოლოს მობეზრდა ყველაფერი და გაშორდა ქმარს. კიდეც კარგი, მუშაობით მაინც კმაყოფილია. თუმცა აქაც შეხვდება ხოლმე უსიამოვნება, მაგრამ სიხარული უფრო მეტი აქვს. მას შემდეგ, რაც ჯამბულათი საავადმყოფოში მოხვდა, ხადიზათს ერთადერთი საზრუნავი გაუჩნდა: რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, იგი ფეხზე დაეყენებინა. და განა მარტო იმიტომ რომ ჯამბულათს უყვარდა? არა, რა თქმა უნდა, არა.

ერთხელ ხადიზათი ლაბორატორიაში მუშაობდა, ექთანმა მიიჩინა და აღელვებულმა უთხრა:

— ხადიზათ, ხადიზათ! ჩვენი ავადმყოფი ძილში თქვენ გახსენებთ...

ორი კვირის შემდეგ ჯამბულათი მომ-

ჯობინდა. წამოჯდომა მაინც უჭირდა. წყნარი ღიმილით დასცქეროდა მის გამხდარ ხელებს. ბოლო დღეებში მადაც მოუვიდა. ლაწივებს ვარდისფერი შეეპარა.

ოპერაციიდან მეოცე დღეს კი ლოვიანიდანაც ადგა.

უხაროდა ხადიზათს, უხაროდა ქირურგსაც. მალე ოთახიდანაც გავიდა. ღრმად შეისუნთქა გაზაფხულის სუფთა ჰაერი. ხადიზათიც გაჰყვა.

— ჯამბულათ, ჯერ კიდეც აღრეა შენთვის გარეთ გამოსვლა.

ჯამბულათი შემობრუნდა, გაწითლდა და უბასუხა:

— არა, არა, ხადიზათ, უკვე კარგად ვარ, — და აივნის მოაჯირს დაეყრდნო.

ხადიზათმა თვალეებში შეხედა, გაიღიმა და ჰკითხა:

— არ დაგავიწყდი?

ამ შეკითხვამ დააბნია ჯამბულათი, მაგრამ გამბედაობა მოიკრიბა:

— განა შეიძლება შენი დავიწყება?

ცოტა ხნის შემდეგ კი ხმადაბლა ჰკითხა:

— ბაღში ხომ არ გავიაროთ?

— მოესწრები სეირნობას, ახლა პალატაში შევიდეთ.

— არა, არა! აქ მიჩვევია. ხედავ, ალუბალი აყვავებულა, ჩიტები გალობენ, ფუტკრები ზუზუნებენ... ეს ხომ სიცოცხლეა, სიცოცხლე! და მეც სიცოცხლე მწყურია, ხადიზათ!



## ჰაჯი-მუჩაგ ქუსათი

### ს ი ტ ყ ვ ა

სიტყვავ,  
აღამის ძეთა ბაგიდან  
პირველად თქმულო,  
ნუ დაბერდები!  
დღემდე მოსულო  
წვით და დაგვითა,  
დღესა ვართ სავსე  
მზით, იმედებით.

ცა მაღალია...  
პატარა მზენი  
მიმოფანტულან ნამზე უთვლელად. —  
და... ბალახები  
იწვევენ ზევით,  
და... შრიალებენ  
სულმოუთქმელად.

მზე კი თბილია  
და ისე მიწვევს,  
ისე ჰკიდია  
მწვერვალზე ახლა, —  
მგონია ლამის  
ხელებით მივწვდე,  
და... იგი ყველგან  
იმედად მახლავს.

ასეთ დროს კაცი  
მუნჯდება თითქოს,  
ჩუ, მოისმინე  
რა ბგერებია!

ხე მღუმარეა  
და ისიც ფიქრობს...  
და ხეს ფოთლები  
ეფერებიან.

ფოთოლთ ბაგენი  
თრთიან და მერე  
აქ იბადება სიტყვა, რომელიც  
ლამის დამუნჯდეს,  
განელტვოს ფერებს, —  
ასე მღელვარე,  
დაუცხრომელი.

— მიყვარ... ვერ ვამბობ,  
— მიყვარ... აქ წყდება...  
მერე დუმილი ისევ იწყება  
ბოლოს:

— მიყვარხარ! —  
ვამბობ და ვხედავ,  
როგორ ვეძლევი  
თავდავიწყებას.

და ჩანჩქერები  
იწყებენ ქუხილს:  
— მიყვარხარ!  
— მიყვარხარ!  
— მიყვარხარ! —  
სიტყვა იბნევა  
ქარში ბგერებად,  
გადირბენს კლდეებს

დაუღლელ მუხლით,  
ელტვის სივრცეს და...  
არც დაბერდება.

სიტყვავე,  
ზვიადო მწვერვალზე უფრო,  
რა კამკამაა  
სხივები შენი.  
უშენოდ რა ვარ? —  
ფრინველი უფროთო,  
რომელსაც მხოლოდ  
აფრენა შევლის.

მაგრამ ზოგჯერ კი  
ფასს გიკარგავენ,  
ზოგჯერ გარცხვენენ  
უმადურები, —  
მაშინ არ მჯერა  
შენი სიკარგის,  
როცა ჩრდილებით  
დაიბურები.

მე კი, ვფიცავ მზეს,  
გაგიფრთხილდები,

რაღვან შენცა ხარ  
პური არსობის, —  
ყველგან:  
ჰაერში,  
მიწაზე,  
ზღვაზე,  
უნდა მჯეროდეს  
შენი კაცობის;  
შენი დიდების,  
შენი სიმართლის,  
შენი მომავლის,  
შენი სინათლის.

ნულარ დაკარგავ,  
სიწმინდეს შენსას,  
ამას გთხოვ  
ჩემი სიცოცხლის ნაწილს,  
ნულარ მიჰყიდი  
ნათელ სულს ეშმაკს,  
თორემ იცოდე,  
დამავიწყდები  
და დავმუნჯდები  
ხმაურის კაცი.



## კოსტა მარლითი

### საშუაარი ზღვასთან

თითქოს ვილაცას უწყრები კიდეც,  
ღელავ, მშფოთვარებ, მკრთალდები ნისლებრ.  
ღურჯი ტალღების მთრთოლვარე თითებს  
იმტვრევ და გული გიღელავს ისევ.

თეთრი ფაფარი გაგშლია ქარში,  
ტალღების ღრუბელს წვეთებად მაყრი...  
იქნებ შენა ხარ ბუტია ბავშვი,  
ვისთანაც ახლა კამათიც არ ღირს.

ზღვამ თითქოს დიდი ღუმელი იცის,  
მაგრამ ზღვამ იცის ხმამალლა ფიქრიც:  
„მე სიცოცხლე ვარ ცისა და მიწის,  
და უკვდავების თარიღებს ვითვლი.“

არ შემიძლია ძილი და თვლემა,  
ტალღებს დროშებად ცის თაღზე ვკიდებ, —  
მე ადამიანს სიცოცხლით ვგავარ  
და ამ მსგავსებით ვამაყობ კიდეც.

მე ზღვა ვარ, მაგრამ... ოცნება ვიცი,  
ვით ადამიანს, მაწუხებს დარდიც...  
თუმც შვიდი ფერის პერანგებს ვიცვლი,  
გული ერთი მაქვს — აღსავსე მადლით.

რა ვუყოთ, ვღელავ, ვიღელვებ ასე, —  
არ შემიძლია განცხრომა, ძილი, —  
რომ დავიძინო, დრო შმორად მაქცევს  
და ჩემს გულმკერდზე ჟალტამად ივლის.

დაჰბერე ქარო, ამწეწე ქარო!  
არ დამამშვიდო, არ დამაწყნარო!“





# საქვინი პეოსაკი

მონტაჟი

კონკურსი საუკეთესო ფერწერულ ტილოზე ზუსტად იმ დღეს გამოცხადდა, როცა ორი გულითადი მეგობარი, ორი ძმანადიცი მხატვარი ყაზახეთიდან დაბრუნდა. მე არაფერს ვიტყვი მათ საქმიანობაზე, მათ შრომასა და კარგ ბიჭობაზე. ჩვენში ასლანბეგ თლადთათსა და ძაძიმათ თაბანსავთს ყველა კარგად იცნობს. მათი სასიყვარულო თავგადასავალი სწორედ მაშინ დაიწყო, როცა, შესაძლებელია, ისინი ყველაზე ნაკლებ ელოდნენ. და თანაც იქ, სადაც სულ არ ეცალათ ამ თავგადასავლისათვის.

მე სწორედ ამის მოყოლა მინდა:

ჩვენში რიმა ბელქათსაც ყველა კარგად იცნობს. ორ მეგობარსაც ბევრი რამ კარგი სმენია რიმას შესახებ. ეგ არის — პირადად არ იცნობდნენ მხოლოდ. ყამირზე რა უნდა მომხდარიყო ისეთი, ორ მეგობარს რომ გაკვირვებოდა, მაგრამ ესეც მოხდა: ისინი შეხვდნენ რიმას. შეხვდნენ და გაიკვირვეს. თუმცა ჯერ მოეწონათ, ჯერ გულის ფრიალი აუვარდათ და მერე გაუკვირდათ.

მხატვრები საბჭოთა მეურნეობაში სამუშაოდ მიმავალი ახალგაზრდების

ჯგუფს შეხვდნენ, მიესალმნენ და... ვერც ერთმა ვერ მოაშორა თვალი ერთ მაღალ, კონტა ქალიშვილს. ასე უცებ რა უნდა ეგრძნოთ, მე ვერ ვიტყვი; ამას ალბათ თვითონაც ვერ იტყოდნენ, მაგრამ მთავარი ის როდია, რა დაერქმევა ასე უცებათ გაჩენილ გრძნობას. მთავარია, რა სახეს მიიღებს იგი ბოლოს; ხოლო უფრო მთავარია, ვის გაუჩნდება ეს გრძნობა. ასლანბეგი და ძაძიმათი გრძნობას აყოლილი, ამჩატებული ბიჭები როდი იყვნენ.

რიმა, პედაგოგიური ინსტიტუტის და-მთავრების შემდეგ, ქალაქის ერთ-ერთ სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. თავისი საქმის მოყვარული, ცოცხალი და დაუდევარი გოგონა იყო, ყველა კარგი საქმის მოთავე და ყველაფერში მოწინავე. რა მასწავლებლის საქმეა ყამირზე წასვლა, როცა მთელი წლის დაძაბული შრომის შემდეგ პირდაპირ სულზე მისწრებაა ერთი თვით დასვენება. მაგრამ არც ახლა უთქვამს უარი და მოწოდებისთანავე ისეთი სიხარულით გაეშურა ყაზახეთისაკენ, თითქოს საქორწილო სუფრაზე იწვევდნენ. რიმათი გულდაყო-

დილმა ოსის ვაჟებმა ოხვრას უმატეს და მეყამირე ბიჭების ბედი შეეხარბათ. ვერაფერს ვეტყვი, ცხინვალელო ბიჭებო, სანუგეშოს, რიმა ისევ დაბრუნდება შინ, მაგრამ თქვენ რა! რიმა ყოველთვის ცივი უარით ვისტუმრებდათ ყველას, თუმცა ქალი ქალია და ერთ მშვენიერ დღეს ყველაზე უფრო მიუკარებლის გულიც გაიხსნება. რიმათვისაც დადგა ეს დღე. ეს მოხდა სწორედ იმ წუთს, როცა ორ მეგობარს ასე ძალიან ვაუჭირდა მისთვის თვალის მოცილება. თქვენ გგონიათ, რიმას გულმა არაფერი იგრძნო?

— რომელი მხრიდან მოფრენილა ეს მშვენიერი, უცხო ფრინველი? — ოსურად ჰკითხა ძაძიმათმა ასლანბეგს, თან რიმათვის თვალი არ მოუცილებია.

— ეგ მე უნდა მკითხოთ, ახალგაზრდავ, მაგან რა იცის.

— ჰჰ? — ჭაბუკები ისე შეცბნენ, ერთხანს ხმის ამოღებაც კი ველარ მოახერხეს.

— მე რიმა ბელქათი გახლავართ.

— რიმა?! — დაბნეულ ასლანბეგს კრიჭა გაეხსნა, — ჩვენ შორიდან გიცნობთ.

— რიმას ვინ არ იცნობს, — ჩაურთო ძაძიმათმა, — მაგრამ აჰ...

— მართლაცდა, აჰ საიდან, რამ გავაბედვინათ? — იკითხა ასლანბეგმა, — არ გეშინიათ, რომელიმე თქვენი თაყვანისმცემელი აქაც მოგწვედეთ და მოგიტაცოთ?

— ჩემი თაყვანისმცემლები დარდით კვდებიან... — მეტი აღარაფერი უთქვამს, უცებ დაირცხვინა ქალიშვილმა. უხერხულად და უმწეოდ მიიხედ-მოიხედა, თითქოს გაწითლდა კიდევც.

აი ამ წუთს უნდა დაგენახათ რიმა, ოსის ბიჭებო, დარწმუნებული ვარ, მაშინვე მიხვდებოდით, რა დაუნდობლად გაგწირათ ღმერთმა.

ორი მეგობრის ვინაობა რომ ვაიგო, რიმა დარცხვნილი ღიმილით დაემშვიდობა მათ. ხოლო ასლანბეგი და ძაძიმათი ერთხანს უხმოდ გასცქეროდნენ ყაზახების უკიდევანო ტრამალზე სწრაფად მიმავალ ქალიშვილს.

— ღმერთით ვოგოა! — თქვა ძაძიმათმა.

— ეეს, — ამოიოხრა ასლანბეგმა და ფაფრინდა უკვე.

სალამოს შინ დაბრუნებული ასლანბეგი ლოგინზე წამოწვა და ფიქრს მიეცა. თვალწინ სულ რიმას სახე ედგა. ძაძიმათმა მოლბერტი და ფუნჯი მოძებნა. ჩვევად ჰქონდა, რაც მოეწონებოდა, უსათუოდ უნდა დაესატა. ახლაც თავი აღარ აუღია, ეგ არის, ხანდახან ასლანბეგს თუ გადახედავდა. ხატა, ხატა და... ბოლოს ორმა საოცნებო თვალმა შემოსცინა ქალაღლიდან. ნახევრად თვალმონუჭულმა შორიდან შეხედა სურათს, მოეწონა, მერე მეგობარს მიუბრუნდა:

— რაზე ფიქრობ?

— იმ თვალეზზე, შენ რომ დახატე.

ის იყო და ის, მეგობრები რიმას ყამირზე აღარ შეხვედრიან. ისინი ერთიმეორისაგან შორს—სხვადასხვა მეურნეობაში მუშაობდნენ. მაგრამ ნავთდასხმულ ცეცხლს ამით ალი არ მოჰკლებია. ასე გავიდა რამდენიმე თვე.

ერთხელ, ყაზახეთიდან დაბრუნების შემდეგ, მშვიდობის მოედანზე სეირნობისას მხატვრები მოულოდნელად რიმას გაცისკროვნებული თვალების პირისპირ აღმოჩნდნენ.

თქვენ წარმოიდგინეთ, რა შეხვედრა იქნებოდა!

სამივენი დაიბნენ, უხერხულად იდგნენ და ხმის ამოღებასაც ვერ ახერხებდნენ.

ბოლოს დუმილი ძაძიმათმა დაარღვია:

— მადლობა ღმერთს, ძლივს არ შეგხვდით!

— სურვილი, თორემ ჩემი ნახვა რა ძნელია, — იყო პასუხი.

ძაძიმათი გამხნედა.

— ნება მოგვეცი, ჩვენი დანაშაული ზომავად გამოვისყიდოთ. ყოველდღე გნახავთ! რას იტყვი, ასლანბეგ?

— მადლობელი ვარ შენი, რაკი აგრე უხვად გამოსთხოვე ნახვის უფლება, ხოლო უფრო მეტად მადლობელი ვიქნები, თუკი რიმა შენს წინადადებას მიიღებს.

რიმას გაეღიმა და მხიარულად თქვა:



— შეგიძლიათ მიღებულად ჩათვალოთ.

ასლანბეგმა რალაც ანიშნა ძაძიმათს და ორივემ ერთდროულად ამოიღო ლამაზად მოხატული კონვერტები. რიმას გაუწოდეს.

— რიმა, — თქვა ასლანბეგმა, — თუ-მცა ერთხელ გნახეთ, დღენიადაგ გვახსოვდი, ორივეს გვახსოვდი... ამ კონვერტებში ჩვენი საიდუმლოებია. ყველაფერს ეს კონვერტები გეტყვიან.

სალამოს შინდაბრუნებულმა რიმამ შეათვალიერა ლამაზი კონვერტები. გახევა დაენანა, მაკრატელი აიღო.

პირველად რომელი უნდა გაეხსნა?

ორივეს ერთდროულად შეხვდა. გაიცნო. ორივე მოხდენილი და ვაქეაცურია. ერთი მეორეზე უკეთესია, რომელი აერჩია, ვისთვის მიეცა უპირატესობა?

ქალიშვილმა კონვერტები ერთმანეთზე დააწყო და ერთად გადაჭრა. თვალდახუჭულმა კონვერტებიდან ერთდროულად ორი სქელი ქაღალდი ამოიღო.

— მათი სურათები!?

მაგრამ, როგორც კი დახედა, მაშინვე იცნო საკუთარი თვალები!

„ამ კონვერტებში ჩვენი საიდუმლოებია“, გაახსენდა ასლანბეგის ნათქვამი.

— მაგრამ რა საიდუმლოებას მეუბნებიან ეს სურათები? ან როდის დახატეს. მათ ხომ სულ ერთხელ მნახეს. ასე ზუსტად როგორ დამხატეს. ნუთუ ამით გრძნობას მიმქლავებენ? კი მაგრამ, არჩევანი მე როგორ გავაკეთო? — ქალიშვილს თითქოს შეაეცია, — რა გიყოთ? თქვენი წყენა არ შემიძლია. მე ვერ გავხდები თქვენი დაცილების მიზეზი. მიჯობს ორივესთვის მაგრად დავხურო გულის კარი. თქვენ მეგობრებად დარჩებით ისევე, მე კი მარტო... დღეს ალბათ ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო...

მაგრამ ისინი შეხვდნენ. შეხვდნენ ერთხელ, მეორედ, მესამედ.

ერთხელ თეატრში დაბატიყეს ქალიშ-

ვილი: რიმა იუარა, ცუდად ვარა, ძვირმიზეზა.

შეწუხდნენ მეგობრები. აღმზრდელ-ნენ. რა ექნათ. დამე მოუსვენრად ეძინათ. დილით კი საუზმის შემდეგ პირდაპირ ავადმყოფთან გაიქცნენ. რიმა შინ არ დახვედრიათ.

დაღონდა ორი მეგობარი.

— ასლანბეგ, რალაცაში ჩვენ ვართ დამნაშავე.

— მეც ასე ვფიქრობ. ხომ ორივეს მოგვწონს?

— მოგვწონს.

— არა, კი არ მოგვწონს, გვიყვარს.

— გვიყვარს.

— მერე? რას ფიქრობ?

— შენ თვითონ რას ფიქრობ?

— არ ვიცი. არაფერი არ ვიცი. ვიცი, რომ ორივეს გვიყვარს.

— ეჰ, ეს კონკურსი მაინც არ იყოს ახლა. ვერაფერი ვერ გამიკეთებია.

— მეც ეგრე ვარ: სიყვარული კაცს აღაფრთოვანებსო, ესაო, ისაო... ჩემზე, მგონი, პირიქით იმოქმედა.

— რალა შენ და რალა მე, — ამოიხსრა ძაძიმათმა, — მაგრამ მაინც უნდა ვცადოთ. ცოტა ხნით რიმაც უნდა დავივიწყოთ. ვაშლი ხომ არ არის, აგრე ადვილად მოვრიგდეთ?

— მართალი ხარ, ძაძიმათ, ჩვენ რა შეგვიძლია, მან უნდა გააკეთოს არჩევანი. თანახმა ხარ?

— რა თქმა უნდა. ვისაც რიმა აირჩევს, ბედნიერიც ის იქნება. მეორემ კი ძმობა უთხრას.

— მომეცი ხელი.

ხომ ძალზე უხერხულია, როცა ორ მეგობარს ერთი ქალიშვილი უყვარს, მაგრამ მათ საკვირველ მეგობრობას ასეთი უხერხულობაც ვერაფერს დააკლებდა. ახლაც ასე გულწრფელად და უბოროტოდ ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს, თითქოს მართლა ვაშლს იყოფდნენ.

სალამოს რიმა შინ დაუხვდათ, მაგრამ მეგობრები ხუთ წუთსაც არ გაჩერებულან — გვაბატიყეთო, მოუცლელად ვარ-

თო, გვეჩქარებო, სხვა დროს განახავ-  
თო...

მთელ ერთ თვეს აღარ გამოჩენილან  
მხატვრები. ან კი რომელ მხატვარს ნახა-  
ვდით იმ დღეებში ქუჩაში გამოსულს!  
ყველას კონკურსი ეკერა პირზე. ყველა  
თავის საქმეს მისცემოდა, თავთავის სა-  
ხელოსნოში ჩაკეტილიყო ყველა. ერთ-  
მანეთსაც ვეღარ ნახულობდნენ. ასლან-  
ბეგს ლამეები აღარ ეძინა, მუშაობდა  
და მუშაობდა. გახდა, ფერი დაკარგა,  
მაგრამ ფუნჯს ხელს როგორ შეუშვებდა.

ერთ დღეს სტუმრად მოსული ძაძი-  
მათი გოაცებისაგან კართანვე შეჩერდა.

— ეგ რა მოგვგლია, ბიჭო, როგორ  
გამხდარხარ!

— რა ვქნა აბა? ვმუშაობ.

— მერე?

— მაინც არაფერი გამოდის.

— აბა ეს ესკიზები და ჩანახატები რა  
არის? სახელოსნო სავსეა ვარიანტებით.

— მეც ამ ვარიანტებს გადაყვევი.

— ბიჭო, შენს ხელში საღებავი იცი-  
ნის, ფუნჯი ცეკვავს. ადექი და ერთზე  
იმუშავე.

— ერთი თითქოს ავირჩიე კიდეც.

— ჰოდა, იმუშავე მაგაზე. თუმცა ჯერ  
ექიმი დაგჭირდება.

— შენ საქმეს რა პირი უჩინან? — ჰკი-  
თხა ასლანბეგმა.

— ისე რა, როგორც შენსას, — უბა-  
სუხა უკვე კართან მისულმა ძაძიმათმა  
მეგობარს და თვალის დანახამებებში გა-  
უჩინარდა.

ძაძიმათის ასე უტბად წასვლა არ გაჰ-  
კვირვებია ასლანბეგს. ცხადია, მას თავი-  
სი სახელოსნოსკენ მიეჩქარებოდა.

ძაძიმათს სრულებით არ ეპარება ეჭვი  
ასლანბეგის გამარჯვებაში. თვითონაც  
გულით ემეტება მეგობრისთვის პირვე-  
ლი ადგილი. ძაძიმათი მეორე, მესამე ად-  
გილსაც დასჯერდება, ოღონდ ასლანბეგ-  
მა გაიმარჯვოს. მაგრამ... კარგად არ უნ-  
და იყოს ასლანბეგი.

— საავადმყოფოში უნდა დაწვეს ახ-  
ლავე, — თქვა ძაძიმათის მოყვანილმა  
ექიმმა.

მეტე რა გზა იყო; ასლანბეგი საავადმ-

ყოფოში დაწვა, თირკმლების ტკივილმა  
თავის გაიტანა, დიდმა სიცხემ <sup>ლოგონს</sup>  
მიაკრა.

რიმა მეგობრების გამოჩენას ელოდა.  
სალამობით ფანჯარასთან იჯდა და ქუ-  
ჩას გასცქეროდა. დაინახავდა ორ ახალ-  
გაზრდა კაცს ერთად მიმავალს და სახე  
გაუნათლებოდა. ისინი კი ისე ჩაუვლიდ-  
ნენ მის ფანჯარას, ქრთხელაც არ მიიხე-  
დავდნენ მისკენ. აღარ იცოდა, რა ეფიქ-  
რა. დაიწყებდა წინ ასლანბეგისა და ძა-  
ძიმათის ნაჩუქარ სურათებს და ეკითხე-  
ბოდა თავისისავე გამოსახულებას: „რა-  
ტომ არიან ასეთი გულცივები? რა ვაწ-  
ყენინე ასე მიუტყევებელი?“

ძაძიმათი იმ დროს გამოჩნდა, როცა  
ქალიშვილს მათთან შეხვედრის იმედი  
გადაუწყდა.

— ასლანბეგი საავადმყოფოში წევს.  
თუ დრო გაქვს, ინახულე, — უთხრა ძა-  
ძიმათმა.

გული ყოველთვის რალაც ცუდს უწი-  
ნასწარმეტყველებდა და აი!

შეწუხებული რიმა მაშინვე საავადმ-  
ყოფოსკენ გაეშურა, ხოლო სალამოს,  
ექიმის ნებართვით, ავადმყოფის მოსავე-  
ლელად დარჩა. სიცხიან ავადმყოფს მთე-  
ლი სალამო აბოლებდა.

სიცხემ მხოლოდ მესამე დღეს დაუ-  
წია ასლანბეგს. გონება მოიკრიბა, თვა-  
ლი გაახილა და თეთრხალათიანი რიმა  
რომ დაინახა, გული სიხარულით აეგსო.  
მერე მადლიერება და უხერხულობა ერ-  
თად გაისმა მის ხმაში:

— მადლობელი ვარ, რატომ წუხდე-  
ბოდი?

— რიმა მესამე ღამეა არ მოგცილე-  
ბია, — უთხრა ძაძიმათმა ასლანბეგს.

ახლა კი მართლა შეწუხდა ასლანბეგი.

— შენ ვააგებინე ჩემი აქ ყოფნა? —  
ჰკითხა ძაძიმათს, — ეს რა გქინია.

— დამშვიდდი, ასლანბეგ, მე სულაც  
არ შევწუხებულვარ, — რიმამ ხელზე  
აღერსით შეახო ხელი.

როგორ უნდოდა ძაძიმათს ახლა ას-  
ლანბეგის ადგილზე ყოფნა!

— კიდეც კარგი, კონკურსში შენ მა-  
ინც მიიღებ მონაწილეობას, ჩემი საქმე

გათავებულა, — უთხრა ავადმყოფმა ძაძიმათს.

— კონკურსებს რა გამოლევს. მომავალ წელს ისევ გამოაცხადებენ, — დაამშვიდა რიმამ ასლანბეგი, — მაგაზე ნერვიულობ?

— მართალი ხარ, ჩემო ძვირფასო. აღარაფერს აღარ ვიტყვი, ოღონდ, ძაძი, შენ მაინც ნულარ კარგავ დროს, შენი სახელი ჩემი სახელიცაა. წადი და იმუშავე, — მერე ბალიშისქვეშ შენახული გასაღები გამოაძვრინა და ძაძიმათს გაუწოდა, — ეს ჩემი სახელოსნოს გასაღებია, დროდადრო შეიარე ხოლმე, იქნებ ჩემმა ესკიზებმა რაიმე შთავაგონონ.

ძაძიმათმა გასაღები გამოართვა.

— დამასწარი, გასაღები მე თვითონ მინდოდა მეთხოვა შენთვის.

— შენც წადი, რიმა, დიდად მადლობელი ვარ ყველაფრისათვის.

— არა, ასლანბეგ, ვიდრე მთლად არ გამოკეთდები, აქედან არ წავალ. სკოლაში საავადმყოფოდანაც ვივლი. ასახსნელი მასალის მომზადება აქაც შეიძლება.

— საავადმყოფოში მხოლოდ ავადმყოფების ყოფნა არ შეიძლება, — იხუმრა ძაძიმათმა, — ახლა კარგად იყავით, ვეცდები, თავი არ მოგანატროთ.

— ყოჩაღად, ძაძი! იცოდე, გამარჯვება შენი უნდა იყოს, — დაადევნა მეგობარს ასლანბეგმა.

რა თქმა უნდა, იმ დღეს არ წასულა რიმა საავადმყოფოდან, არც მეორე დღეს წასულა.

გაიარა თითქმის ერთმა კვირამ. თახლათან უკეთ ხდებოდა ასლანბეგი, სიცხე დაუვარდა. ტკივილმაც ნელ-ნელა გაუარა, ხანდახან ლოგინიდანაც დგებოდა, მაგრამ საავადმყოფოდან ასე უცებ გამოწერა მაინც არ მოხერხდა. ამ ხანში არც რიმა მოსცილებია და ასლანბეგის მნახველებს თუ მეგობრებს საქილიკო გაუჩინა.

— ამისთანა ექიმი მყავდეს და სულ ავად ვიქნები, — ამბობდა ერთი.

— იყარი შუბლში ტყვია და შენც აქ

მოგიყვანენ, — საავადმყოფოს გზას სწავლიდნენ ავადმყოფობის მსურვეგობის მსურვეგობას.

— მე სამარეს კი არ ვნატრობ!

— მერა რა, შენისთანა დახატულ საფრთხობელას ანგელოზები სამარეშიც ჩაჰყვებიან.

— მაგის იმედი რომ არ მქონდეს, სულ ამ წუთისოფლის სუფრაზე ვიჯდებოდი.

— არა, ბიჭებო, რიმა ექიმი კი აოა, ჩემი მეგობარია.

— ოჰო, მეგობრობაც ასეთი უნდა! ქალი კი არა, მართლა ანგელოზი ყოფილა.

— ძალიან კარგია ასეთი მომხიბვლელი მეგობრის პოვნა, მაგრამ მეორე, ძველი მეგობარი რატომღა დაკარგე?

— მართლა, ასლანბეგ, ძაძიმათი რატომ არ მოდის შენთან?

ძაძიმათი კი მართლაც ერთი კვირაა არ გამოჩენილა საავადმყოფოში. მთელი ერთი კვირა! ყველაზე მეტად ეს ამბავი რიმას აწუხებდა. „ნუთუ მე ვარ მიზეზი?“ — ფიქრობდა ქალიშვილი.

— კარგი მეგობარი ასე მძიმე ავადმყოფს არ მიატოვებს, — უთხრა ერთხელ რიმამ ასლანბეგს.

— მას არც მიეუტოვებია არც დავევიწყებია, ყოველდღე რეკავს ტელეფონით. როცა ძალიან მიჭირდა, აქ იყო, ახლა მოვმჯობინდი და მანაც თავის საქმეს მიჰხედა. ასეთი კონკურსი ხუმრობა ხომ არ გგონია! — იცავდა მეგობარს ასლანბეგი.

— მე რომ ავად ვაგხდე, კონკურსის გულისათვის ლეთისანაბარა მიმატოვებდი? — არ თმობდა რიმა.

— რატომ ლეთის ანაბარა? შენ ხარ აქ, ექიმები არიან, მნახველები მოდიან.

— სხვისი მოსვლა მას არ ამართლებს. ეგოისტი! დიდება, პატივი, სახელი, პრემია... მეგობარი კი დაავიწყდა.

ძაძიმათის მოუსვლელიობა ასლანბეგსაც აკვირებდა, მაგრამ რიმასთან ხომ არაფერს იტყოდა, ხომ არ დაამცირებდა სხვის თვალში მეგობარს! თანაც, თითქოს ზედმეტი გამხდარიყო ძაძიმათი მათთვის. არა, რასაკვირველია, ამას არც ერთი არ ამბობდა. გულშიც კი არ გაივ-

ლებდნენ ამგვარ რამეს. ასლანბეგისთვის ძაძიმათი ისევ ის საყვარელი მეგობარი და ძმა იყო, მაგრამ მათდა უხებურად ხდებოდა იმგვარი რამ, რასაც ვერც იტყოდნენ და არც სურდათ ეთქვათ. რა საჭიროა სიტყვები, როცა უსიტყვოდაც ნათელია ყოველივე! ისინი მიეჩვივნენ ურთიერთს, უერთმანეთოდ აღარ შეეძლოთ. ქალიშვილი როგორც კი დაამთავრებდა სამსახურს, საავადმყოფოსკენ გარბოდა, ასლანბეგიც მოუთმენლად ელოდა მის გამოჩენას.

ერთხელ პალატაში მედიცინის და შევიდა, ბარათი შეუტანა ასლანბეგს. ავადმყოფმა გახსნა კონვერტი და ბარათი წაიკითხა.

— ძაძიმათი ბოდიშს იხდის, რომ ვერ მოვიდა, — თქვა ასლანბეგმა.

— ახლა რალას იტყვი, ჩემო კარგო, დიდი მხატვარი ვერ იცლის პატარა საქმეებისათვის?

კონკურსის შედეგების გამოცხადების დღეს ასლანბეგი გამოწერეს საავადმყოფოდან.

ძაძიმათი დილითვე მივიდა საავადმყოფოში, გადაეხვია მეგობარს.

— მემღური? — ჰკითხა ასლანბეგს.

— პირიქით, მიხარია, აქ სიარულში რომ არ მოსციდი და კონკურსში მონაწილეობ.

— დღეს სწორედ შედეგებს გამოაცხადებენ, არ წავიდეთ?

— აქედანვე, პირდაპირ კულტურის სამინისტროში: დღეს შენი გამარჯვების მოწმე უნდა გავხდე. ზომაც ჩვენთან წამოვა.

— მოვდივარ, — თქვა რიმა, — თუმცა კონკურსი, რომელიც მეგობარს ავიწყებს კაცს, მაინცადამაინც კარგ ღონისძიებად არ მიმაჩნია.

სამივემ გაიცხა.

ხუთ საათზე კულტურის სამინისტროს

დიდ დარბაზში კონკურსის შემაჯამებელი სხდომა გაიხსნა. ყიურის თავმჯდომარემ ილაპარაკა კონკურსის მნიშვნელობაზე და ოსი მხატვრების მიღწევებზე. ბოლოს გამოაცხადა შედეგები, რომელსაც ასე მოუთმენლად მოელოდა ყველა:

— ამხნაგებო, — განაცხადა ორატორმა, — ყიურის წევრებმა ერთხმად მიანიჭეს პირველი პრემია ასლანბეგ თლადთათის ნაწარმოებს.

ტაშმა იფეთქა. ასლანბეგმა თითქოს ყურს არ დაუჯერა, თითქოს ვერც თავმჯდომარის ნათქვამიდან გამოიტანა აზრი. რიმა უფრო მეტად დაიბნა, მაგრამ ქალურმა გუჟანმა თუ ალლომ უცებ მიახვედრა, რაც მოხდა. სახე გაუხათდა. განცვიფრებულ ასლანბეგს ხელი ჩამოართვა ძაძიმათმა. რიმა ძაძიმათს ჩამოართვა ხელი. ამ მდგომარეობიდან სამივე თავმჯდომარემ გამოიყვანა:

— ასლანბეგ, საზოგადოებას თქვენი სიტყვის მოსმენა სურს.

ასლანბეგი ძლივს წამოდგა ადგილიდან, თითქოს ზურგზე მძიმე ტვირთი მოჰკიდესო. უხაროდა რაღაც ძალიან დიდი, მაგრამ ეს არ იყო პრემიის მიღებით გამოწვეული სიხარული. მას ჰყავდა მეგობარი! მეგობარი ყველაზე კარგი, უახარაკაცი.

— მეგობრებო, — თქვა ასლანბეგმა, — ეს გამარჯვებული ნახატი ჩემი არ არის, იგი მხოლოდ დავიწყე, მე დავიწყე და ძაძიმათმა დაამთავრა ჩემი ავადმყოფობის დროს, ამიტომ პირველი პრემია სწორედ მას უნდა მიენიჭოს!

ასლანბეგის სიტყვას უფრო დიდი ტაშით შეხვდნენ. ეს იყო მაგალითი მეგობრობისა.

...და, რა ქნას იმ ერთმა ლამაზმა ქალიშვილმა, რომელმაც მათ შორის ერთ-ერთი უნდა აირჩიოს?!



# ქეჩიკა



## მოთხრობა

— ნუ ღელავ, ჩემო ელძარონ, დამიჯერე, უეჭველად დავბრუნდები. მანამ კი, სადაც არ უნდა ვიყო, შემეხსოვრები. და თუ დავეცი სადმე, შენი სიყვარული სამარეშიც თან ჩამყვება, — ეუბნებოდა ომში მიმავალი ძამბოლა თავის ცოლს. გვერდით შვილი ედგა, თორმეტი წლის გაბუცა. მამამ შვილს თავზე ხელი გადაუსვა და განაგრძო: — ამას ვთხოვ მხოლოდ, ბალდი არ მიატოვო შუა გზაზე. ელძარონ, თუ ვეღარ... — ძამბოლას სიტყვა ყელში გაეჩხირა. მერე ძლივს მოითქვა სული, — თუ ძალიან გავიჭირდა, ჩემს ხსოვნასაც ნულარ დაერიდები, მაგრამ ისეთი ვინმე კი ამოირჩიე, შვილი არ გამიმწაროს.

თავზარდაცემული ელძარონი იდგა და ქმარს საცოდავად შესცქეროდა თვლებში, თითქოს აღარც არაფერი იყურებოდა, ვეღარც ვერაფერს ხედავდა. უცებ ვერხვის ფოთოლივით აცახცახდა, ცახცახს ქვითინი მოჰყვა.

ეშელონის გამგზავრების ნიშანი მისცეს. ორთქლმავლის საყვირის ხმაც გაისმა და მაშინ ელძარონი ქმარს ჩაებლაუჭა, აყვირა:

— არსად არ გავიშვებ! რა შეშველებ!

— ნუ გეშინია, აკი გითხარი, უეჭველად დავბრუნდები-მეთქი.

ძამბოლა ცდილობდა დაემშვიდებინა ცოლი, მაგრამ გამწარებულ ელძარონს არაფერი ესმოდა:

— სად მიხვალ, ძამბოლ! — კიოდა ქალი.

ეშელონი დაიძრა. ძამბოლა გაქანებულ მატარებელს შეახტა.

— ძამბოლ! — ყვიროდა ელძარონი, მაგრამ ხალხის ჩოჩქოლსა და ალიაქოთში სადღაც იკარგებოდა ეს ხმა.

მალე ეშელონი თვალს მიეფარა. ხალხი ნელ-ნელა დაიშალა, ალიაქოთიც მიწყდა, — თითქოს ძვირფას ადამიანებთან ერთად ხმაურიც მატარებელმა გაიყოლაო.

ელძარონი და გაბუცა იდგნენ და თვალცრემლიანნი გასცქეროდნენ ჰორიზონტის სიღრმეში ჩაკარგულ ცარიელ ლიანდაგს.

ერთხელ, სახალხო შეურნეობის გამოფენაზე რომ მივლიოდი მოსკოვში, ერთი შუახნის კოლმეურნე შემოვიდა ჩემს კუბეში, ისიც გამოფენაზე მიემგზავრე-

ბოდა. აი, სწორედ ის გლეხი მომიყვა ამ ამბავს:

— მეც თმში ვიყავი. ჰოდა, ომი დამთავრდა და სოფელში დავბრუნდი, — განაგრძო მან, — მაშინ ძამბოლას მეზობლად ვცხოვრობდი. ჩემს დაბრუნებამდე მისი დალუპვის ამბავი მიღებული ჰქონდათ.

ელძარონი გაფერმკრთალებულიყო, სახე დანალვლიანებოდა. ეტყობოდა, დიდი ტანჯვა გაეველო, მაგრამ უწინდელი ეშვი და სიკოხტავე მაინც შერჩენოდა. ძამბოლას დალუპვის დღიდან წელიწადზე მეტი იყო გასული, შავ ტანსაცმელს კი არ იშორებდა. ის შავი ტანსაცმელი ისე შეენოდა, სხვა ფერის კაბაში ვერც წარმოვიდგენდი. ფრონტზე გამგზავრების დღიდან მისი სახე გულიდან ვერ ამოვიგდე; ელძარონი და ელძარონი, სულ მასზე ვფიქრობდი. ის-ის იყო ორმოცი წელი შემისრულდა. ცოლი აღარ მყავდა, ათი წლის წინათ გარდამეცვალა. ამ ამბავმა გული ისე მომიკლა, სულ ჩავიქნე ხელი, ცოლს არასოდეს შევირთავ-მეთქი. მართალი ვითხრათ, არც სხვისი ბედნიერება მშურდა. ასე იყო მანამდე, ვიდრე ძამბოლასა და ელძარონის გამომშვიდობების მოწმე არ გავხდით. როცა ომიდან დავბრუნდი, ის სურათი ისევ თვალწინ დამიდგა: ამფორიაქა, ამამღვრია, მოსვენებას აღარ მაძლევდა ელძარონზე ფიქრი. შორიდან ვუთვალთვალედი. ვუთვალთვალედი და ძალიან მიკვირდა: ეს რამდენი ჭირ-ვარამის გადატანა შეძლებია ამ კეთილსა და ნაჰქალს-მეთქი. ეტყობოდა, ცხოვრება უჭირდა და ძალიანაც უჭირდა. კიდევ უფრო დაკარგა ფერი, ზეზეულად ჩამოხმა. სულ დარდასა და სიჩუმეში ატარებდა დღეებს. ვარამს შრომა-ვარჯიშით იქარგებდა მხოლოდ.

ბიჭი უკვე წამოეზარდა. იმ ბიჭს გარჯა არ ეზარებოდა, მაგრამ დედა ყოველთვის არ აძლევდა ამის ნებას, — რაკი საშუალო სკოლას ამთავრებდა, ეშინოდა, სწავლას არ ჩამორჩესო. ასე რომ, მთელი ჯაფა ისევ და ისევ საწყალ ელძარონს დააწვა მხრებზე.

ძალიან მეცოდებოდა ელძარონი, გული შემტკიოდა. მინდოდა ხელი გამეწოდებინა, გვერდში ამოვდგომოდი, მძიმე ტვირთი გამენაწილებინა, რალაც უცნაური ძალაც თითქოს მისკენ მიბიძგებდა, მაგრამ თავს ვიკავებდი. მეშინოდა, ძველი ჭრილობა არ გაეხსნას-მეთქი. იმ ყუშბარის ნამსხვრევით, რომელმაც ძამბოლა კვალწმინდად გააქრო, მეც დავიქერი. შეიძლება ამაზე ჩამოგედო საუბარი; მე კი მინდოდა, ყველაფერი მალე მისცემოდა დავიწყებას.

ერთ საღამოს, მოულოდნელად, ელძარონი თვითონ მოვიდა ჩემთან. მოვიდა და მითხრა:

— ძალიან მერიდება, რომ გაწუხებ, სერაფინ, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. გამგეობამ სამიოდე კონა ყავარი მომცა, ვერავინ ვნახე, რომ სახლი გადავასურვიყო.

თითქოს დიდი სინათლის ჩქერი შემოიჭრა ჩემს არსებაში, გული გამითბო, შემაქრიალა. შემთხვევა მომეცა რალაცაში გამოვდგომოდი ძვირფას ადამიანს. მას შემდეგ მის ოჯახში სიარულს მოვუხშირე. დედა-შვილი გულღიად მხვდებოდა. ასე რომ, გავუშინაურდით და შევეჩვიეთ ერთმანეთს.

ერთ დღეს მამაჩემი თბილისში ჩავიყვანე სამკურნალოდ. თბილისში ერთი კვირა შემავიანდა. როცა დავბრუნდი, ელძარონი შემხვდა. მითხრა:

— თავი ხომ არ შეგაბეზრეთ, სერაფინ, რომ ჩვენთან აღარ მოდიხარ?

ქრუანტელმა დამიარა, გულშიც იმედის ნაპერწკალმა გაიღვავა, ნეტარების ზღვაში გადამისროლა.

ის დღე ისე დადამდა, ვერ გავიგე. დამე ძილი არ გამეკარა თვალზე. რა არ წარმოვიდგინე, რა არ გავიფიქრე! ბოლოს ძამბოლას ანდერძიც მომაგონდა:

„თუ გათხოვდები, ისეთ ვინმეს გაჰყავი, შვილი არ გამიმწაროს.“

მაშინვე გავიფიქრე: ასეთი ვინმე სწორედ მე ვარ და ელძარონიც ზურგს არ შემაქცევს-მეთქი.



ჩვენი შეუღლების შემდეგ ვიგრძენი თუ რამდენად ჰყვარებოდა ელძარონს ძამბოლა. მიკვირდა კიდევ, უარი რომ არ მითხრა, მაგრამ მევე გამოვნახე გასამართლებელი მიზეზი: ალბათ, იმედი ჰქონდა, დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცემა პირველი ქმრის სიყვარული. თანაც, დღეს თუ ხვალ, გაბუცა უმაღლეს სასწავლებელში შევიდოდა და, ალბათ, მარტო დარჩენის ეშინოდა; ალბათ იმიტომ დამთანხმდა-მეთქი. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ვერც ძამბოლა ამოვიგდო გულიდან, ვერც მე დამთმო: საწყალი ქალი ორ ცეცხლშუა ჩავარდა. ძამბოლას ტანსაცმელს ან მის იარაღს თვალს მოჰკრავდა თუ არა, ცრემლები თავისთავად სცივოდა თვალთაგან. მისი სახელის გახსენებაზე ღელავდა და იბნეოდა. ასეთი მდგომარეობის მოწმე ხშირად ვყოფილვარ და ხშირადაც მაგონდებოდა ჩემიანების გაფრთხილება:

— სერაფინ, ნუ აჩქარდები. მაგ კეთილი და საცოდავი ქალის ცოდვაში ნუ ჩადგები. ცოტა კიდევ აცალე. ელძარონის სიყვარული სხვა ქალების სიყვარული არ გეგონოს! ასე ადვილად არ დაავიწყდება ქმარი, დაიტანჯება და შენც დაგტანჯავს.

მაგრამ როდემდე მეცადა: ორი წელი იყო ქვრივად და ვიფიქრე, ეს დრო ძველის დასავიწყებლად საკმარისი იქნებამეთქი. თანაც თავდავიწყებით მიყვარდა, რამე საწინააღმდეგო არც თვითონ ჰქონდა და, მოკლედ, შევირთე.

არც ძამბოლას ივიწყებდა და არც მე მაკლებდა ჩემს კუთვნილ სითბოს, უჩემოდ ლუკმას არ იღებდა პირში. პირველ ზანებში, როგორც საერთოდ ასეთ დროს ხდება ხოლმე, ბიჭისა გვერდიდებოდა. მაგრამ მალე გაბუცა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მოეწყო და ეს უხერხულობაც ამით დამთავრდა.

ჩემზე უკეთესად მოვლილი კაცი არ დადიოდა სოფელში.

ელძარონი ორ ოჯახს უვლიდა. მისი წყალობით მამაჩემიც გამოჯანსაღდა.

თუ ჩემი განზრახვა ან წინადადება არ

ეჭაშნიკებოდა, მაშინვე ღიმილით მეტყობოდა ხოლმე:

გაგონებული  
გაბუცებული

— შენ როგორც ვირჩევნია, ისე გააკეთე.

ამით ვხედებოდი, რომ რასაც მე ვაკეთებდი, არ მოსწონდა. ბოლოს გამოეტეხნდი და სწორედ ისე ვაკეთებდი ყველაფერს, როგორც ის ამჯობინებდა. ისე ვაკეთებდი და სასიკეთოდ მთავრდებოდა საქმე. ხშირად ვატყობდი, რომ ძამბოლა ისევ უყვარდა, ვერ ივიწყებდა. მაშინ მე უფრო ტკბილად და ალერსიანად ვეპყრობოდი. ვფიქრობდი, ამ გზით დავავიწყებ-მეთქი, მაგრამ უხერხულ მდგომარეობაში კი ვაყენებდი: ადვილად ხვდებოდა ჩემს ჩანაფიქრს და კიდევ უფრო მერიდებოდა.



გაბუცამ, ბოლო კურსზე რომ გადავიდა, თავისი კურსელი გოგო შეირთო. მომდევნო წელს ინსტიტუტიც დაამთავრეს და თბილისშივე დარჩნენ.

ერთ მშვენიერ დღეს ბიჭი შეეძინათ და წვეულება გამართეს. მისი ცოლი სამზარეულოში ფუსფუსებდა. გაბუცა კი თავს დასდგომოდა შვილს და ღრმა ფიქრებში ჩაძირულიყო. გაბუცას ძალიან უყვარდა მამა და ამიტომ შვილს მისი სახელი დაარქვა: ძამბოლა.

გაბუცას მამა მოაგონდა, მამის ზრუნვა-ალერსი, ბევრი სხვაც და, დაღონდა. ცოლმა შეამჩნია, თავზე ხელი გადაუსვა.

— საცაა სტუმრები მოვლენ, შენ კი თავიბირი ჩამოგტირის. სირცხვილია, რას იტყვიან?

— ჩვენს სტუმრებში განა ისეთი ვინმე იქნება, რომ მშობლები არ უყვარდეს?

— სიყვარული კი არ უნდა აღონებდეს კაცს, პირიქით. მით უმეტეს, ასეთ დღეს, — უპასუხა ცოლმა.

ამ საუბარში რომ იყვნენ, ფოსტალიონმა წერილი მოიტანა. გაბუცამ გაიფიქრა: „ჩვეულებრივი პასუხი იქნება“.

კონვერტი გახსნა, თვალი გადაავლო და შეშლილივით წამოვარდა. ცოლს მოეხვია და ხმამაღლა შეჰყვირა:

— მამა! მამაჩემი ცოცხალია!

ქალმა გაიკვირვა.

— როგორ?! — წერილი გამოჰგლიჯა, ხმამაღლა წაიკითხა, — ელბაჩითი ძამბოლ ზაქარიას ძე. საფრანგეთში ტყვედ-ნამყოფი აღმოჩნდა. მთავრობათა მოლაპარაკების თანახმად აღნიშნული ტყვეები ორ-სამ კვირაში სამშობლოში დაბრუნდებიანო.

როგორც შემდეგ გამოირკვა, გონდაკარგული ძამბოლა ყუმბარის მიერ ამოგლეჯილ თხრილში ჩავარდნილა, ცოტა მიწა წაჰყრია და ვერავის დაუნახავს. მე, როცა საკაცეზე მდებდნენ, ერთხელ კიდევ გადავიხედე იქით, სადაც ძამბოლა იწვა, მაგრამ იქ მარტო თხრილი იყო... გონს რომ მოსულა, გამოფოფხებულა და გერმანელებს დაუტყვევებიათ.

...საღლა იყო ძველებური ჯან-ლონით სავესე, წარმოსადგეი ვაჟკაცი ძამბოლა. ომისა და ტყვეობის დღეებს თავისი კვალი დაეტყო: გამხდარა, თითქოს მობერებულა კიდევ. ყურთაც დაჰკლებია. ერთ დროს მჭევრმეტყველი ძამბოლა ახლა ძლივსლა ლაპარაკობდა.

გაბუტა კი მშვენიერი, ლამაზი და ახოვანი ვაჟკაცი დადგა. თბილისის სადგურზე შეხვედრის დროს მამა-შვილმა ძლივს იცნო ერთმანეთი. ძამბოლას ვერც წარმოედგინა, რომ წინ თავისი შვილი ედგა. მერე კი საწყალი კაცი კინაღამ ჰკუთიდან შეიშალა:

— შვილო! შვილო!

ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ძამბოლას ბევრი რამის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, ცრემლები ახრჩობდა.

გაბუტას დედა მოაგონდა, უცებ დალონდა. ცდილობდა მამას არ შეემჩნია. ჩვენი ამბავი არ უთქვამს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ძამბოლამ ოსეთში წასვლა რომ დააპირა, მაშინ კი ველარ დაუმალა შვილმა.

დატანჯულ ძამბოლას გული ინედაც აღარ უფარგოდა და ეს დიდი უბედურებაც ზედ რომ დაერთო, ველარ აიტანა, ლოვინად ჩავარდა. ორი კვირის განმავლობაში გაბუტა და მისი მეგობრები

რიგრიგობით თავს დასტრიალებდნენ ავადმყოფს. რა თქმა უნდა, რძალიც და ფაცურდა. ძლივს გამოჰგლიჯეს წესი და დილს ხელიდან.

როცა ძამბოლა ცოტა მომჯობინდა, მაშინ უთხრა შვილმა:

— შენი ოსეთში წასვლა აღარ შეიძლება. სულ რომ თავს დაანებებდე, შენთვისაც კარგი იქნებოდა და მათთვისაც. აი სახლი, საუმელ-სასმელი, ტანსაცმელი, იყავი აქ და იცხოვრე უზრუნველად.

მამას არ მოეწონა შვილის სიტყვები. შუბლმეჭმუნხულმა უპასუხა:

— უზრუნველადო?! უზრუნველად ცხოვრება რა საკადრისია. ჯარში რომ მივდიოდი, მთელი სოფელი მაცილებდა, ასე მცემდნენ პატივს. ჩემი დაღუპვის ამბავი რომ შეიტყვეს, ვიცი, შეწუხდებოდნენ. მე კი, ჩამოველ და, ისე გამოდის, ვიმალები. მითხარი, რად ვიმალები, ვისთვის რა დამიშავებია? ამასაც რომ თავი დავანებოთ, მე მოვალე ვარ იმათ მიმართ ვუთხრა მადლობა, ვინც გაჭირვებისას ხელი გამოგიწოდათ. მერე, რაკი შენც ასე გსურს, დაგბრუნდები, ოღონდ იმ პირობით, თუ დარაჯად მიმინც მომაწყობს სადმე.

გაბუტამ იცოდა, რომ მამა მართალი იყო. დღეს თუ ხვალ ეს ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ დედის ამბავი აწუხებდა: ძამბოლას მოულოდნელმა დანახვამ ვაითუ ისე იმოქმედოს, თავს რამე აუტეხოსო. თანაც ძალიან ნანობდა, რატომ წინასწარ არ შევატყობინე დედასაო. ახლა სწორედ ამიტომ ცდილობდა, რამენაირად შეეფერხებინა მამის წასვლა, მაგრამ ძამბოლა ჯიუტი კაცი იყო, ველარაფერი შეაჩერებდა.

„რას იტყვის ხალხი, ელძარონთან შეხვედრისა შეეშინდაო“, — ფიქრობდა ძამბოლა და, რაც მთავარია, ელძარონისა რცხვენოდა.

ძამბოლა სოფელში კვირა დღით ჩავიდა. ხალხი ზოგი ლიახვის პირას გასულიყო, ზოგიც ხეებისა და სახლების ჩრდილში მუსიაფობდა. ძამბოლას ვიდაცამ მოჰკრა თვალი. მთელ სოფელს ერთ წუთში მოეფინა ეს „სასწაული“.



შინ მარტო მე ვიყავი. ძამბოლა რომ შემოვიდა, თვალებს არ დაუფუჯერე:

„ყუმბარამ ჩემს თვალწინ ძამბოლას კვალიც არ დატოვა და ეს ვინდა უნდა იყოს?! მოჩვენება ხომ არ არის?“ — ვფიქრობ. მაგრამ, რაც უფრო მიახლოვდება, იმდენად უფრო ვრწმუნდები, რომ ნამდვილად ძამბოლა გამომეცხადა. საიდან?! როგორ?! ვუყურებ და არ მჭერა: პირდაპირ ჩემკენ მოდის. საოცრად ავლელდი, მუხლები ამიციხცახდა. ვცდილობ თავი დავიშვდიო, მაგრამ არაფერი გამოდის. მინდა უკან-უკან დავიწიო და... ფეხები აღარ მემორჩილება. მე ამ ყოფაში ვარ, მან კი ხელი გამომიწოდა:

— მაპატიე, ასე მოურიდებლად რომ შემოგეჭყერი სახლში, — ეს ისე მითხრა, თითქოს სახლი ჩემი ყოფილიყო.

ცოტა დავმშვიდდი. რაღაცის თქმას მეც ვაპირებდი, მაგრამ ენა დამება. მერე ისლა მოვახერხე, რომ პაპამისისეული სავარძელი გადავუდგი და ძლივს ამოვიღულულულე:

— დაბრძანდი.

დაბნეულობა შემატყო და უფრო წყნარად მითხრა:

— საჩხუბრად არ მოვსულვარ, სერაფინ. შენ თუ არა, სხვა ვინმე იქნებოდა. მართალია, ეს ყველაფერი ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, მაგრამ მოულოდნელი არ ყოფილა, რაკი დიდი დრო გავიდა. ოჯახის დანგრევა მართლაც ძნელი ყოფილა; სიკვდილი მირჩევნია. ცოცხალი რომ დავბრუნდი, ვნანობ კიდევ. არ ვიცი, თავი როგორ მოვიკლა. ჩემი ბიჭი გზაზე დაგიყენებია, ამიტომ, მადლობას მოგახსენებ.

ხმა აუკანკალდა, ცრემლები ჩამოსცვივდა. ცხვირსახოცი თვალებზე მოისვა:

— ეჰ, სისუსტე! დამცა ამდენმა წვალებამ, სერაფინ, — ჩაილაპარაკა.

მე გარინდებული შევცქეროდი და სიბრცხილისაგან აღმური მეკიდა. ამ ამბავს ისე განვიცდიდი, თითქოს ყველაფრის მიზეზი მე ვიყავი. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, რა მეთქვა ისეთი, რომ ცოტაოდენი შვება ეგრძნო. სა-

ერთოდ, ყველაფერზე მზად ვიყავი, როდონდ კი ელძარონს არაფერი შეხებულდა.

ფიქრში გართულმა ვერც ვიფიქრინი, ხალხი ადიდებული ლიახვივით როგორ შემომეჭრა სახლში.

თავისუფლად ამოვისუნთქე.

ვიცოდი, ელძარონს ისევ უყვარდა ძამბოლა, მაგრამ მწამდა, მაინც არ დაუბრუნდებოდა, ამას არ იკადრებდა.

ოთახში ხალხის ტევა არ იყო, დერეფანშიც ხალხი იდგა. ჩემი მოგვარებებიც მოსულიყვნენ. ეშინოდათ, ჩხუბი არ ატყდესო და ყველას გასაგონად ჩაილაპარაკებდნენ ხოლმე:

— სერაფინი სწორად შოიქცა, მადლობის მეტი არაფერი ეთქმის!

— შავი ქაღალდი მოვიდა და რა იცოდნენ, მკვდარი თუ გაცოცხლდებოდა!

— თუ დაბრალდება, ბარემ ჰიტლერს დააბრალეთ!

და ამისთანები.

— რად გჭირდებათ ასეთი ლაპარაკი, საჩხუბრად ხომ არ მოვსულვარ, — აღელდა ძამბოლა. ცოტა შეისვენა და მერე განაგრძო, — მართალი ვითხრა, სხვა პირობებში შეიძლება სისხლიც დაღვრილიყო, მაგრამ ახლაც თუ ძალიან მიმიძიხს ეს ყველაფერი, მაინც მადლობის მეტი არაფერი მაქვს სათქმელი. სერაფინ, რაც მოხდა, მოხდა! ომმა სხვაც ბევრი გააუბედურა და მიწასთან გაანწორა, — ისევ ყელში გაეჩხირა სიტყვა.

ხალხი გაცეებული მისჩერებოდა. მან მიიხედ-მოიხედა და თქვა:

— ელძარონს დაუძახეთ, მარტო ერთხელ მეჩვენოს. მერე კი ბედნიერად ამყოფოს გამჩენმა.

აქამდე მშვიდად ვუგდებდი ყურს. ჩემს თვალში ერთითად გაიზარდა ძამბოლა. მზად ვიყავი, მის წინ მუხლებზე დავცემულიყავ და პატიება მეთხოვა ახლა კი, მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა დამაბნია და აღმამფთოთა.

..რად დასჭირდა ელძარონის ნახვა? იქნებ, იმედი აქვს, რომ დაუბრუნდება? ნუთუ ძამბოლამ ასე დაკარგა თავმოყვარეობა? ომი ყველაფერს ანადგურებს!“

ამ ფიქრებში რომ ვიყავი, ჩემს მაგიერ ერთმა ჩემმა მოგვარემ უპასუხა: ელძარონი საცაა მოვაო.

თურმე ელძარონი უკვე დერეფანში დგას და გულგახეთქილი კითხულობს:

— რა ამბავია ჩემს თავს, ხალხო, სე-რაფინს ხომ არაფერი დაემართა?

— ძამბოლა ჩამოვიდა, — უპასუხეს.

მაგრამ ელძარონმა არ დაიჯერა. გზა დაუთმეს, ოთახში შემოვიდა. ძამბოლა დაინახა თუ არა, ერთი წამით ყველაფერი დაავიწყდა და იკვილა:

— ძამბოლა! — და მისკენ გაქანდა.

ძამბოლა ც წამოდგა და მისაგებებლად გამოემართა, მაგრამ ელძარონმა ორიოდ ნაბიჯის გადადგამლა შეძლო. შეჩერდა, შეტორტმანდა, ხელი შეაშველა ძამბოლამ და ელძარონი უაზროდ მიეპრდნო მკერდზე. მერე გონს მოვიდა და საცოდავად შეხედა ძამბოლას. ძამბოლამ ცრემლები ველარ შეიკავა.

ავენტე, თვალეში სისხლი მომაწვა, ძარღვები დამებრა. თვალი რომ გავახილე, დავინახე: ატირებულ ელძარონს ქალები ამშვიდებდნენ. ძამბოლა კი ისევ სავარძელში იჯდა.

ელძარონი ველარ დაამშვიდეს ქალებმა, ამან კიდევ უფრო დამაეჭვიანა და ამამღვრია. ელძარონი რომ აღარ წყნარდებოდა, ძამბოლამ ნაღვლიანად უთხრა:

— დამშვიდდი, ელძარონ... ტირილით რაღას უშველი! რაც მოხდა, მოხდა! ეს არც შენი ბრალია, არც სერაფინისა და არც ჩემი. ფრონტზე ერთი და ორი არ დაღუპულა. მეც ხომ აქამდე დაღუპული ვიყავი შენთვის. ამის შემდეგაც ისე ჩათვალე, ვითომ მკვდარი ვარ.

ამ სიტყვებმა უფრო გადარია ელძარონი, უფრო დააბნია. მერე გავარდა, ალბათ, მარტო უფრო გულიანად ვიტირებო.

შემეშინდა, თავს არაფერი აუტეხოს-მეთქი და გავეკიდე. მინდოდა, დამემშვიდებინა, მაგრამ ახლოს არ გამიკარა. თავი რომ მოვაბეზრე, დამიტია:

— არ გამეკარო, თორემ!

მეტი რა გზა იყო, მოვცილდი. მაშინ

ლიახვი ბობოქრობდა და ის <sup>შეგვროდა</sup> შიშს...

ამის შემდეგ ელძარონი ძალიან ავად გახდა. იმ საღამოსვე მეზობლის ქალმა წაიყვანა თავისთან და ის დასტრიალებდა თავს. მისი ავადმყოფობის ამბავი რომ გავიგე, სანახავად წავედი, მაგრამ ველარ მივუსწარი, — სამშობლოში წაეყვანათ.

გულჩათუთქული, გაბრუებული დავბრუნდი მამაჩემის სახლში.

რაკი ჩვენ ასე დავიქსაქსეთ, ძამბოლამ სახლი უპატრონოდ ველარ მიიტოვა.

ელძარონი განიკურნა, მაგრამ ჩემთან აღარ დაბრუნებულა, არც ჩემთან და არც ძამბოლასთან.

ყველაფერზე გული ამიცრუვდა, უმიზეზოდ დავებეტებოდი აღმა-დაღმა.

ჭირის დღესავით შემძულდა ძამბოლა.

ვიტრიალე, ვიტრიალე და ერთხელ კიდევ ცვალე ბედი: ელძარონს ბიცოლა-ჩემი მივუგზავნე, მერე მეც ჩავედი. ბევრი ვეხვეწე, ბევრი ვეფერე, — ხმა ვერ ამოვადებინე. მარტო ტიროდა და ეს უფრო მტანჯავდა.

ერთხელ, მეზობელ სოფელში ქორწილში ვიყავი. ძალიან დავითვარი. არეული ნაბიჯით წამოვედი შინ. ფიქრის უნარი კიდევ შემრჩენოდა და გადავწყვიტე, ყველაფერი ამაღამ უნდა გათავდეს-მეთქი.

ავცახცახდი. აღარ მახსოვს, მივდიოდი თუ მივბრბოდი. სახლში შევევარი, ხანჯალი ავიღე. აღვლეგებული და ამღვრეული ძამბოლას სახლისკენ დავეშვი. ისედაც გვიანი შემოდგომის ბნელი ღამე იყო, ახლა ნისლიც ჩამოწოლილიყო და ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. სოფელი ღრმა ძილში წასულიყო, არსაიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. სოფლის ბოლოს ერთ მოსახლეს ბებერი მყეფარი ჰყავდა. ხანგამოშვებით მარტო მისი შემხარავი ყმუილი ისმოდა. ალბათ მხეცის სუნი იყნოსა-მეთქი, მაგრამ ჩემზე დიდი მხეცი ვინა იქნებოდა იმ ღამეს. მხეცი

თუ არ გაახელე, არაფერს დაგიშავებს.  
მე კი, მე... უღანაშაულო ადამიანი...

ძამბოლა უშიშარი კაცი იყო, — სახ-  
ლის კარს არასოდეს კეტავდა. მაშინ კი,  
თითქოს გულმა უგრძნო ხიფათით, შიგ-  
ნიდან კარი გადაერაზა.

ხანჯლის წვერით ავწიე რაზა. ოთახში  
შევედი. ძამბოლას საწოლს მივეპარე.  
ნათურის ლურჯ შუქზე დავინახე, გულა-  
ლმა იწვა, ფშვინავდა. კიდეც უფრო მი-  
ვუხანლოვდი და ჩემივე გულის ბავა-ბუ-  
გი მომესმა. თავი მიხურდა, ოფლად ვიღ-  
ვრებოდი. ხანჯალი ავწიე. მინდოდა,  
ერთი დაკვრით ვამეთავებინა, მაგრამ ამ  
დროს ძამბოლამ საცოდავად ამოიკვნესა.  
შევეკრთი. ხელი გამიშეშდა ჰაერში. მერე  
თითქოს გამოვფხიზლდი. მისი ფერმკრ-  
თალი სახე რალაცნაირად შეტოკდა. ძა-  
ლიან შემეცოდა ძამბოლა. „ვითომ რა  
დამიშავა, ჰა? იმ ჯოჯოხეთს გადაურჩა და  
აქ კი ვკლავ, მისსავე საკუთარ, დანგრე-  
ულ ოჯახში“, — გავიფიქრე და გული  
ამიჩუყდა. ბავშვივით ავტირდი. ძამბო-  
ლას დავემხე ქვითინით.

— რომელი ხარ! — წამოიძახა შეში-  
ნებულმა. სიბნელეში ვერ გამარჩნია, ვის  
ვიყავი. ტირილის ხმა ვაივო: — რას და-  
მტირი, ვინა ხარ?

ხმა ვერ ამოვიდე, ცრემლები მახრ-  
ჩობდა. ვცდილობდი დავმშვიდებული-  
ყავ, ვერ მოვახერხე.

ძამბოლამ მალე მიცნო. ადგა. ტანთ  
ჩაიკვა. ხელში გაშიშვლებული ხანჯალი  
დამინახა.

— შენა ხარ, სერაფინ, — წყნარად  
დაიწყო, მაგრამ უცებ შეეპარა სიბრა-  
ზე, — მაშ ჩემს მოსაკლავად მოხვედი?!  
მერე ხელი რამ შეგიშალა? რალას მადვი-  
ძებდი, შე კაი კაცი! — მხარზე ხელი  
დამადო, — ადექ! დამარტყი! — ძლივს  
სუნთქავდა. ლოგინზე დაეშვა, — მაინც  
მკვდარი ვარ, სულის მეტი არაფერი შემ-  
რჩენია და ხანჯლის ჩაცემალა მაკლდა?!

— მაპატიე, ძამბოლ! — თავი ავწიე, —  
მაპატიე!

მან კი სათქმელი აღარ დამამთავრე-  
ბინა:

— ვიცი, სერაფინ. შენთვის ადვილია

კაცის მოკვლა, მაგრამ ახლა მოთმინებუ-  
ლფრო გმირობაა.

ეს სიტყვები ტყვიასავით მომსპო და გამანადგურა. საკუთარი თავი  
ისე შემზიზლდა, ვიფიქრე, სხვის მოსაკ-  
ლავად ამოღებულ ხანჯალს მე ჩავიცემ-  
მეთქი გულში, მაგრამ ისიც გავიფიქ-  
რე, ძამბოლას დაბრალდება-მეთქი.

გამოვტრიალდი. სულ ერთიანად ვკან-  
კალეზი. ზღურბლს გადმოვბაძიე და  
თითქოს განზრახვას მიმიხვდაო, ხელით  
შემაჩერა ძამბოლამ:

— სერაფინ! არც თავის მოკვლაა  
ვაქცავობა, — კიდეც უფრო მაგრად ჩამ-  
ქიდა მკლავში ხელი, — რაკი მოსულ-  
ხარ, მოდი, ბარემ, პატარა წავისაუბ-  
როთ კიდეც.

მისი სიტყვები გულზე მალამოსავით  
დამედო.

— ამის შემდეგ რაღა სალაპარაკო  
უნდა მქონდეს.

— დამშვიდდი, სერაფინ. ნუ გეშინია,  
არსად გაგამხელ. შენ რაღა ძალა გადგას,  
გაჩუმიდი. მაგრამ მე მაინც ის მაინტე-  
რესებს, მოსაკლავდაც კი რომ გამიმე-  
ტე, რა დაგვიწვე ისეთი?

— რა ვიცი. ალბათ, ჩვენში ერთ-ერთი  
უნდა მოკვდეს.

— მერე, რად გინდა სხვისი სიკვდი-  
ლით მოპოვებული ბედნიერება?

დამამშვიდა. ისე ტკბილად მესაუბრა,  
სულ დამავიწყდა სიკვდილი და უბედუ-  
რება. თან იმაშიც დავრწმუნდი, რომ  
არამც და არამც აღარ დაიბრუნებდა ელ-  
ძარონს. თუმცა ჩემთვისაც არაფერი იც-  
ვლებოდა ამით.

შეორე დღეს სოფელში ხმა დაყარა  
ძამბოლამ, შვილთან მივდივარ ქალაქ-  
შიო.

მართლაც, სახლ-კარი ქვრივ ძმის-  
წულს ჩააბარა და წავიდა.

ადვილად მივუხვდი, ჩემი გულისთვის  
გააკეთა ასე. მეც ისევე მივუგზავნე ელძა-  
რონს ნათესავ-მეგობრები, მაგრამ ამა-  
ოდ, ვერაფერს გავხდი.

ნათესავები ცოლის თხოვას მირჩე-  
დნენ. ბევრი კარგი ქალიც შეძლეოდა.  
გულმა კი არავინ გაიყარა.

გაზაფხულზე ისევ დაბრუნდა ძამბო-  
ლა, სახლ-კარს მიჰხედა, ეზო-ყურეს.  
ეტყობოდა, მასაც დიდი ცეცხლი უტრი-  
ალებდა გულში, სულ დაავადმყოფდა,  
ლოგინად ჩავარდა.

მაშინ გაბუცა დედის მოსაყვანად წა-  
ვიდა. ელძარონი არ მოჰყვებოდა, ხალხი  
რას იტყვისო.

— მიჰხედე ავადმყოფს და ხალხიც  
კარგის მეტს არაფერს იტყვის, — უთხ-  
რა შვილმა.

მართლაც, გაუხარდა სოფელს ელძა-  
რონის დაბრუნება. დიდსა თუ პატარას,  
ყველას მისი სახელი ეკერა პირზე, ამა-  
სა ჰქვია სიყვარულიო.

ერთ ოთახში ძამბოლა ცხოვრობდა,  
მეორეში — ელძარონი. ავადმყოფს ცივ  
ნიავს არ აკარებდა.

ჩემს გულში კი ისევ ქარიშხალი ტრი-  
ალებდა. ელძარონის დაბრუნებამ ტანჯვა  
გამიათქცა.

ერთ საღამოს ძალიან ცუდად გამხდა-  
რა ძამბოლა, ცოლი მიუხშია, უნდა წავე-  
სულიყავო.  
— სერაფინის ცოდვაში ნუ ჩადგები,  
ელძარონ! — ამ სიტყვებით დაულევია  
სული.

ასე მოკვდა საბრალო ძამბოლა. მარ-  
თალი გითხრათ, ძალიან შემეცოდა, თით-  
ქოს რაღაც ჩამწყდა გულში.

●  
სერაფინი გაჩუმდა, იატაკს დააშტერ-  
და.

— მერე, მერე რა მოხდა? — ვკითხე  
მოუთმენლად.

— ერთხანს კიდევ მქონდა რაღაცის  
იმედი, მაგრამ, — ისევ გაჩუმდა, მოწყ-  
ლიანებული თვალებით შემომხედა.

— მაინც, რა მოჰყვა ამას? — არ მო-  
ვეშვი, — სად არის ელძარონი?

— ელძარონი, — ამოიოხრა მან, —  
ელძარონი პატარა ძამბოლასთან წავიდა  
თბილისში და ახლაც იქ ცხოვრობს.



# მოთხრობა

## მოთხრობა

სასიხარულო ამბავი ძველ დარდებს ერთბაშად დაავიწყებს ხოლმე ადამიანს. ეს ასეა და, სწორედ ღღეს მეც ასე დამემართა.

კარგად გათენებული არ იყო, საუზმე რომ მოვეტანეს ბიჭებმა; ხელში კონვერტიც შემომაჩვენეს და მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი, ისე სწრაფად გაუჩინარდნენ დილის ბინდ-ბუნდში.

წერილი ხელში შევატრიალე, დავხედე, დავაკვირდი, მაგრამ რაკი საკმაოდ ბნელოდა, ასოები ვერ გავარჩიე და, რა თქმა უნდა, ვერც გავიგე, ვისგან იყო გამოგზავნილი. მაშინ ჯარისკაცული ანდაზა გამახსენდა „მუცელს არ ეღალატებო“ და... საჭმელს მივუტრიალდი — ესეც საქმეა ფრონტზე!

საუზმეს რომ მოვრჩი, გათენდა კიდევ. ჯიბიდან წერილი ამოვიღე, წასაკითხად მოვემზადე და... ოცმეთაური არ ჩამოხტა სანგარში! სანგარში კი ისეთი სივიწროვე იყო, თავი კუდს ვერ მოიქნევდა.

ოცმეთაური პირტიტველა ბიჭი იყო, საულვაშეზე გინგლი მოსდებოდა. ჩემს გვერდით უხერხულად რომ მოიკუნტა,

მეც უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი, მაგრამ ომის დროს ასეთ რამეს ყურადღებას ვინ აქცევს!

— როგორა ხარ, ძმაო, ისაუზმე? — მხარზე დამადო ხელი.

— ვისაუზმე.

— კარგია! მალე შეტევაზე გადავალთ, — თქვა და ხელში შერჩენილი ღურბინი მომაწოდა, — აბა იქით გაიხედე, — გერმანელების მხარისკენ მანიშნა, — თუ რამეს შეამჩნევ...

მინდორზე ალაგ-ალაგ მწვანედ ბიბინებდა ჯეჯილი. მინდორს ერთი მხრიდან ბუჩქები მოსდგომოდა, ბუჩქები და მალალი ხეები.

ბუჩქნარი ჩვენს პირდაპირ გაწოლილ შარავზამდე აღწევდა. შარავზას ბეჭობიც მიუყვებოდა, რომლის ერთი ნაწილი ტყეს დაეფარა, მეორე მოტიტვლებულიყო და მხოლოდ ერთადერთი ტოტებგაფარჩხული ხე დასდგომოდა თავზე.

— არის, ამხანაგო მეთაურო! — წამოვიძახე უცებ, როცა იმ ხეს დავაკვირდი.

— რა?

— დიდი ხის მარჯვნივ, რამდენიმე ნა-

ბიჯზე, თითქოს რაღაც ინძრევა, — ღურ-  
ბინდი დავუშვი და მეთაურს შევხედე.

— მართალია. ერთი კი არა, იქ ორი  
მოდრავი საგანია. წუხელ გერმანელებს  
ტყვიამფრქვევი მოუთრევიათ და... შა-  
რაგზა გადაკეტილია. ვიდრე იმ საცეცხ-  
ლე წერტს არ მოვსპობთ, წინსვლაზე  
ფიქრიც ზედმეტია: პირადად შენ გავა-  
ლებ მის მოსპობას, — მომიჭრა მოკ-  
ლეღ.

— არის, ამხანაგო მეთაურო, გავანად-  
გურო მტრის საცეცხლე წერტი, — ვუ-  
პატაკე. მერე ხელი ჩამოვუშვი და ხმა-  
დაბლა ვუთხარი, — მანამდე კი ცოტას  
მივიხედ-მოვიხედავ.

— ჰო, აუცილებელია, — ერთხანს ჩა-  
ფიქრდა, სახეზე ხელი მოისვა, მერე გა-  
ნაგრძო: — მტრის მთავარი ძალები ბე-  
ქობის ძირშია თავმოყრილი. როგორც  
შეგვატყობინეს, დღეს აქეთ გადმოსვლას  
აპირებენ, დროზე უნდა დავცხოთ...

სასწრაფოდ მოვემზადე, მივიხედ-მო-  
ვიხედე კიდევ და ისევ გავვჭიმე მეთა-  
ურს:

— მზად ვარ, ამხანაგო მეთაურო, მაგ-  
რამ ხელყუმბარები მაკლია.

მან ამათვალ-ჩამათვალეირა:

— რაო, სამი არ გეყოფა?! — გოცდა.  
მე მართლაც სამი ხელყუმბარა მეკი-  
და ქამარზე.

— რომ დამჭირდეს, მაშინ? ხომ გაგი-  
გონიათ ჯარისკაცული ანდაზა, ისაო...

— დაანებე ამ ანდაზებს თავი, — შე-  
მაწყვეტინა მეთაურმა, — მაგისათვის არ  
გვცხელა, — შემდეგ შეიხსნა თავისი  
ორივე ხელყუმბარა, მომაწოდა და მით-  
ხრა: — ამ ყუმბარების აფეთქება შეტე-  
ვის ნიშანი იქნება. იცოდე, ყველაფერი  
შენს სისწრაფეზეა დამოკიდებული.

სანგრიდან ამოველ, მიწას გავეკარი და  
ბუჩქებიანი მინდვრისკენ ხოხვით გავს-  
წიე.

ბუჩქებში რუ მირაკრავებდა. წინა  
დღის ბრძოლის შემდეგ არემარე მიყუ-  
ჩებულეყო, ირგვლივ ღუმილი იდგა და  
წყლის რაკრაკი შორ მანძილზე ისმოდა.

ერთხანს ფრთხილად მივხოხავდი. მე-

რე ფეხზე წამოვდექ და რუს გასწვრივ  
წელში მოხრილი გავვარდი. მტერბოდი  
და მივბოდი!

ჯერ ისევ დილა იყო და წელს ქვევით  
კარგა გვარიანად დამსველა ნამიანმა  
ფოთოლმა და ბალახმა.

გადავბოდი ხიდან-ხემდე, ბუჩქიდან-  
ბუჩქამდე. ისე მივალწიე შარავზის პი-  
რამდე, მტერს არ შევეუნიშნე.

აქ კი საქმე გაძნელდა: რუ მარჯვნივ  
უხვევდა, მე მარცხნივ უნდა გადამეხ-  
ვია, მინდორი გადამერბინა და ტყეში  
შევეზრდნილიყავ. ეს კი არცთუ ისე  
იოლი საქმე იყო: ბუჩქნარიდან გზამდე  
თავს ვერაფერს შევაფარებდი.

მოკლედ, ფიქრისათვის არ მეცალა,  
გავწიქი მიწაზე. აყალო მიწა მეკვროდა  
ტანზე, უკან მექაჩებოდა. ცივმა ოფლმა  
დამსხსა, ხელის გულები ამეწვა.

სხვა გზა არ იყო და, ისევ უნდა მეხო-  
ხა. წამოდგომით ვერ წამოვდგებოდი,  
მტერი უეჭველად შემამჩნევდა.

პატარა გზა გავიარე და სროლის ხმაც  
მომესმა, ყურთან გამიოზუზუნა ტყვიამ.

შემამჩნიეს. გავჩერდი და ვფიქრობ:  
წინ წავიწიო თუ შევიცადო? მაგრამ რო-  
დემდეღა შეიციდი? ავტომატი ხელში შე-  
ვინაცვლე, ისევ გზა განვაგრძე და მათაც  
ისევ დამიშინეს ტყვია.

მიწას გავეკარი, თავი ხელებშუა ჩავრ-  
გე, გავიტრუნე. მტერიც მიჩუმდა...

მერე თავი ოდნავ ავწიე. უკან გავიხე-  
დე, მინტერესებდა, დიდი მანძილით ჩა-  
მოვიტოვე თუ არა ბუჩქები? გავიხედე  
და გავოცდი: მე რომ მეგონა თვალს მიე-  
ფარებოდნენ-მეთქი, შენც არ მომიკვდე,  
ორიოდე მეტრით გამოვცილებივარ. რომ  
მემარჯვა, შევეტრიალდებოდი და თვალის  
დახამხამებაში გავჩნდებოდი იმ ბუჩქებ-  
თან, მაგრამ...

ავტომატს მაგრად მოვუჭირე ხელი,  
ლოყა მიწაზე გავუსვი და წინ გავხოხ-  
დი. ამჯერად კი მაცალა მტერმა: ცოტაც  
და შარავზის მეორე მხარეს ვიქნებოდი.

თავი წამოვწიე და ტყვიამფრქვევიც  
აკაიანდა: სახეში ხრეში შემომეყარა.  
ცხვირი ისე ამეწვა, თვალებიდან ნაპერ-  
წყლები წამომცვივდა.

მეგონა, ცხვირი მომძვრა-მეთქი. ხელი მოვისვი, დავხედე, სისხლით არ იყო მოთხერილი და გული მომეცა. „ხრეშმა მატყინა, ალბათ. სად მიყელეს, ოხრებმა!“

გაჰერდი და ტყვიამფრქვევიც ჩაჩუშდა.

მთელი დღე რომ იქ ვწოლილიყავ პირქვე ან, იმ ერთი მელიისა არ იყოს, თავი მომემკვდარუნებინა, მტერს არც კი გავახსენდებოდი, მაგრამ... სად მეცალა დასაწოლად.

ბევრი აღარაფერი მაკლდა ტყემდე: გზას გადავკრიდი, ჩავათაყვებდი ფლატეს და ტყეც იქვე იყო.

ხრეშმოყრილ შარაზე გავხოხდი, შუამდე მივალწიე და ის პატრონმკვდარი ტყვიამფრქვევი ისევ არ აკაკანდა! ყურთანაც ისევ აზუზუნდნენ ტყვიები და... მარცხენა მხარი შემეჩანდა.

„დამჭრეს ძაღლისშვილებმა“ — გულში გამკრა და მაშინვე თვალწინ დამიდგა დედაჩემის ჩამომკნარი ლოყები, ჩვენი ლამაზი ეზო და მისურათის მზიანი თვალები.

„ვაი, რომ ბრძანებას ვეღარ შევასრულებ!“ — შუბლი დავარტყი მიწას, ავტომატი მარჯვენა ხელში დავიჭირე, მკერდზე მივიკარი და მარცხენა მალა ავწიე. ტყვილი ვერ ვიგრძენი. „გადავრჩი“. სინარულმა სუნთქვა შემიკრა, სიმხნევე დამიბრუნდა.

„ახლა შავი ზღვა მუხლებამდე არ მომწვდება“. წამოვხტი და წამში გადავფრინდი გზას. ჩაჩუშებული ტყვიამფრქვევი ანმაურდა, ზუზუნით ამედევნენ ტყვიები. ამასობაში ფლატეში ჩავეშვი და ტალახში ჩავეცი გულალმა. გავიტრუნე.

ერთხანს ასე ვიწექი გაუნძრევლად.

დუმილში ფიქრები მომეძალა და უცებ მარჯვენა ფერდში ტყვილი ვიგრძენი. ფერდზე ხელი მოვისვი, დავხედე და... მაინც მომარტყეს!

ჭირის ოფლმა დამასხა. „აქ სადა ვკვდები, კაცო, ამ უპატრონო ფლატეში. დავალება მაინც შემესრულებინა და,

ჯანდაბას! იცრიში მალე დაიწყებდა სულ მოცელავენ ჩვენებს“.

გულზე ხელი მივიღე, აჩქარებულ ვერ შევატყვე: „ჯერ აღრეა სიკვდილი“.

ძალა მოვიკრიბე, მალე მივალწიე ტყემდე. პირველსავე ხეს მოვეკიდე და წამოვდექი. ლასლასით განვაგრძე გზა. ხეებს ვეჭიდებოდი, ავტომატსაც ვეყრდნობოდი ხოლმე და მაინც დავილაღესული მეხუთებოდა, დახველება მინდოდა და ვერ ვბედავდი, მეშინოდა, არ გამეგონ-მეთქი.

მეტი აღარ შემეძლო: ხის ძირში ჩავიჩოქე, ყრუდ ჩავახველე, — სისხლი წამოვანთხიე.

პირი ფართოდ გავადე, ღრმად ჩავისუნთქე ჰაერი. ამოვისუნთქე და ხრიალი აღმომხდა. მეგონა, ცალი გვერდი შენგრეული მქონდა და ქარი შიგ თავისუფლად დათარეშობდა.

თავი დამიმძიმდა, თავბრუ დამესხა. წამოვდექი. მივლასლასებ. სუნთქვა მიჭირს, ხახა მიშრება. წყალი მწყურია, მაგრამ, სად არის წყალი? აი, იმ ხემდე თუ მივალწიე, მერე... მერე გადმოვლენ ჩვენები შეტევაზე.

ახლა დაყოვნება დანაშაული იქნება. უნდა ვიჩქარო, მტერს ზურგში უნდა მოვექცე.

ხოხვით განვაგრძე გზა.

მარჯვენა მხარი აღარ მემორჩილება. ცალკე წყურვილი მკლავს, ცალკე აყალო მიწამ გამიჭირა საქმე: მექაჩება და მექაჩება უკან.

ჰოდა, იმ ხემდეც მივალწიე. აქედან უკვე გარკვევით ვხედავ მტერს: ორი გერმანელი ტყვიამფრქვევეს მისჯდომია. მე კი ვერ მხედავენ ან როგორ დამინახავენ, ჩემკენ არ იყურებიან. ალბათ, ფიქრობენ, ფლატეში ჩარჩაო.

კიდევ უფრო მივეუახლოვდი. ხელყუმბარა მოვიმარჯვე მარცხენა ხელში: „დაგილამდათ, მკვდარძაღლებო!“ ჯერ ერთი ვტყორცნე, მერე მეორე. მეორეს მესამეც მივაცოლე. თან ვმიშობდი, ვაითუ მარცხენამ მიმტყუნოს-მეთქი.

აფეთქების გრუხუნი გაისმა და შავი კვამლიც ავარდა. ცოტა ხნის შემდეგ გა-

ვარჩიე: ტყვიამფრქვევი გვერდზე გადა-  
ყირავებულიყო, გერმანელები კი აღარ  
ჩანდნენ.

„ბრძანება შესრულებულია! ახლა  
ჩვენები გადმოვლენ იერიშზე“, შვებით  
ამოვისუნთქე.

უცებ ბეჭობიდან სროლის ხმა მომეს-  
მა. იმ ხმას ჩვენების პასუხი მოჰყვა და  
მალე ორივე მხრიდან გახშირდა სროლა.

მე ტყისკენ მივლასლასებდი. მახსოვს,  
როგორ ჰყაპუნობდა ჩექმაში ჩავუბეჭუ-  
ლი სისხლი. ხახა მიშრებოდა, ჩახველუნ-  
და მომინდა და უშიშრადაც ჩავახველე.

შევედი ტყეში და მინდორზე პირქვე  
დავეგდე. წყურვილი მკლავდა. აღვომა  
მინდოდა, მაგრამ ტანს ვერ მოვერეე. იმ  
ღლით მიღებული წერილი გამახსენდა.  
„პასუხს ხომ ვერ მიიღებს და ვერ მიი-  
ღებს, ის მაინც გამეგო, ვისგან იყო“...

ჯიბიდან წერილი ამოვიღე, სისხლით  
დასვრილიყო, მისამართი ვეღარ ამოვი-  
კითხე. გავხსენი. დავხედე, მისურათის  
ნაწერი ვიცანი.

ყველაზე ძვირფასი, ყველაზე საყვა-  
რელი ადამიანის წერილი მეჭირა ხელში  
და წაკითხვა არ შემეძლო. თავი მიხურ-  
და, თვალთ მიბნელებოდა და... მაინც  
ვხედავდი: მთვარიანი ღამეა. მე და მი-  
სურათი ჩვენი სოფლის გზაზე მივდი-  
ვართ. გზის აქეთ-იქით ნაძვებია ჩარიგე-  
ბული. სადღაც ჭოტი გაჰკივის, ძაღლის  
დავღავიც მოისმის, ჩვენ კი მივდივართ  
და მივსაუბრობთ...

მე და მისურათმა ერთად გავატარეთ  
ბავშვობა. საღამოს თუ გვიან დავბრუნ-

დებოდი შინ, დედა უმეკელად მეტყობოდა  
ლიმილით: „შე ეშმაკო, შენა, მესაუბრე  
თან იქნებოდი“.

„ახლა აღარ შემავიანებს მისურათ-  
თან საუბარი. ვერც შინ დავბრუნდები  
და ვეღარც საყვედურს მეტყვი, დედაჩე-  
მო... ნეტავ, ის მაინც გაიგო, რომ შენი  
შვილი დასავლეთ ავსტრიაში კვდება;  
კვდება, მაგრამ სამშობლოს წინაშე ვალი  
მოიხადა“.

ტყვიელმა შემომიბთია. სუნთქვა შემეკ-  
რა, მკერდში კი რაღაც ხრიალებს. ამა-  
საც აიტანდა კაცი, მაგრამ წყურვილი  
მკლავს, წყურვილი!

„ნეტავ ამ ვუბემდე მიმალწვევინა!“  
ძლივს გავინძერი. ჭრილობიდან სისხლმა  
გადმოხეთქა. „ბავშვობაშიც არ მიტირია.  
ახლა საიდან მოდის ამდენი ცრემლი  
უკ!.. შენ გგონია, მისურათ, გმირი ვარ,  
მე კი აქ ვიცრემლები“.

გახოხება ვცადე და ვერ მოვახერხე.  
წამოვდექი, ხის ტოტს ჩავჭიდე მარც-  
ხენა ხელი.

„არ წაიქცე, ჯარისკაცო, გამაგრდი!  
დედა გელოდება. ცოცხალი უნდა დაუბ-  
რუნდე, დედა გელოდება და მისურათი.  
გამაგრდი, ჯარისკაცო!“

ვერ გავიგე, სროლა როდის შეწყდა.  
ვერც ის გავიგე, როდის დავეცი.

...გონს ჰოსპიტალში მოვედი. თვალი  
რომ გავახილე, პირველად თეთრხალათი-  
ანი ექიმი დავინახე. შუბლზე ხელი მო-  
მისვა და ღიმილით მკითხა:

— როგორა ხარ, ჯარისკაცო?





## ღეონიერ ხაკეზატი

### ქართველ ქალიშვილს

ეშხი მწევავს შავი თვალების —  
ქალო, თუ ბადრო მთვარევე,  
რომელმა დედამ გაგზარდა,  
ანდა რომელმა მხარემ.  
შენ მაინც მითხარ, ვინ არის,  
ჩემი ველების ქარო, —  
ეს ტანწერწეტა ასული,  
ეს მართლაც ტანად სარო...

ის ქართველია... იქნება  
გაჩნდა, ვით წყარო წმინდა,  
ან იქნებ, როგორც ვარსკვლავი  
ჩამოვარდნილა ციდან; —  
არა იმიტომ — უეცრად,  
დაწვას მიწაც და ზეცაც,  
არამედ მხოლოდ ერთის გულს  
რომ მოსდებოდა ცეცხლად.


### ს ა ჩ უ ქ ა რ ი

ჩემი ტოლები ყიდულობდნენ  
ლამაზ საჩუქრებს,  
შინ მხიარულნი ბრუნდებოდნენ  
დედებთან მერე...  
მე კი ქუჩებში, ამ ქუჩებში  
ყვავილს ვეძებდი,  
ვაკვირდებოდი ათასნაირ  
ყვავილთა ფერებს.

ბოლოს ვიპოვე, და ვიყიდე  
უცხო ყვავილი,  
თითქოს გაფვრინდი დედისაკენ,  
როგორც ფუტკარი...

დედას ვუთხარი: — ქვეყანაზე  
გაზაფხულია!  
დღეს რვა მარტია, ჩემო ტკბილო, —  
ასე ვუთხარი.

შენც ხომ გინდოდა საჩუქარი,  
ჩემო ძვირფასო,  
არაფერს არ მთხოვ, ეს ყვავილი  
მომაქვს მარტოდენ... —  
მერე... ვაფრქვევდი მწუხარე და  
მდულარე ცრემლებს,  
და ის ყვავილი მის საფლაფზე  
ობლად დავტოვე.



## ბეკსან ყორაღათი

### ღ ე დ ა

ჭალარა დედას მწუხარება ყელამდე ავსებს.  
უბედურება ყორანივით დასჩხავის თავზე.

მისი ნუგეში, მისი ვაჟი განგმირა ტყვიამ,  
თვალეზი დარჩა ცივი და ღია.

შავმა ყორანმა ბრძოლის ველი მოითარეშა  
და ვაჟის სახე სურათივით ჩარჩა თვალეზში.

ყორანი ახლა თითქოს დედას უძიძგნის ლოყებს, —  
დარდმა თვალეზი ამოუშრო ქვრივისა და ოხერს.

დედის ბაგეებს არ შორდება შვილის სახელი  
და თუკი სძინავს, სძინავს მხოლოდ თვალეზგახელილს.

ძილშიც აბოდებს, დახვევია დარდი ღრუბლებად,  
დედა სიზმარში თავის ვაჟკაცს ესაუბრება.

განთიადისას, როცა ისმენს მამლების ყივილს,  
დედას თვალეზში გაუკრთება იმედის სხივი.

აგერ ყორანი ღრუბელივით მიიზანტება,  
ყორანს თვალეზში ჩარჩენია ვაჟის ხატება...

ო, რა იქნება საწყალ დედას შესცინოს ბედმა,  
დაკარგულ შვილის დაბრუნება ეღირსოს დედას!

წამებულ დედას გაუღიმე, ბედო შემწყრალო,  
დარდის ყორანი სიხარულის მტრედმა შეცვალოს!

## ამავსებს მშვიდი სიხარული

განვედი, ძილო,  
წამწამებზე ტყუილად მკოცნი,  
მთვრალი ვარ ფიქრით,  
შთაგონებით,  
ამ ლამაზ ღამით.  
ამალამ მუზა მწდე არი მგოსნის, —  
მან ალუთონით\* ამივსო ჯამი!  
დავცალე ჯამი,  
უკვდავების წამალი შევსვი  
და ვარსკვლავებთან აღის ოცნება,  
სულის სიღრმეში სიხარულის გუგუნი მესმის  
და ფიქრის წყარო, საცა არის, ზღვად ამოსკდება.  
მხრებში ვიზრდები და ძალ-ღონით ვგაგარ გოლიათს  
და სული ფრთებად სტრიქონებს ისხამს.  
კომეტასავით იწვის გული,  
და მე მგონია,  
გულის ნათელი ჩემს ქალაქში მოუძღვის სისხამს.  
ამავსებს მშვიდი სიხარული და ნეტარება,  
დღევანდელ დღესთან, სინათლესთან ვდგავარ პირნათლად;  
მზემ სტუმარივით შემოაღო სახლის კარები  
და, რაც შევქმენი,  
მას ძღვენივით უნდა მივართვა!



\* ალუთონი — ჯადოსნური სასმელი.

## ზინაიდა ხოსთიყოთი

### ახალი წელი

თოვლმა ახალი წელი მახარა,  
კარებს მოადგა თეთრი ზამთარი,  
შემოაბიჯა წელმა ახალმა  
სახლში და ჩუმად მკითხა: „სად არი?“  
შეწუხდა, რადგან შენი სასმისი  
ხელუხლებელი დახვდა სუფრაზე,  
სტუმარი ვერც კი გავახალისე  
და ყურადღება ვერ დავუფასე.  
და მას ვუთხარი დიდი ტყუილი,  
რომ სიხარულის მელის წუთები.  
რომ გაზაფხულზე გაზაფხულივით  
აუცილებლად დამიბრუნდები.  
მეც დავიჯერე, გითხრა მართალი,  
აწ გულში ეჭვსაც როდი გავივლებ,  
რადგან ჩემს ფანჯრებს მკაცრი ზამთარი  
შენსავით აყრის ყინვის ყვავილებს.

### მშობლიურ მთებში

შენ არ გინახავს ოსეთის მთები,  
ვაჟკაცებივით შემართულები,  
ჩვენ სტუმარს სავსე თასებით ვხვდებით,  
ჩვენ სტუმარს ვხვდებით სავსე გულებით.  
მუდამ ადრეულ გაზაფხულს ველით,  
ვერაფერს გვაკლებს ავი ავდარი,  
ჩვენში არ იცის ზაფხული ცხელი,  
ჩვენში არ იცის მკაცრი ზამთარი.  
ტყე ალსავსეა იღუმალეებით,  
ხარობს წაბლი და ხარობს წიფელი  
და, როგორც შენი წყნარი თვალები,  
მთებია ძლიერ, ძლიერ ცისფერი.





## ადექსანდრე ვუხათი

### ცხოვრება უსაზღვროა

სიცოცხლეს დიადს  
 დალატის მახვილს  
 ვით მოუღერებს სიკვდილი ფლიდი?! —  
 ცისკიდურივით ვრცელია არხი,  
 რომელშიც მიჰქუხს სიცოცხლე დიდი.

ერთი კვდება და მეორე ჩნდება,  
 სამარის კართან აკენის ხეს ჭრიან,  
 ღამის კვარცხლბეკზე ცისკარი დგება  
 და სიცოცხლის ხედ განაგრძობს შრიალს.

მზე ჩადის და მზე ამოდის ცაზე,  
 სინათლის კვერთხით მალღდება მთვარე,  
 მთვარე ქრება და სიცოცხლის გზაზე  
 კვლავ ვარსკვლავები ახელენ თვალებს.

წყარო შრება და ახალი წყარო  
 აჩუხჩუხდება ჩირგვებში უცებ, —  
 მიწაზეც, ცაზეც მზის ნერგი ხარობს  
 და უკვდავებად მზის გული უცემს.

დრო მიდის, ცაზე იმედი სახლობს...  
 დიდი სიცოცხლით იხარე, ხალხო!

### გული — წიხნი

მე ჩემს შესახებ არ დავეწერ წიგნებს,  
 რა ვუყოთ, ჟამი მიდის და მიდის,  
 გული წიგნივით მე მკერდში მიღვეს,  
 რომელსაც ფურცლავს ცხოვრება დიდი.

ამ წიგნში მე ვწერ სიხარულს ჩემსას,  
ოცნებას... ჟამი მოჰქრის თუ მიჰქრის,  
აქ დასტამბულა წარსულზე კვნესა,  
აქ ისტამბება მერმისზე ფიქრიც.

მეგობრის სურვილს ამ გულში ვიწერ,  
ძმათა სიყვარულს ამ წიგნში ვხატავ.  
და სულ ბრწყინვალეებს მზესავით წიგნზე  
სამშობლო, როგორც სიცოცხლე ხალხთა.

გული წიგნია, რომელსაც ძნელად  
დასწვავ... გულია დიდების ღირსი...  
გული წიგნია, მაგრამ ო, ყველას  
თურმე არ ძალუძს წაკითხვა მისი.





## ისიროკა ქოზათი

### მოუსვენარი მელოდია

გენუაში ინახება პაგანინის ვიოლინო. მას ყოველ წელს მხოლოდ ერთხელ უკრავენ მსოფლიოს საუკეთესო მევიოლინეები.

როგორც ძვირფასი ღუმილის ფასი,  
აკანკალდება მღუმარე სიმი, —  
თითქოს ჩერდება მნათობი ცაზე,  
თითქოს სიცოცხლის მოუვლის ჟინი.

და ამღერდება საფლავის ლოდიც,  
ქვეყნიერება იტყევა სმენად.  
მოუსვენრობის უსაზღვრო ლოდინს  
მიაქვს ქარიშხლის ბორგვა და სტვენა.

ყოველ წელიწადს... და ერთხელ მხოლოდ,  
და მხოლოდ ერთხელ ირხევა სიმი...  
მაგრამ სიმღერას არა აქვს ბოლო,  
ფეთქავს სიცოცხლის მარადი ჟინი.

და ვნატრობ: თუკი ეს ჟამიც დადგა, —  
ამ მთებს მოედო სიმღერა ჩემი,  
იგი ქვეყანას გასწვდება, რადგან  
მაღალი არი ოსეთის მთები.

### ზღვის სამეფოში

ო, ნუ მაქციოს ღმერთმა ჭაობად,  
დე, ერთი წვეთი ვიყო მდინარის,  
მქონდეს ლიახვის გამბედაობა,  
ვიყო ძლიერიც და უწყინარიც.

ზღვას შევერიო და ავყვე ტალღას  
და მოვძახოდე ომანიანად,  
დავგელაობდე აღმა და დაღმა —  
ხან ამღვრეული და ხან კრიალა.

ასე ამგვარად ზედს შეჩვეული  
ო, არასოდეს არ ვგრძნობდე დაღლას...  
აი, მე ვუსმენ და ვგრძნობ სხეულით,  
რომ სადღაც, სადღაც ზღვა ღელავს ახლა.

## ს ი ც ო ც ხ ლ ე

უცებ მოვიდა შხაბუნა წვიმა  
და ნიაღვრებიც გაჩნდნენ მაშინვე...  
და გადარეცხეს უეცრად ხნული,  
მოედვნენ ყანებს, ველებს გაშლილებს.

ბელტზე შერჩენილ დაღანა ჯეჯილს  
მთლად გაუშიშვლდა ფესვები უცებ...  
და სული კბილით უჭირავს ჯეჯილს,  
უძლებს ნიაღვარს და ველარც უძლებს.

და ეჭიდება მიწას ფესვებით  
უმწეო, მწვანე ჯეჯილის ღერი...  
და ნიაღვარი მიდის და მიდის,  
დგას ჯეჯილი და... სიცოცხლე მღერის.





## შედიხს შდითი

### ღ ე ღ ა

— დედიკო, შეუსადარი  
თვალეზი გქონდა, დედა...  
მიტხარი, ახლა სად არი  
მაგ თვალთა შუქი, დედა?  
— შენს თვალეზშია, შვილო!

— თითქოს სიბერე გერევა,  
ხსოვნა გლალატობს ბრძენის,  
სად არის მეხსიერება,  
მეხსიერება შენი?  
— შენ გადმოგეცი, შვილო!

— დედიკო, ბედნიერებაგ,  
ძლიერი იყავ, ვგონებ,  
სადღაა ეგ ძლიერება,  
შენი ძალი და ღონე?  
— შენს მკლავებშია, შვილო!

— ო, დედა, შენს მზეს ვიფიცებ,  
წვალობ, რალაცას ცდილობ...  
სად არის შენი სიმკვირცხლე?  
— შენს მუხლებშია, შვილო!

### გამოთხოვეზის სიბღერა

ოლონდ არ მეტქვა შენთვის... ოლონდაც...  
გამოთხოვეზის სიტყვა წყეული.  
გემშვიდობებეზი, ჩემო გოგონავ,  
მიხმობს, მეძახის გზა შორეული.

ყვავილს როდესაც მზე მოაკლდება,  
ჩამოჰკნება და მოკვდება მალე.  
ეს გული შენზე ფიქრით გათბება,  
ვერ დაივიწყებს შენს მზიან თვალებს.

ჯოჯოხეთშიაც ჩავალ, იცოდე,  
შენი თვალები თუ დამავალებს.  
მხოლოდ შენა ხარ ჩემი სიცოცხლე,  
მკვდრეთით აღმდგენი ჩემი სამარე.

უთვალთვალევენ ჩემს ნაფეხურებს  
შენი თვალები და გაზაფხული;  
სამშობლოს დიდი ცა დამეხურა  
უხვი სხივებით გადანამქრული.

ოღონდ არ მეთქვა შენთვის... ოღონდაც...  
გამოთხოვების სიტყვა წყეული...  
ისევ მოგივალ, ჩემო გოგონავ,  
კვლავ დამაბრუნებს გზა შორეული.



# ოზი ქეჯა



## მოთხრობა

დედაჩემი ხშირად იტყოდა ხოლმე: შვილებში ბარისბი ყველას მირჩევნიაო.

არც მამა მალავდა — ბარისბის ერთი შეხედვა სულ მირჩევნია ორივე გოგოსო.

რატომ? არ ვიცი, რატომ.

ჩემი უმცროსი დები ასიათი და ზარეტა დედაჩემს ცოცხსა და კოკას არ ანებებდნენ. ბოლოს, საცერსაც არ გააკარეს, მე კი მხოლოდ წიგნები და სკოლა ვიცოდო. ზაფხულის არდადეგებზე ჩეროში ვთელავდი ბალახს ან არადა მინდოროში მივდიოდი.

სხვა საქმეს ისევ თოხნა და ბარვა ვარჩიე და... როცა საშუალო სკოლა დავამთავრე, მექანიზატორთა კურსებზე შესვლა გადავწყვიტე. წასვლამდე მამას მოველაპარაკე, ვნახოთ, რას იტყვის-მეთქი. გადაწყვეტილება მომიწონა, წადიო, მიიხსრა. ამაზე დედაჩემს მამაჩემისთვის სიტყვა არ შეუბრუნებია.

იმ ერთმა წელმაც მალე გაიარა და... კურსებიც დავამთავრე. ასე რომ, ხან ტრაქტორს ვაგუგუნებდი, ხან კომბაინს ვმართავდი.

პირველ დღეებში ხელეებზე ბებერები

დამაჯდა. ბებერების დანახვისთანავე დედაჩემი მეტყოდა ხოლმე:

— უი ჩემს თვალებს, ეგ რა მოგვლია, შვილო, რა ძალა გადგას, ჰა?! მამას უღვაშებში ელიმებოდა:

— მუშა კაცს ხელზე ბებერები უხდება.

ახლა კი არც დედა მელაპარაკება წესიერად და მამაც დაბლვერილი მიყურებს.

ეჰ, ნეტავ სულაც არ მეთხოვა ცოლი. ერთი წელიც არ გვიცხოვრია ერთად და უკვე მშობლებს გამოვეყავით. მოკლედ, ჩვენს ჭერქვეშ ორი კერიდან ავარდა კვამლი.

მეზობლის ქალებს საჭოროო გაუჩნდათ:

— ეგვეც თქვენი პატიოსანი მასწავლებელი, ტკბილი ოჯახი არია.

— უარესის ღირსია ბარისბი. ასეთი უვარგისის გულისათვის დედ-მამას როგორ გაეყარა?!

სხვამ სხვისი ტკივილისა რა იცის! ჩვენი გაყრის პირველ საღამოს ყელში ლუკმა აღარ ჩამდიოდა. ვიტრიალე,

ვიტრიალე და მერე მინდორში გავედი, მაგრამ მუშაობას ვერ დაუვლე გული.

ძნელია, ძალზე ძნელია მშობლებთან გაყრა!

იქნებ მე ვტყუი?

ჩვენმა ქორწილმა სამ დღეს გასტანა. მამა საუფროსო სკამზე იჯდა. ერთი სადღეგრძელო მეორეს ცვლიდა. დედაჩემის მადლიანი ხელი ეტყობოდა სუფრას. დაპატიყებულ ხალხს ღიმილით ეუბნებოდა:

— ეს პირველი დიდი ღვინია ჩემს ოჯახში. კეთილი ანგელოზი მოგვევლინა, ხალხო! იქეიფეთ და იმხიარულეთ!

მეოთხე დღეს სუფრა განვაახლეთ და მხოლოდ შინაურები შემოვუსხედით. იმ დღეს ზარინა პირველად დაჯდა ჩემს გვერდით.

მამაჩემს სახე მოეღრუბლა.

დედამ თვალებით მანიშნა, ეს რა ამბავიაო.

მე მივხვდი, რაც უნდოდათ და ცეცხლი მომედო.

სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს. ზარინა შეკრთა. მე წამოვდექი და ისიც ადგა.

რამდენჯერ უსაყვედურებია დედაჩემს:

— რძალს უთხარი, თავშალი მოიხვიოს. მამაშენი თუ გაბრაზდა, შენც გადმოვწვდება. ის თავსაფარი შესანახად ხომ არ გვიყიდი?

საკვირველია! მე კი სულ სხვაგვარად ვფიქრობდი...

ზარინა სამ წელიწადს მუშაობდა მასწავლებლად ჩვენს სოფელში. დედა და მამა სულ მის ქებაში იყვნენ. ბინაზეც ჩვენთან ცხოვრობდა და თავსაფარმოხ-

ვეული არც ერთხელ არ მინახავს ძალიან შეენოდა მხრებზე ჩამოშლილი თმა. დღე ისე არ დაღამდებოდა, მის წკრიალა სიმღერას ჩვენი ოთახები არ აეგსო.

ხშირად გამიგონია მამაჩემისაგან: — მღერის ჩვენი ბუღბულიო და ყოველთვის სიამოვნებით უსმენდა.

ჩვენი შეუღლების შემდეგ ერთხანს მიჩუმდა, მერე ისევ გაისმა მისი სიმღერა. ჩემს გულში სიხარულის ალი ავიზგიზდა, მამაჩემს კი მიწისფერი დაედო:

— ბიჭო, ახალი პატარძალი უფროსებთან უმძრახად უნდა იყოს, მე ხომ ამას არა ვთხოვ, მაგრამ სადავე მაგრად დაუჭირე, აიკლო აქაურობა.

ხმა ვერ ამოვიღე, მომერიდა.

— ბარისბი, აქ მოდი, რა, — მომესმა ერთხელ ფარდულიდან ზარინას ხმა.

მივედი, სარეცხს რეცხავდა.

— მამაშენის შარვალია გასაწური, მომეხმარე.

გამოვართვი. გავწურე. ზარინამ შუბლზე ოფლი მოიწმინდა და ვედროებს წამოავლო ხელი. მე გამოვართვი. ეზოში მამაჩემი შემომეფეთა. ჯერ შუბლშეკრულმა შემოხვნდა, მერე შემეკითხა:

— ბიჭო, თავზე ქული რად გახურავს? მე გამიკვირდა:

— დღეს პირველად მახურავს თუ? მერე მიყვირა:

— ქული დედაკაცს აჩუქე! შენ კი მისი თავსაფარი მოიხვიე, ის მაინც არა ხმარობს და!

ბრაზმა დამახრჩო. ხმის ამოღება ვერ შევძელი, არეული ნაბიჯით წყაროსკენ გავემართე.

...მას შემდეგ ცალკე ვცხოვრობთ მე და ზარინა, ცალკე ოჯახი გვაქვს. მიმიძიმს, ძალიან მიმიძიმს და ყოველთვის ვეკითხები ჩემს თავს:

— ნუთუ მე ვტყუი?



გვერდები



მოთხრობა

ჩვენ ფეხზე ვიდექით საგულდაგულოდ გაჭრილ, ხანგრძლივი ბრძოლისათვის ნაფარაუდევ სანგარში, შაშხანები მიწაყრილზე გვეწყო და ვსაუბრობდით. თავდაცვის ხაზიდან მტრის ტრანშეებამდე ოთხასი და ალაგ სამასი მეტრი თუ იქნებოდა. ყოველი ჩვენგანი მზად იყო გერმანელთა მორიგი იერიშისათვის, თუმცა თავდაცვის მთელ ხაზზე ნაღმები გვექონდა ჩაწყობილი და მავთულხლართი გვექონდა ჩაბმული. „გამოღმით მე ვარ, ვალმით შენ...“ — ლილინებდა ვასო საბანაძე, თან სანგარში მიმოდებოდა. ჩვენ გამოვლმა ვიყავით, ვალმა გერმანელები იყვნენ და შუაში მართლა ჩაგვიდიოდა პატარა უსახელო მდინარე. ოდნავ წელში მოხრილები ვიდექით მიწაყრილებთან, რადგან, თუ თავს ავადერდით, სნაიპერები ტყვიას არ დაგვაცილებდნენ. ვასო საბანაძეს კი არაფრად მიაჩნდა გერმანელი სნაიპერები და, როგორც ყოველთვის, თავალებული სცემდა ბოლთას გრძელ სანგარში.

— გეყო მაიმუნობა! კოკა ყოველთვის არ მოიტანს წყალს! — შეუღრინა სერჟანტმა დენისოვმა.

— ფოლადის ტყავი მაქვს, ფოლადის

ტყავი! ტყავია ვერ გამატანს! — ჩაიციხა საბანაძემ.

— გეყო, გეყო! — ვუთხარი მეც, — თავი შევინახოთ, ბიჭო, ხომ იცი, ლეიტენანტმა დღესაც დაგვრთო ნება...

— რისი ნება დაგვრთო? — გამოცოცხლდა საბანაძე, — დროით მითხარი, რისი ნება დაგვრთო?!

— ოპტიკური სამიზნე მოარგე და წესრიგში მოიყვანე სნაიპერის შაშხანა. სალამოს მე და შენ „სანადიროდ“ წავალთ.

— ვაი, შენი ჭირიმე! — გაიხარა საბანაძემ, — მამა-პაპა ეყოლებათ მონატრებული და გავგზავნოთ, ნუ ვაწყენინებთ ჩვენს ფრიცებს.

სანგარის ფსკერზე ჩაჯდა გახალისებული, მეც მივუჯექი და თამბაქოს შეხვევას შევუდექით.

სიგიჟემდე მამაცი ბიჭი იყო ჩვენი ვასო საბანაძე, მაგრამ წინდაუხედავი და გაუფრთხილებელი, რისთვისაც სულ ესაყვედურობდით. რამდენჯერ აღმოუჩენიათ მტრის სნაიპერებს და ცეცხლი დაუყრიათ. ტყვია რომ მიგნებას დაუპირებდა და თავ-კისერთან წივილით მიწაყრილს აუმტვერებდა, მაშინდა იკადრებდა სანგარში ჩაჯდომას. თან ბავშვი-

ვით ხარხარებდა. „ფოლადის, ფოლადის ტყავი მაქვს“, — იმეორებდა აჩემებულ სიტყვებს.

ოლონდ ეს იყო, დროდადრო მოიწყენდა, ოჯახი და თავისი ახალშერთული თამარ-ქალი რომ გაახსენდებოდა. ხოლო როდის არის, ომში მყოფ ვაჟკაცს ოჯახი არ ახსოვდეს!

— ეჰ, ჩემო ძმაო, — ბებრულად ამოიხვნეშა საბანაძემ და თამბაქო მომამბოლა, — როდის ვათავდება ეს ოხერი ომი... მეოთხე წელიწადია ომში ვარ...

მე ვიცოდი, რომ ახლა ან თამარზე ჩამომიგდებდა სიტყვას, ან ოჯახს და სოფელს გაიხსენებდა.

— კმარა! კმარა! — სიტყვა მოვუქერი საჩქაროდ, — ომი ომია, როგორც დაწყებისა არავინ იცის რამე, ისეც დამთავრებისა. დამთავრდება და მაშინ ვნახავთ ცოლ-შვილს. ფიქრი ნუ გაქვს, მალე დამთავრდება.

ვასომ დატუქსული ბალღივით ერთი ამოიხრა და ნამწვი გადაადგო. ზურგიით მომეყუდა და თავი მხარზე ჩამომადო. მე მეგონა, სანგრიდან ცას შეჰყურებდა, მაგრამ, წუთიც და, ხვრინვა გავიგონე.

„დაისვენოს“ — გავფიქრე მე და გავიტრუნე. ვადამდებად ხვრინავდა მთელი კვირის უძილო გოლიათი და მტვრინ, ნატანჯ სახეზე ყმაწვილური ღიმილი დასთამაშებდა. საღამოს გრილი ნიავი ეალერსებოდა მის ბავშვურ სახეს და ქოჩორს უწეწავდა. რას ხედავდა ახლა სიზმარში, არ ვიცი, ალბათ — თამარს. მეც ძილი მერეოდა და, თუმცა ცალ თვალს მძინარე ვაჟკაცის სახეს არ ვაცილებდი, ათას სხვა რამეზე ვფიქრობდი: შესაძლოა ომზე, შესაძლოა მეგობრობაზე, შესაძლოა საყვარელ ქალზე, უფრო კი — ყველაფერზე ერთად და ბუნდოვნად. ალბათ, მეც ჩამეძინებოდა, ან კიდევ დიდხანს ვიქნებოდი ამ მდგომარეობაში. მახლობლად დაკემული ჭურვის გრიალს რომ არ გამოვეფხიზლებინე.

საღამოვდებოდა. შემჩნეული გვექონდა, რომ დილაადრიან ან საღამო ხანად მდინარეზე ჰიტლერელები ჩადიოდნენ წყლისთვის. სანგრიდან ფრთხილად ამო-

ვძვერით, დაღმართში ჩავფორთხდით და ბექებს უკან საიმედოდ შევიხილბოდა. ამოდ ველოდით: საათი საათს მისდევდა, ვადიოდა დრო და არავინ ჩანდა. უკვე ეჭვიც კი შეგვეპარა, ხომ არ შეგვნიშნეს გერმანელებმაო. ღრუბლებიდან მთვარემ გამოიჭყიტა. სიჩუმემ დაისადგურა ცეცხლის ხაზზე და იშვიათად, ისიც შორს, ზურგში თულა გაისმოდა აფეთქებათა გრილი.

მთელი ღამე ამო ლოდინში ვგატარეთ და ჰა, აისმა ინათა წითლად, აციგლიგდა ცისკიდური და ჩრდილოეთის ნიავმა დილის სიგრილე მოგვებრა.

გაისმა ხმაური. წყალგაღმა მდინარისაკენ ვილაც უჩუმრად მიდიოდა. ყური ვცქვიტეთ. წამიც და, ჰიტლერელი ჯარისკაცი დავინახეთ, ფრთხილად ეშვებოდა მდინარისკენ, ხელში ცარიელი კარდალა ეჭირა. შეთანხმებისამებრ პირველი სროლა ვასილს ეკუთვნოდა, ფრთხილად, უხმაუროდ გამართა შაშხანა, დაუმიწხნა და თითი გამოჰკრა სასხლეტს. გაისმა სროლის ხმა და ჯარისკაცი მძიმედ დაენარცხა მიწას. ნატყვიარი ამხანაგის საშველად უმალ ჩაირბინა ფერდობი მეორე ჯარისკაცმა. თოფი მომარჯვებული მქონდა სასროლად, ვესროლე და თავის ამხანაგს გვერდში მივუწვინე. ახალ პოზიციაზე ვადავინაცვლეთ და საიმედოდ შევიხილბეთ.

სარდლის ბრძანებით ღამის ორ საათზე ჩვენი ნაწილი შეტევაზე გადავიდა. თვითმფრინავებისა და ტანკების გრუხუნმა ააზრილა ცა და მიწა. ირგვლივ ტყვია ზუზუნებდა, შემზარავად სტვენდნენ „კატუშები“, მეტეორებივით მიჰქროდნენ ჩვენს თავზე მათი საოცარი ყუმბარები და ცაზე ცეცხლოვან ბილიკებს წერდნენ.

ურიცხვმა მაშხალამ გადაანათა ბრძოლის ველი, სადაც ჩვენ შეტევას ვაწარმოებდით. მძლავრმა „ვაშამ“ გალაურბინა ტრამალებს. ჩვენს ნაწილებს ნიაღვარივით თან მიჰქონდა ყველაფერი, რაც კი გზად ხვდებოდა. მე და ვასილი ერთმანეთს არ ვცილდებოდით, მხარდამხარ ვიბრძოდით და სირბილით წინ მივიწევ-

დით. დილითღა შევნიშნე, რომ ვასილი ჩემს გვერდით აღარ იყო.

მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა და, თუ რამ რეზერვი ჰყავდა, ბრძოლაში გამოიყვანა. მტრის თვითმფრინავებმა ბომბები დაგვაყარეს. თვალი მეჭირა ვასილზე. იგი ჩემგან ათიოდე მეტრის დაშორებით მიბრბოდა. უცებ ჩვენს შორის ყუმბარა დაეცა. ვასიმ აფეთქების გრიალი და მე გონება დავკარგე.

ცნობიერება რომ დამიბრუნდა, მწე ჩასვლაზე იყო. აფეთქების ტალღას კარგა შორს გადავეგდე. ჰრილობა გავისინჯე, მსუბუქი აღმოჩნდა, მაგრამ საშინლად მტკიოდა. უცებ ვასო საბანაძე გამახსენდა და გული შემეკუმშა.

მძიმედ, წვალებით წავფორთხდი იქით, საითაც ვასილი მეგულებოდა, მაგრამ იქ დასახიჩრებული გვაემბის მეტი ვერაფერი დავინახე. გულჩაწყვეტილმა გეზი ვიცვალე, რის ვიავგლახით მივფორთხდი პაწია ტბასთან, ცოტაოდენი წყალი მოვსვი და ვცადე ყოველივე იმის გახსენება, რაც შემემთხვა. ბრძოლის ველზე სანიტრები გამოჩნდნენ, ერთ მათგანს ხელი დაუჭქნიე და მერე აღარაფერი მახსოვს. არც ის მახსოვს, როგორ შემიტანეს თვითმფრინავში და არც ის, ჰოსპიტალში როგორ აღმოვჩნდი.

გადიოდა დღეები. დიდხანს მკურნალობა არ დამჭირვებია, მეათე დღეს უკვე პირი ამ ქვეყნისკენ ვქენი და ყავარჯნით სიარული შევიძელე. ვიხსენებდი უკანასკნელ ბრძოლებს და თვალწინ მდგა ჩემი ვასო საბანაძე. გული წუხდა ვასილის დაკარგვას და აღარ ვიცოდი, რა მიმეწერა მეგობრის მშობლებსათვის. ბოლოს მედიცინის დას ფურცელი ქაღალდი გამოვართვი, დავჯექი ფანჯარასთან პალატაში და, თუმცა ძალიან მიმძიმდა, წერას შევუდექი.

„ძვირფასებო! ჩემი საყვარელი მეგობრის, ჩემი ვასილ საბანაძის მშობლებო!

გულდამძიმებული გაცნობებთ თქვენს დაუვიწყარი შვილის გმირულ სიკვდილს. ორ წელიწადს ერთად ვცხოვრობდით, ძმურად და მხარდამხარ ვიბრძოდით. ბოლოს გერმანული ყუმბარა დაეცა ჩვენს ახლოს და... ასე დიღუპა თქვენი საყვარელი შვილი ვასილი“.

წერილი მზად იყო გასაგზავნად. შემთხვევით მეოთხე პალატაში შევიარე და ანაზღად პირველ საწოლზე მწოლიარე დაჭრილმა მიიპყრო ჩემი ყურადღება.

მძიმედ სუნთქავდა თვალმისუქული და სახეგაფითრებული დაჭრილი. ძალზე მეცნობოდა. არ შემეძლო მეთქვა ვის, მაგრამ ძალზე ახლობელ ადამიანს მაგონებდა. დავდექი საწოლთან და დაველოდე, ეგებ თვალი გაახილოს და თვლებით ვიცნო, ვინ არის-მეთქი. საბედნიეროდ, დაჭრილმა მალე გაახილა თვალი. მე შევკრთი — ასეთი თვალეები ვასო საბანაძეს ჰქონდა. როგორ გამოცვლილიყო! ამას რომ ვფიქრობდი, უკვე ვკოცნიდი და ვეხვეოდი მეგობარს...

— აღარ მეგონა, თუ ცოცხალს გნახავდი, — მითხრა გოცებულმა და თვლებადქცეულმა.

სიხარულით მევეროდა; შეეცადა ნელი მოეხვია. მაგრამ სახე დაელრჯა — ჰრილობებმა შეაწუხა. რალაც ვკითხე, მაგრამ კონტუზირებულიც იყო და ვერ გაიგო, რა ვკითხე. მაშინ წერილი მივაწოდე, მის მშობლებთან გასაგზავნი წერილი. გამომართვა და ყურადღებით ჩააცქერდა. დიდხანს ჩასცქეროდა. უცბად ღიმილმა გადაჰკრა სისხლნაკულ ტუჩებზე, ამომხედა და ენის ბორძიკით მითხრა:

— მიხარია, რომ ცოცხალს გხედავ. გმადლობთ, ჩემო ძმაო, რომ ასე გყვარებოვარ... ისე, არაფერი შეგეშალოს, ცოტა კი აჩქარებულხარ, ჯერ კიდევ ბრძოლა მოგვიწევს...

— მოგიწევს! — დამნაშავესავით მივუთხე მე. წერილი გამოვართვი და ოთხად გავხვიე.



## პასო აბაიით

### ხალხური, გმირული

უძველესი დროიდან გმირული სიმღერა ოსი ხალხის საშემსრულებლო ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა. გმირულ სიმღერასა და ნართების ეპოსში არა მარტო ხალხის მხატვრული შემოქმედება ვლინდებოდა, იგი დიდ აღმზრდელობით როლსაც ასრულებდა. ამ სიმღერების გმირთა მაგალითზე ახალგაზრდობა იძენდა თვისებებს, თავისუფლებისმოყვარე მთიელის იდეალს რომ შეადგენს: დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიყვარულს, თავისი ადამიანური ღირსების შეგნებას, ყოველგვარი უსამართლობის, ჩაგვრისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილს, ვაჟკაცობას. მთიელი ეტრფოდა იმ ჭეშმარიტად გმირულ სულს, რომელსაც ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი ურჩევნია. ამ მხრივ გმირული სიმღერების მნიშვნელობა ნართების ეპოსზე უფრო დიდი იყო. ნართების თქმულებებს იშვიათად მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ასრულებდნენ, გმირული სიმღერა კი ოსს ყოველთვის თან ახლავს. ამ სიმღერას გაიგონებთ მუშაობისა და დასვენების ყამს, გზაზე, ოჯახში, ქორწილებში, დღესასწაულებზე, ყველგან და ყოველთვის.

გმირული სიმღერები, როგორც წესი,

საგმირო საქმეების კვალდაკვალ იქმნება. სიმღერის შექმნის მიზეზი ჩვეულებრივ გმირის სიკვდილია (მისი ტრაგიკული დაღუპვა თითქმის აუცილებელი პირობაა გმირული სიმღერის შესაქმნელად). ამ ნიშნის მიხედვით შეიძლება დათარიღდეს სიმღერა ქურდთათზე (დაახლოებით 1786 წ.), ხაზბიზე (1830—31 წწ.). თათარხან თომაითზე, სიმღერა „დუნაიზე გამგზავრებულებზე“ (1877—1878 წწ.). მე-19 საუკუნის შუა ხანს განეკუთვნება სიმღერა ყუდელ ფირალეზე. ცნობილია ოსეთის სახალხო პოეტა და საზოგადო მოღვაწეზე — კოსტა ხეთაგათზე სიმღერის შექმნის თარიღიც (დაახლოებით 1896 წ.). ადვილად თარიღდება აგრეთვე სიმღერები იმ გმირებზე, რომლებიც პირველ მსოფლიო და სამოქალაქო ომებში დაიღუპნენ (სიმღერები სერგო თომაითზე, ისაყ ხარებათზე, სოსო ნართხითზე და სხვა). დანარჩენი სიმღერების ქრონოლოგიის დადგენა მხოლოდ მიახლოებით ხერხდება. ხშირად კი ესეც ჭირს. ამჟამად გავრცელებული სიმღერების უმრავლესობა წარმოიშვა მე-19 და მე-20 საუკუნეებში, მათი მცირე ნაწილი მე-18 საუკუნეში. მხოლოდ თითო-ორიოლა თუ მიეკუთვნება მე-17 საუკუნეს და უფრო ადრინდელ ხანას. ყველაზე ძველი სიმღერებია სიმ-



ღერა ზადალესკის აულის დედანზე და შავი და თეთრი მთების მწყემსებზე: ესენ ყანუყვათზე (სარი ასლანბეგზე), თაიმურაზზე, ჩერმენზე, ქუციქზე, ქურდთათზე, ყულდინათზე და სხვ.

ნართების და დარქაანთ თქმულებათაგან განსხვავებით, რომლებშიც ფანტასტიკური ელემენტი სჭარბობს ისტორიულ სინამდვილეს, გმირული სიმღერა ყოველთვის ეყრდნობა რეალურ ამბებს. დროთა ვითარებაში გმირულ სიმღერებში გამონაგონის ელემენტი იჭრებოდა, მაგრამ ძირითადი ყოველთვის სინამდვილეში მომხდარი გმირობა იყო. ამ ვაგებთ ყველა გმირულ სიმღერას შეიძლება ისტორიული ვუწოდოთ.

გმირული სიმღერის შინაარსი ყოველთვის შეიცავს ბრძოლას, რომელიც აუცილებლად გმირის სიკვდილით მთავრდება. ამ ბრძოლის შინაარსისა და მასშტაბის მიხედვით სიმღერები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ.

როცა ამბავი ადგილობრივი, შეზღუდული ინტერესების მიჯნას გადალახავს და ზოგად-ეროვნულ მნიშვნელობას შეიძენს, მაშინ მასზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როგორც ისტორიულ სიმღერაზე ამ სიტყვის ფართო ვაგებით. ასეთია სიმღერა ხაზბიზე, რომელიც ასახავს ოსი ხალხის ბრძოლას მეფის გენერლების წინააღმდეგ; სიმღერა მახამათ თომათიზე ანალოგიურია სიმღერებისა ესენ ყანუყვათზე, თაიმურაზზე, ყულდინათზე, ისინი ასახავენ მშრომელი ხალხის ბრძოლას ყაზარდოელი ფეოდალების წინააღმდეგ.

ისტორიულ სიმღერებს ეკუთვნის აგრეთვე სიმღერა ქურდთათზე, რომელსაც საფუძვლად უდევს ისტორიული ამბავი — ოსთა ელჩების მისვლა ეკატერინე II-თან, სიმღერა „დუნაელებზე“ (ეხება 1877—1878 წწ. დუნაიზე თურქებთან ომში ოსების მონაწილეობას).

ცალკე ჯგუფად უნდა გამოვყოთ სიმღერები სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლებზე: ჩერმენზე, ასლანბეგზე, ანტონზე, ილიკოზე და სხვ.

ამ სიმღერათა ჯგუფში შედის ე. წ. ფირალური („ყაჩაღური“) სიმღერები. ფირალობა თავისებური პროტესტული სოციალური უსამართლობის, ადამიანური ღირსების დამცირებისა და ძალადობის წინააღმდეგ. ამ ჯგუფის სიმღერებში მნიშვნელოვანია სიმღერები ყუდელ ფირალებზე: ქუციქ ქობილთზე, ცომას ცირიხათზე, სალა გაგლოითზე და სხვ.

სიმღერათა უმეტესობაში ასახულია მამაცობა და გმირობა, რომელიც მეტწილად სისხლის აღების ნიადაგზე ხდება ხოლმე, ბრძოლა მძარცველების წინააღმდეგ და ა. შ. ასეთებია სიმღერები ბოთაზე, აქიმ თოთითზე, ყაზბეგ გადთუთზე და სხვ. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სიმღერები მონადირეებზე.

უახლოესი დროის სიმღერებიდან პოპულარულია სიმღერები სამოქალაქო ომის გმირებზე; ისაყ ხარებათზე, სოსო ნართიხთზე და სხვ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის სიმღერებში ასახულია მეფის ბიუროკრატიულ-ბურჟუაზიული წყობილება, მაგრამ მაინც გამოსჭვივის ძველი გვაროვნული ურთიერთობისა და გვაროვნულ-ტომობრივი ფსიქოლოგიის ნიშნები, რომელიც ოსებში ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი.

საბჭოთა პერიოდის სიმღერები ასახავენ ჩვენს ახალ, სოციალისტურ სინამდვილეს, ხალხის ბრძოლას სოციალისტურ ურთიერთობათა დასამკვიდრებლად.

გმირულ სიმღერებს განსაკუთრებული შემეცნებითი ღირებულება აქვს ძველი ოსეთის ყოფა-ცხოვრების, იდეოლოგიის, მისთვის დამახასიათებელი ანტაგონიზმისა და კონფლიქტების გასაგებად.

გმირული სიმღერების უმეტესობა სამართლიანობის იდეითაა გამსჭვალული. ბევრი სიმღერა ასახავს ფეოდალურ ურთიერთობებს. მაგრამ მათ შორის არ არის ფეოდალური იდეოლოგიის მატარებელი თუნდაც ერთი სიმღერა. ბრძოლა პიროვნების თავისუფლებისათვის, მისი ეროვნული, საზოგადოებრივი და ინდი-

ვიღუალური ღირსებისათვის, ბრძოლა ჩავგრისა და დამცირების წინააღმდეგ, აი რა არის ამ სიმღერების დედააზრი, მათი გმირული პათოსის წყარო. გმირულ სიმღერებში ყველაზე მეტად ფასდება ძალა და სიმამაცე. მაგრამ მათში მარტოოდენ ძალისა და სიმამაცის კულტი როდია. ძალას და სიმამაცეს მხოლოდ მაშინ ასხამენ ხოტბა-დიდებას, როცა ის სიმართლეს ემსახურება.

ამ მხრივ უნდა შევადგინოთ აგრეთვე ე. წ. ფირალური სიმღერებიც. მართებული არ იქნება მათი გაგება, როგორც უბრალო „ყაჩაღური“ სიმღერებისა. მრავალი საუკეთესო სიმღერა იმ გმირებს აღიღებს, რომელნიც ებრძოდნენ ყაჩაღებს და მათთან ორთაბრძოლაში დაიღუპნენ. ასეთებია სიმღერები აქიმ თოთითიზე, ძარახმათ ქოძირთზე და სხვ.

საინტერესოა სიმღერა ოსეთის სახალხო გმირზე, პოეტ კოსტა ხეთაგათზე. ამ სიმღერაში თითქოს არაფერი არ არის ისეთი, რაც გმირული სიმღერების აუცილებელ ნიშან-თვისებას შეადგენს. იგი იარაღით ხელში არ ებრძოდა მტრებს, არ დაცემულა მათთან შერკინებაში. სამაგიეროდ, ჰქონდა ის შინაგანი სულიერი თვისებები, რაც მას ეპიკურ გმირებთან ანათესავებდა. მთელი თავისი სიცოცხლე მან ხალხის სამსახურს შესწირა, უშიშრად და თავგამოდებით ებრძოდა უსამართლობას, ებრძოდა მჩაგვრელებსა და მოძალადეებს. მას დევნიდნენ, მრავალჯერ გადაასახლეს და ხალხმაც სასიმღერო შემოქმედებაში იგი გაუტოლა სახელგანთქმულ და საყვარელ გმირებს — ჩერმენს, თაიმურაზს, ხაზბის...

თითოეული სიმღერის სიტყვიერი მასალა, მისი „ტექსტი“ როდი წარმოადგენს რაღაც უცვლელს, სტაბილურს. იგი იცვლება და იმპროვიზაციულად სახეცვლილი მეორდება ხოლმე. მასში უცვლელია მხოლოდ ზოგიერთი ემოციური შეძახილი და მისამღერი, რომლებიც ტექსტის „ცარიელ“ ადგილებს ავსებენ.

ეს „საერთო ადგილებია“ (რეფრენები): „ძანათი ფაბადაი“ („დაე, შენი სამ-

ყოფელი იყოს სამოთხეში“) — ამბობს მომღერალი გმირზე, „ძანათი ბაღინაე“ („შენ, რომელსაც ვიწერია სამოთხეში ყოფნა“), „რუხსაე არბაუაი“ („განისვენე სინათლის სამეფოში“), „თოხ არციდი“ („ბრძოლა დაიწყო“), „უაი თოხ“ („ეპეი, ომია“), „თოხ დილ ნიქქოდთი“ („თოხ, შეგძახეს შენ“), „უაი ამა ცი ქანონ“ („ეპეი, რა ვქნა, რა ვთქვა“), „დი ქამან უიღთა, ამა დი ქამან ნალ და“ („ვაი იმათ, ვისაც ჰყავდი და ვინც დაგკარგა“). თუმცა ამ „საერთო ადგილებს“ აქვთ რაღაც აზრი, მაგრამ ისინი მეტწილად მაინც უბრალო მისამღერების როლს თამაშობენ. ასე მაგალითად: „უაი, უარაიდა“, „უაი, რირა“, „რირათა“ და სხვა.

ზოგიერთ მომღერალს შეუძლია საათობით იმღეროს მარტო ეს საერთო ადგილები და მისამღერები ისე, რომ თვით სიმღერის შინაარსზე კრინტიც არ დაძრას. თუმცა იმ კონკრეტული პოეტური სახეებითაც, რომლებითაც დახასიათებულია გმირი და მისი საქმე, თითქმის შეუძლებელია რამდენადმე სრული და ნათელი წარმოდგენა იქონიო გმირის ხასიათზე, მოვლენათა თანმიმდევრობაზე, ჩადენილი გმირობის არსზე და ა. შ. სასიმღერო ტექსტის მიზანი თხრობა კი არ არის, მისი ამოცანაა გამოიწვიოს გარკვეული ემოციური რეაქცია. მან გმირის საქმეთა მოთხრობით კი არ უნდა გაართოს მსმენელი, არამედ უნდა აღაფხნოს და ააღელვოს იგი. ეს ამოცანა გადაწყდება გმირული სიმღერისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხებით და საშუალებებით. რომელნიც შეუმცდარად მოქმედებენ მსმენელებზე, ნათლად და შთამბეჭდავად ავლენენ ხოლმე მომხდარი ამბის დრამატულ და ტრაგიკულ მხარეს.

ერთ-ერთი ასეთი ჩვეულებრივი ხერხია, როცა მომღერალი გმირს ალაპარაკებს ამაღელვებელი სიტყვებით, რაც მან ვითომცდა სიკვდილის წინ ან მტერთან ბრძოლის დროს წარმოთქვა.

ასე მაგალითად, გმირი — მონადირე, რომელსაც დედა ნანადირევით ელოდე-

ბა, სინამდვილეში კლავს არა ცხოველს, არამედ თავის მტერს და თვითონაც სასიკვდილოდ დაჭრილი, ივედრება: „ვინ შეატყობინებს ჩემს ძიცას (დედას), რომ მისმა შვილმა წამოაქცია „ქორბუდა ირემი“ ე. ი. მტერი („სიმღერა თაიმურაზზე“). ანდა გმირი, რომელიც სიცოცხლეს ესალმება, გარშემომყოფთ მიმართავს უკანასკნელი თხოვნით: გადაეცით ჩემი მადლობა იმ ქალიშვილებს, რომელთაც ჭრილობა შემიხვიეს („სიმღერა ყაზბეგ ვადთუთზე“). ჭაბუკი გმირი სიკვდილის წინ წყურვილით შეპყრობილი ჩივის, არავინ არის ირგვლივ, რომ თუნდაც ერთი ყლუბი წყალი მომაწოდოს („სიმღერა ძარახმათ ქოძირთზე“).

სიმღერათა ტექსტი თავიდან ბოლომდე შედგება მხოლოდ მღელვარე შეძახილებისაგან, რომელთა ემოციურობა ეფექტს იწვევს და ხელს უწყობს დრამატული პათოსის გაძლიერებას, მაგრამ ძალიან ბუნდოვან წარმოდგენას იძლევა სიუჟეტზე, რადგან ასეთ გამოთქმებს იყენებენ არა ერთი, არამედ ყველა გმირის მიმართ. სხვადასხვა სიმღერის ტექსტში ერთსა და იმავე ცნობებს სიმღერის გმირზე, მის საგმირო საქმეებზე, მისი სიკვდილის გარემოებაზე ჩვენ ვიგებთ არა ამ სიმღერათა ტექსტის მიხედვით, არამედ ძველი ადამიანებისაგან, რომელთაც შემოგვიჩანს გადმოცემები სიმღერაში შექმნილი გმირის ცხოვრებაზე. სიმღერის პოეტური ტექსტი ძირითადად შეიცავს ემოციური დატვირთვის მქონე ტირადებს. ისინი ერთმანეთთან ლოგიკური თანმიმდევრობით და თხრობის ერთიანი ძაფით არ არიან დაკავშირებული, ამიტომ საგმირო სიმღერის პოეტური კომპოზიციის დადგენა ძნელდება.

საგმირო სიმღერის ლექსის რიტმული და სტროფული წყობა განისაზღვრება როგორც მისი ჰანგის მუსიკალურ-რიტმული, ისე სასიმღერო პოეტიკის და სალექსო რიტმიკის წყობით. ჰანგის გარეშე ტექსტი ხშირად პროზაული ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ არტუთ მცირე რაოდენობით არის

ისეთი სიმღერები, სადაც ტექსტს მუსიკისაგან დამოუკიდებელი მკაფიო სალექსო სტრუქტურა გააჩნია. ასეთ-მაგალითად, სიმღერაში ბოთაზზე:

ხილაჩი ბასთა, დამ, გაბუთი არღვია,  
ბოთაზი რამარდთოი კაბუთი არღვია.

ამასთან, ზოგჯერ თვით ერთსა და იმავე სიმღერაში სალექსო რიტმით მკაცრად ორგანიზებული სტრიქონები ენაცვლებიან რიტმულ პროზას.

რადგან ლექსი ემორჩილება მელოდიას, მელოდია კი თითოეულ სიმღერას თავისი აქვს, ამიტომ არ არსებობს ყველა საგმირო სიმღერისათვის საერთო სალექსო ფორმა და ზომა. თითოეული სიმღერის ლექსი, უწინარეს ყოვლისა, ავსებს მთლიან მუსიკალურ ფრაზას. თუ საამისოდ საკმარისი არ აღმოჩნდა ძირითადი სიტყვიერი მასალა, მაშინ მომღერალი ამ „სიცარიელეს“ ავსებს ასემანტური შეძახილებით — „უაი, უარაიდა“ და სხვ. ანდა საერთო ადგილებით: „თოზ“ (ბრძოლა), „დამ“ (თქო, მეთქი), „ზალთა“ (თქვა) და ა. შ. ანდა იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვებს.

სასიმღერო ტექსტის წყობის თვალსაზრისით საგმირო სიმღერები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ. პირველ ჯგუფს, როგორც ჩანს, უფრო არქაულს, არ გააჩნია მკაცრი რიტმული და სტროფული დაყოფა. მეორე ჯგუფის სიმღერებს კი მკაფიო სტროფული წყობა ახასიათებს. ყოველი დასრულებული სტროფი იშლება ორ ნახევარსტროფად. ამათგან მეორე ნახევარსტროფი გამოხატავს სიმღერის შინაარსს, პირველი კი წარმოადგენს გართიმულ პარალელს, რომელსაც მეორესთან ან არავითარი აზრობრივი კავშირი არა აქვს, ან, თუ აქვს, ძალიან განსაზღვრული და ბუნდოვანი. სხვანაირად რომ ვთქვათ, სიმღერა იგება რიტმულ-სინტაქსურ საწყისებზე, ხშირად ვარიაციულ პარალელზე. ეს პარალელიზმი წარმოადგენს მეორე ჯგუფის ოსური გმირული სიმღერების ერთ-ერთ ძირითად და მნიშვნელოვან ნიშანთვისებას. ოსურ სიმღერებში ორივე ნაწილი



ჩვეულებრივად ერთგვარი სინტაქსური სტრუქტურისა და ერთნაირი რიტმისაა და აუცილებლად ირითმება. ამასთან რითმა, როგორც წესი, ძალიან მდიდარია. მუსიკალობის მიხედვით ისინი ერთობ სიმეტრიული არიან და ავსებენ ორ პარალელურ მუსიკალურ ფრაზას, რომლებიც ზედიზედ სრულდება.

მაგრამ როგორია აზრობრივი ურთიერთობა პირველსა და მეორე ნაწილს შორის? ეს საკითხი საკმაოდ რთულია.

ერთი შეხედვით, ასეთი კავშირი საერთოდ არც არსებობს. პირველ ნაწილს თითქოს არავითარი ურთიერთობა არა აქვს სიმღერის შინაარსთან და მისი დანიშნულება თითქოს ისაა, რომ მოგვეცეს მეორე, არსებითი ნაწილის სინტაქსური, რიტმული და რითმული პარალელი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია დავიჭიროთ რაღაც ბუნდოვანი და შორეული სემანტიკური კავშირი პირველსა და მეორე ნაწილს შორის. ეს კავშირი, თუკი იგი არსებობს, ლოგიკური კი არა, არამედ ხატოვანი და პოეტურია.

ავიღოთ ლექსის ორი ტაევი:

ძაბიღირი სანიქქ წითილ ბაზზადი,  
და თუვისაჲ ძიძილ ბაზზადი —  
ჯიხვის თიკანი დარჩა მყინვარზე;  
შენი შურისმაძიებელი (ვაჟიშვილი) თოთო  
ბავშვი დარჩა  
(ე. ი. უმწეო ბავშვი).

აქ მყინვარზე უმწეოდ დარჩენილი ჯიხვის თიკნის სახეს მივყავართ ჩვილის სახისაკენ, რომელიც გმირ მამას ძუძუთა ბავშვი დარჩა. აქ თითქოს არ არსებობს კავშირი გამოგონილი მონადირისა და რეალური გმირის — ძიბირთას მოქმედებას შორის, მაგრამ ლექსი მაინც აღწევს მიზანს.

არავითარი კავშირი არ არის ასეთ ლექსშიც:

თერჩი ბილილ ართა ურს დური,  
სიჯითმა არვისთონ ართა უსგურჩი.  
თერგის ნაპირზე სამი თეთრი ქვაა,  
მე საიქოში ვაგამგზავრე (მოვკალი) სამი  
სასიძო (ახალგაზრდა კაცი).

აქ ლექსის პირველი ნაწილი რითმულ და რითმულ პარალელურსა ხსენდება.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ საუკეთესო მომღერალი პოეტები პარალელიზმს იყენებენ როგორც პოეტურ გამომსახველობით საშუალებას სიმღერის ხატოვანებისა და ემოციურობის გასაძლიერებლად.

დანარჩენებისათვის კი პარალელიზმი ფორმალური კომპოზიციური ხერხია.

ზემოთ მითითებული ორი სტროფი — პარალელიზმით და უპარალელიზმოდ — ყოველთვის როდი არის „სუფთა“ სახით წარმოდგენილი. ხშირად თავისუფალ, სტროფებად დაულაგებელ ტექსტში იპარება პარალელიზმები, და, პირიქით, მთლიანად პარალელიზმებზე აგებული ტექსტი შესაძლოა წყდებოდეს („არაორგანიზებული“) შეძახილებით. წარმოადგენს თუ არა ამგვარი პარალელიზმები ოსური გმირული სიმღერების აუცილებელ და ძირეულ ელემენტს, ჯერ არ არის გამოკვლეული.

ზოგიერთ სიმღერაში, უეჭველად უფრო ძველებში, იგი ნაკლებად ან სულ არ გვხვდება, როგორც მაგალითად, სიმღერებში ქურდთათზე, ჩერმენზე, თაიმურაზზე და სხვა. არ არის გამორიცხული, რომ პარალელიზმი, როგორც გმირული სიმღერის წყობის აუცილებელი ხერხი, შედარებით ახალი მოვლენაა. შესაძლოა, იგი მხოლოდ მე-19 საუკუნეში იღებს სათავეს. მასში ასახულია სხვა ქანრების გავლენა, რომლებშიც პარალელიზმი აუცილებელი იყო.

უპარალელიზმო სიმღერებში რითმებს ვერ ვხვდებით. პარალელიზმის დროს კი რითმა აუცილებელია. სწორედ რითმის აუცილებლობა წარმოადგენს უმთავრეს სტიმულს პარალელური ლექსების გაგრძელებათა წარმოსაქმნელად. ამ მხრივ ბევრი სიმღერა ვირტუოზულ სრულყოფას აღწევს და განცვიფრებას იწვევს რითმათა ჟღერადობით და სიმდიდრით.

შეიძლება დავასახელოთ ბევრი შემთხვევა, როცა რითმული თანხმიერება მოიცავს არა მხოლოდ პარალელური ლექ-

სების უკანასკნელ სიტყვებს, არამედ  
ლექსის მთელ სიტყვიერ მასალას (პან-  
ტო რითმა):

ფინგთა სამადთა  
სილდაგ მოყოთაი.  
ფინდას რამარდთა  
სილდაგ ბულკონთაი.

(სიმღერა ილიკო ფუხათზე).

გმირული სიმღერის პოეტური გამომ-  
სახველობითი არსენალი ძალზე მარტი-  
ვია.

შედარებები: გმირის თოფს, რომე-  
ლიც ჭეჭა-ჭუხილით უგზავნის სიკვდილს  
მტრებს, ხშირად უდარებენ მოღრიალე  
ხარს (გალაუ უასი), სხვა შემთხვევაში  
გმირის თოფის გასროლა ჰგავს ცის ჭე-  
ჭა-ჭუხილს და სხვ.

ხატოვანი შედარების ელემენტები  
ზოგჯერ შეიმჩნევა თვით პარალელიზმე-  
ზში, რომლებზეც აგებულია სიმღერათა  
უმრავლესობა. დაღუპული გმირის და-  
ობლებულ შვილს უდარებენ მყინვარზე  
დარჩენილ პატარა ჯიხვს, გმირის დებს—  
მტრედებს (სიმღერა ხაზბიზე), ბრძოლა-  
ში მოჭრილი გმირის მარჯვენა ჰგავს ხი-  
დან მომტვრეულ ტოტს და ა. შ.

ეპითეტები: გმირს ხშირად უწოდებენ

„პატარას“ (ჩისილ, მინგი). რადგან მის  
ეპითეტი სულ სხვადასხვა გმირის მხ-  
მართ არის გამოყენებული (თოთრად,  
ცომაყ, აქიმი), ძნელი საფიქრებელია,  
რომ ყოველთვის მხედველობაში ჰქონ-  
დათ გმირის პატარა ტანი. ეს უფრო პი-  
რობითი შემამკობელი ეპითეტია, რომე-  
ლიც შესაძლოა ხაზს უსვამს იმ კონტ-  
რასტს, რაც გმირის გარეგნულ შეუხედა-  
ობასა და მის საგმირო საქმეს შორის არ-  
სებობს.

ეპითეტი „დიდი“ შეგვხვდა მარტო  
ერთ შემთხვევაში, იგი ესენ ყანუყვათ-  
ზეა თქმული.

სხვა დანარჩენი ეპითეტები გმირი-  
სა: ხორზ — სახელოვანი, ყაბათირ—მა-  
მაცი, საუ — შავგვრემანი, სარჯინ —  
ქორბუდა ირემი.

სისხლს ყველგან შავს უწოდებენ (საუ  
თუგ).

ასეთია წინასწარი, განზოგადებული  
დასკვნები, რომელთა გამოტანაც შეიძ-  
ლება ოსური საგმირო სიმღერების ჩა-  
ნაწერების საფუძველზე. ახალი დოკუ-  
მენტური მასალები საშუალებას მოგვ-  
ცემს გავადრმაოთ და გავაფართოოთ ეს  
დასკვნები.





## გიორგი ქაღიმათი

### «ჰამლეტი» ოსური თეატრის სცენაზე

1964 წლის 23 აპრილს სამხრეთ-ოსეთის თეატრალურ ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა: კოსტა ხეთაგათის (ხეთაგუროვის) სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ოსურ ენაზე პირველად დადგა უილიამ შექსპირის „ჰამლეტი“.

სპექტაკლი სეზონის დასასრულამდე თითქმის ოცდაათჯერ წარმოადგინეს. მას ესწრებოდნენ როგორც საოლქო ცენტრის — ქალაქ ცხინვალის, ასევე მეზობელი სოფლების მცხოვრებლები. სპექტაკლი ჩრდილოეთ ოსეთში — ქალაქ ორჯონიკიძეშიც აჩვენეს, სადაც მას დიდი წარმატება ხვდა წილად.

პირველი ოსური თვითმოქმედი დრამატული წრეები ჩამოყალიბდა 1904 წლის ზაფხულში, ხოლო სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა თავისი პირველი სპექტაკლი 1931 წლის 29 ივლისს აჩვენა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია „ჰამლეტის“ დადგმა ოსური თეატრისათვის, რომელიც სულ მოკლე დროში თვითმოქმედი დრამატული წრიდან მაღალპროფესიულ თეატრად იქცა. მას ამჟამად შესწევს ძალა დადგას არა მარტო ეროვნული დრამატურგიული ნაწარმოები, არამედ ღრმად ჩაწვდეს მსოფლიო დრამატურგიის უდი-

დეს და ურთულეს ნაწარმოებთა გმირების სულეირ სამყაროს.

ჯერ კიდევ ჩვენი ეროვნული თეატრისა და დრამატურგიის ჩასახვის გარიჟრაჟზე მისი ფუძემდებელი ელბიზდიყო ბრიტიათი (1881—1923) თავის ერთ-ერთ მოქმედებთან კომედიაში „შორს მაიმუნი, გაუმარჯოს ოსურ თეატრს“, ერთ-ერთ მოქმედ პირს ასე ალაპარაკებდა: „ადამიანს ყველაფერში ესმარება მეტყველების უნარი... ყველა გემუდარებით (მიმართავს გმირი შემოქმედს) — მიეც მას (ახალშექმნილ ოსურ თეატრს) მეტყველების უნარი, რომ ენა მისი იყოს ხმაზე ბასრი და ზარზე უფრო ქლერდეს... მიეც მას ისეთი აზრი, ისეთი ენა, რომ მხოლოდ სიმართლე უთხრას ხალხს, რომ თავისი სიმართლით უსამართლობას თვალეში დასთხაროს“.

აღსრულდა ე. ბრიტიათის ოცნება: შეიქმნა ოსური საბჭოთა თეატრი, სიმართლისა და დიდი პროფესიული ხელოვნების თეატრი, რომლის „ენა ხმაზე ბასრია და ზარზე უფრო ქლერს“, რომელიც ხალხს მხოლოდ „სიმართლეს უქადაგებს“.

სპექტაკლ „ჰამლეტით“ აღინიშნა ორი თარიღი: ოსური თეატრის დაარსების 60 წელიც და შექსპირის დაბადებიდან 400 წლისთავიც.

სპექტაკლის დადგმა ერთგვარად გააძნელა დასის სიმცირემ. ამიტომ ზოგ მსახიობს სპექტაკლში ორი-სამი როლის შესრულება მოუხდა, მასობრივ სცენებში კი თეატრის თითქმის მთელი ტექნიკური პერსონალი მონაწილეობდა. მიუხედავად ამისა, დამდგმელმა რეჟისორმა შეძლო მოემზადებინა ორი ოფელია (სვეტლანა ცხურბათი და რაისა გასითი), ორი მეფე (ზაურბეგ ჯიოთი და ივანე ჯიგაითი), სამი დედოფალი (საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ზინაიდა ვაგლითი, მსახიობები ვეკლინა გუქქათი და ლუდმილა ვალვანთი). ყოველივე ეს ადასტურებს იმ თავდადებულ მუშაობას, რაც ამ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებულმა ნიჭიერმა კოლექტივმა გასწია.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ვასილ ფოტიევმა. ეს ის რეჟისორია, რომელმაც ჩრდილოეთ ოსეთის დრამატული თეატრის სცენაზე პირველმა გამოიყვანა ოტელოს როლში ვლადიმერ თხაბსაევი, ამჟამად საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი. „ჰამლეტის“ ოსური თარგმანი ეკუთვნის ნიჭიერ საბჭოთა პოეტსა და დრამატურგს გრის ფლითს. იგი საერთოდ ბევრს მუშაობს შექსპირის დრამატურგიის თარგმანზე. კომპოზიტორია საქართველოს სსრ ხელოვნების და მსახურებელი მოღვაწე არჩილ ჩიმაკაძე, მხატვარი — პავლე ქოზათი.

ჰამლეტის როლს ასრულებს მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის სტუდიის აღზრდილი მაირბეგ აბაითი.

მ. აბაითის მიერ შექმნილი ჰამლეტის სახე მრავალმხრივია — იგი მებრძოლი, ოპტიმისტი, ფილოსოფოსი და დიდი ჰუმანისტი. მ. აბაითის ჰამლეტი მთელი სპექტაკლის მანძილზე ემსახურება ერთ ცენტრალურ იდეას, სამართლიანობისა და ადამიანური ღირსებებისათვის ბრძოლის იდეას. მან იცის, რომ „დანია საპყრობილეა“, რომ „მთელი მსოფლიო საპყრობილეა“ და სწორედ ამიტომ იბრძ-

ვის ამ საპყრობილის დასამხობად, სიმართლის სადიდებლად. ჰამლეტი ილუპება, მაგრამ ილუპება ვაჟკაცურად და მაყურებელსაც მტკიცედ სწამს, რომ საქმე, რომელსაც ჰამლეტი შეეწირა, აუცილებლად გაიმარჯვებს.


კარგად უთქვამს ა. კაჩალოვს: „...ჰამლეტი უნდა იყოს... დიდი, მოწინავე ადამიანი, ცოცხალი, მზარდი და მებრძოლი, რომელიც ილუპება და თავისი დილუპებით იმარჯვებს“.

მ. აბაითის განსაკუთრებულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სცენა ოფელიასთან, ჰერტრუდასთან, შეხვედრა პოლონიუსთან მოხეტიალე მსახიობთა გამოსვლამდე, დიალოგი მესაფლავესთან.

ოსურ ფოლკლორში მეტად გავრცელებულია სიმღერა სახალხო გმირ ჩერმენზე. თუ ადამიანს ადამიანად არ მოიხსენიებენ, — ნათქვამია ამ სიმღერაში, — ეს მისთვის ყველაზე დიდი უბედურებაა. არც ერთი უხეში სიტყვა ისე არ შეუარაცყოფს ოსს, როგორც მისი ადამიანობის უგულვებელყოფა. აბაითის ჰამლეტს სწორედ ეს მაღალი ადამიანური ღირსება და სინდისი ამოძრავებს და ამიტომ არის იგი ჩვენთვის ასე მახლობელი, გასაგები.

დღემდე ოსურ თეატრს შესანიშნავი ოტელო ჰყავდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ვლადიმერ თხაბსაევის სახით, ახლა მას შესანიშნავი ჰამლეტიც შეემატა.

სხვა შემსრულებელთა შორის უნდა აღინიშნოს გაბრიელ თაუგაზთის პოლონიუსი, სვეტლანა ცხურბათის ოფელია, ეველინა გუქქათის დედოფალი ჰერტრუდა, რუსლან ზალითის ლაერტი, მახამათ მაძაითის ჰორაციო და სხვანი. შემსრულებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თამაშში მაყურებელი ვერ გრძნობს ყალბ პათოსს, რაც ამ ახალგაზრდა კოლექტივის პროფესიულ სიმწიფეს მოწმობს.



## ბოკის სანაყოთი

### ახალგაზრდა ხელოვნება

წარსულში, მეფის რუსეთის ბევრი პატარა ერის მსგავსად, ოსეთის კულტურაც ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, მხატვრულ ქარგულობაში, ხის, ავეჯისა და ჭურჭლის მოჩუქურთმებასა და სხვადასხვა იარაღის მოსევადებაში მკლავდებოდა.

ოსეთის სახვითი ხელოვნების მამამთავრად სამართლიანად ითვლება კოსტა ხეთაგათი (ხეთაგუროვი) მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული კაცი, ოსური მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურული ენის ფუძემდებელი.

დიდი პოეტი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე პირველი ოსი მხატვარიც იყო. მის შემოქმედებაში რელიეფურად აისახა XIX საუკუნეში ოსი ხალხის სულიერი და მატერიალური ყოფა.

„პატარა ოსი ხალხის პოეტის კოსტას სახელი კაცობრიობის საამაყო სახელთა შორის მოიხსენიება. ოს ხალხს შეუძლია იამაყოს, რომ სოციალიზმის მრავალეროვანი კულტურის საგანძურში მხატვარ კოსტა ხეთაგუროვის მიერ გაცოცხლებული ფერები და საღებავებიც აელვარდება“ (ა. ფადეევი).

კოსტა ხეთაგათის ყოველი ნაწარმოები ჰუმანიზმითა და მშობლიური ხალხის სიყვარულითაა გამსჭვალული. თავის ნამუშევრებში მან სრული სიმართლით ას-

ახა ოსი ხალხის მძიმე მდგომარეობა, მთიელთა უნაყოფო შრომა, ხალხის შავბნელი ცხოვრება.

ცარიზმის რეჟიმის პირობებში მხოლოდ ერთეულები თუ იკავებდნენ გზას შემოქმედებისაკენ. ასეთი ტალანტი აღმოჩნდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ჩრდილო-ოსეთის ასსრ სახალხო მხატვარი მახარბეგ თულანთი. იგი მ. თოიძესთან ერთად სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში.

1930-დან 1952 წლამდე (გარდაიცვალა 1953 წ.) მ. თულანთი მუშაობდა სამხრეთ-ოსეთში, სადაც მისი მოღვაწეობა განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო. მხატვარს ფართო შესაძლებლობა მიეცა ემოღვაწა თავისი ხალხის საკეთილდღეოდ და ისიც აღმაფრენით, თავდაუზოგავად შეუდგა მუშაობას. ოცდაათიან წლებში პროფესიულად გაფორმდა ოსური თეატრის სპექტაკლები: „ღუნია“, „ნართი ბათრამ“ და სხვ.

ოსეთის ისტორიის, ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების დიდი მკოდნე მ. თულანთი ერთ-ერთი ბედნიერი მხატვართაგანია, რომელთაც სახვითი ხელოვნების ყველა დარგზე მიუწვდებათ ხელი. მაგრამ მის უდიდეს დამსახურებად მაინც 1931 წელს ცნინვალში სახვითი



ხელოვნების სტუდიის დაარსება უნდა ჩაითვალოს, რომელიც შემდგომში სამხატვრო სასწავლებლად გადაკეთდა. ამ სასწავლებლის კედლებში მიიღო განათლება სამხრეთ-ოსეთის თითქმის ყველა ახალგაზრდა მხატვარმა.

ამჟამად სამხრეთ-ოსეთში რამდენიმე ათეული მაღალნიჭიერი მხატვარი მუშაობს. მათ სხვადასხვა დროს წარმატებით დაამთავრეს მოსკოვის, ლენინგრადისა და თბილისის საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლები.

ამ თაობის მხატვრები სამხრეთ-ოსეთის ახალგაზრდა სახვით ხელოვნებაში ამკვიდრებენ ცხოვრებისა და თავისი შემოქმედებითი ამოცანების ახლებურ გაგებას, დიდი ენთუზიაზმით ჰკიდებენ ხელს ოსი ადამიანების შრომისა და ცხოვრების ამსახველი მხატვრული ტილოების შექმნას, ისწრაფვიან ჩამოაყალიბონ მშობლიური ხალხის ეროვნული ხელოვნება. მათ თავიანთ ტილოებში სურთ ხორცი შეასხან ყველაფერ საუკეთესოს, რაც ჩვენს სინამდვილეს ახასიათებს.

უკანასკნელ წლებში სამხრეთ-ოსეთში ვითარდება სახვითი ხელოვნების ყველაჟანრი: ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, მონუმენტური მოხატულობა. ოსი მხატვრების შემოქმედების მთავარი თემა თანამედროვე ცხოვრებაა.

ვ. ქოქოითი ფართო დიაპაზონისა და მგზნებარე ტემპერამენტის მოქანდაკეა. ვ. ქოქოითის შექმნილი სახეები მონუმენტური და შთამაგონებელია. მოქანდაკეს განსაკუთრებით პორტრეტი იტაცებს, სადაც დიდ გამომსახველობასა და მომხიბვლელობას აღწევს. ვ. ქოქოითმა შექმნა სამამულო ომის გმირთა სახეების მთელი სერია. ამჟამად მოქანდაკე მუშაობს სამოქალაქო ომის გმირების სახეების შექმნაზე (ამ ნამუშევარს იგი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის დაამთავრებს).

მონუმენტური მხატვრობის დარგში

უკანასკნელ წლებში წარმატებით მოქანდაკეობენ გ. ყოთაითი, მ. ქოქოითი და უ. გასითი, რომლებმაც მოხატეს ცხინვალის დრამატული თეატრი. გ. ყოთაითი ამჟამად წარმატებით მუშაობს დაზღურ ფერწერაში, ხატავს შრომისა და კულტურის მოწინავე ადამიანების პორტრეტებს. ამჟამად დროს მუშაობს რთულ კომპოზიციურ ტილოზე „მთიელები ლენინთან“. ამ ტილოს მხატვარი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს უძღვნის.

მ. ქოქოითი სრულყოფილად დაეუფლა ფლორენციული მოზაიკის რთულ ტექნიკას და უკვე შექმნა ლენინის, საბჭოთა კავშირის გმირის გაგარინის და კოსტა ხეთაგათის შესანიშნავი პორტრეტები.

ოს მხატვართა შორის პეიზაჟის ოსტატებად ითვლებიან: გ. დოღუშთი, მ. მინასოვი, ხ. გასითი. მათ ნამუშევრებში იგრძნობა ოსტატობის სრულყოფისკენ ლტოლვა. ამ ქანრის ნაწარმოებებში ჩანს ყველაზე მეტად მშობლიური ბუნების დიდი სიყვარული.

ოსეთის ბუნება თითქმის ყველა მხატვრის შემოქმედებაში იმკვიდრებს ადგილს. ის თავისებურად მკაცრია, მაგრამ ამჟამად დროს ფერთა და კოლორიტიარბილი და ზომიერი. ა. ვანეთი გვახარებს მშობლიური ბუნების ამსახველ გრაფიკული ციკლებით.

პორტრეტული ფერწერა სამხრეთ-ოსეთში მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს. თუმცა პორტრეტი სახვითი ხელოვნების ურთულესი ჟანრია, ზოგიერთმა ავტორმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია და ბევრი საინტერესო პორტრეტი შექმნა. ეს პირველ რიგში შეიძლება ითქვას მოქანდაკე ვ. ქოქოითზე, რომლის მიერ შექმნილი სახეები პლასტიკურადაა გადაწყვეტილი. პორტრეტულ ჟანრში მუშაობს აგრეთვე მოქანდაკე ვ. ჩილახსაი.



## 3კალიბრა გოლოტი

### მხოლოდ ციფრები და ფაქტები

საბჭოთა კავშირის სხვა ეროვნებათა შორის ოსებს რიცხოვნობად 27-ე ადგილი უჭირავთ. მოსახლეობის 1959 წლის აღწერის მონაცემებით საბჭოთა კავშირში ცხოვრობს 410.000 ოსი, აქედან 141.000 საქართველოს სსრ-ში.

△ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია 3,9 ათას კვადრატულ კილომეტრს მოიცავს. ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ზღვის დონიდან 1500—3000 მ. სიმაღლეზეა.

△ თანამედროვე ოსების წინაპრები არიან ალანები. IX—XIII საუკუნეებში ალანები ერთ კავშირად გაერთიანდნენ. ალანთა კავშირს ფართო პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ სახელმწიფოებთან: საქართველოსთან, ბიზანტიასთან, რუსეთთან და სხვ. ეს კავშირი XIII საუკუნეში დაიშალა მონღოლ-თათართა შემოსევის შედეგად. მონღოლებისა და თათრებისაგან შევიწროებული ოსები ცენტრალური კავკასიის მთებში დასახლდნენ.

„ოსები კავკასიაში მობინადრე ტომიდან უღატაკესი ტომიანო“, — წერდა ა. ს. პუშკინი თავის ნაწარმოებში „მოგზაურობა არზრუში“.

დღეს ოსები საბჭოთა კავშირის მოძმე

ხალხებთან ერთად იზიარებენ იმ დიდ ბედნიერებას, რაც ხალხს დიდმა ოქტომბერმა და კომუნისტურმა პარტიამ მოუტანა.

△ ოსეთი, მისი ადამიანები, ბუნება, ასახულია გამოჩენილი რუსი მწერლების ა. გრიბოედოვის, ა. პუშკინის, ა. ბესტუჟევი-მარლინსკის, ა. პოლეჟაევის, მ. ლერმონტოვის, ა. ოსტროვსკის, ლ. ტოლსტოის, ა. ჩეხოვისა და სხვათა ნაწარმოებებში და მოგზაურთა ჩანაწერებში.

△ სამხრეთ-ოსეთის მშრომელები მრავალჯერ აღმდგარან მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. დიდი აჯანყებები მოხდა 1804, 1810, 1830, 1840 და 1850 წლებში.

ოსმა მშრომელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1905—1907 წლების რევოლუციაში.

ბევრი მებრძოლი დაეცა სასტიკ ბრძოლებში, ბევრს ბორკილები დაადეს და ციმბირში გადაასახლეს.

△ საბჭოთა ხელისუფლებამ ბედნიერება და თავისუფლება მოუტანა ოს ხალხს. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით 1922 წლის 20 აპრილიდან შეიქმნა სამხ-

რეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი; ოლქის ცენტრი გახდა ქ. ცხინვალი.

△ სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიის 44,6 პროცენტი უჭირავს ფოთლოვან და წიწვიან ტყეებს. ოლქის ტყის საერთო ფართობი 169.313 ჰექტარს შეადგენს.

△ სამხრეთ-ოსეთის მთებიდან მოედინება მდინარეები: დიდი და პატარა ლიახვი, ქსანი, მეჯუდა, ლეხურა (მტკვრის შენაკადები), ყვირილა, ჯოჯორა (რიონის შენაკადები).

დიდ და პატარა ლიახვსა და ქსანზე სარწყავი არხებია გაყვანილი.

მაღლა მთებში მდებარეობს ტბები — ყელი და ერწო.

△ ოსური დამწერლობის წარმოშობა ოსეთის რუსეთთან შეერთებასთანა დაკავშირებული. პირველი ნაბეჭდი წიგნი ოსურ ენაზე 1798 წელს დაიბეჭდა რუსული გრაფიკის გამოყენებით. ასევე რუსული ანბანის მიხედვით ა. შოგრენმა დაამუშავა ოსური ანბანი, შემდეგ კი იგი ვ. მილერმა სრულყო.

△ ოსური ხალხური ეპოსი „ნართების თქმულებები“ საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზეა გამოცემული, მათ შორის ქართულ და რუსულ ენებზეც.

△ პირველი ოსური გაზეთი „ირონ გაზეთ“ („ოსური გაზეთი“) 1906 წელს გამოდიოდა თბილისში.

△ ოსები უძველესი დროიდან ჩინებულ მემრებად ითვლებიან. დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ოსები ყოველთვის ქართველთა მხარდამხარ იბრძოდნენ. ოსებისა და ქართველების მეგობრობას ღრმა ფესვები აქვს. ეს მეგობრობა სამშობლოსათვის დაღვრილი სისხლითაა განმტკიცებული.

△ რუსეთ-თურქეთის ომში (1877—1878 წლები) ოსების მოხალისეთა დივიზია მონაწილეობდა. „ოსები პირველნი ჩაებნენ

დუნაისათვის ბრძოლაში. ისინი ჩვენს ჯარს უკან მხოლოდ მაშინ მოექცოდნენ, როცა მტერს ზურგს შევუბრუნებდით“ ~~წერდა~~ რუსი გენერალი ი. ტუტოლმინი. დუნაის არმიის მხედართუფროსი კი აი რას წერდა კავკასიის მეფისნაცვალს:

„მეფის ნებართვით გთხოვ გამოგიზავნო რაც შეიძლება მეტი ცხენოსანი ოსი. ოსები გმირები არიან, მათი მსგავსი ბევრი არაა ამ ქვეყანაზე, გამოგზავნეთ რაც შეიძლება მეტი“.

△ ოსებს არ დავიწყნიათ თავიანთი მამაცი წინაპრების საუკეთესო ტრადიციები — მემორული სული, სამშობლოსათვის ბრძოლაში თავგანწირვა. ეს ფაშისტებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს დიდი სამამულო ომის დროს. ასობით და ათასობით ოსმა გაითქვა სახელი. ერთ ბრძოლაში ხაძიმირზა მილძიხთიმ 108 შეიარაღებული ჰიტლერეული მოსპო.

პატარა ოსეთმა სამშობლოს მისცა 53 საბჭოთა კავშირის გმირი და 32 გენერალი.

△ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონი საბჭოთა ხელისუფლებისათვის სახელგანთქმული მებრძოლის — ზნაურ ზაურბეგის ძე აიდართის სახელს ატარებს. ზნაურ აიდართი რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეთ კომიტეტის დავალებით შეიარაღებულ აჯანყებას ხელმძღვანელობდა. 1919 წლის 15 ნოემბერს ხელში ჩაუვარდა მენშევიკებს, რომლებმაც იგი დახვრიტეს.

ქალაქ ცხინვალის ერთ-ერთი ქუჩაც აიდართის სახელს ატარებს.

△ დიდი პოეტი კოსტა ხეთაგათი თავისი დროისათვის ყოველმხრივ განვითარებული კაცი იყო. მისი დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე აღექსანდრე ფადეევმა მას ოსი ხალხის ლეონარდო და ვინჩი უწოდა. და მართლაც, კოსტა შესანიშნავი პოეტი, ბრწყინვალე პუბლიცისტი, დრამატურგი, პროზაიკოსი, დიდი ნიჭით დაჯილდოებული მხატვარი-ფერმწერი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე იყო.

△  
კოსტა ხეთაგათის პოემის „ფატიმას“ მიხედვით ქართველმა კინემატოგრაფისტებმა შექმნეს მხატვრული ფილმი „ფატიმა“. „ფატიმას“ დიდი წარმატებით უჩვენებენ არა მარტო საბჭოთა კავშირის ეკრანებზე, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

△  
რევოლუციამდელი ოსეთი ჩამორჩენილი და ყველასაგან მივიწყებული განაპირა მხარე იყო მეფის რუსეთისა. წერა-კითხვა ორიოდე კაცმა იცოდა, იმ დროისათვის მეცნიერებაზე ლაპარაკიც ხომ შედმეტი.

დღეს ოსეთში წერა-კითხვის უცოდინარობა საკვებით მოსპობილია. ოსი ხალხის წიაღიდან ბევრი მეცნიერი, მწერალი და მხატვარი გამოვიდა. მსოფლიოში პირველ ატომურ ყინულმჭრელ „ლენინს“ ხელმძღვანელობს ოსი ი. ქუჩიითი.

△  
საბჭოთა ხელისუფლებამდე ოსეთში არავითარი მრეწველობა არ არსებობდა: დღეს სამხრეთ-ოსეთში მრავალი სამრეწველო დაწესებულებაა. ოლქის მშრომელთა სიამაყეა კვასის ტყვია-თუთიის საწარმო.

△  
ოსეთში ბევრია ღრმად მოხუცებული. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობენ ოთხმოცი წლის და მეტი ხნის ადამიანები. ოსი აგორ ყოროთი მზარეულად მუშაობდა კავკასიაში რუსთა ჯარების მხედართუფროსთან გენერალ ერმოლოვთან. აგორ ყოროთმა 157 წელი იცოცხლა. იგი გარდაიცვალა 1958 წელს.

△  
სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში მთავარი ადგილი მეცხოველეობას უჭირავს. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს ყოველწლიურად აწვდიან უამრავ ხორცს, რძესა და მატყლს. მარტო ლენინგორის რაიონი ერთი წლის განმავლობაში იმდენ მატყლს აძლევს სახელმწიფოს, რამდენიც საკმარისია 450 000 მეტრი მატერიისათვის.

△  
ოსეთი ძველთაგანვე ცნობილია მოჭიდავეებით. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში მთელ ევროპაში გაითქვა სახელი

ბოლა ყანუყვამთა. ორი მეტრის სიმაღლის ვაჟკაცს უზარმაზარი ძალა ჰქონდა. მისი სახელი ფართოდ იყო ცნობილი არა მარტო რუსეთში, არამედ საფრანგეთში, თურქეთში, ბულგარეთში, იტალიაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში, სადაც მას არა ერთი და ორი ფალავანი დაუმარცხებია.

ბ. ყანუყვას „ყაზბეგ-გმირს“ ეძახდნენ.

△  
ცნობილი ოსი მოჯირითე ალიბეგ ყანთემირათი თავის ხელოვნებას მრავალი ქვეყნის ცირკის არენაზე უჩვენებდა და ყველგან უდიდესი წარმატებით სარგებლობდა. ალიბეგის ტრადიციებს მისი შვილები და შვილიშვილები აგრძელებენ.

△  
ოსურ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ნ. გოგოლის, ლ. ტოლსტოის, ა. ჩეხოვის, მ. გორკის, ვ. მაიაკოვსკის, ა. ტოლსტოის, ა. ფადეევის, ნ. ტიხონოვის, კ. სიმონოვის, პ. ტიჩინას, თ. გონჩარისა და სხვათა ნაწარმოებები.

ოსურ ენაზე გამოცემულია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა ფშაველას, გ. ტაბიძის, ლ. ქიაჩელის, გ. ლეონიძის, ი. აბაშიძის, კ. ლორთქიფანიძის, ა. ქუთათელის, ი. ნონეშვილის, თ. ჭელიძის და სხვათა ნაწარმოებები.

△  
საკავშირო მნიშვნელობის კურორტ ჯავას გარდა, სამხრეთ-ოსეთში ბევრი ულამაზესი ადგილია, სადაც მაღალმთიანი კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტები გაშენდება.

△  
ოსეთის ტერიტორიაზე ასობით მინერალური და სამკურნალო წყაროა. ზოგიერთი მათგანის დებიტი დღე-ღამეში ნახევარ მილიონ ლიტრს აღწევს.

მინერალური წყაროს „ძაუს“ ბაზაზე აგებულია ჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც წელიწადში 3 მილიონამდე ბოთლ მშვენიერ სასმელ და სამკურნალო წყალს აწვდის ჩვენს მშრომელებს.

△  
სამხრეთ-ოსეთში ბევრია სოფელი, სადაც ძმურად ცხოვრობენ ოსები და ქართველები.

ასეთ სოფლებში ოსები სუფთა ქართულით  
ლაპარაკობენ, ქართველები კი სუფთა ოსუ-  
რით.

ამ სოფლების მცხოვრებთათვის ორივე  
ენა — ქართული და ოსური მშობლიურია.  
ზოგიერთი ქართველი ლექსებსა და მოთხ-  
რობებსაც კი წერს ოსურ ენაზე, ოსები კი  
ქართულ ენაზე წერენ.

△  
ქართველმა კომპოზიტორმა ვ. დოლიძემ  
შეკრიბა და დაამუშავა მრავალი ოსური  
ხალხური სიმღერა.

△  
უხუცესმა ოსმა კომპოზიტორმა ბორის  
გალათმა დაწერა მუსიკა კინოფილმებისათ-  
ვის „ფატიმა“ და „საბჭოთა ოსეთი“. 1928  
წლიდან გალათი აგროვებს ოსურ ხალხურ  
სიმღერებს. მას შეკრებილი და ჩაწერილი  
აქვს შვიდასზე მეტი სიმღერა და საცეკვაო  
პანგი.

გალათის მიერ შეკრებილი სიმღერების  
ნაწილი მოსკოვში გამოიცა ე. ვ. გიპიუსის  
წინასიტყვაობითა და რედაქციით.

△  
შავი ზღვისა და დუნაის ტალღებს სერავს  
ლამაზი თბომავალი „ოსეთი“. ამას გარდა  
კიდევ ორი გემი — ერთი ტანკერი და მეო-  
რე მაშველი გემი ოსურ სახელებს ატარებს.

△  
იქ, სადაც წინათ ძლივს ბჟუტავდა ნავ-  
თის ლამბა, დღეს ილიჩის ნათურები კაშკა-  
შებს. სამხრეთ-ოსეთის ათობით სოფელი  
ელექტროფიცირებულია. მაღალი ძაბვის  
დენის მავთულები გაჭიმულია ქსნის, ლეხუ-  
რას, ლიახვისა და კუდაროს ხეობების მა-  
ღალმთიან სოფლებამდე.

სოფლების ელექტროფიკაცია გრძელდება  
და უახლოეს წლებში დამთავრდება.

△  
სამხრეთ-ოსეთის მშრომელები უყურებენ  
და უსმენენ არა მარტო თბილისის, არამედ

სხვა ქალაქების ტელეგადაცემებსაც. წა-  
რეტრანსლაციო ტელესადგურები მუშაობს  
ცხინვალსა და ლენინგორში.

△  
სამხრეთ-ოსეთში გამოდის ორი ყოველ-  
დღიური საოლქო გაზეთი „სოვეთონ ირის-  
თონ“ და „საბჭოთა ოსეთი“, აგრეთვე ლი-  
ტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებ-  
რივ-პოლიტიკური ჟურნალი „ფიდიუაგი“.


△  
ოსური ეროვნული თეატრი უკვე სამოცი  
წელია არსებობს. სამხრეთ-ოსეთის სახელ-  
მწიფო დრამატული თეატრი 1931 წელს  
დაარსდა. 1938 წელს შეიქმნა სამხრეთ-ოს-  
ეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო  
ანსამბლი. ამ წლებში ოსური ხელოვნების  
ბევრი შესანიშნავი ოსტატი გაიზარდა.  
1940 და 1957 წლებში სამხრეთ-ოსეთის  
ხელოვნების მუშაკებმა თბილისის მაყურე-  
ბელს უჩვენეს თავიანთი ხელოვნება.

△  
ბევრ ხელოვანს მიენიჭა საქართველოს  
სახალხო არტისტის, ხელოვნების დამსახუ-  
რებული მოღვაწისა და დამსახურებული  
არტისტის წოდება.

სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო თეატრი  
და სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ხშირად  
მიემგზავრებიან საგასტროლოდ საქართვე-  
ლოს რაიონებსა და საბჭოთა კავშირის ქა-  
ლაქებში.

△  
ცხინვალში არსებობს სამხატვრო სასწავ-  
ლებელი. აქ და სხვა სასწავლო დაწესებუ-  
ლებებში მრავალი ნიჭიერი მხატვარი აღი-  
ზარდა. სამხრეთ-ოსეთის მხატვრების ნა-  
მუშევრებს აჩვენებენ თბილისის, ორჯონი-  
კიძისა და ცხინვალის გამოფენებზე.

საქართველოს მხატვართა კავშირის სა-  
ოლქო განყოფილება თავის რიგებში 25-ზე  
მეტ მხატვარ-პროფესიონალს და 30 დამ-  
წყებ მხატვარს აერთიანებს.



## ჩვენის ავტორები

(ბიოგრაფიული ცნობები)

### ვასო აბაიტი

ვასო ივანეს ძე აბაიტი დაიბადა 1900 წელს. 1925 წელს დაამთავრა ლენინგრადის უნივერსიტეტი. იგი ავტორია მრავალი ფუნდამენტალური შრომისა ოსურ დიალექტოლოგიაში. ვ. აბაითის უმნიშვნელოვანესი შრომაა „ოსური ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“. ვასო აბაიტი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია.

### რევაზ ასათი

რევაზ ნიკოლოზის ძე ასათი დაიბადა 1923 წელს. დაამთავრა სასხრეთ-ოსეთის კვლავობითი ინსტიტუტი და ორწლიანი უმაღლესი ლიტერატურული კურსები ქ. მოსკოვში. ლექსებს გამოსცა 1938 წლიდან. იგი ლექსების 21 კრებული ავტორია.

რ. ასათის ლექსები თარგმნილია ქართულ, რუსულ და საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე.

### ელიოზ ბაკოიტი

ელიოზ დავითის ძე ბაკოიტი დაიბადა 1909 წელს. დაამთავრა სასხრეთ-ოსეთის კვლავობითი ინსტიტუტი. წერს ადრე დაიწყო. მისი მოთხრობების პირველი კრებული გამოქვეყნდა 1929 წელს. იგი ცამეტი წიგნის ავტორია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბაკოითის რომანი „ფატიმა“ — პირველი ოსური ტრილოგია.

### გიორგი ბენთაუთი

გიორგი გიორგის ძე ბენთაუთი დაიბადა 1932 წელს. 1957 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლო-

გიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება (ქართული სექტორი). იგი ლექსების სამი კრებულის ავტორია.

1964 წელს გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ ქართულ ენაზე გამოცა ბ. ბენთაუთის ლექსების წიგნი.

### ალექსი გუჭული

ალექსი დიმიტრის ძე გუჭული დაიბადა 1920 წელს. დაამთავრა სასხრეთ-ოსეთის კვლავობითი ინსტიტუტი. მისი ნაწარმოებები გამოცემულა 1946 წლიდან. გამოცემა მოთხრობების რამდენიმე კრებული. მის კალამს ეკუთვნის რომანი „უპაიღებელი მთებში“, რომლის მეორე ნაწილიც გალუ გამოცა.

### ნიკოლოზ გაგლოიტი

ნიკოლოზ დავითის ძე გაგლოიტი დაიბადა 1900 წელს. 1918 წლიდან 1953 წლამდე სამხედრო სამსახურში იყო. წერს დაიწყო 1924 წლიდან. იგი სამოცამდე მოთხრობის ავტორია.

### პრიგოლ გაგლოიტი

პრიგოლ იოსების ძე გაგლოიტი დაიბადა 1909 წელს. დაამთავრა გორჯოშის კვლავობითი ინსტიტუტი. 1960 წელს გამოცემა მოთხრობების პირველი კრებული, ხოლო 1964 წელს კი — საბავშვო მოთხრობა „დედისმეტა“.

წერს ლექსებს და მოთხრობებს.

### გაფეზი

გაფეზი (გაგლოიტი) თეოდორე ჯაჭარიას ძე) დაიბადა 1913 წელს. დაამთავრა ცხინვალის კვლავობითი ინსტიტუტი.

ლექსების ბოძება დაიწყო 1932 წლიდან. მისი მრავალი ნაწარმოები თარგმნილია ქართულ და რუსულ ენებზე.

### ვლადიმერ გოლოტი

ვლადიმერ ევსტაფის ძე გოლოტი დაიბადა 1910 წელს. პროფესიით ჟურნალისტი. 1934 წლიდან წარს მოთხრობებსა და ნარკვევებს.

### მიხეილ გუცვაჭთი

მიხეილ ვლადიმერის ძე გუცვაჭთი დაიბადა 1930 წელს. მოთხრობებს წერს 1950 წლიდან. გამოცემული აქვს მოთხრობების ორი კრებული.

### მელიტონ გაბული

მელიტონ ალექსანდრეს ძე გაბული დაიბადა 1928 წელს. დაამთავრა ცხინვალის კულტურის ინსტიტუტი. 1954 წელს გაემოსცა ლექსების წიგნი, შემდეგ კი მოთხრობების რამდენიმე კრებული.

### კავლე თაღაევი

კავლე დავითის ძე თაღაევი დაიბადა 1926 წელს. დაამთავრა ცხინვალის კულტურის ინსტიტუტი. შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვში, უმაღლეს პარტიულ სკოლაში. მუშაობდა საპარტიო სსრ კომპარტიის სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად; ჯავის რაიონის კომის თავმჯდომარედ, შემდეგ საპარტიო კომპარტიის სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის პრეზიდენტად და აბიჯაციის განყოფილების გამგედ.

ამჟამად საპარტიო კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდიანია.

### ილია კავკაზაძე

ილია თაღაევის ძე კავკაზაძე (შაცვაჭთი) დაიბადა 1910 წელს. დაამთავრა ლენინგრადის საცენო ხელოვნების ინსტიტუტი. წერს 1928 წლიდან.

ი. კავკაზაძე ლექსებისა და მოთხრობების რამდენიმე კრებულის ავტორია.

### კოსტა მარღიტი

კოსტა იოსების ძე მარღიტი დაიბადა 1922 წელს.

1941 წელს საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე დაიწყო სახელმწიფო ომში ბრძოლის. ფრონტიდან გზავნიდა ლექსებს, რომლებიც იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში.

1959 წელს დაამთავრა უმაღლესი ლიტერატურული კურსები, ამაჟამად დაუსრულებლად სწავლობს გორკის სახელობის ლიტერატურულ ინსტიტუტში. გამოცემული აქვს ლექსებისა და პოემების ოთხი კრებული.

### მიხეილ ნართიანი

მიხეილ ვლადიმერის ძე ნართიანი დაიბადა 1927 წელს. დაამთავრა ცხინვალის კულტურის ინსტიტუტი.

მისი ლირიკული ლექსების პირველი კრებული 1956 წელს გამოვიდა. არის მრავალი მოთხრობის ავტორი. ამავე დროს რუსულ ენაზე თარგმნა ქართულ კლასიკოსთა ნაწარმოებები.

### ვასო სანაყოტი

ვასო მიხეილის ძე სანაყოტი დაიბადა 1901 წელს. მისი პირველი წიგნი „ოცდაც ბარბულები“ 1941 წელს გამოიცა ქართულ ენაზე. წერს როგორც რუსულ, ისე ქართულად. იგი შვიდი წიგნის ავტორია. ძირითადად მუშაობს დრამატურებისა და პროზაში.

### გორის სანაყოტი

მხატვარი გორის იოსების ძე სანაყოტი დაიბადა 1920 წელს. დაამთავრა მოსკოვის სურსათის სახელობის სამხატვრო ინსტიტუტი.

### ილია ფლიტი

ილია კონსტანტინეს ძე ფლიტი დაიბადა 1913 წელს. დაამთავრა ცხინვალის კულტურის ინსტიტუტი. წერს დაიწყო 1935 წლიდან.

იგი ლექსებისა და მოთხრობების მრავალი კრებულის ავტორია.

### ფელიქს ფლიტი

ფელიქს იესეს ძე ფლიტი დაიბადა 1936 წელს. ლექსებს წერს 1955 წლიდან. მისი ლექსების პირველი კრებული წელს გამოიცა.

### ალექსანდრე ფუხათი

ალექსანდრე სპირიდონის ძე ფუხათი დაიბადა 1927 წელს.

1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1946 წელს. გამოცემული აქვს ლექსების სამი წიგნი.

## ინდილორა კოჭათი

ინდილორა სოფრომის ძე კოჭათი დაიბადა 1929 წელს. დაამთავრა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი. ლიტერატურულ მოღვაწეობას იწყებს 1949 წლიდან. იგი ლექსების ორი კრებულის ავტორია.

## ბერსან ყოღალატი

ბერსან ჭურბაძის ძე ყოღალატი დაიბადა 1938 წელს. 1961 წელს დაამთავრა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი. იბეჭდება 1950 წლიდან. 1964 წელს გამოსცა ლექსების პირველი კრებული „თანამგზავრი“.

## გიორგი ქაღითაი

გიორგი კეტრას ძე ქაღითაი დაიბადა 1913 წელს. დაამთავრა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1934 წლიდან იწყებს ლიტერატურულ მოღვაწეობას, როგორც მთარგმნელი და კრიტიკოსი.

## ვაჟი-მურატ ქუცატი

ვაჟი-მურატ არანბაძის ძე ქუცატი დაიბადა 1935 წელს. დაამთავრა მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. პერიოდულ კრებაში იბეჭდება 1948 წლიდან. ლექსების შვიდი კრებულის ავტორია. „სომეხის კისბაღი“ რუსულ ენაზე 1960 და 1964 წწ. გამოსცა მისი ლექსების ორი კრებული.

ქუცატმა გამოსცა მონოგრაფია — „ჩემი ბეჭნიანის შემოქმედება“ და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების კრებული — „გუშინ და დღეს“.

## გიორგი ქუბათი

გიორგი ხასაყოს ძე ქუბათი დაიბადა 1911 წელს. სწავლობდა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

1938 წელს გამოსცა ლექსების პირველი კრებული. ამჟამად უკვე ლექსების 12 კრებულის ავტორია.

## რაჟო ცოციტი

რაჟო მიხეილის ძე ცოციტი დაიბადა 1906 წელს. დაამთავრა მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი და შუბ-

ნალისტიკის ინსტიტუტი. ცოციტიმ კალმას ეკუთვნის ორი რომანი, მრავალი პიესა და მოთხრობა.

პირველი  
გამოცემის

## ლეონიდ ხარბათი

ლეონიდ ხარბათი დაიბადა 1934 წელს. დაამთავრა სახანო-ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტი. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1952 წელს. გამომცემელი აქვს ლექსების ორი კრებული „ჩანჩქერი“ და „ჩემი სივარული“.

## სერგო ხაცირთი

სერგო ივანეს ძე ხაცირთი დაიბადა 1918 წელს. 1942 წელს დაამთავრა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი. ლიტერატურულ მოღვაწეობას იწყებს 1937 წლიდან. რამდენიმე რომანის, პიესისა და მოთხრობის ავტორია. მასვე ეკუთვნის პირველი ოსური ოპერის — „სივარული“ ლიბრეტო.

## ზინაიდა ხოსთიყოთი

ზინაიდა ალიხანის ასული ხოსთიყოთი დაიბადა 1937 წელს. დაამთავრა გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. პირველი წიგნი — „ბანთიანი ჩემს ფანჯარასთან“ მოსკოვში „მოლოდინა გარდასა“ გამოსცა. კომედი ქალი ორი წიგნის ავტორია.

## დავით ჯიოთი

დავით ანტონის ძე ჯიოთი დაიბადა 1913 წელს. სწავლობდა პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1940 წელს საავტომობილო პატახტროფაში მოქმედა, რამაც საშუალოდ ლიბრეტოს მიუძღვა. 1948 წელს გამოსცა მისი პირველი რომანი „ბოლშევიკური ძალა“. იგი ავტორია ოთხტომიანი რომანის („შქლებელი ძალა“). ამავე დროს გამომცემელი აქვს ლექსებისა და მოთხრობების რამდენიმე წიგნი. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ქართულ და რუსულ ენაზე.

## ნაფი ჯუსოთი

ნაფი გრიგოლის ძე ჯუსოთი დაიბადა 1924 წელს. იგი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატია. ლექსების პირველი კრებული „ჯარისკაცის გული“ გამოვიდა 1947 წელს. დღეს იგი რამდენიმე ლირიკული წიგნის ავტორია. ასევე წარმატებით მუშაობს როგორც მკვლევარი.







## შეზარებული კვირის დღეები

### კ ა შ ა ს რ ი თ მ ა

ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, ისევე როგორც მისი პოემებისა და ლექსების დიდი უმრავლესობა, რვა-მარცვლიანი საზომით — დაბალი შაირის ნახევარტაეპით არის დაწერილი.

ცნობილია, რომ სალექსო საზომს სიმ. ღერა უდევს საფუძვლად. თავდაპირველად, ძველი ბერძენი პოეტები თავიანთ ნაწარმოებებს მღეროდნენ, ხოლო უფრო მოგვიანებით ლექსს რომელიმე მუსიკალური ინსტრუმენტის ხმასთან შეწყობილად კითხულობდნენ; ლექსის რიტმი ამ მუსიკალური ინსტრუმენტის რიტმს ერწყმოდა.

დაბალი შაირისთვის ასეთი ინსტრუმენტი ხალხური საკრავი — ფანდური იყო. ძველი საგმირო სიმღერები (ფშავესურული და სხვ.), როგორც წესი, დაბალი შაირით იყო გამართული და ფანდურზე იმღერებოდა. საგმირო ხასიათის უძველესი ხალხური ლექსები და ბალადები დღესაც ისევე იმღერება ფანდურზე, როგორც მრავალი საუკუნის წინათ იმღერებოდა.

საგმირო ამბების ამსახველი ნაწარმოებების აღსანიშნავად ხევსურეთში საგანგებო ქანრიც კი არსებობს: ს ი მ დ ე რ ე. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა აკად. აკაკი შანიძის განმარ-

ტება: „სიმღერე საგმირო საქმეების წყობილ სიტყვად ასხმულ ქმნილებას ჰქვიან და თავისი მუსიკალური ჰანგი აქვს ფანდურზე...“ (ა. შანიძე, ხევსურული პოეზია, თბილისი, 1931 წ. გვ. 19). ფანდური სწორედ ის საკრავია, ზუსტად რომ ეხმიანება დაბალი შაირით გაწყობილ საგმირო სიმღერებს და მათ ბუნებას შეესაბამება.

დაბალი შაირის ნახევარტაეპის ბოლო ტერფი, როგორც წესი, დაქტილურია და ამიტომაც აქ რითმაც დაქტილურია. ეს რითმა უეჭველად ხალხური წარმოშობისაა. იგი თავიდანვე უხვად იხმარებოდა ხალხურ პოეზიაში.

დაქტილური რითმების სიმრავლეს ქართულ პოეზიაში ჩვენი ენის ბუნება განსაზღვრავს. „სტუმარ-მასპინძელიდან“ ჩვენ მოვიყვანთ იმის მაგალითებს, თუ დაბალი შაირის ნახევარტაეპის ბოლო ტერფში მოხვედრილი ორმარცვლიანი სიტყვა ხმოვნის დამატებით როგორ იქცევა დაქტილად. ხალხური ლექსებისა და ბალადების უმრავლესობა დაბალი შაირით არის გამართული. დაბალი შაირი და, კერძოდ, დაქტილური ტერფი ნაწარმოებში მოთხრობილ ამბავს, ამა თუ იმ მოვლენას, ეპიურობას, სიღინჯეს ანიჭებს. შემთხვევითი არ უნდა იყო ს,

რომ რუსთაველი თავის პოემას დაბალი შაირით იწყებს და მითვე ამთავრებს.

სხვა ერთა პოეზიაში დაქტილური რითმა სრულებითაც არ არის ასე გავრცელებული. მაგალითად, რუსული და ევროპული პოეზიისათვის დაქტილური რითმა არ არის ისევე მისაღები და ბუნებრივი, როგორც ქართული პოეზიისათვის. ფრანგულ და გერმანულ პოეზიაში უმეტესად ვაყური და ქორეული რითმები ენაცვლება ერთმანეთს; ქარბობს ვაყური რითმა, დაქტილური კი იშვიათად გვხვდება. ინგლისურ პოეზიაში კი ვაყური, ქორეული და დაქტილური რითმები ნებისმიერად ენაცვლება ერთმანეთს, ხოლო ინგლისური ენის ბუნების შესაბამისად, ამ რითმებში ვაყური რითმა უფრო ხშირია (ბ. ტომაშევსკი, ლიტერატურის თეორია, მოსკოვი, 1930, გვ. 97, რუსულ ენაზე).

სწორედ ენის ხასიათი და ბუნება განსაზღვრავს იმას, რომ ინგლისური პოეზიისათვის ვაყური რითმა ისევე ჩვეულებრივი და ბუნებრივია, როგორც ქართულისათვის — დაქტილური რითმა.

სანამ უშუალოდ „სტუმარ-მასპინძლის“ რითმის ანალიზზე გადავიდოდეთ, გვინდა ზოგადად შევეხოთ დაბალი შაირის მნიშვნელობასა და ადგილს თანამედროვე ქართულ პოეზიაში. უახლეს ქართულ პოეზიას, რა თქმა უნდა, უარი არ უთქვამს შაირზე — ჩვენი ვერსიფიკაციის ამ ერთ-ერთ უძირითადეს საზომზე, მაგრამ XX საუკუნეში მისი ხმარების არე მკვეთრად შეიზღუდა.

გალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც უაღრესად გაამდიდრა და ახალ საფეხებზე აიყვანა ქართული ლექსი, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას ხშირად მიმართავდა როგორც მაღალ, ასევე დაბალ შაირს. კერძოდ, შაირით არის დაწერილი მისი ცნობილი ლექსები: „ვწერ ვინმე მესხი მეღვინე“, „მესხის გამოხედვა“, „ქართული ორნამენტი“, „წინანდალელი ნათელა“, „მივარდნილი აივანი“... მიუხედავად იმისა, რომ თავისი ხასიათით, ინტონაციითა და თვით საზომის მხრივ ეს ლექსები ახლოს დგას

ხალხურ პოეზიასთან, მაინც შესამჩნევად განსხვავდება მისგან. ხალხური ლექსისთვის, ხალხური ბალადისთვის მაგი ვჯარედინი რითმა უცხოა, ხოლო გალაკტიონ ტაბიძე შემოთჩამოთვლილ ლექსებში ყველგან ორმაგ ვჯარედინ რითმას მიმართავს, რითაც ხალხური ლექსის ერთგვარ სტილიზაციას ახდენს. ეს მომენტი (შაირის ნახევარტაბეში ორმაგი ვჯარედინი რითმის გამოყენება) ძირითადად უახლესი ქართული პოეზიისათვის არის დამახასიათებელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შაირით დაწერილ ლექსში გალაკტიონ ტაბიძე ორმაგ ვჯარედინ რითმას ხმარობს. სტილიზაციის ელემენტები რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს, მოვიყვანოთ პოეტის ერთ-ერთი ადრინდელი ლექსი („წინანდალელი ნათელა“):

წინანდალელი ნათელა  
ულამაზესი ქალია.  
ო, ჩემო ციციანთელა,  
ჩემო ციხე და გალია.  
მთელი საღამო შევჯერდით:  
რა არის ქალის სინაზე,  
მაგრამ უცერად შევჩერდი  
მშვენიერ თინათინაზე.  
ბრწყინავდა საარაკო ცა, —  
მთვარე დაბრუნდა ბინაზე,  
როს შექმა ღრუბელს აკოცა  
ყველა ქალების ჭინაზე.

საყურადღებოა ერთი გარემოება: ეს ლექსი პოეტს ჯერ კიდევ 1911 წელს დაუწერია, მაგრამ მასში მაინც გარკვევით ჩანს გალაკტიონ ტაბიძის წერის მანერის თავისებურებანი, იგრძნობა განსხვავებული პოეტური ხმა, ნაწარმოების კილო უაღრესად ხალხური; ხალხურ პოეზიასთან ახლოებს ამ ლექსს ისიც, რომ მასში რამდენიმე ერთნაირი რითმა (სინაზე — თინათინაზე — ბინაზე — ჭინაზე), თუმცა აქვეა ისეთი იშვიათი საერთო ერთეული (საარაკო ცა — აკოცა), რასაც ვირტუოზული სალექსო ტექნიკა ესაჭიროება.

გალაკტიონ ტაბიძეს აქვს დაბალი შაირის ნახევარტაბეპით დაწერილი ისეთი ლექსიც („ისევ ახალგაზრდობას“),

სადაც პოეტი ორმაგ ჯვარედინ რითმას არ მიმართავს; ყველა სტროფი ინტერვალირითიანია.

გალაკტიონ ტაბიძე ხალხურ საზომს, ხალხურ ფორმას შემოქმედებითად უდგებოდა — თვისობრივად ამდიდრებდა და ცვლიდა მას.

განსაკუთრებით ხშირად მიმართავს შაირს გიორგი ლეონიძე. ამ საზომით მან მრავალი ლექსი და პოემა დაწერა: მათ შორის აღსანიშნავია: „თბილისის განთიადი“, „შავი ზღვის პირს შავი მუხა“, „თუშის ქალი ალავერდობაში“, „წარწერა წიგნზე“, „კახეთი“, „შინმოუსვლელო, სადა ხარ“, „არ დაიდარდო, დედაო“, „ვეფხისტყაოსანს“, „მყვირალობა“, „ფორთოხალა“, „კახური განთიადები“ და მრავალი სხვა.

ამ ნაწარმოებთა უმრავლესობაში გიორგი ლეონიძე ლექსს ხალხურ ფორმას, ხალხური ლექსებისა და ბალადებისათვის დამახასიათებელ სტრუქტურას უნარჩუნებს. ამის უმთავრესი პირობა და ნიშანი ის არის, რომ პოეტი იშვიათად იყენებს ორმაგ ჯვარედინ რითმას, ეს კი დიდად აახლოებს მას ხალხურ პოეზიასთან.

გიორგი ლეონიძის ლექსებიდან ფორმის თვალსაზრისით განსაკუთრებით ახლო დგას ხალხურ პოეზიასთან მისი ცნობილი პატრიოტული ლექსი „არ დაიდარდო, დედაო“.

თუ მეცხრამეტე საუკუნეში, გარკვეული მიზეზების გამო, რუსთველურმა თექვსმეტმარცვლიანმა შაირმა დაკარგა პრივილეგიური მდგომარეობა, ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში მკვეთრად შეიზღუდა რვა მარცვლიანი შაირი — როგორც დაბალი, ასევე მაღალი. შაირი ნაკლებად მოსახერხებელი აღმოჩნდა თანამედროვე ადამიანის რთული და მრავალფეროვანი სულიერი სამყაროს გადმოსაცემად. მისი ადგილი მტკიცედ დაიკავა ათმარცვლიანმა საზომმა.

როგორც ცნობილია, ქართველი პოეტებიდან ხალხურ პოეზიასთან ყველაზე მჭიდროდ, ორგანული კავშირი ვაჟა-ფშაველას ჰქონდა. როცა ვაჟას პოეზიის

რაიმე თავისებურებას აღვნიშნავთ, ხალხური პოეზიის თავისებურებებზე უნდა გავითვალისწინოთ. მხატვრულ ნაწარმოებში ფიქსირებული ფორმების გამოვლენის ტენდენციებს როცა ეხება, პროფ. გრ. კიკნაძე წერს: „...ხალხურ პოეზიაში ხშირად ჩვენ ერთ სარიტმო ერთეულთან გვაქვს საქმე ერთი დიდი ნაწარმოების ფარგლებში. ყოველ შემთხვევაში სარიტმო ერთეულთა რაოდენობა იქ ერთობ განსაზღვრულია“. ოდნავ ქვემოთ კი აღნიშნულია: „სარიტმო ერთეულთა მრავალფეროვნების ძიებისაკენ სავანგებოდ არ არის მიმართული ისეთი პოეტის ყურადღება, როგორც არის ვაჟა-ფშაველა“ (გრიგოლ კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბილისი, 1959 წ. გვ. 72).

მართლაც, ვაჟა-ფშაველას ბევრი ცნობილი ლექსი თუ ბალადა ერთი სარიტმო ერთეულით არის დაწერილი. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ: „ეს ვახაფხულიც მოვიდა“, „მთაო, შეშაუპოვარო“, „ლურჯას“, „ჯამრული“, „იას უთხარით ტურფასა“, „ჩემის კაცობის გვირგვინო“, „დავით გურამიშვილის სსოვნას“, „მე შენის ტრფობით ვერ გავეძღ“, „დიდი თამარი“... ზოგიერთ მხოზრდილ ლექსში კი სარიტმო ერთეულთა რაოდენობა მეტად შეზღუდულია. მაგალითად, „ხევისბერის განცხადებაში“, რომელიც 82 სტრიქონისაგან შედგება, ორი მონათესავე სარიტმო ერთეულია გამოყენებული (ხატისა — მწადისა... და ცალითა — თვალითა...) ერთ-ერთ ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში („აქა ამბავი დისწულ-დედიძითი“, ლექსი 194 სტრიქონს შეიცავს) ვაჟა მხოლოდ ოთხ სარიტმო ერთეულს ხმარობს. სარიტმო ერთეულების გამოყენების მხრივ ასევე შეზღუდულია ვაჟას სხვა ვრცელი ლექსები: „კაი ყმა“, „პასუხი აკაკის“, „საშობაო სიხმარი“ და სხვ.

ლექსებთან შედარებით მეტ მრავალფეროვნებას იჩენს ვაჟა პოემებში, თუმცა ხშირად იქაც სტრიქონთა დიდი რაოდენობა ერთი სარიტმო ერთეულით არის გაერთიანებული. მაგალითებად გამო-

გვადგებოდა „ალუდა ქეთელაურისა“ და „ბახტრიონის“ შესავალი თავები.

ვაქას რითმა რომ გვინტერესებდა, „სტუმარ-მასპინძელი“ შემთხვევით არ აგვიჩვენია. ეს ნაწარმოები პოეტის შედეგებს მიეკუთვნება და მასში გამოვლენილია ავტორის ინდივიდუალური თვისებები და შესაძლებლობანი. „სტუმარ-მასპინძელი“ ვაქას ისეთი ნაწარმოებია, რომლის მიხედვით შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ საერთოდ ვაქას რითმაზე.

„სტუმარ-მასპინძლის“ რითმები განსხვავებული ხასიათისაა და მათ მნიშვნელობაც სხვადასხვა აქვთ. რითმების უდიდესი ნაწილი, როგორც ეს დაბალი შაირის ნახევარტაეში იყო მოსალოდნელი, დაქტილურია.

ანალიზის დროს ჩვენი ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, რითმაში გრამატიკული პარალელიზმების დაძვევის მძლავრმა ტენდენციამ მიიქცია. ამ მოვლენის სათავე ხალხურ პოეზიაში უნდა ვეძებოთ. არსებითი სახელი და ზმნა — მეტყველების ორი სხვადასხვა ნაწილი — ხალხურ ლექსებშიც ხშირად არის გარითმული: ხმაო — ვთქვაო; შეილებსა — გვაცოდვილებსა; ღვთისაო — მდისაო; ქალები — შევებრალეები; ზღვებია — გზლებია; ფეხები — ვეხეხები... (ვახტანგ კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბილისი, 1961, გვ. 34, 37, 38, 84, 85). აღსანიშნავია, რომ ბოლო წყვილი, ეს იშვიათი სარიტმო ერთეული, გვხვდება ქართული ეპოსის უძველეს ძეგლში — „ამბავი ამირანისა“.

აღნიშნული ტიპის რითმა მეტწილად ერთგვაროვანი რითმების თავმოყრის შედეგად ჩნდება. ჩვენი დიდი ეროვნული პოეტების (რუსთაველი, გურამიშვილი, ვაჟა-ფშაველა) ქმნილებებში ამ რითმამ ხალხური პოეზიიდან გაიკვალა გზა, მაგრამ მათ გარითმვის ეს ყველაზე ეფექტური, ხელსაყრელი და ურთულესი ხერხი უფრო დახვეწეს და შეგნებულნი გახადეს. ამის შესახებ კონკრეტულად ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

„სტუმარ-მასპინძლის“ რითმის ანა-

ლიზმა დაგვარწმუნა, რომ ვაჟა-ფშაველას უხვად ხმარობს ხალხურ უაღრეს გამართულ რითმას, მაგრამ, ხალხურ პოეზიის რითმებისგან განსხვავებით, მისი რითმა მრავალ სიხალეს და თავისებურებას შეიცავს.

ვაჟა-ფშაველამ ააღორძინა და ახალი სული შთაბერა ხალხურ ეპოსს და ლირიკას. მისი ლექსებისა და პოემების უდიდესი ნაწილი ხალხურ (ფშაურ) კილოზეა დაწერილი და ფორმაც ხალხური აქვს. ვაქას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მისი შთამაგონებელი ხალხური თქმულებები, ხალხში გაგონილი ამბები იყო. ვაჟა საკუთარი „ფანტაზიის და გონების მანგანაში“ ატარებდა ხალხურ მასალას. ხალხური პოეზია მისი შემოქმედების მთავარი წყარო იყო, მაგრამ ინდივიდუალობა არასდროს არ დაუკარგავს. ამის აუცილებლობა მას კარგად ესმოდა და ამის შესახებ შესანიშნავადაც წერდა:

„პოეტმა თუ ყოველივე ამბავი თავისებურად არ შეიმუშავა, თავის გრძნობა-გონების საკუთრებად არ გადააქცია, ამოდ დაშვრება, მის ნაწარმოებს არავინ ჰკვამყოფელი ხელოვნურს არ უწოდებს, ეს ჰეშმარტება დღესავით, მზესავით აშკარაა“ (ხაზი ავტორის ეკუთვნის).

ხალხური კილოსა და ფორმის ათვისებისა და გამოყენების მხრივ ვაჟა-ფშაველას ისეთი დიდი წინამორბედი ჰყავდა, როგორც დავით გურამიშვილი იყო. ხალხურ პოეზიაზე დაყრდნობით დავით გურამიშვილმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაარღვია რუსთაველის ოთხსტრიქონიანი სტროფი და ქართულ პოეზიაში თამამად შემოიტანა ხალხური კილო და წყობა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მისი „დინარია“. აღნიშნული ლექსის ფორმის ხალხურობისათვის რომ ხაზი გაესვა, პოეტს მისთვის შენიშვნა წაუმძღვარებია: „პატარა ქალო თინაო“-ს სანაცვლოდ სამღერალი“. ლექსში მხოლოდ ფორმაა ხალხური; თავისი შინაარსით იგი დავით გურამიშვილის მორალურ და ფილოსოფიურ

მრწამსს გამოხატავს და ღვთაებისადმი არის მიმართული. ლექსი ორი ნაწილისგან შედგება. მოგვყავს პირველი ნაწილი:

ვაჭოთ, ვადიდოთ ვინაო? — ღმერთი  
მაღალთა შინაო,  
კინცა შეამკო ქვეყანა, ღამე დღე  
განაბრწყინაო;  
ზღვით, ხმელით, ხითურთ, ბალახით  
მთა-ბორცვი აღმოფინაო,  
ყოველი ნივთისაგანი მაშვიან განაჩინაო;  
ჩვენ, კაცი, მიწა და წყალი შეგვზილა,  
აღვადგინაო,  
მოგვცა სიბრძნე და დაგვიღმა ქმნული  
ყოველი წინაო.  
და ჩვენც გემართებს მსხვერპლი შეგწვიროთ —  
ღავით თქვა — იმისთვისაო.

გურამიშვილის პოეზიამ მძლავრი გავლენა იქონია ვაჟაზე, მაგრამ ეს გავლენა მეტწილად ხალხურ პოეზიასთან, გამოსახვის ხალხურ საშუალებებთან დამოკიდებულებაში გამოიხატა.

ჩვენი აზრით, ზედმეტი არც იმის აღნიშვნა იქნება, რომ ვაჟაზე ყრმობის ემს გარკვეული ზემოქმედება მოახდინა რაფიელ ერისთავის ლექსებმა. ამაზე თვით ვაჟა წერს: „რა თქმა უნდა, თ. რაფიელის ლექსებმა, როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებურ მთის კილოთი, სხვანაირად ააჩქაროლა ჩემი გული, სხვანაირად შესძრა იგი. ამასთანავე ნუ დავიწყებთ იმასაც, რომ თუმც მამინ შეგირდი ვახლდით, მაგრამ ხალხური ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდე. ეს კილო მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა; თუმც მამინაც ლექსებს ვწერდი, ანუ უკეთ რომ ვსთქვით ვბლაჯინდი, მაგრამ ამ საერო კილოზე წერას ვერა ვბედავდი, რადგან მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული, არამედ სხვა კილო მეფობდა. ჯერ დღესაც ჭირს ამ ფშაურს კილოზე ნაწერის ლექსების საზოგადოებისაგან ყურის დაგდება და მამინ ხომ უფრო საძნელო იქნებოდა. ჩვენმა სახელოვანმა მხცოვანმა მგოსანმა რაკი საერო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ „ივე-

რიამ“ გზა დაუთმო, მეც ვაბედულად მომემდია“.

ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ვაჟაზე ელ ერისთავის ლექსებს გარკვეული სამსახური გაუწევია ახალგაზრდა ვაჟასთვის, რათა მას ვაბედულად დაეწყო წერა ფშაურ კილოზე. ეს კილო და ხალხური ფორმა ვაჟას პოეზიას ბოლომდე შერჩა.

„სტუმარ-მასპინძლის“ სარიტმო ერთეულთა დიდი უმრავლესობა (156) ღია მარცვლებით ბოლოვდება. თანხმონით დაბოლოებული (დახურული) სარიტმო ერთეული პოემაში სულ 17-ჯერ გვხვდება; აქედან ნარი რვა ერთეულს მოუღდის ბოლოში, ხოლო დონი, თანი და სანი თვითეული სამ-სამჯერ ხურავს რითმას. ღია რითმა სილაღეს, მუსიკალობას ანიჭებს ქართულ ლექსს. ყველაზე ნათლად ამაზე ის მეტყველებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1669 სარიტმო ერთეულში თანხმოვანზე გათავებული რითმა მხოლოდ 363-ჯერ გვხვდება. ქართული პოეზიის ეს საუკეთესო თვისება, რა თქმა უნდა, ვაჟას დასახელებულ პოემაშიც გამოვლინდა.

„სტუმარ-მასპინძლის“ ღია რითმებიდან ყველაზე მეტი (101) ა-ზე ბოლოვდება. 84 შემთხვევაში ა პროსოდიული მარცვალა — იგი ერთვის გასართმავ სიტყვას, რათა ტერფი დაქტილამდე შეივსოს. მაგრამ „სტუმარ-მასპინძელში“ ა მხოლოდ პროსოდიული ხმოვანი როდია — იგი სხვა ფუნქციითაც გვხვდება — ზოგჯერ შედგენილი შემასმენლის ნაწილია „მოჰკლან, თუ მოჰკლეს, ახია!“). ხშირად იგი მესამე პირის სუბიექტური ნიშანია ზმნაში („მზე ჯერ არ ამოსულიყო, ნამს ჯერ ბალახზე ეძინა, არ დაებერა ნიავსა, დაბლა არ ჩამოეფინა“) გვხვდება შემთხვევა, როცა ა სიტყვის — არსებითი სახელის ძირისეული ხმოვანია („მგზავრმა შეჰხედა — პირ-აღმე, წინ უდგას მაღალი გორა“). „სტუმარ-მასპინძლის“ რითმებში მეორე პროსოდიული ხმოვნის ო-ს გამოყენების 11 შემთხვევა აღვრიცხეთ. (მაგ. „სიბნელეს უცდის, მივიდეს, ღამით

იტროს მკვდარიო; იმას აღარა ფიქრობდა, ჯოყოლა როგორ არიო“). არის შემთხვევები, როცა ორივე პროსოდიული ხმოვანი ერთი სარითმო ერთეულის ფარგლებშია მოქცეული; მათი შერწყმა ლექსში სასიამოვნო ჟღერადობას ბადებს: „ძაღლ იყოს თქვენის მტრისადა! გაჟაკო იღებს ხმასაო, ბეწვს იშლის ხარაზმარეული, როგორაც ვეფხი თმასაო“.

„სტუმარ-მასპინძელში“ ერთნაირი შედგენილობის მრავალი რითმა სხვადასხვა ადგილზე სხვადასხვა სახით გვხვდება. იმის წარმოსადგენად, თუ როგორია ინტერვალი ერთნაირი შედგენილობის რითმებს შორის მთელი პოემის მანძილზე, მოგვყავს რამდენიმე ტიპური მაგალითი. პირველივე სარითმო ერთეული (სახითა — ტანტითა — ჯავრითა), მხოლოდ 44 ერთეულის შემდეგ იჩენს თავს: (ხამითა — ღამითა — თვალითა — ძალითა — ძვალითა); მესამედ და საბოლოოდ იგივე რითმა 19 ერთეულის შემდეგ გვხვდება (მაგიტა — ძაფითა). ჩვენ მხოლოდ ამ შედგენილობის რითმას ვვლისხმობთ, თორემ ით სუფიქსისა და ემფატიკური ა-ს მქონე რითმა პოემაში სხვაც ბევრი არის (თოკითა — კოკითა; ჭექითა — ბექითა; პირითა — თლილითა და სხვა). მეორე სარითმო ერთეული ასეთია: წყალზედა — ტანზედა — გზაზედა და ამგვარი შედგენილობით იგი 139 ერთეულის შემდეგ გვხვდება (ტანზედა — მხარზედა — თავზედა — ცდაზედა — მთაზედა), ხოლო საბოლოოდ ვაჟა მას 31 ერთეულის შემდეგ იყენებს (მთაზედა — აღზედა).

სუფიქსური რითმა, რომელსაც კლაუზულაში იალი მოუღის — ქართულ პოეზიაში ერთ-ერთი უძველესია. ეს რითმა სრულყოფილი სახითა და განსაკუთრებული ფუნქციით ჯერ კიდევ რუსთაველთან გვხვდება, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ ვმირები ჭაჭეთის ციხეს ესხმიან თავს (სტრ. 1414):

ანაზად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან  
შექმნა წრიალი,  
რა ნახეს, კარნი გაახვენეს, ქლაქის ვახდა  
ზრიალი,

სამთვე სამგნით მიჰმართეს, თავსა მი  
უყვებს რიადი  
იერეს ნობსა და დაბდაბსა, შემეხვედნენ  
ტკარციალი.

ამ სტროფში გამოყენებული რითმები ხელს უწყობს ბატალური სცენების სიმძაფრეს. ამას ძირითადად რ და ლ მჟღერი საყრდენი თანხმოვნების მეზობლობა ქმნის. ეს რითმა თავიანთ ბუნებით უმთავრესად სმენითია; იგი „სტუმარ-მასპინძელშიც“ იმ ადგილას გვხვდება, სადაც ქისტები მიძინარე ზვიადაურს ესხმიან თავს და ჯოყოლას ხმაური და ჩოჩილი ესმის:

ყური დაუგდე კარგადა,  
კაცისა მესმის ხრიალი,  
რა მქისე ხმაურობაა  
რა საზარელი გრიალი!  
ჩემს სტუმარსა ჰკლევინ, სწორედა,  
უდგასთ ხანჯლების პრიალი.

ბოლო რითმა (პრიალი) მხედველობასთან არის დაკავშირებული (ამ შემთხვევაში ემირის წარმოსახვით, რადგან ქისტებს იგი უშუალოდ ვერ ხედავს და მხოლოდ შორიდან ესმის ხმაური), რაც ზვიადაურზე თავდასხმის სურათს კიდევ უფრო ამძაფრებს.

ამ ტიპის სუფიქსური რითმა პირველად პოემის მეორე თავში ჩნდება, როცა ხმაურზე დამფრთხალი ჯოყოლა უცნობ მონადირეს დაინახავს (ჩხრიალი — ტიალი). სხვა შემთხვევაში იგი ან ამ სახით გვხვდება, ან კიდევ ბოლოში თანი დაერთვის; 48 ერთეულის შემდეგ ვაჟა ზემოთმოყვანილ სტრიქონებში იყენებს ამ რითმას (ხრიალი — გრიალი — პრიალი), გარდა ამისა ორჯერ მიმართავს მას; ერთხელ 68 ერთეულის შემდეგ (ღრიალით — გრიალით — ტრიალით — სრიალით) და მეორეჯერ 33 ერთეულის გამოშვებით (გრიალით — პრიალით — ტრიალით — ფრიალით); თუმცა ბოლო ორ შემთხვევაში სიტყვები მოქმედებით ბრუნვაშია და ბოლოში თანი აქვს დართული, მაგრამ ეს რითმის თვისობრივად და შედგენილობის მხრივ დიდად არ ცვლის.

ინტერვალების მხრივ ერთმა რამემაც

მიიქცია ჩვენი ყურადღება. ზმნური რითმებიდან ვაჟა-ფშაველა განსაკუთრებით ხშირად ხმარობს იმ რითმას, რომლის კლაუზულაში ებოდა გვაქვს. ესეც უძველესი წარმოშობის რითმა ჩანს და სათავე ზეპირსიტყვიერებაში უნდა ჰქონდეს. კერძოდ, მთლიანად ამნაირი რითმებისაგან შედგება ცნობილი ხალხური ლექსი „ხოგაის მინდი“, სადაც გმირის სიკვდილთან დაკავშირებით გრანდიოზული კოსმიური სურათია დახატული და ფლექსიური რითმებიც არაჩვეულებრივი და უკიდურესად დაძაბული მოქმედების გადმოსაცემად არის გამოიყენებული. ამ ლექსის ერთგვარი გავლენა შეიმჩნევა „სტუმარ-მასპინძელში“. კერძოდ, აღნიშნულ რითმას ვაჟა პირველად სწორედ ზვიადაურის მოკვლის ეპიზოდში იყენებს და ეფექტიც ზედმიწევნით ზუსტია:

სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის,—  
ზვიადაური კვდებოდა  
გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა  
გული გულადვე რჩებოდა.  
და ამ სურათის მნახველი  
ერთი დიაცი ბნდებოდა,  
ცრემლებს მალავდა ლამაზი  
ხალხზე უკანა დგებოდა.

ვაჟა დიდ ექსპრესიას აღწევს, როცა მოქმედებას სხვადასხვა დროში წარმოგვიდგენს. პირველ სტრიქონში, როგორც ვხედავთ, ორი ზმნა აწმყო დროშია („სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის...“) მათ მოჰყვება მთელი წყება ნამყო უწყვეტელი ზმნებისა—ფლექსიური რითმებისა: კვდებოდა—რჩებოდა და ა. შ. ამ რითმებით გადმოცემულია გმირის არაადამიანური, დაუსრულებელი ტანჯვა. მოქმედება ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. მართალია, ვაჟამ „ხოგაის მინდის“ მოდელი გამოიყენა, მაგრამ მან ეპიზოდს სხვა ფსიქოლოგიური დატვირთვა მისცა, თავის ნაწარმოებში სულ სხვა აზრი გაატარა.

მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ „გველის მჭამელის“ ფინალურ სცენაში, სადაც მინდია ილუპება, ვაჟა სულ სხვა სურათს ხატავს და სრულიად სხვა

რითმას ხმარობს (ცერითა — <sup>წვერ</sup>წვერთა — ჩქერითა... და ა. შ.), „ხტუგაის მინდის“ კვალი აქ არსად არ ჩანს.

„სტუმარ-მასპინძელში“ მეორედ იგივე შედგენილობის რითმა ერთი ერთეულის შემდეგ გვხვდება: წვებოდა — სწვდებოდა — გაუცვდებოდა; ათი ერთეულიც და ეს რითმა ისევ იჩენს თავს; ჰქრთებოდა — ელანდებოდა — ეხათრებოდა. ამის შემდეგ ინტერვალი კვლავ მინიმალურია (1 ერთეული): შვრებოდა — ჰქრებოდა. საბოლოოდ ინტერვალი კვლავ დიდდება (27 ერთეული): კვდებოდა — შეჰბრალებოდა — ჰკრთებოდა. როგორც ვხედავთ, პოემაში ეს რითმა ხუთჯერ გვხვდება, ორ შემთხვევაში ინტერვალი მინიმალურია. აღნიშნული ფლექსიური რითმა ნაწარმოებს ერთგვარ ელგეიურ იერს ანიჭებს და პოეტს შთანთქმის გადმოცემაში, სასურველი განწყობილების შექმნაში ეხმარება. ელგეიურობას თვით რითმებამდამოყენებული სიტყვები ბადებს—„კვდებოდა“, „ბნდებოდა“, „ჰქრებოდა“, „ჰკრთებოდა“ და სხვ. ზოგი მათგანი („კვდებოდა“, „ჰკრთებოდა“) ორ-ორჯერ არის რითმად ნახმარი.

საერთოდ, „ხოგაის მინდის“ რითმას ვაჟა-ფშაველამ ახალი სიცოცხლე მიანიჭა, ახალი ელვარება შესძინა.

ერთნაირი ან დაახლოებით ერთნაირი ბგერითი შედგენილობის რითმებს შორის ინტერვალების თვალსაზრისით ჩვენ რამდენიმე ტიპიური მაგალითი მოვიყვანეთ. როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ვაჟა მონათესავე, ერთგვაროვან რითმებს ერთმანეთისაგან საკმაოდ ინტერვალით აცილებს. იშვიათია შემთხვევა, როცა ერთნაირი ბგერითი შედგენილობის რითმებს შორის ინტერვალი მინიმალურია (1 ერთეული).

მეტად საინტერესოა „სტუმარ-მასპინძლის“ რითმა ფონეტიკური თვალსაზრისით. არაზუსტ რითმებში ხშირია საყრდენ თანხმოვანთა ჰარმონიული, კანონზომიერი მონაცვლეობა, რაც ლექსის მუსიკალობას განსაკუთრებით აღიერიებს. უმეტესად რომელიმე სამე-

ულში შემავალი ორი ბგერა ენაცვლება ერთმანეთს, მაგრამ ზოგჯერ მონათესავე საყრდენი თანხმოვნის მონაცვლეობაც გვხვდება.

„სტუმარ-მასპინძლის“ რითმაში ერთი საყურადღებო კანონზომიერებაც შეიმჩნევა: როცა რამდენიმე ერთნაირი ბგერითი შედგენილობის რითმა იყრის თავს (ასეთი შემთხვევა კი ამ პოემაში ხშირია), ამ რითმებიდან ერთ-ერთი საყრდენი თანხმოვნის სხვა საყრდენი თანხმოვნისაგან განსხვავების გამო შეიძლება გამოეყოთ ცალკეული წყვილები და დაჯგუფებები. თვალსაჩინოებისათვის მოგვეყავს რამდენიმე მაგალითი: (მ-ლ) შხამითა — ღამითა; თვალითა — ძალითა — ძვალითა. 2. (ფ-რ-ხ) თოფითა — ცოფითა; გორითა — შორითა; ძროხითა — ჩოხითა. 3. (რ-ლ) ცქერითა — ფერითა — წერითა — კვერითა; ხელითა — ჩველითა — ყელითა.

აქ წარმოდგენილი მაგალითებიდან ორ შემთხვევაში (მ-ლ და რ-ლ) ერთნაირი ბგერითი შედგენილობის რითმების ცალკე ერთეულებად დაყოფას საფუძვლად უდევს კლავტულის თანხმოვანთა კანონზომიერი მონაცვლეობა. მესამე შემთხვევაში კი (ფ-რ-ხ) ერთეულებად დაყოფა საყრდენი თანხმოვნების ფონეტიკური სიახლოვის პრინციპით არ მომხდარა.

ადვილი შესამჩნევია, რომ საყრდენი თანხმოვნების ნაირობა არღვევს მოსალოდნელ მონოტონურობას, რასაც ერთნაირი ბგერითი შედგენილობის რითმების სიმრავლე იწვევს. რითმების ასეთი ოსტატური გადახალისება სმენისათვის მეტად სასიამოვნოა.

სხვა შემთხვევაში ვაჟა შეგნებულად ცდილობს, რომ ლექსი მონოტონური იყოს და ამას, რა თქმა უნდა, კვლავ რითმის წყალობით ახერხებს. ერთ-ერთი ასეთი რითმა ორი ღია მარცვლით (ა-ო) ბოლოვდება; აღსანიშნავია, რომ აქ კლავტულის პირველი ხმოვანიც ა არის და მისი შერწყმა მომდევნო ღია მარცვლებთან მძაფრ მონოტონურობას ქმნის, რაც, თავის მხრივ, სასურველ გან-

წყობილებას ბადებს. ამით რითმის სრულად ახალი ფუნქცია ენიჭება, რამაც წყობილების ერთ-ერთ წამყვან მომენტად გვევლინება.

ეს მომენტი მით უფრო ნათელი გახდება, თუ გავისწავნებთ, რომ აღნიშნულ რითმას პოეტი მაშინ მიმართავს, როცა ქისტების მიერ თავიანთი მიცვალებულის დატირების სურათს გვიხატავს, როცა ხელფეხგაკრული ზვიადური დარლას საფლავზე აპყავთ და ყელს ჭრიან. ამ მომენტში რითმის აღნაგობა და მსგავსი რითმების სიმრავლე (18 რითმა) ზუსტად ეხამება და გადმოსცემს შურისძიების უნით აღსავსე ქისტების მოძრაობის რიტმს და მათს სულიერ მდგომარეობას. ჩვენ თითქმის ვხედავთ სასაფლაოსაკენ მიმავალ აღმართზე გაჭიმულ ქისტების გრძელ პროცესიას. ამ რითმების მკვეთრ მონოტონურობას მათი უბრალო ჩამოთვლაც კი ცხადყოფს: გარსაო — მკვდარსაო — თავსაო — კარსაო — ჯავრსაო — ხმასაო — თმასაო... მიუხედავად საყრდენი თანხმოვნების მონაცვლეობისა (რ-ვ-მ) ამ რითმებში მონოტონურობა შენარჩუნებულია ბოლო ორი ღია მარცვლის (ა-ო) წყალობით, რასაც კლავტულის მახვილიანი ა-ც აძლიერებს.

პოეტიკაში რითმა განსაზღვრული რაოდენობის სტრიქონთა გაერთიანების ერთ-ერთ მთავარ ნიშნად არის მიჩნეული. სხვადასხვა ნიშნებით ტაქტების გაერთიანება კი, როგორც ვიცით, სტროფს ქმნის.

სტროფის კომპოზიციური მთლიანობა ვაჟასთან ყველაზე აშკარად რითმით არის გამოხატული, რადგან ხშირად მის ლექსებსა და პოემებში ერთ სტროფში სტრიქონთა დიდი რაოდენობა გვხვდება, ხოლო ეს ყველაზე უკეთ რითმით არის მოსახერხებელი. სტროფის ამგვარი კომპოზიციის პირველწყარო ხალხური ლექსები და ბალადებია, რამაც ვაჟამდე მისი დიდი წინამორბედის დავით გურამიშვილის პოეზიაში იჩინა თავი.

„სტუმარ-მასპინძლის“ რითმების აბ-



სოლუტური უმრავლესობა დაქტილუ-  
რია. არის რამდენიმე გამონაკლისი, რო-  
ცა არათანაბარმარცვლოვანი რითმები  
გვხვდება — დაქტილურს ზოგჯერ ქო-  
რეული რითმა მოსდევს. მოვიტანთ რამ-  
დენიმე მაგალითს: ვადმოაგორა — გო-  
რა; ხანჯარი — ჯარი; რა ვქნაო — თქმაო,  
როგორი — სამგორი; იძახებს — შენს  
სახეს. მოზრდილი პოემისათვის, როგო-  
რიც „სტუმარ-მასპინძელია“ ეს მაინცა-  
დამაინც თვალით საცემი არ არის. აქ ჩა-  
მოთვლილი მაგალითებიდან განსაკუთ-  
რებულ ყურადღებას იქცევს ბოლო  
წყვილი. ამ ერთეულში პოეტს დაძლეუ-  
ლი აქვს მორფოლოგიური პარალელიზ-  
მი — ზმნა არსებით სახელთან არის გა-  
რითმული. გარდა ამისა, ამ დახურული,  
არაზუსტი რითმის ერთ-ერთ ცალში  
(„შენს სახეს“) დაკლებულია წინა რით-  
მის საყრდენი თანხმოვანი ზ, რაც XIX  
საუკუნის პოეზიისათვის საკმაოდ იშვია-  
თი მოვლენაა.

„სტუმარ-მასპინძელში“ ძალიან მცირე  
რაოდენობით გვხვდება შედგენილი  
რითმებიც. მათი რიცხვი რამდენიმე მა-  
გალითით ამოიწურება. ამ დროსა — სან-  
დოსა; ამ დროსა — დაიკარგოსა; ეგ არი-  
მყეფარი, ვინ არის — ის არი და ზოგიერ-  
თი სხვა. ეს ბოლო წყვილი დიალოგშია  
მონგედრილი; სწორედ ამით უნდა აიხ-  
სნას, რომ ამ ერთეულის ორივე ცალი  
შედგენილ რითმებს წარმოადგენს და  
მათი ხმარება უფრო გამართლებულია.

პოემაში ავტორისეული რითმები ძი-  
რითადად ცალკე დგას გმირისეულისა-  
გან. არის შემთხვევები, როცა ავტორი-  
სეული და გმირისეული რითმები ერთმა-  
ნეთზეა გადახლართული. ავტორისეული  
რითმების რიცხვი ოთხმოცდათხუთმეტს  
აღწევს, გმირისეულია სამოცდაცხრა,  
შერეული — ჩვიდმეტი. საუკეთესო და  
იშვიათი რითმების უმრავლესობა ავტო-  
რისეულზე მოდის. მათ შორის შეიძლე-  
ბა დავასახელოთ: კლდისაო — სდისაო;  
ქისტისა — მისდისა; ბურჯია — ურჩია;  
ლოდებსა — ჰლოდებსა; მაინცა — ჩაიქ-  
ცა; ქმარია — ვღვარია და სხვ.

„სტუმარ-მასპინძელში“ არც ისე

იშვიათად გვხვდება ტავტოლოგიური  
რითმები. ეს მოვლენა, ჩვენთვის უცხო  
სტროფში ტაეპთა (აქედან კი ერთმანა-  
რი ბგერითი შედგენილობის რითმების)  
სიმრავლით უნდა აიხსნას, რადგან ტავ-  
ტოლოგიის შემთხვევები სწორედ იმ  
სტროფში გვხვდება, სადაც მრავალი  
ტაეპთა თავმოყრილი. მაგალითად, V თა-  
ვის ერთ-ერთ სტროფში ია-ზე დამთავ-  
რებული 13 რითმაა; მათ შორის „ხმა-  
ლია“ და „მკვდარია“ ორ-ორჯერ არის  
ნახმარი. VII თავში თერთმეტი რითმისა-  
გან შემდგარ სტროფში (კლაუზულა —  
„ისაო“) „მთისაო“ ორჯერ არის გამოყე-  
ნებული რითმად. ამავე თავში ტავტო-  
ლოგიური რითმები კიდევ არის („თავ-  
საო“, „ხმალსაო“).

„სტუმარ-მასპინძლის ღირსებაა ის,  
რომ აქ ზმნური რითმების რიცხვი ოც-  
დაათ ერთეულს არ აჭარბებს, ეს კი  
ასეთი მოცულობის პოემისათვის არც  
ისე ბევრია. როგორც უკვე ვთქვით,  
ფლექსიური რითმებიდან „სტუმარ-მას-  
პინძელში“ ეგაა ყველაზე ხშირად (ხუთ-  
ჯერ) იმ რითმას მიმართავს, რომელსაც  
კლაუზულაში ებოდა მოუღის.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ „სტუ-  
მარ-მასპინძელში“ ერთგვაროვანი რით-  
მების დაძლევის მძლავრი ტენდენცია  
ჩანს, პოეტი თავს არიდებს გრამატიკულ  
პარალელიზმებს — ბგერითი მსგავსების  
საფუძველზე ერთ სარიტმო ერთეულში  
აქცევს სხვადასხვა ცნების მატარებელ  
სიტყვებს, რის შედეგადაც ჩნდება ეგ-  
რეთწოდებული აზრობრივი რითმა.

პოეტიკაში ამ მოვლენას განვითარე-  
ბის ხანგრძლივი ისტორია აქვს. გრამა-  
ტიკული პარალელიზმების დაძლევის  
ტენდენციამ ქართულ პოეზიაში ძალიან  
აღრე იჩინა თავი. ხალხურ პოეზიაზე  
რომ არაფერი ვთქვათ, იგი მეტად მკა-  
ფიოდ არის გამოვლენილი რუსთაველის  
პოემაში. „ფეფნისტყაოანის“ ავტორი  
მეტწილად არსებით სახელსა და ზმნას  
რითმავს ერთმანეთთან. უმეტესობა ასე-  
თი რითმებისა დაქტილურია, მაგრამ ქო-  
რეული რითმებიც ხშირად გვხვდება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იშვიათი

გამონაკლისის გარდა რუსთაველი ზუსტ რითმას ხმარობს. ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითები, სადაც მორფოლოგიური პარალელიზმები არის დაძლეული, ზუსტ რითმებს წარმოადგენს: მკვდარი — არი; ჯიქია — მიქია; დაამკნაროსა — საბაღნაროსა; მჯობია — შენაფლობია; ცხენია — მოსაწყენია; მწყენია — დღენია; ვლიდითა — კილდითა; დარებით — მოგეხმარებით; სიცოცხლეო — მეწამლეო; გარდვეკიდე — კიდე; აღიდა — სადა; მოახსენა — თქვენა და მრავალი სხვა. მორფოლოგიური პარალელიზმების დაძლევა ზოგჯერ მაჯამურ რითმებშიც გვხვდება: დანასა — დანასა; პირველი რითმა ზმნაა, მეორე — არსებითი სახელი.

აზრობრივი რითმები ძალზე ხშირად გვხვდება აგრეთვე დავით გურამიშვილის პოეზიაში. რუსთაველისაგან განსხვავებით გურამიშვილი უფრო ხშირად ხმარობს არაზუსტ, ნაკლებ რითმას.

ვაჟას თანამედროვეთაგან რითმაში მორფოლოგიური პარალელიზმების დაძლევის ტენდენცია ყველაზე მკვეთრად რაფიელ ერისთავთან და აკაკი წერეთელთან ჩანს. ამ მხრივ განსაკუთრებით რაფიელ ერისთავი გამოირჩევა. მის ლექსებში ძალზე ჭარბად გვხვდება არაზუსტი რითმები. მათი ხმარების დროს პოეტი დიდ გამბედაობას და ნოვატორობას იჩენს. რაფიელ ერისთავის აზრობრივ რითმებში ზუსტ რითმებთან ერთად გვხვდება ისეთი ასონანსები და კონსონანსები, რომლებიც დღევანდელი სალექსო ტექნიკის თვალსაზრისით ახალი და მოულოდნელია: მომარჩინე — (თვალთა) ჩინი; ძამიავ — მიჭამია; სანთლები — მემართლები; შენდა — დედავ; ფარისა — შესაწყალისად; ყურსა — ჰსურსა; ელჩი — გერჩით; ნასაქმარია — მწარეა; ღონეო — მიმაგონეო; მეყოფა — მეფობა; წყარო — მოვეუქჩაროთ; ჭირიმე — ხირიმე და ა. შ.

აზრობრივ რითმებში თავისებურებას იჩენს აკაკი წერეთელიც. ხშირ შემთხვევაში ეს რითმები არათანაბარმარცვლოვანია. პოეტი უხვად ხმარობს რო-

გორც არაზუსტ, ასევე ზუსტ რითმებს დაქტილური და ქორეული რითმების გვერდით ზოგჯერ გვხვდება ვაჟაფშაველას თმაც; რაც ქართული ლექსისათვის შედარებით იშვიათია.

აქვე ხაზი გვინდა გავუსვათ ერთ გარემოებას: ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ თავის ცნობილ ლექსში, სადაც აკაკი ვაჟას ენას უწუნებს, იგი ვაჟას პოეზიისათვის დამახასიათებელ რითმებს მიმართავს: მთისაო — მკისაო; ცნობითა — გრძნობითა; ენითა — აღმაფრენითა და ა. შ. ამას აკაკი საგანგებოდ აკეთებს, რათა რითმების საშუალებით თავის ლექსს ფშაური კილო და იერი მისცეს.

კვლავ დავუბრუნდეთ ვაჟას პოემას. „სტუმარ-მასპინძელში“ ორმოცამდე შემთხვევა აღვრიცხეთ, სადაც პოეტს მორფოლოგიური პარალელიზმები დაძლეული აქვს. მაგალითების აბსოლუტურ უმრავლესობაში ზმნა და არსებითი სახელია გართმული. „სტუმარ-მასპინძელში“ გამოყენებული ზოგიერთი აზრობრივი რითმა დღევანდელი სალექსო ტექნიკის თვალსაზრისითაც საუკეთესოა. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი წყვილები: კლდისაო — სდისაო; ქისტისა — მისდისა; მეტაღა — დედათა და სხვა. აქ მოყვანილ სამივე წყვილში ერთმანეთისაგან მკვეთრად ვანსხვავებული ცნებებია გართმული ისე, რომ კეთილზმოვნება საცხებით არ ირღვევა. პირიქით, ეს უფრო ამრავალფეროვნებს რითმას და თვით პოეტი გაცილებით თავისუფლად, ბუნებრივად ამბობს სათქმელს. მოტანილი მაგალითებიდან პირველი წყვილი (გართმულია არსებითი სახელი და ზმნა) ორი ღია მარცვლით — პროსოდიული ა-თი და ო-თი ბოლოვდება. ეს წყვილი რითმას წარმოადგენს, რადგან ორივე სიტყვას მახვილიანი ხმოვნის წინ ერთნაირი (ამ შემთხვევაში „დ“) თანხმოვანი აქვს. მეორე წყვილი შეგვიძლია ერთ-ერთ საუკეთესო და ნოვატორულ რითმად მივიჩნიოთ მთელს ქართულ პოეზიაში. აქაც არსებითი სახელი და ზმნა ერთმანება ერთმა-

ნეთს, ბოლოში კი მხოლოდ ერთი პრო-  
სოდიული ა ხმოვანი მოუდის. ამ წყვილ-  
ში სასიამოვნო მელოდიურობას ქმნის  
ტ და დ საყრდენი თანხმოვნების კანონ-  
ზომიერი მონაცვლეობა.

ბოლო წყვილი განსაკუთრებით საინ-  
ტერესოა და მეტად რთულ ტექნიკურ  
პროცესთან არის დაკავშირებული: ვითა-  
რებით ბრუნვაში დასმული ხარისხის  
ზმნიზედა ერთმეხა მოქმედებითი დას-  
მულ მრავლობითი რიცხვის არსებით სა-  
ხელს. ბოლოში ამ წყვილსაც პროსოდი-  
ული ა ხმოვანი ერთვის; აქაც სასიამო-  
ვნო შთაბეჭდილებას ტოვებს ტ და დ  
ბგერების მონაცვლეობა. „სტუმარ-მას-  
პინძლის“ ავტორი აზრობრივ რითმებში  
თავისებურებას იჩენს მაშინაც, როდესაც  
ზმნა ნაწილაკთან არის გარითმუ-  
ლი. პოემაში ამის სულ ორიოდ მაგა-  
ლითი გვაქვს (კიდევ—ირევა; მაინცა —  
ჩაიქცა), მაგრამ ეს ერთეულები მეტად  
მოხდენილი და იშვიათი რითმებია.  
ორივე ეს წყვილი უჩვეულოა XIX სა-  
უკუნის ქართული პოეზიისათვის. აქ  
ჩანს პოეტის დიდი სითამამე და ალღო.  
ვაჟა რითმის მხოლოდ ყდერადობას რო-

დი სჯერდებოდა. რითმას იგი <sup>მოდამ</sup>  
აზრს უმორჩილებდა და არა <sup>პირველად</sup>  
რითმა მისთვის არასოდეს ყოფილა <sup>გამა</sup>  
რეგნული სამკაული, თვითმიზანი, რო-  
გორც იგი ბევრ მოლექსეს მიაჩნდა და  
მიაჩნია.

სიმრავლის გამო ჩვენ არ შეგვეძლო  
ჩამოგვეთვალა ყველა ის რითმა, სადაც  
ვაჟას გადალახული აქვს მორფოლოგი-  
ური პარალელიზმები, მაგრამ ჩვენს მი-  
ერ დასახელებულ რამდენიმე თვალსა-  
ჩინო მაგალითშიაც კარგად ჩანს ის თა-  
ვითებურებანი და სიახლენი, რაც მხო-  
ლოდ ვაჟას ახასიათებს.

ვაჟა-ფშაველამ მრავალსაუკუნოვან  
ქართულ სალექსო ტექნიკას, კერძოდ,  
ქართულ რითმას, ხალხურ პოეზიაზე და-  
ყრდნობით ახალი ელვარება შესძინა;  
მან აღორძინა და თვისობრივად გაამ-  
დიდრა შოთა რუსთაველისა და დავით  
გურამიშვილის დიდი ტრადიციები. ყო-  
ველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ვაჟა-  
ფშაველამ ერთ-ერთმა პირველთაგანმა  
მოამზადა საფუძველი XX საუკუნეში  
ქართული პოეზიის გადახალისებისა და  
განახლებისათვის.



## «მთაწმინდის მოვარე»

გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედების ადრეულ პერიოდში „მთაწმინდის მოვარე“ ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია. 1916 წელს „მთაწმინდის მოვარე“ დაიბეჭდა სიმბოლისტური ჟურნალის „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში. შემდეგ გ. ტაბიძემ ეს ლექსი თავის მეორე კრებულში „არტისტულ ყვავილებში“ შეიტანა, რომელიც 1919 წელს გამოვიდა.

გალაქტიონ ტაბიძე 1914—19 წლებში გარკვეულ ხარკს უხდიდა სიმბოლიზმს, რომელიც ფრანგული და რუსული სიმბოლიზმის გავლენით ლიტერატურული მიმართულების სახეს იღებს საქართველოში. „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში დაბეჭდილ პ. იაშვილის მანიფესტში („პირველთქმა“) მოცემულია სიმბოლისტური თეორიის ძირითადი დებულებები.

გ. ტაბიძე „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში აქვეყნებს ორ ლექსს: „მთაწმინდის მოვარეს“ და „ლურჯა ცხენებს“. ამის შემდეგ გ. ტაბიძეს არც ერთი ლექსი არ დაუბეჭდავს ამ ჟურნალში.

გ. ტაბიძე შემოქმედების იმ პერიოდშიც, როცა სიმბოლიზმის გავლენას განიცდიდა, არ იყო ტიპიური სიმბოლისტი პოეტო. მას არ შეეძლო მიეღო სიმ-

ბოლიზმის ესთეტიკური კრედო, მისი მისტიკა, სიმახინჯის კულტი, ლიტერატურული პოზა, უკიდურესი ექსტრავეგანტიზმი.

მართალია, რეაქციის ბატონობის წლებში გ. ტაბიძე წერს ლექსებს: „ლურჯა ცხენები“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „მზადება გასამგზავრებლად“ და სხვ., მაგრამ „არტისტულ ყვავილებში“ ამ ლექსების გვერდით არის ლექსი „გემი დალანდი“, სადაც ქართულ პოეზიაში პირველად ჩნდება ვლადიმერ ლენინის სახელი.

თვითონ სიმბოლისტებიც არ თვლიან გ. ტაბიძეს სიმბოლისტ პოეტად. ტიციან ტაბიძე წერილში „ცისფერი ყანწები“ წერს: „ის ახალგაზრდაა ამ სამებაში (იგულისხმებთან ი. გრიშაშვილი, ს. შანშიაშვილი და გ. ტაბიძე — ლ. ს.) და ყველაზე მეტად ეტყობა სიმბოლიზმისკენ გადახრა. „მე და დამე“ გვიჩვენებს, რომ მისი სული უძიროდ ღრმია, მგოსანიც შორს იყურება შიგ და გრძნობასაც დაკრავს საბედისწერო ელფერი. პირველი წიგნის ნერვების ტოკვაზე ეტყობა, რომ გაზრდის შხამიან ყვავილებს სიმბოლიზმისას. რაც ძვირად არ დავაფასოთ ის, რაც იმან მოგვცა. იმაზე მეტი მომავალშია“.

ამგვარად, ტიციან ტაბიძის აზრით,

გალაკტიონის შემოქმედებაში შეიმჩნევა გადახრა სიმბოლიზმისაკენ, თუმცა მის პოეზიაში ჯერ არ გაზრდილა სიმბოლიზმის ბოდღერისეული შხამიანი ყვავილები. ამის იმედს ტ. ტაბიძე მომავალზე ამყარებს, ხოლო თვითონ გ. ტაბიძე უტურნალ „ლომისში“ 1922 წ. წერს: „ჩვენ ყოველთვის ვყოფილვართ ხალხთან, მაგრამ მომავალში მეტი სითამამით უნდა ვტრიალებდეთ ხალხში. იქ დაგროვილია უმრავლესი გრძნობები ნამდვილი სიყვარულის, წყურვილი. ოცნების.“

ხალხის სახელით ჩვენ უნდა უარყოთ კაფე-შანტანების პოეზია, იგი დამახასიათებელია საშინლად დაცემის მდგომარეობისა, დეკადანსის. აქ პოეზია ხდება სკანდალების ხელოვნებად, ისეთი ხალხის გამართობლად, რომელსაც არავითარი მორალური იდეოლოგია არ ახასიათებს“.

სიმბოლიზმის გავლენა გ. ტაბიძეზე, ერთის მხრივ, გამოწვეული იყო სოციალური ფაქტორით. რეაქციის წლებში, რომლებმაც პოეტს დაცივნით „მოუკლეს რწმენა“ და „ძირს დაამხვეს კენესა-ჭკითინით“, ის გამოსავალს ეძებს სიმბოლიზმის ფილოსოფიაში. ეს ფილოსოფია პოეტს მძიმე რეალური ცხოვრების ნაცვლად სთავაზობს ხელოვნურ იდეალურ სამყაროს — „სპილოს ძვლის კოშკს“, სადაც შეიძლება ყოველდღიური არსებობის დავიწყება.

მეორე მხრივ, ფრანგი სიმბოლისტები: ვერლენი, მალარმე, რემბო, ანრი დე რენიე, ვილიე დე ლილ ადანი, დეკადენტური იდეების მიუხედავად, იყვნენ დიდი პოეტები და მათს შემოქმედებას თვალსაჩინო რეზონანსი ჰქონდა მთელ მსოფლიოში. შემთხვევითი არ არის, რომ გ. ტაბიძის „არტიტულ ყვავილებს“ ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ბოდღერის, ვერლენის, ანრი დე რენიესა და თეოფილ გოტიეს სტრიქონები. მის ლექსებში ხშირად ვხვდებით ფრანგი პოეტების სახელებს.

ქართველ პოეტებს ნამდვილი სულიერი ნათესაობა აკავშირებდათ რუს

სიმბოლისტებთანაც: ბალმონტთან, ტელისთან, ივანოვთან, ბლოკთან.

გარდა ამისა, ქართული ლექსი საჭიროებდა გადახალისებას, სიტყვის ესთეტიკური ფასეულობის აღდგენას, ახალ ფორმას. სიმბოლისტები მოითხოვდნენ ლექსიკის გამდიდრებას, არქაული სიტყვების აღდგენას, ახალი სიტყვების შექმნას, საერთოდ სიტყვაზე მუშაობას. სიტყვა, რომელიც, მათი აზრით, გაატყდა, უნდა აღდგეს, „განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცეს და სრული გატაცებაც მითი საჭირო არის“ (ტ. ტაბიძე, „ცისფერი ყანწები“).

გ. ტაბიძე, როგორც ლექსის ნოვატორი. ამასაც არ შეიძლებოდა არ მიეზიდა.

პროფ. ს. ჭილაია, რომელიც განიხილავს ბარათაშვილის „შემოღამებას მთაწმინდაზე“ და გ. ტაბიძის „მთაწმინდის მთვარეს“, აღნიშნავს, ამ ლექსებში შეიძლება მხოლოდ აღწერითი მხარის ანალოგია შეენიშნოთ: „ეს ერთგვარად გვანიშნებს, რომ გ. ტაბიძე ბარათაშვილის დასახელებულ ლექსს შთაუვონებია, მაგრამ ეს შთაგონება სიმბოლისტური მიმართულებით არის გარდატეხილი... მაგრამ გ. ტაბიძეს იმ დროშიაც ამგვარი ლექსების გვერდით საკმაოდ ძლიერად გააჩნდა რეალისტური ლექსები და ამის გამო არ შეიძლებოდა ყოფილიყო ორთოდოქსალური დამცველი სიმბოლიზმისა. ამავე რომანტიკულ-სიმბოლისტური ხასიათის ლექსებშიაც ის არღვევდა სიმბოლიზმის დადგენილ წესებს“.

პოეტი იმყოფება მთაწმინდაზე, სადაც მეფობს სასაფლაოსთვის დამახასიათებელი სიმშვიდე. ამ სიმშვიდეში აღიქვამს პოეტი მის გარემომცველ საგნებს და მოვლენებს: „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი, მღუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი“. ჩუმი და ნაზია ცაც, „ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს“, მაგრამ ეს არ არის სასაფლაოს ჩვეულებრივი შემზარავი სიჩუმე, რომელიც ქმნის მწუხარების, ფატალურობის, ადამიანის



უბადრუკობის განწყობილებას. სიკვდილს ამ ლექსში გამოცლილი აქვს რეალური შინაარსი, ის თითქოს ქცეულია ფანტომად. გაურკვეველი სიზმარეული განწყობილება, რომელიც მოიცავს მთელ სამყაროს, „ციდან ცამდე“ იწვევს სიკვდილის ასოციაციას.

მთვარის მკრთალი შუქი, ჩუმი ცა, ცისფერი ლანდები ამზადებენ ნიადაგს სიზმრისათვის ცხადში:

და მეც მოგვკვდეს სიმღერებში ტბის  
სევდიან გედად,  
ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ  
ჩაიხედა,  
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე  
ფრთები  
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები.

სიმბოლისტი პოეტი, რომლისთვისაც ობიექტური სამყარო მხოლოდ ანარქულია იდეალური სამყაროსი, ცხოვრების საუკეთესო ნაწილს ატარებს სიმთვრალეში, მთვარეულის მდგომარეობაში, სიზმარში. ეს მდგომარეობა მას აახლოებს თავის ირაციონალ იდეალთან. მაღარმემ შექმნა სარკის პოეზია, რადგან „სარკე ყველაზე კარგად გამოხატავს ადამიანის არსებობის ლანდურობას, მის ორობას“ (ვ. გაფრინდაშვილი).

მაგიური სამყარო, რომელსაც პოეტი ქმნის და ათავსებს თავის სულში, იქცევა მისი მოქმედების ასპარეზად.

„ჩემი გული ოკეანეა, — წერს ბლოკი, — მასში ყველაფერი მოჯადოებულია. მე ვერ ვარჩევ ერთმანეთისაგან ცხოვრებას, სიზმარს და სიკვდილს, ამ სამყაროს და სხვა სამყაროებს. მე გადავქციე ჩემი საკუთარი ცხოვრება ხელოვნებად (ტენდენცია, რომელიც ძალზე მკვეთრად გასდევს ევროპულ დეკადენტობას). ცხოვრება გადაიქცა ხელოვნებად, მე წარმოვთქვი შელოცვა და ჩემს წინ გაჩნდა ლამაზი დედოფალი, ლურჯი აჩრდილი, მიწიერი საოცრება“ (იგულისხმება იდეალი).

გალაკტიონის სიზმარი, როგორც მდგომარეობა იდეალთან მიახლოებისა, როგორც ლურჯი ოცნების საფუძველი, თვითონაც ლურჯ ფერს იღებს:

დედაო ღმრთისავ, შუგო მარიამ,  
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,  
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია  
და შორეული ცის სილაყვარდე.

სიზმრის დასასრული ნიშნავს რეალურ ცხოვრებაში დაბრუნებას და ამიტომ პოეტი ოცნებობს: „ოჰ, ნეტავი არ შეირხეოდეს გადაზნექილი სიზმრების წელი“.

ეს თემა ვითარდება ლექსებში: „თოვლი“, „მე მოვალ“, „მარიამ ანტუანეტა“...

„მთაწმინდის მთვარეში“ მთელ ლექსს გასდევს ამ სიზმრის განწყობილება, რომელსაც ამჟაფრებენ სასაფლაოს ცისფერი ლანდები. რეალურ საგნებსაც კი პოეტი აღიქვამს როგორც სიზმარს:

და მის შუქში ვახვეული მსუბუქი  
სიზმარივით  
მოჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად  
მოელვარე.

ეს სიზმარეული განწყობილება არის სიკვდილის სიახლოვე, რადგან სიკვდილი თავისთავად მომჩაადოებელი სიზმარია.

სიკვდილის ასეთი გაგება ქმნის ვარდისფერი სიკვდილის სახეს. ტრადიციულად სიკვდილის ფერი იყო სიმბოლო არის შავი.

გ. ტაბიძის ლექსში „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ სიკვდილი ყველა თავისი ატრიბუტით შავია.

როგორც ცნობილია, სიმბოლისტ პოეტებთან სიკვდილი ხშირად იღებს ლურჯ, თეთრ, ყვითელ ფერს.

სიმბოლისტები სიტყვას აცხადებენ ესთეტიკურ ფენომენად, რომელიც წარმოადგენს მუსიკალური ელემენტისა და ფერის ნინთესს. არტურ რემბო წერს სონეტს „ზმონები“, რომლის პირველ ნაწილში ყველა ხმოვანს დაქმნილი აქვს შესაბამისი ფერი: ა — შავი, ე — თეთრი, ი — წითელი, უ — მწვანე, ო — ცისფერი.

სიმბოლისტების ერთ-ერთი ნაირსახეობა ე. წ. „ინსტრუმენტისტები“, რომელთა მეთაურადაც რენე ჰილი ითვლებოდა.

ბა, მოითხოვენ, რომ სიტყვა აღძრავდეს არამარტო მუსიკალურ ემოციებს, არამედ გვაძლევდეს გარკვეული ფერის შეგრძნებას.

რენე ჰილი „მსჯელობაში სიტყვის შესახებ“ ლაპარაკობს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის ფერით მნიშვნელობაზე.

3. იაშვილი თავის მანიფესტში „პირველთქმა“ წერს: „ჩვენს სიმღერებში თქვენ დაინახავთ მრავალ ფერებს, რომელთა ხალისიანი ცეკვა გააგიჟებს თქვენს მიძინებულ თვალთა ცქერას“.

ფერის მნიშვნელობა არ არის დოგმატურად დადგენილი და სტაბილური. გ. ტაბიქსთან გვხვდება ვარდისფერი სიკვდილი, ბლოკთან — ლურჯი, მალარმესთან — თეთრი, ტ. გრანელთან — ყვითელი, ნიცშესთან — წითელი. რენე ჰილისთვის ფლეიტა არის ყვითელი ფერის, ჰოფმანისთვის — მეწამული, იმავე ჰილთან ყვითელი ფერი გაგებულა როგორც ბავშვური გრძნობების გამომხატველი, ხოლო პ. იაშვილთან ვხვდებით ყვითელ საშინელებას.

მართალია, გარკვეული მოვლენის ფერითი სიმბოლო ერთნაირია ყველა სიმბოლისტიკისთვის. მაგ. ლურჯი, ცისფერი იდეალი, რომელიც მოდის რომანტიკოსებისაგან, შავი ფერის ნეგატიური გაგება, თეთრი — სიღიადის. სილამაზის, ამაღლებულის სიმბოლო, მაგრამ აქაც გვხვდება გადახვევები (ბოდლერის წითელი იდეალი და შავი ვენერა. ვერჰარნის თეთრი საშინელება, ვაფრინდაშვილის — თეთრი სიგიჟე და სხვ).

ამ მოვლენას აპირობებს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა მოდალობის შეგრძნებებს შორის არის კავშირი. ზოგი ადამიანისათვის ხმას შეიძლება ჰქონდეს ფერი, გემოც, სუნიც. „უფრო ხშირია ბგერისა და ფერის სინესთეზის შემთხვევები, ე. წ. ფოტიზმები. ვთქვათ, სუბიექტი ისმენს რომელსამე მუსიკალურ ნაწარმოებს, იგი ორგვარად განიცდის მუსიკას: აუსტიკურადაც და ობიექტურადაც. მის წინაშე ფერების, სი-

ნათლის და ფორმების მთელი კალკულოსკოპი ისახება (დ. უზნაძე „ზოგადი ფსიქოლოგია“).

ფერის ესთეტიკურ ფენომენად გამოცხადების საქმეში სიმბოლისტიკური პოეზიაში გარკვეულ როლს თამაშობს პოეზიისა და ფერწერის მჭიდრო კავშირი ამ პერიოდში.

ა. ბლოკის აზრით, კარგი პოეტისთვის საკმარისია მხოლოდ იმ სიტყვების გამოყენება, რომლებიც შეესატყვისებთან ფერებს, რადგან მხატვრები ფერებს ხმარობენ ქვემდებარის, ხაზებს — მემანქანლის მნიშვნელობით და ამის მეოხებით ისინი უშუალო, ახალი და მშვენიერი ენით გადმოსცემენ იმას, რის გადმოცემასაც ამაოდ ცდილობენ მწერლები თავიანთი მრავალსიტყვაობით. აღწერს რა სიმბოლისტი პოეტის თეზისსა და ანტითეზისს ფერებში, ა. ბლოკი ამ ფერების საუკეთესო განსახიერებად კრებულის ნახატებს ასახელებს.

ფრანგი სიმბოლისტი პოეტები და იმპრესიონისტი, ნეოიმპრესიონისტი, პოსტიმპრესიონისტი მხატვრები ახლო ურთიერთობაში არიან და გარკვეულ გავლენასაც ახდენენ ერთმანეთზე.

„საიდან, თუ არა იმპრესიონისტებისგან, ვიღებთ ჩვენ ამ საოცარ ყავისფერ ნისლებს, რომლებიც ეფინებიან ჩვენს ქუჩებს და სახლებს აქცევენ საშინელ ჩრდილებად“, — წერდა უაილდი, ხოლო სიმბოლისტები უფრო უახლოვდებიან ნეოიმპრესიონისტებს და პოსტიმპრესიონისტებს.

ასეთი კავშირისა და ურთიერთგავლენის მიუხედავად, ფერი სიმბოლისტიკური პოეტისთვის წმინდა ლიტერატურული ფაქტია, რომლის მნიშვნელობა არ შეესაბამება ფერის მნიშვნელობას მხატვრობაში.

როგორც ვ. რევალდი აღნიშნავს, მორეასის მანიფესტი სიმბოლიზმის შესახებ ემყარება შარლ ანრის თეორიულ დებულებებს. შარლ ანრიმ იმის აღმოჩენით, თუ როგორი მიმართულებანი გამოხატავენ სივრცეში სიხარულს ან დინამიკას, ტივილს ან შეფერხებას, დაამყა-

რა მკიდრო კავშირი ესთეტიკურ და ფიზიოლოგიურ პრობლემებს შორის. ის აღნიშნავს, აგრეთვე, რომ წითელი და ყვითელი ფერები (თბილი ფერები) მეტნაკლებად მხიარული (დინამიური) ფერებია, მაშინ, როცა მწვანე, იისფერი და ლურჯი (ცივი ფერები) — იწვევენ შედარებით შემფერხებელ ეფექტს. ანრის თეორიიდან გამომდინარე, სიორა აყალიბებს თავის ესთეტიკურ პრინციპებს: მხიარულ ფერში ქარბობს სითბო; შშვიდი ფერი გადმოიცემა თბილის და ცივის ექვივალენტურობით; სევდიანი ფერი — ცივი საღებავების სიქარბით.

ამგვარად, ლურჯი (ცივი ფერი) მხატვრებთან სევდიანი ფერია, რომელსაც შეესაბამება სევდიანი, მუქი ტონი და სევდიანი ხაზი, რომელიც ეშვება ჰორიზონტიდან დაბლა.

სიმბოლისტი პოეტისათვის (ასევე რომანტიკოსისთვის) ლურჯი ან ცისფერი, იდეალის, ოცნების, ბედნიერების სიმბოლოა. მართალია, მას ხშირად სევდიანი ელფერი აქვს, მაგრამ ეს აიხსნება სიმბოლისტების პესიმისტური მსოფლშეგნებით:

ლურჯი, ლურჯი დღე არის,  
განშორების დღე არის,  
მე არ ველი უარესს.

(გ. ტაბიძე).

მანც, შედარებით სხვა ფერებთან, ლურჯი ყველაზე მეტად შეიცავს პოზიტურ შინაარსს.

ყვითელი თბილი ფერია, და, ამდენად, მხატვრებისათვის მხიარული. სიმბოლისტი პოეტისათვის ყვითელი უფრო ხშირად მწუხარების, საშინელების, სიკვდილის ფერია („ყვითელი საშინელება“, „სიკვდილის ყვითელი მანტი“).

ზოგჯერ ფერის მნიშვნელობა სიმბოლისტებთან ტრადიციული ფერის მნიშვნელობის იდენტურია. მაგ. ვ. ნოზაძე აღნიშნავს, რომ შუასაუკუნეების რაინდულ პოეზიაში წითელი ფერი ნიშნავს აღზნებულ სიყვარულს. ვერპარნს აქვს ლექსი „მეწამული ვნებანი“. თეთრი ქრისტიანულ მწერლობაში არის სიხა-

რულის, მშვიდობის, სათნოების, ქალწულობის სიმბოლო. მალარმესთან ბლოკთან, გალაკტიონთან, ვერპარნსთან თეთრი — ამალელებული, რჩეული, დედური ფერია. რუხი ფერი ქრისტიანულ მწერლობაში ურვის, ქმუნვის, სევდის სიმბოლოა...

გალაკტიონ ტაბიძე ფერების საკითხშიც არ მიდის ისეთ ექსტრავაგანტიზმამდე, როგორც ამას დასავლეთ ევროპის და ქართველი სიმბოლისტები აკეთებენ. მისი სახეები: თეთრი ქარები, თეთრი ფიქრები, ლურჯი ზღაპარი, შავი პოეზია, ვარდისფერი თოვლი, ლურჯი სიხმარი შეიძლება აიხსნას კონტექსტში და იდეათა ასოციაციის საფუძველზე.

გალაკტიონთან ქარბობს ლურჯი (ცისფერი) ფერი. შემდეგ ყველაზე ხშირია თეთრი, ყვითელი, შავი ფერები. გვხვდება იისფერი, ირისისფერი, ოქროსფერი, ვარდისფერი.

სიკვდილის ვარდისფერი გზა იდეათა თავისუფალ ასოციაციაზე დამყარებული სახეა. როგორც ზევით იყო ნათქვამი, სიკვდილის ლურჯ, თეთრ, ვარდისფერებში დახატვა გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. სიკვდილი თავისთავად სამწუხარო მოვლენაა, მას შეესაბამება შავი ფერი — ტრადიციულად გლოვის და შიშის ფერი, მაგრამ სიმბოლისტებთან სიკვდილი გადმოცემულია იმ ფერებში, რომლებიც ამავე დროს გამოხატავენ ესთეტიკურ ფენომენს — იდეალს, მშვენეირს.

ეს ფაქტი გამოწვეულია იმით, რომ სიმბოლისტები სიკვდილს ესთეტიკურ ფენომენად აცხადებენ (სიმახინჯის კულტი), ზოლო სიკვდილის ესთეტიკურ ფენომენად გამოცხადება მეორეს მხრივ შეპირობებულია სოციალური ფაქტორით. სოციალური წყობილება, რომელიც არ აკმაყოფილებს პოეტს, აიძულებს მას ზურგი შეაქციოს საზოგადოებას და იცხოვროს ორმაგი ცხოვრებით. საძულველ რეალურ სამყაროში „ნაცრისფერ ბინდში“, სადაც სიკვდილი მხოლოდ განთავისუფლებაა და ხელოვ-



ნურ სამყაროში, „სპილოს ძვლის კოშკში“.

გ. ტაბიძისათვის „სიკვდილის გზა არ-რა არის ვარდისფერ გზის გარდა“, „მთაწმინდის მთვარეში“ პოეტი სიკვდილის ასეთ გაგებას არ უპირისპირებს არსებობის ნეგატიურ შინაარსს. სიკვდილის ვარდისფერობა კონტრასტის კანონით შეიძლება მისი სხვა ლექსებიდან გამოეყვანოთ.

გ. ტაბიძე თავის ადრინდელ ლექსებში მებრძოლი და ოპტიმისტი პოეტია. თუმცა რევოლუცია დროებით დამარცხდა, პოეტი გულს მაინც არ იტყვის, მან აქვს იმედი, რომ მზე კვლავ ამოვა, „უსასოობა და სიკვდილი“ განადგურდება:

ჩვენ მზე გავსურს, ხალხო, შერთდით,  
ზევით ასწიეთ მზე, ზევით,  
მის აღდგომასთან მნათობის  
სხივებად გადაეჭყევით.

გ. ტაბიძე ზურგს აქცევს დამესაც, თავის მისტიურ ორეულს, რომელმაც იცის მისი საიდუმლო და მისი სული. ეს თეთრი და იღუმალებით აღსავსე ღამე ლექსში „განახლდა გული“ წყეულ. შავ და ბურუსიან ღამედ იქცევა.

წამების ცეცხლში განახლდა გული,  
ფერი ვიცვალე, ფერი ვიცვალე,  
გზა დამიკალე, შავი ბურუსო,  
წყეულო ღამე, გზა დამიკალე.

ღამესთან ერთად თავს იჩენს „დემონი იჭვით სავსე მხატვარის“, რომელიც ღებულობს ხან სისხლიანი ანრდილის, ხან ლიუციფერის, ხან შავი იღუმალეების სახეს და „სურს მოიტაცოს გაზაფხული“. მაშინ ლექსი იქცევა განწირულ, უნუგეშო ყვირილად:

კვარს ეცვი თუ გინდა, საშველი  
არ არის, არ არის, არ არის.

(შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა  
სავანეში).

„არტისტულ ყვავილებში“ გ. ტაბიძის პოეტური სამყარო აერთიანებს ორ საწყისს: კეთილს („მზის ნათელი“) და ბოროტს („ღამის ჩრდილი“).

კეთილ საწყისს ასახეირებს მზე, გა-

ზაფხული, ზაფხული, სამშობლო, მთადიული ქალღურბა, ყვავილები, ზამბახები, ვარდები, ორზიდებები, ცოცხლე, ადამიანის უკვდავება. ამას უპირისპირდება: ღამე, ყვითელი, მწუხარე შემოდგომა, ქარი, სიკვდილი, მზის ჩასვლა. მზის ჩასვლა მწუხარებაა და იწვევს სიკვდილის ასოციაციას:

სადამოვდება და მზის ჩასვლასთან  
თანდათან მწუხრი მიახლოვდება.  
მეფობს სიკვდილი — ჭკნობის მსურველი,  
გაპჭრა სურნელი, დაჭნა ყვავილი.

ლექსში „შენ ერთი მაინც“ გ. ტაბიძე წერს:

სხვაგვარ თიბათვის დღეებს იგონებს  
ჩამავალ მზეთა მგლოვიარება.

ლექსი „მას გახელილი დარჩა თვალები“ არის რეკვიემი მზის მიმართ. ამ ლექსში იგრძნობა ქართული ფოლკლორის და მწერლობის ტენდენცია წარმოიდგინოს ბუნების მოვლენები არა აბსტრაგირებულად, არამედ მაქსიმალურ კავშირში ინდივიდთან და ამ ასპექტში უფრო ღრმად გააცნობიეროს მათი (ბუნების მოვლენათა) არსი.

გალაკტიონი მზის ჩასვლას აღიქვამს როგორც ადამიანის სიკვდილს. თუ ლექსში ზოგაის მინდის შესახებ მზე, ცა, მიწა თავისი მოქმედებით გამოხატავენ დამოკიდებულებას გვირის სიკვდილთან (ზოგაის მინდი კვდებოდა, მზე წითლდებოდა, ცხრებოდა, ცა ქუხდა, მიწა გრგვინავდა...) და ხაზს უსვამენ ძირითად მომენტს — ზოგაის მინდის ინტუიტურ კავშირს ბუნებასთან, გალაკტიონთან მზე თვითონ კვდება როგორც კაცი — ტანჯვით, მოკრძალებით, უმწეოდ და, როგორც ეს ზოგჯერ ადამიანებს ემართებათ, სიკვდილის შემდეგ თვალები გახელილი რჩება. ყველაზე შემზარავად ამ ლექსში ისმის სტრიქონი „მას გახელილი დარჩა თვალები.“ ეს არის ლექსის ლეიტმოტივი და შეიცავს ლექსის ძირითად აზრს: მზე, რომელსაც ადამიანები ყოველდღე ხედავენ, არის ილუზია. ეს მკვდარი მზის თვალებია, რომელიც მას სიკვდილის

შემდეგ გახელილი დარჩა. და თუ მზე, სიკეთის და სიცოცხლის საწყისი, არსებობს მხოლოდ როგორც ილუზია, პოეტი მიდის დასკვნამდე:

ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე,  
ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი,  
მე გზა არ ვიცი უახლოესი;  
ერთადერთი გზა არის სიკვდილი.

ყოველდღიური არსებობის ტვირთს მიჰყავს ადამიანი დაღუპვამდე. ტვირთი იმდენად მძიმეა. რომ კაცი, იმის ნაცვლად, რომ ზილოს იგი, მიდის უცნობ ზილზე, თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს და ხდება წყნარი და მშვიდი.

ლექსში „სილაქვარდე ანუ ვარდი სილაში“ პოეტი ამბობს:

დაიკრეფ ხელებს და გრიგალივით  
გამაქანებენ სწრაფი ცხენებო,  
ღამენათვეი და ნამთვრალევი  
ჩემს სამარეში ჩავესვენებო.

თუ სიკვდილი ერთადერთი გზაა, თუ არ არის საშველი, მაშინ სიკვდილი განთავისუფლება ყოფილა და ამიტომ „სიკვდილის გზა არ-რა არის ვარდისფერ გზის ვარდა“.

სიკვდილის ვარდისფერობას ქმნის პოეტის პესიმისტური მსოფლმეგობრება, რომელიც შეპირობებულია სოციალური ფაქტორით. მაგრამ „მთაწმინდის მთვარეში“ ყველაზე ძლიერი ფაქტორი, რომელიც იწვევს ვარდისფერი სიკვდილის ასოციაციას, არის უკვდავება. ის აცლის ლექსს ფატალურობის განწყობილებას, რაც იგრძნობა ლექსებში: „მან გახელილი დარჩა თვლები“, „სილაქვარდე ანუ ვარდი სილაში“ და სხვ. პოეტს, რომლის სულშიც „გენიით ატეხილი რეკავს ლერწამი“, სჯერა, რომ მისი ქნარი წაყვება საუკუნეს აკაკის და ბართაშვილის აჩრდილებთან ერთად. ლექსში „მარმარილო“ (მარმარილო უკვდავების სიმბოლოა) ისევ შემოდის ვარდისფერის თემა, ოღონდ უკვე არა სიკვდილის, არამედ უკვდავების სახით:

აქვე ვარდისფერ საფეხურებს და აწყენ  
რომ შენს წინ სხივზე ლანდალ  
გრძნობდე, რომ ისევ უკვდავია თქვენი  
ერთნაირ სულში ერთნაირი შისი.  
მოთავსება —

და შემდეგ:

და ყოფნა ასე, მოლანდება ასი ათასი,  
რომ შენს გვირგვინზე წაშლილა შავი  
ნაპრალი.

ამგვარად, სიკვდილის უსასო და უპირქუბო გზა, თუ ის მიდის უკვდავებისაკენ, იცვლება ვარდისფერი საფეხურებით, ზოლო სიკვდილის ატრიბუტები — შავი ყორანი და შავი კუბო აღვილს უთმობენ მარმარილოს სფინქსს და დიონისეს. ვარდისფერი შლის შავ ნაპრალს და სიკვდილის გზას აძლევს თბილ ფერს. უკვდავება პოეტს არიდებს დავიწყების ცელს, რომლისაც მას ასე ეშინია:

მარმარილოს ქვეშ (მუხუხარება უამრავ  
დროთა)  
მე პოეზიამ დავიწყების ცელს აპირდა.

არა სიმახინჯე, არამედ სილამაზე, მშვენიერი, რომელიც გალაკტიონისთვის არის კონკრეტულად მზე, მინდორი, სილაქვარდე, მყინვარი და არა მუნჯი და საშინელი მხეცი, როგორც ბოდლერთან (სიმბოლისტები სიმახინჯეს ესთეტიკურ ფენომენად აცხადებენ). არის პირობა, რომელიც სიკვდილთან არიგებს პოეტს:

ამაღლი, სულო, თეთრ აკლამაზე,  
მშვენიერების ლექსით მქებელი,  
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე  
სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი.

„მთაწმინდის მთვარეში“ გალაკტიონი წერს, რომ მას სიკვდილი უნდა სიმდერით, ასე კვდება გედი. მაგრამ მას უნდა მოკვდეს მხოლოდ მაშინ, როცა იტყვის:

თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,  
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე  
ფრთები

და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები,  
ათ სიკვდილის სიახლოვე როგორ  
ასხვადურებს  
მომავლადეი გედის ჰანგთა ვარდებს და  
ჩანჩქერებს,  
თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის,  
ამ ზღვამ რომ აღზარდა,  
სიკვდილის გზა არ-რა არის ვარდისფერ  
გზის გარდა.

ე. ი. პოეტს სურს გამოხატოს თავისი  
თავი პოეზიაში, თავისი ესთეტიკური  
იდეალები, ყველაფერი, რაც დარჩება  
მის შემდეგ და გახდება მისი უკვდავე-  
ბის საფუძველი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული,  
სიკვდილის ესთეტიკურ ფენომენად გა-  
მოცხადება დაკავშირებულია აგრეთვე  
სიმახინჯის კულტთან, რაც სიმბოლის-  
ტებთან სილამაზის ძიების ფორმას ლე-  
ბულობს.

დეკადენტები ქმნიან სიმახინჯის ეს-  
თეტიკას. მახინჯი აკმაყოფილებს მათს  
ესთეტიკურ მოთხოვნილებას. „ხელოვნე-  
ბა იმდენად არის მისაღები, რამდენად  
იძლევა ის საიქიოს წინათგრძნობას. მა-  
ხინჯი ირაციონალია და ის აკმაყოფი-  
ლებს ჩვენს პოეტურ მოთხოვნილებას  
და ლტოლვას საიქიოსადმი“ (გ. ვაფრინ-  
დაშვილი).


სიმახინჯე ჩნდება სილამაზის ძიების  
პროცესში. დეკადენტები, რომლებიც  
გამოდიან წმინდა ხელოვნების დამცვე-  
ლებად, სილამაზეს აცხადებენ უმაღლეს  
და აბსოლუტურ ღირებულებად. სილა-  
მაზე ერთადერთი იდეალია, სულ ერთია,  
როგორ ფორმაში იქნება ის გამოვლენი-  
ლი...


თუ მშვენიერი ერთადერთი აბსოლუ-  
ტური ღირებულებაა, ცხოვრებაც უნ-  
და იყოს მშვენიერი. სხვა ღირებულება-  
ნი — სიკეთე, ჭეშმარიტება, პატიოსნე-  
ბა, ემორჩილებიან ესთეტიკური ტკბო-  
ბის გრძნობას. უაილდის აზრით, ხე-  
ლოვნების სფეროს არაფერი საერთო  
არა აქვს ეთიკის სფეროსთან. ამგვარად,  
წარმოიშობა ე. წ. „პრაქტიკული ეს-

თეტიზმი“ — კონცეფცია, რომელიც  
გულსნამობს ცხოვრებაში სილამაზის  
ძიებას. სილამაზისაკენ სწრაფვის პრო-  
ცესში პოეტმა უნდა გამოცადოს ყვე-  
ლაზე მკვეთრი გრძნობები, არაფერს  
არ უნდა გაექცეს, უნდა ეძებოს სულ  
ახალ-ახალი შეგრძნებები. ბოროტმოქ-  
მელებაც კი მხოლოდ საშუალებაა ახა-  
ლი შეგრძნებების მისაღებად. ასეთ ეს-  
თეტიკურ ცხოვრებას მოსდევს მძიმე  
მორალური შედეგები (უაილდის მაგა-  
ლითი). დეკადენტი პოეტების ერთ-  
ერთი დამახასიათებელი თვისება ორიგინ-  
ალობაა. ამაზე ლაპარაკობს ედგარ  
პო თავის „შემოქმედების ფილოსოფია-  
ში“, ორიგინალობისაკენ ისწრაფვის  
ყველა დეკადენტი პოეტი. ამიტომ მათ  
ალარ აკმაყოფილებს ჩვეულებრივი  
განცდები. „მშვენიერი ყოველთვის უჩ-  
ვეულოა“ — წერდა ბოდლერი. უჩ-  
ვეულო, ახალი შეგრძნებები აახლოებენ  
მათ სილამაზის მოდერნისტულ იდეალ-  
თან. დეკადენტების სიმახინჯე არის  
„სიმახინჯე სიმახინჯისათვის“.

ამ საკითხში გ. ტაბიძეს არაფერი სა-  
ერთო არა აქვს სიმბოლისტებთან. უფ-  
რო მეტიც, ის სრულიად საწინააღმდე-  
გო პოზიციებზე დგას, რადგან სიმა-  
ხინჯის ესთეტიკა მისთვის მიუღებელია.  
როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მას  
სიკვდილთან არიგებს არა სიმახინჯე,  
არამედ სილამაზე.

მიუხედავად იმისა, რომ „მთაწმინდის  
მთვარეში“ გ. ტაბიძე გარკვეულ ხარკს  
უზღის სიმბოლისმს, ეს ლექსი არ შე-  
იძლება გამოვაცხადოთ სიმბოლისტური  
პოეზიის კუთვნილებად. ლიტერატუ-  
რულმა გავლენებმა ხელი არ შეუშა-  
ლეს გ. ტაბიძეს შეექმნა ლექსები, რომ-  
ლებიც არ ემორჩილებიან ასეთ ვიწრო  
ლიტერატურულ კლასიფიკაციას და საბ-  
ჭოთა ხელისუფლების პირველ წლებ-  
შივე ებოვა თავისი ლიტერატურული მე-  
თოდი — სოციალისტური რეალიზმის  
მეთოდი.





ნორა ჩხეიძე

## ახალი სახელი

ჭაბუა ამირეჯიბი პირველივე მოთხრობებით ამოუდგა გვერდში ახალგაზრდა ქართველ პროზაიკოსებს, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია ყურადღებისა და აღიარების ძნელ გზას იკაფავენ.

ამირეჯიბის მოთხრობათა მთავარი თემაა ადამიანის მორალური პასუხისმგებლობა, მისი ქცევისა და მოქმედების მოქალაქეობრივი და ზნეობრივი პოზიციებიდან შეფასება. ის ცდილობს გარკვეულ ისტორიულ პერიოდში დახატოს ჩვენი საზოგადოების მეტნაკლებად სრული ყოფითი და ზნეობრივი სურათი. ამირეჯიბის მოთხრობები მისივე თაობის მხატვრული ავტობიოგრაფია და ავტობორტრეტია.

პრობლემა, რომელსაც ავტორი დღევანდელი ქართული მწერლობის წინაშე აყენებს და რომლის ფართოდ წარმოდგენა და გადაჭრა მას გულწრფელად სურს, არის პრობლემა ადამიანის ზნეობრივი განწყენდისა და შინაგანი თავისუფლებისა. ეს არაა უცხო და ახალი პრობლემა საერთოდ, მაგრამ ის ერთერთი უმთავრესია ადამიანთა ცხოვრებაში და ახალ შინაარსს, საზღვრებსა და აქტუალობას იძენს სხვადასხვა ეპოქებსა და სხვადასხვა საზოგადოებაში.

შეინარჩუნებს თუ არა კაცი სულიერ ღირსებებს უაღრესად რთულ სიტუაცი-აში, დარჩება თუ არა მისთვის არსებობისა და რაობის განმსაზღვრელ თვისებად სიყეთისადმი შინაგანი და ქვეშეცნეული სწრაფვა, დამოკიდებულია არა მარტო თანდაყოლილ კეთილშობილებაზე, არამედ პიროვნების ნებისყოფასა და ძალაზე. ეს დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად ჭარბობს კაცში ბიოლოგიურ და ინსტიქტურ საწყისებს სულიერი და გონებრივი ინტერესები და რას კარნახობს მას წრე, გარემო და დროება. ასეთი პრობლემებისა და საკითხების დასმა განაპირობებს მძაფრი და დაძაბული სიტუაციების შექმნას. ამიტომ მწერალი თითქმის არ ხატავს ჩვეულებრივ, მშვიდ და წყნარ მდგომარეობებს. მაგრამ, ხანდახან, იმის გამო, რომ ის საგანგებოდ ამძაფრებს სიტუაციებს და ჩერდება გმირის ცხოვრების იმ მომენტებზე, რომლებიც ყველაზე მეტად გამოხატავენ ავტორის შეხედულებებსა და დასკვნებს, ჩემი აზრით, იქმნება ნაძალადეობის შთაბეჭდილება, რაც აშკარად ვნებს სიმართლესა და დამაჯერებლობას.

ჭ. ამირეჯიბმა უკვე ორი წიგნი გამოსცა: „გზა“ და „ძია შოთას ბაღია“. ამ წი-

გნებში არ შესულა მისი საუკეთესო მო-  
თხრობები „გიორგა ზაქაიძე“ და „ხარის  
აღსარება“. ეს მოთხრობები მწერლის  
ფართო ინტერესებსა და გარდასახვის  
უნარზე მეტყველებენ. ხასიათის სიძლი-  
ერით, მონოლითურობითა და ამაღლე-  
ბული სულიერი ვაჟკაცობით გიორგა  
ზაქაიძე მთიელი კაცის ცოცხალი პორტ-  
რეტი, ტიპურობამდე ამაღლებული ხა-  
სიათია. ამ სახის შექმნით ამირეჯიბმა და-  
ამტკიცა, რომ ფლობს ტიპების შექმნის  
ხელოვნებას. ხოლო ტიპების შექმნა  
დღემდე რჩება პროზის ერთ-ერთ უპირ-  
ველეს, საბატიო და ძნელ ამოცანად.  
„გიორგა ზაქაიძე“ გამოირჩევა ამასთანა-  
ვე მძაფრი და შინაგანი ტემპერამენტით,  
ტემპერამენტით, რომელიც არც ისე ხში-  
რად გვხვდება ჩვენს მწერლობაში.

„ძია შოთას ბაღიაში“ გამოქვეყნებუ-  
ლი ყველა მოთხრობის გმირი აჩიკო ბა-  
კურაძეა. ეს არის მართალი, ფიცხი,  
თვითნაღიზით გატაცებული ბიჭი. ეს  
მოთხრობებიც მისი ცხოვრების საინტე-  
რესო ეპიზოდებზეა დაწერილი. ბიჭს  
მსჯელობა და ფიქრი უყვარს. ყველაფ-  
რის ახსნას ცდილობს, ყველაფერთან სა-  
კუთარი დამოკიდებულება აქვს. საინტე-  
რესო ბიჭია, ძლიერი, თამამი, თავისუფა-  
ლი. შინაგანად მისდევს გოეთეს ცნო-  
ბილ შეგონებას „მოემტვრევი, მაგრამ  
ნუ მოედრკინები“. მოთხრობა „მესამე  
თვალში“ ბედმა მას მოულოდნელობე-  
ბითა და უცნაურობებით სავსე დღე გა-  
ნუშადა. და, როგორც ეს ხშირად ხდე-  
ბა, ჩვენი სასაცილო და მართალი გმირი  
თავბრუდამხვევ ლაბირინთში შევიდა,  
რათა იქიდან ნახევრად დაბრძენებული,  
ნახევრად გულგატეხილი, ნახევრად და-  
მარცხებული და მინც გამარჯვებული  
გამოსულიყო. მან იწამა შივას მესამე  
თვალი, განსჯისა და გონების თვალი.  
იწამა მისი საჭიროება და სარგებლობა.

მოთხრობის რიტმი დღევანდელია.  
დღევანდელია ინფორმაცია, რომელსაც  
ბიჭი გარესამყაროსაგან, ცხოვრებისაგან  
ღებულობს. ეს ინფორმაცია ჭრელი,  
მრავალფეროვანი და სწრაფია. დღევან-  
დელობის ხასიათი აქვს თვით ამ ინფორ-

მაციების მონაცვლეობას. აქედან გამომ-  
დინარეობს, გარკვეული აზროვნების  
და რთული ფსიქიური დატვირთვა-  
დატვირთვას თან ახლავს შეფასების მო-  
მენტი და ერთგვარად დამორგუნველი,  
ამორფული შთაბეჭდილებები. მოთხრო-  
ბა ერთ ამბავზე არაა აგებული. მისი  
კომპოზიცია განსაზღვრულია არა ამბის  
განვითარებით, არამედ სხვადასხვა ამბე-  
ბის საერთო მორალური და ცხოვრები-  
სეული აზრით, ამ აზრის გამომუშავები-  
თა და დადგენით; ბიჭი იმ დასკვნამდე  
მიდის, რომ ცხოვრებაც ჭრელი და რთუ-  
ლია, ადამიანები საკუთარი და უცნაუ-  
რი, ხშირად მართალი, ზოგჯერ კი ყალ-  
ბი ცხოვრებით ცხოვრობენ. და თუმცა  
გულგრილი ხალხის გვერდით მუდამ არ-  
სებობს ყურადღება და თანაგრძნობა,  
შენ მინც თვითონვე უნდა გაერკვე ყვე-  
ლაფერში, რათა სწორი ორიენტაცია  
აიღო და სიკეთის კვალი არ დაკარგო.

მოთხრობა „ძია შოთას ბაღია“ დაწე-  
რილია იმ ასაკის ბიჭზე, რომელშიც კაცი  
იღვიძებს, როცა ჩვეულებრივი მექანი-  
კურად აღარ აღიქმება, როცა მოვლენე-  
ბი კარგავენ ფიზიკურ და ბიოლოგიურ  
აზრს და ღრმა სულიერსა და ინტელექ-  
ტუალურ ქვეტექსტს იძენენ. ბიჭის სუ-  
ლიერი მდგომარეობა რთულია: ის იმარ-  
ჯვებს ემპირიულზე, წვრილმანზე და, იქ-  
ნებ პირველად, ხედავს საკუთარ თავზე  
გამარჯვების სილამაზეს.

კრებულის ერთ-ერთი ძლიერი მოთხ-  
რობაა „მუციუს სცევოლა“.

ეს არის პოემა პატარა ბიჭის დიდ სუ-  
ლიერ სილამაზეზე, მის უჩვეულო გმი-  
რობაზე და, როგორც ერთმა მწერალმა  
აღნიშნა, უკუღმართ ბედზე, როცა ერ-  
თის გაკეთებით მეორე ფუჭდება, როცა  
დიდ წარმატებას თან ახლავს მოულოდ-  
ნელი გულისტკივილი და-მსხვერპლი.

მოთხრობის ფინალი გაჭიანურებუ-  
ლია. ის უნდა დამთავრებულიყო კაკოს  
იმ რეპლიკით, რომელიც მთლიანად  
ცვლის წარმოდგენას მის ხასიათსა და  
ბუნებაზე. ამის შემდეგ ლევანი ბრუნ-  
დება, ლილის ხვდება, ისევ უკან მიდის,  
აჩიკოს ეფერება და ამხნევებს. მაგრამ

არც პერსონაჟთა ხასიათში, არც ამბის განვითარებაში, არც მოთხრობის საერთო ფსიქოლოგიურ ქვეტექსტში ამის შემდეგ ახალი არაფერი ხდება (ცოტა უსიამო შთაბეჭდილებას ახდენს თავის-თავად პროტეზი).

მოთხრობა „ჩემი მეჯღანე ბიძა“ კრიტიკისა და მკითხველთა ერთსულოვანი აღიარებით კრებულის ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური, ოსტატურად დაწერილი ნაწარმოებია.

ჭაბუა ამირეჯიბი პირველ რიგში მხატვარია. მხატვრულობის თვალსაზრისით მისი ორივე წიგნი ერთ დონეზე დგას. მოთხრობა „გზა“, „გიორგა ზაქაიძესა“ და „ხარის აღსარებასთან“ ერთად, მის შემოქმედებით მიღწევას წარმოადგენს (მართალია, „გზის“ ფინალი, სადაც პერსონაჟთა უდაოდ ხელოვნური ისტორია-ურთიერთობანია გახსნილი, გამოგონილის ან, უკეთეს შემთხვევაში, გაგონილის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ გზა ამ ფინალამდე, პეიზაჟი, ნივთიერი სამყარო, ადამიანთა ხასიათები და პორტრეტები ოსტატურადაა შესრულებული). ბალადა გიორგა ზაქაიძეზე ნამდვილი მწერლობაა. ასევე ითქმის „ხარის აღსარებაზე“, „მესამე თვალზე“.

იმ დიდ ამოცანათა შორის, რომლებიც დღევანდელი ქართული პროზის წინაშე დგას, ერთ-ერთი უმთავრესია თანამედროვე ქართველი კაცის განზოგადებული და ცოცხალი ტიპის შექმნა. იქნებ სჯობდა, რომ ახალ კრებულში გამოქვეყნებული მოთხრობები ერთ მთლიან ნაწარმოებად დაწერილიყო. იქნებ დახატულიყო ტიპიური ქართველი ახალგაზრდის სახე, რომელიც გააერთიანებდა ომისწინა ახალგაზრდობის ბედს, ტყვილს, სიხარულს და მისი ცხოვრები-

სათვის ყველაზე ნიშანდობლივ, ინდივიდუალურსა და საზოგადოებრივ ნიშანს. მაგრამ გვიან არასოდეს არ არის. ასეთი სახეები უნდა დაიხატოს და შეიქმნას. უნდა შეიქმნას ისეთი ძლიერი, ორიგინალური და ცოცხალი სახეები, ხასიათები და ტიპები, რომლებიც თავისი განცდით, გონებით და მოქმედებით ჩვენი საზოგადოების ყველაზე დამახასიათებელი და არსებითი ნიშან-თვისებების მატარებელი იქნებიან. მრავალ დღევანდელ ქართულ მოთხრობაშია ცდა ასეთი პერსონაჟების დახატვისა, მაგრამ მათ, ჟანრისა თუ სხვა მიზეზის გამო, ეროვნული და საერთო-საკაცობრიო მასშტაბურობა აკლიათ.

ჭაბუა ამირეჯიბის ზოგიერთი მოთხრობის ნაკლი შეიძლება ისიც იყოს, რომ ავტორი იშვიათად სცილდება თავის შექმნილ ამბებს და არ უყურებს მათ როგორც მისგან დამოუკიდებლად არსებულსა და მიმდინარე პროცესებს. ამავე დროს, წარსულის შეფასებას ავტორი რეტროსპექტიულად, ჭკუადამჯდარი კაცის თვალით იძლევა. შეიძლება ასეთი იყოს მისი მწერლური პრინციპი და პოზიცია, მაგრამ ეს, ჩემი აზრით, მოგონების სურათებს ართმევს პირველხილვისა და უშუალობის ცოცხალ ფერებს.

ეს წერილი შედგება იმის ღრმა რწმუნისა, რომ მწერალს წინ დიდი გზა და შესაძლებლობები აქვს. მისი ცხოვრება და ბიოგრაფია იქნება სტიმული მომავალი შემოქმედებითი ძიებებისათვის. მშვენიერი ქართული ენა, დახვეწილი და ზომიერად სუბიექტური სტილი, თვალსაჩინო აზრობრივი დაკვირვებანი და მხატვრული მიგნებები უფრო მნიშვნელოვანი წარმატებების იმედს იძლევა.



## ოჯი პაჰოკი

### რა იქნება შედეგ?

„პატარა ქვეყანას“ აქვს თავისი ლეგენდა თეთრ მთაზე. „პატარა ქვეყანას“ არც სოციალური ძვრები, არც სიკვდილსიცოცხლის საბედისწერო შერკინება, არც სამართალი და უსამართლობა აკლია.

ამ ქვეყანას ვერცერთ რუკაზე ვერ იპოვით. იგი მწერალმა გამოიგონა და „საკალანდარიო“ დაარქვა. მერე დასასხლა ადამიანებით, მისცა მათ სიკეთე და ანგარება, სიყვარული და სიძულვილი, წარსული და მომავალი.

და როგორც ყოველ ქვეყანას, „საკალანდარიოსაც“ სჭირდებოდა თავისი უკვდავი სული, სინდისი და პატიოსნება. სჭირდებოდა ადამიანი, რომელიც თავისი ხალხისთვის ტილ ულენშპიველიც იქნებოდა და ვილჰელმ ტელიც. ამ ადამიანს უნდა გამოეხატა „პატარა ქვეყნის“ მორალური კანონი, იგი უნდა ყოფილიყო წინამდგომი და ჭირში მფარველი, პატრიარქი და მემბოხე, დინჯი და ენებებით აღსავსე...

საკალანდარიოში ცხოვრობდა ერთი ასეთი კაცი.

ბათუ კალანდარია ტრადიციული ლიტერატურული პერსონაჟია, მაგრამ არა მხოლოდ იმიტ, რომ ქართულ პროზაში მის მსგავსთა მიგნება შეიძლება. იგი

ბევრ ჩვენგანში წინა თაობების ძლიერი და კოლორიტული სახელების მოგონებას აღძრავს. ბათუ არ არის არც კეთილი, არც ბოროტი. მისთვის უცხოა ამ თვისებათა წინასწარ განსაზღვრული გათიშვა. მისი ხასიათის მთავარი თვისებაა ზომიერების, ის გრძნობა, რაც სიკეთეს საქმედ გადააქცევს ხოლმე. ბათუ არავითარ რელიგიურ დოქტრინას არ ცნობს. იგი სრულებითაც არ ცდილობს, რომ ჭიანჭველასაც კი არ დაადგას ფეხი. თუ განრისხდა — მკაცრია და დაუნდობელი, თუ თავისი სიმატლე სწამს — ძალასაც იყენებს, თუ მისი კლასობრივი შეგნება მოითხოვს — არ იცის უკანდახევა.

ბათუ კალანდარია ებრძოდა თავადებს, როგორც კლასობრივ მტრებს, და ხშირად მათ წინააღმდეგ ბრძოლის მათსავე მეთოდებს იყენებდა. ცდილობდა დაეჯახა ისინი თავისი პიროვნული თვისებებითაც, თუნდაც აზნაურული პეწით, მხედრობით და თავზეხელაღებული ვაჟკაცობით. იგი, შეგნებით თუ შეუგნებლად, ყოველთვის არღვევდა სოციალური სხვაობის იმ ყალბ პირობითობას, რომლის მიხედვითაც ამ დიდგვარიან მზობლებს თითქოს რაღაც სხვა, რომანტიკულ-რანდული იერი და ხასიათი უნდა ჰქონოდათ, კალანდარიებს კი — სხვა.

ბათუ ჭიუტად კვდება. ებრძვის სიკვდილს, ებრძვის არა შინის გამო, არამედ სიცოცხლის გულისთვის. ამ ბრძოლაში მკლავდება ბათუს ხასიათი. მისი სიკვდილი იმ დღეს დაიწყო (დაიწყო ისე, როგორც იწყებს გახმობას ბებერი ვეება ძელქვა), როცა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და თავაშვებული მეზობელი მოთოკა.

ამ დღის შემდეგ უცებ მოტყდა ბათუ, მოიხარა და ყავარჯენს დაეყრდნო, დაუძაბუნდა ნაჯაფარი ხელები, დაუძმძმდა ნაბიჯი და ბათუმ ცხოვრებას, ახლობლებს, საკალანდარიოს თითქოს უკვე გაღმიდან, რალაც იღუმალ მიჯნას მიღწეულმა შემოხედა. სიცოცხლის დასასრულს თავის უსაყვარლეს შვილიშვილს ანდერძად ცხოვრების ერთი სიბრძნე დაუტოვა. მან გურამს უბრალოდ და ნათლად აუხსნა, თუ როგორი სიმართლე უნდა ადამიანებს, აუხსნა, რომ ყოველგვარი სიმართლის როყოოდ წამოსროლაც ყოველთვის როდია გამართლებული.

და მაინც, ბათუ კალანდარია არ არის ის პერსონაჟი, ვინც „თეთრი მთის“ მთავარი აზრის გადმოცემა უნდა იტვირთოს. ბათუ ამ წიგნის სინდისია. სათქმელი კი იწყება ხატოვანი ფრაზით — „ყვითელი ანგელოსი საკალანდარიოდან“.

„თეთრი მთა“ ორპლანიანი ნაწარმოებია. პირველ ნაწილში პარალელურად ვითარდება ერთი ცხოვრების დასასრულის ამბავი და ახალი თემის ექსპოზიცია. მეორე ნაწილიდან (პატარა მზე) ექსპოზიციის თემა აქტიურდება (თუმცა იმის გამო, რომ „თეთრი მთა“ თავისთავად რომანის პირველი წიგნია, თემა დაუმთავრებული რჩება) და ამასთან ერთად იზადება შეკითხვებიც და ზოგი დაეშვება.

„ანგელოზი საკალანდარიოდან“ მხოლოდ ტროპი არ არის. იქნებ აქ ცოტა მარჩიელობაც კი მოგვიხდეს, მაგრამ „პატარა მზეში“ უკვე ჩანს — საით მიდის მწერალი.

ბათუს ხასიათის დახატვისას არსებობ-

და ერთგვარი „ისტორიული ასპექტი“ და ეს საქმეს ასე თუ ისე აადგენდა. გურამ კალანდარია ახალი <sup>სახეობის</sup> სულ სხვა, ახალ ატმოსფეროში ცხოვრობს და, თუ შეიძლება ასე ითქვას პერსონაჟზე, სწორედ იგია ავტორის მესაიდუმლე.

ჰყავს თუ არა ამ ხასიათს, უფრო სწორად, ამ „ანგელოზს“, ლიტერატურული წინაპარი. ვფიქრობთ, რომ ჰყავს. ვხამიშინისკენ, კარამაზოვისკენ და როკოსკენ მიდის. მწერალმა ეს იცის. რა იქნება შემდეგ, ძნელი სათქმელია. აქ უკვე მის ხელთაა, გახდება გურამი როკო თუ იგი კალანდარიად დარჩება.

თანამედროვე ახალგაზრდა კაცი, გაზრდილი მწერლის მიერ შექმნილ „ქვეყანაში“ და მოსული ჩვენთან... ნიჭიერი მწერალი ნოდარ წულუისკიერი ჯერ კიდევ ეძებს მას, ეძებს პრაქტიკულად და თეორიულად.

გურამი მორალურად სუფთაა და თითქოს ოდნავ ტრაგიკულიც, რადგან იგრძნობა, რომ დიდი სულიერი სიწმინდე მას ცხოვრებაში ზოგჯერ ტყვიოსაც არგუნებს. ჰაბუკს ერთი საშიშროებაც ელის, მისი სულიერი სიფაქიზისა და ცხოვრების თანაფარდობა სადმე დაირღვევა ისევე, როგორც ადრე სიჭაბუკეში დაირღვა (ძაღლის მოკვლის ეპიზოდი, როცა ბიჭმა დიდი ხნის დაგუბებული წყრომა ვერ დაიოკა და თითქოს მოულოდნელად, ფსიქოლოგიურად კი უადრესად გამართლებულად, დასვა მკაცრი შეკითხვა: მითხარით, ვინაა დედაჩემი!).

გურამის ხასიათი არ არის დასრულებული, მაგრამ რაც არის, სხაბს გვაძლევს ვიფიქროთ, ზნეობრივი და ეთიკური საფუძვლები, წმინდა მორალური საწყისი „ყვითელ ანგელოზს საკალანდარიოდან“ სიკეთის მატარებელთა იმ რიცხვს შეუერთებს, ვისი ცხოვრებაც ყოველთვის ძნელი ყოფილა და ვინც მუდამ მოვლენათა და საგანთა ცენტრში უნდა იმყოფებოდეს.

მას ყოველთვის ექნება დიდი ზეგავლენა ახლობლებზე, ამის საწინდარია „ადგუნებადობის“ ის შინაგანი უნარი,



კაცს რომ თან დაჰყვება, შეძენით კი ვერ-სად შეიძენს.

განვითარდა ახალი მოტივი და ავტორის წინაშეც დადგა დილემა — როგორ წეროს შემდეგ? ისე, როგორც ბათუს ცხოვრებაზე წერდა, თუ თემის შეცვლამ თხრობის მანერის, რიტმის ან კომპოზიციის შეცვლა უნდა გამოიწვიოს? ნათლად ჩანს, რომ ნოდარ წულუისკირი ამზე ბევრს ფიქრობს და ნაწარმოების მეორე ნაწილში სტილიც უკვე მერყევია, ცვალებადი.

ჩეხოვის „თოლის“ ერთი გმირი ამბობს — „საქმე ძველი და ახალი ფორმების ძიება კი არ არის, საქმე ისაა — წერდე და არ ფიქრობდე არავითარ ფორმაზე“.

მაგრამ, როგორც ჩანს, „საქმე“ ასეც არ არის.

ბათუ კალანდარიას ცხოვრების სტილს თავისთავად ახასიათებდა კოლორიტი, თუ გნებავთ, ეგზოტიკაც.

ბათუ ცხოვრობდა მკვეთრი კონტრასტების ეპოქაში. მაშინ კალანდარიები და ხაინდრაგები ცხენისწყლის სათავესთან ან ლეგენდარულ თეთრ მთაზე „ოჩოკოჩებს“ ებრძოდნენ, რომ „ქვა ქეშმარიტი“ ხალხისათვის დაებრუნებინათ. მაშინ ბათუ ბნელი ღამით აზნაურ გაბუნის ერთადერთ ქალს იტაცებდა და საკალანდარიოს მთვლემარე ორბობებზე გახელებული ცხენების თქარათქური აღვიძებდა.

აკვირდება მოხუცი ბათუ თავის შვილიშვილებს და ხედავს, შეიცვალა ადამიანი, შეიცვალა ყოფა, დრო შეიცვალა, მაგრამ ისიც იცის, არ შეცვლილა და არც შეიცვლება ადამიანის სიკეთე და სამართლიანობა, თვით მისი, ბათუს წარმოდგენა სიკეთესა და სამართლიანობაზე. კაცი კაცით ცხოვრობს. ასე ცხოვრობდა და ასე მოკვდა ხიტა ხაინდრაგა, ასე უნდა იცხოვროს გურამ კალანდარიამ.

და გურამ კალანდარია იწყებს ცხოვრებას.

გურამი „ნამდვილი კალანდარიაა“. ასე ფიქრობს ბათუ. იგი ჭაბუკში თავისი

ფარული. ხორცშეუსხმელი თემაზე ალზევებას ხედავს. გურამში ისევე ეტყობა, როგორც პრიმატი და ეთერული წყისი, როგორც ბათუში უდრეკი ნებისყოფა და ფიზიკური ძალა.

მაგრამ გურამ კალანდარიას მაინც აკლია რაღაც, იქნებ სიბოო და სისავსე, იქნებ იგი ცოტა ცივია და სქემატური. ხომ არ დაუთმო მწერალმა ზედმეტი ყურადღება თავის წარმოდგენაში ჩამოყალიბებულ ზნეობრივ ფორმულას, რომელიც გურამის ხასიათიდან იმდენად არ გამომდინარეობს, რამდენადაც თვით გურამის ხასიათი გამომდინარეობს ამ ფორმულიდან.

ნოდარ წულუისკირისთვის ნათელია, როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ბათუსთან. გურამთან კი საქმე უფრო რთულადაა. ამას აქვს თავისი მიზეზი. გურამის ხასიათში ბევრი რამაა სუბიექტური, ავტორისეული. პირველ წიგნში ჭერ კიდევ არ არის დაცული დისტანცია ავტორსა და პერსონაჟს შორის. თუ შეიძლება ასე ითქვას, ნოდარ წულუისკირი ბათუს ნათლად ხედავს. გურამს კი უფრო გრძნობს და ამ გრძნობას თავის მორალურ-ეთიკურ პრინციპებთან აზავებს.

„უნდა ცხოვრობდე საკუთარი თავით, ოღონდ არ შეიძლება ფიქრობდე მხოლოდ საკუთარ თავზე“ — ეს მცნება ბათუსა და გურამისთვის საერთოა. იცხოვრო სხვებისთვის — ამ პრინციპის მოქალაქეობრივი შეგნება მთელი ოჯახის ტრადიციაა. თუ კალანდარიების უფროსი თაობისთვის ეს ტრადიცია პრაქტიკული ცხოვრება იყო, უმცროსი თაობისთვის ჩგი ჭერ კიდევ განუხორციელებელი სულიერი მემკვიდრეობაა.

უფროს თაობას არ აინტერესებდა არც თვითნაღიზი და არც საკუთარი სულის სიორმეგობი ჩაძირვა (თუნდაც იმიტომ, რომ ამის დრო და საშუალება არ ჰქონდა). უმცროსი თაობის სამოღვაწეო ასპარეზი უკვე საკუთარი სულიერი სამყაროა. მაგალითად, ის ფაქტი, რომ გურამი მსჯელობს და ფიქრობს გმირის პრობლემაზე, შემთხვევითი ლი-

ტრატურული გადახვევა როდია, ეს უკვე სულიერი მოთხოვნილებაა.

წიგნის ავტორი თამამად იჭრება პედაგოგიის სფეროში (აქვე უნდა ითქვას, რაც კი ამ წიგნში სქემატური და დეკლარაციულია, თითქმის ყველაფერი ამ სფეროსთანაა დაკავშირებული).

ავტორს განსაკუთრებით აინტერესებს ე. წ. „დადებითი გმირის“ პრობლემა. აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ეს საკითხი ორგანულად უკავშირდება „თეთრი მთის“ ახალგაზრდა თაობის მორალურ ჩამოყალიბებას.

ნოდარ წულეისკირი თავის მსჯელობას ყოველთვის გარკვეული წანამძღვრებით ამზადებს. თუმცა იქ, სადაც მწერალი დადებითობის განყენებულ გავებასა და პრაქტიკულ მოქმედებას აპირისპირებს, მისი მსჯელობა ნაკლებ დასაბუთებულია.

ეს მხოლოდ დეტალია. მთავარია საერთო შთაბეჭდილება, რომელიც, რასაკვირველია, კატეგორიული მტკიცების უფლებას არ გვაძლევს, მაგრამ ზოგიერთი დასკვნის გამოტანა და ვარაუდის დაშვება მაინც შეიძლება.

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში ყოველი დეტალი, მოტივი თუ მოქმედება სილოგიზმის მკაცრ კანონებს ემორჩილება. მისი პერსონაჟებისათვის არ არის უცხო არც აფექტი და არც გულისთქმის აყოლა, ოღონდ, როგორი მოულოდნელიც არ უნდა იყოს პერსონაჟის საქციელი, ნოდარ წულეისკირი ყოველთვის ცდილობს მას ფსიქოლოგიურად სწორი წანამძღვარი უპოვოს.

ამ თვალსაზრისს აქვს მეორე მხარეც.

პერსონაჟის ხასიათი ავტორის გონებაში ჩამოყალიბებული თეორიული წარმოდგენით იქმნება. ეს წარმოდგენა გრძნობათა რთული კომპლექსის გაცნობიერების, მასში გარკვევის ცდაა. აქ კი ნოდარ წულეისკირი ყოველთვის ვერ

ახერხებს ჩანაფიქრის სახიფათო, პლასტიკურ წარმოსახვას. იგი თავშეკავებული, ფრთხილი და ეს სიფრთხილესთან დაკავშირებული არამყარ, სითბოს მოკლებულ სტრიქონებს აწერინებს.

რა იქნება შემდეგ? „თეთრი მთა“ თუნდაც იმითაა საინტერესო, რომ მისი მომავალი ვაფიქრებს, გაწუხებს კიდევ.

ეს არ არის რომანტიკული წარსულის ლირიკულ ფერებში აღდგენა. თუკი დღემდე „თეთრი მთის“ თემატური რკალის ნაწარმოებებში გმირის (ახალგაზრდა კაცის) ხასიათის ჩამოყალიბება მხოლოდ ობიექტურ ფაქტორებს უკავშირდებოდა და ხშირად უმპირიულიც კი იყო, თუ გმირის სიკეთე და შეცდომები სხვისი სიკეთისა და შეცდომების თავისებური განმეორება იყო, „თეთრი მთის“ ავტორი ცდილობს პიროვნების მორალური სახე, მისი ეთიკური ღირებულება აზრისმიერი ძიებებით, გონების დიდი დაძაბვით განსაზღვროს. გურამ კალანდარია უნიადაგო თეორიებით გატაცებული მეოცნებე როდია, უბრალოდ, რასაც ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის გმირები გულით ხედავენ, ნოდარ წულეისკირის გმირს სურს გონების თვალთ დაინახოს.

ეს ძნელი გზაა, უფრო სწორად, საოცრად ძნელი გზის დასაწყისია. გაიტაცებს გურამს ერთგვარი „მარტივობა“ და დეკლარაციულ ჭეშმარიტებათა მღალღებელ სქემად გადაიქცევა, თუ ხორცს შეისხამს, ფერს შეიმატებს და ქართულ პროზაში შემოვა მძლავრი გონების, მაღალი მორალის ახალგაზრდა კაცი, რომელიც გაუძლებს ინფორმაციათა იმ ნაკადს, რასაც მწერალი მისთვის ამზადებს (რომ ამზადებს, აშკარად ჩანს). და შეინარჩუნებს თავის „სარწმუნოებას“. სხვა გამოსავალი არ არის, იგი უკვე დიდ გზაზე გასული მგზავრია და ვერ შეჩერდება.



# წიგნაკის საქყურობა

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## ალალი გულის ნაქარნახევი

ჭურბი პოეტიკი — „ლექსები და ბალადები“. გამოცემა „საბავთა საქართველო“.

მეტად საინტერესო და თავისებურია ხანგრძლივი ისტორიისა და ტრადიციების მქონე ქუთუთი პოეზია, რომლის რამდენიმე ნიჭიერი წარმომადგენელი საქართველოშიც ცხოვრობს. არაერთხელ ახმოვანებულა ამ უკანასკნელთა ნაწარმოებები ქართულ ენაზე. სულ ახლახან კი ცალკე წიგნად გამოვიდა ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ქუთუთი პოეტების ლექსებისა და ბალადების ქართული თარგმანები.

„მზე ამოდის, მზე ჩახჩახებს“, — ჯადოებს ამ სტრიქონით იხსენება კრებული და იგი თითქოს სიმბოლურად ჟღერს. წიგნი სავსეა მზის ჩახჩახა შუქით, მზიარული ფერებით, ყვავილთა სურნელით... აქ წარმოდგენილი ავტორების პოეტურ შთაფონებას ასაზრდოებს მხურვალე პატრიოტიზმი, კომუნიზმის მშენებელი ხალხის გამარჯვებები, თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრების სიხარული.

საბჭოთა ქვეყნის ტრფიალებითაა გამოთბარი ბახჩოე ისკოს ლექსის სტრიქონები:

საუკუნეთა ქრიან ქარები.  
თუმც სახელმწიფო იყო მრავალი, —  
საბჭოთა ქვეყნის შესადარები  
არსად არ იყო, არსად არ არის.

სამშობლოს სიყვარულზე ლაღაღებს ჯალიღე აჯოეც:

ღმერთმა გაშოროს ყველა განსაცდელს,  
ყველან დამყვები დედის თვალებით,  
მე შენ დამბაღე და შენ გამზარდე,  
მკვდარიც შენს მიწას მიეგბარები.

გულის სიღრმიდან ამომავალი სიტყვებით ლაპარაკობს მორგე მამედოვი კაცობრიობის ბრძენ ბელადზე, დიდ ლენინზე:

აღამიანი —  
წელთაღრიცხვა ახალი დროის,  
აღამიანი —  
ოკეანე თვალუწვდენელი!  
აღამიანი —  
სიმღერა და დიდება შრომის,  
წინსვლის, სიკეთის და სიცოცხლის  
მამა — ლენინი.

მორგე მამედოვი აღტაცებით მიმართავს ჩვენი ცხოვრების შემოქმედს კომუნისტურ პარტიას:

დიდო პარტიავ, სამშობლოს ძალავ,  
ეს შენ ავგტყორცნე მწვერვალზე ზევით,  
შენი აღამი გვიჭირავს მარად,  
კომუნისტიკენ მივდივართ რწმენით.

ასეთივე განწყობილებითაა გამსჭვალული აზიზე ისკოს ლექსიც „ლენინის პარტია“. მშობლიური მხარის — საქარ-

თველოს წარმტაცი ბუნებით, თვალუწვდენელი ბალ-ვენახებით, შრომისმოყვარე ქართველი ხალხითაა მოხიბლული ჯალილე აჯოე:

შენს სახელს მუდამ კრძალვით წარმოვთქვამ, მხარვე, სულის და გულის შემძვრელო! ო, დამაწაფე შენთა წყაროთა, მეგრე სიკვდილიც აღარ მეძნელოს!

ამავე პოეტის ლექსი „თბილისი“ დედაქალაქის თავისებური ეშხით და სილამაზითაა აქლერებული:

შენი სიტურფე ვინ დაიშისოს, გული და სული შენ გეფერება, ისეთი ლექსი მინდა, თბილისო, ტპილ ჩონგურზე რომ დაიმღერება.

ჩვენს თანამედროვე ქურთ მგოსნებს როდი ავიწყდებათ შორს დარჩენილი თანამომქმენი — თავისუფლებისათვის, ადამიანური ღირსებისათვის მამაცი მებრძოლნი — ქურთისტანის მკვიდრნი. სწორედ ამ თანამომქმენთა ბედზე კვენისის ჯარდოე ასადის ლექსი:

როგორც მთაში ჯიხვზე, ირემზე და შველზე, ისე, ჩემო ქურთისტანო, ნადირობენ შენზე. ვაი! ასი გესროლეს! ასი ათასს ვგესვრიან... ჩუ, ჭალარა მთები, დაცხრილული მთები, კვენისიან.

მოძალადეების მიმართ გამოთქმული გულისწყრომა და რისხვა ისმის ბახჩოე ისკოს ბალადაში „ბედი ქურთისტანისა“, მოროც მამედოვის ლექსში „არაქსის გაღმა“, ჯალილე აჯოეს ლექსებში „ქურთისტანელი დედა“, „ქურთისტანის მთები“, „ომი ქურთისტანში“... ქურთისტანელი მშრომელი ქალ-ვაყის მწარე ცხოვრების მართალი სურათია დახატული ტოგარ ბროევის ბალადაში „ზარე“. შეყვარებულები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ მშობლიური მთა-ბარი. მათ ჩვენს მიწა-წყალს მოაშურეს:

გზას თქვენი მზე გვინათებდა, თქვენთან მოგვიხაროდა, როგორც დიად სიმართლესთან და სინათლის წყაროსთან.

უკან დარჩა ჩვენი მხარე და საადრო ღრუბლები, დედასავით შევიყვარეთ მიწა თავისუფლების.



წიგნში მოთავსებულია რამდენიმე სატრფიალო ლექსი. ისინი გვხიბლავენ ჭაბუკური მგზნებარებით, საყვარელი არსებისადმი ვაჟკაცური მოკრძალებით. აქვეა მსუბუქი ადამიანური სევდით გამთბარი პუკარები დროის გარდუვალ დინებაზე, ახალგაზრდობასთან გამოთხოვებაზე, მაგრამ ყოველი მათგანი ნათელი ოპტიმიზმითაა შეფერილი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შკოე ჰასანის „ნუ გამისხლტები, ახალგაზრდობავ“ და ჯარდოე ასადის ლექსები. აი, ერთი მათგანი:

ვიცი, მოგვედები ერთხელ, მტვრად ვიქცევი და ფერფლად; მაგრამ ერთსა ვთხოვ გამჩენს, ვინც ეს ჭევეყანა შექმნა, თუნდ ორიოდე დღით კვლავ გამაცოცხლოს პეპლად: მოვიფარფატო ხმელი, მამულს დაუწყყო ძებნა, ვნახო ჭევეყანა ვრცელი, ხალხი რასა იქმნა ჭევეყნად.

„მე ყურს ვუვდებ ჩემს სიმღერას, ალალ გულის ნაკარნახევს“, — ამბობს ჯალილე აჯოე ერთ თავის ლექსში. და მართლაც, სწორედ ალალი გულის კარნახითაა ამეტყველებული კრებულში შესული ყველა ლექსი თუ ბალადა: სწორედ ამიტომ მიიღო ისინი მკითხველმა გულთბილად.

მადლობის მეტი რა ითქმის მთარგმნელებზე (მ. ლებანიძე, თ. ჯანგულაშვილი, ლ. სულაბერიძე, შ. ფორჩხიძე, ი. ქემერტელიძე, ვ. ჯავახიძე, ო. შალაშვილი, მ. კახიძე, ს. მზარგრძელი, ირ. არაბული, ბ. ხარანაული), რომლებმაც კეთილსინდისიერად და სიყვარულით შესრულებული თარგმანებით გაგვაცნეს ქურთი პოეტების საუკეთესო ნიმუშები.

ამ წიგნის გამოცემით კიდევ ერთი კეთილი საქმე გააკეთა „საბჭოთა საქართველომ“.

სვიმონ შამფრინი.



თუ გადავხედავთ უკანასკნელი წლების ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას, შევნიშნავთ, რომ კრიტიკული რეცენზიების უმრავლესობა ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებებზეა დაწერილი. ბუნებრივია, ახალგაზრდების შემოქმედებაში უფრო მეტია საკამათო, მაგრამ შეცდომაა ჩვენი მწერლობის დაყოფა „გასაკრიტიკებელ“ და „არავასაკრიტიკებელ“ მწერლებად.

ხშირად ხდება ასე: თუ მწერალმა თავისი ადრეული შემოქმედებით (და ასაკითაც) მიაღწია ისეთ სოლიდურ მდგომარეობას, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურის ამინდის შემქმნელთა რიგებში ჩადგა, ჭეშმარიტი მსუსხავი კრიტიკა მაშინვე დებს კალამს და ასეთ მწერლებზე ზოგჯერ მხოლოდ პანეგირიკული წერილები იწერება.

ხდება ასეც: თუ მწერალმა უხმაუროდ შემოაღო ლიტერატურის კარი, თუ მისი პირველი წიგნები არ ბრწყინავს თემისა და ფორმის სიახლით ან არ გამოირჩევა რაიმე უცნაურობით, მას მაშინვე ჩუმ, უკრეტენზიო მწერლად ჩათვლიან და ბოლომდე ინდიფერენტულად, ერთგვარი „დიდსულოვანი“ გულგრილობით ხვდებიან მის ყოველ ახალ შემოქმედებით ნაბიჯს, თუნდაც ეს ნაბიჯი ახლებური და საინტერესო იყოს. ჩვენ ხშირად ერთმანეთში გვერება მწერლის მოქალაქეობრივი თავმდაბლობა და მისი შემოქმედებითი პოტენცია.

გაბრიელ ჯაბუშანური, მიუხედავად დიდი შემოქმედებითი პოტენციისა, ამ ბოლო წლებში ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის პრინციპული მსჯელობისა და დამსახურებული ყურადღების გარეშე დარჩა.

გაბრიელ ჯაბუშანურმა სამი ათეული წლის წინათ გამოაქვეყნა ლექსების პირველი კრებული — „არავიანი“. ეს წიგნი საინტერესო იყო თავისი უშუალობით, პოეტურ ხილვათა სირთულით, თვითმყოფადობითა და ჯანსაღი ლირი-

კული სამყაროთი (მოიგონეთ ლექსები: „ქარი“, „ზეცის საბოძვარი“, „ცხენი“ „სტუმრობა ქისტის ქალთან“, „საუბარი“ და სხვ.).

გაბრიელ ჯაბუშანურის პოეტური სამყარო მკვიდრ და გამძლე საყრდენზე დგას და ამ გარემოებამ გაგვამდგინა ოდნავ მკაცრი, მაგრამ მეგობრული საუბარი მაღალნიჭიერი პოეტის ახალ ნაწარმოებზე.

პოემაში ასახულია ბარისახოს სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა ცხოვრება. წინასწარ ერთი რამ უნდა შევნიშნათ: ჩვენს ლიტერატურაში უკანასკნელი წლების მანძილზე თემების ეთნოგრაფიული პრინციპით დაყოფამ იჩინა თავი. თითქოს არსებობს „მთის თემები“ და „ბარის თემები“. მთის ხალხს ცხოვრებაზე ამ ბოლო დროს დაწერილი ნაწარმოებებში ზოგჯერ ჰიპერბოლურად უსვამენ ხაზს მის, თითქოს სხვებისაგან განსხვავებულ თვისებებს. იქნებ მთიელთა ევზოტიკური ცხოვრების ამგვარად ჩვენება ვაჟა-ფშაველას და ალექსანდრე ყაზბეგის მიერ დამკვიდრებული ტრადიციის ცალმხრივი გამოძახილია; მაგრამ რამდენადაც მართალი იყვნენ თავის ეპოქაში ვაჟა და ყაზბეგი, რამდენადაც სწორი უპოვარი იყო მათი შემოქმედება, იმდენად უსუსური იქნება მწერალი, რომელიც მეოცე საუკუნის სამოციანი წლების მთის სოფელში მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების მთიელთა პროტოტიპებს დაუწყებს ძებნას.

გაბრიელ ჯაბუშანურის ნაწარმოები ამ მხრივ სასიამოვნო გამოწყლისია.

რა არის ამ წიგნში კარგი? უპირველეს ყოვლისა, გაბრიელ ჯაბუშანურის პოეტური მეტყველება. „სიმღერა გაბა ნაროზაშლზე“ დაწერილია ჭეშმარიტი პოეტის ხელით. იგი შექმნილია მაღალი გემოვნებით, ლაღი, გამართული ლექსით, თუმცა მძიმე, მაგრამ ძირითადად სწორი, ლიტერატურული ლექსიკით. წიგნში ხშირად გვხვდება ოსტატურად

დაწერილი ადგილები. აი ერთი მათგანი. ბავშვობისას გაგა ნაროზაულმა მშვილდ-ისრით ყვავი დაქრა:

სოფლის შარაზე გავიქერ მყისვე  
და თან ვყვიროდი: — შეხედეთ, ყვავი...  
ვაყვებო, ყვავი მოვკალი ისრით!  
მაგრამ საბრალო ფრინველის ჩხვიელს  
მაიკნე და ზავთი განა სჭიროდა;  
დაქრილის მოთქმა დაირბა სოფლად,  
ჩემზე ხმაალა ყვავი ყვიროდა:  
— მომკლა! მომკლა! მომკლა!

ბავშვებს გზაზე სოფლის მასწავლებელ-  
ლი შეხვდა. გაგა მოელის, რომ მასწავ-  
ლებელი ნამოქმედარს მოუწონებს, მაგ-  
რამ იგი წარბშეკრული წყენით ჰკით-  
ხავს ნაროზაულს:

— ყვავემა წიწილა მოგტაცა ალბათ?! —  
რა შეპასუხა? ყვავის ჯილაგი  
ქორს განა ჰგავდა ხარბს და უხიავს  
და იმ დღის გმირმა ჩუმად, ძლივსდა ვთქვი:  
— არა, წიწილა არ წაუღია...  
...ხანმოკლე იქნა გმირობა ჩემი.  
და მაინც დღემდე გულს შექად ჩამჩნა  
იმ დღის ხსოვნა და მზეობა შორი...  
ქორს შემდეგ, ასგზის ისარი-სარჩა  
ვტყორცნე მე... მაგრამ ვერ მოვკალ ქორი.

აქ დახატულია მართალი და ლოგიკუ-  
რი ეპიზოდი. დახატულია თბილად, პო-  
ეტურად. ყვავისა და გაგას ამბავი ცალ-  
კე აღებულიც კი გამოდგებოდა ერთი  
კარგი საბავშვო ნოველის თემად.

ასევე ლაკონურად არის დახატული  
ხანძრის გაჩენის სურათი:

მიუჭრა გაგა მძინარე თორღვას  
და ზედსახური აართვა ზავით,  
სისინა ცეცხლის ვეება გორგალს  
ზედ გადაეშხო ვაშლილი ნაბლით:  
— ცეცხლი!  
და როგორც გველის წიწილებს,  
სრესდა მშველ ენებს ნაბლით... სხეულით...  
— ცეცხლი!  
ქალის ხმამ სადღაც იწივლა.  
— ცეცხლი!  
მორბოდნენ ძილდარბეულნი...

გაბრიელ ჯაბუშანური ოსტატურად  
აღწერს დელგმისწინა ზეცის ფერწე-  
რულ სურათს:

ასე დაიპყრო ნისლმა ხმელეთი,  
მომხედ მოიხზრო ღრუბელი მაღლით, —  
მანაც გაშალა მყისვე ხელები  
და შემოხვია მტრედისფერ მაღრბის.

შემდეგ განიცრცო ფარდაზე სივრცის,  
ჩალად ჩაავდო ზეცა მოღავემ,  
ერხულ ახედა, მხოლოდ სიცილი  
და გადაყლაპა მზე — საცოდავი.

ცოცხალი ხატოვანების და თავისებუ-  
რი პოეტური აღქმის უტყუარი ბეჭედი  
აზის გამძვინვარებული ბუნების სურა-  
თებსაც:

ღრმა ხეში ცეცხლის ყვეა ისმოდა,  
შეერთებული ქვესცენლის ძახილს,  
ზევედნ ზვაგი ხმაშეშარავი  
ვიღოდა ზღაზნით, მძიმე და ზანტი,  
და აზავებულ ზვირთთა ქარავანს  
იხვევდა ყელზე, ვითარცა მანდილს.

გაგა ნაროზაულის ხასიათის განვითა-  
რების ჩვენებით გაბრიელ ჯაბუშანური  
ცდილობს მკითხველი შეიყვანოს მოზარ-  
დის კითხვის ნიშნებით საცხე სულიერ  
სამყაროში და დააფიქროს ახალგაზრდის  
ხვალინდელ დღეზე.

...და მაინც გაბრიელ ჯაბუშანურის  
წიგნში ცოტა როდია საკამათო.

მოსწავლე ახალგაზრდობის ცხოვრე-  
ბაზე წერა რომ რთული საქმეა და ჩვენი  
მწერლებიც იშვიათად ქმნიან სკოლაზე  
დაწერილ სრულყოფილ ნაწარმოებებს,  
ამას მტკიცება არ სჭირდება. ამ გარემო-  
ებას ბევრი მიზეზი აქვს, ერთ-ერთი კი  
დღევანდელი სკოლის საჭირობოტო  
საკითხების არცოდნაა.

თანამედროვე ახალგაზრდა კაცის ფსი-  
ქიკის, მისი გონებრივი ჰორიზონტის და  
ინტერესთა სფეროს არასაკმარო ცოდნა  
ეტყობა გაბრიელ ჯაბუშანურის წიგნსაც.  
უდაოდ ძლიერია გაგაზე დაწერილი სი-  
მღერის ავტორი, როგორც ლექსის რიტ-  
მის, რითმის, არქიტექტონიკის გამოც-  
დილი ოსტატი. ძლიერია იგი მთის ბუნე-  
ბის და ნაწარმოებში გაშლილი მოქმედე-  
ბის ცალკეული დეტალების (ნადირობა,  
დოლი) ხატვისას, მაგრამ გაბრიელ ჯა-  
ბუშანური ასევე ძლიერი არ არის სიუ-  
ჟეტის შექმნისა და განვითარების დროს,  
ხასიათის აღმოჩენისა და წიგნის გმირ-  
თათვის ინდივიდუალური ნიშნების მი-  
ნიჭებისას.

გაგა ნაროზაული და მისი ამხანაგები  
ახირებული ყმაწვილები ჩანან. გოგო-  
ნებს არაფერი აწუხებთ გარდა იმისა, თუ

ვინ გაიმარჯვებს ქალაქში დოღზე (დოღის ეპიზოდი ნაწარმოებში სამჯერაა გამოვლენილი სხვადასხვა ადგილას). ბიჭებს? ბიჭებსაც თავისი ინტერესები აქვთ. ვეფხია ამბობს:

...თუ პირველობა დოღში წამართვის, —  
წამოვიხურავ ღამისფერ ნაბაღს,  
შევიხიზნები მაღალ წარაფებს,  
ხოლო ჩემს შავრას დაეხალი ტყვიას.

გაგა ნაროზაულსაც იგივე ამბავი აწუხებს:

მანც რაიმე საგმირო საქმით  
ვერ ვავანგაშე ჩემს თავზე ხალხი.

იგი დაუოკებლად ეძებს საგმირო საქმის ჩადენის შემთხვევას, მაგრამ თურმე გაგას თავის სოფელში ასპარეზი ვერ უპოვია. იგი „კოსმოსის სარკმელს“ მიუღწევს:

მე ვხედავ: ხვალს გმირებს — ვაჟაკებს,  
...სამყაროსთან რომ იწყებს დაობა,  
სარბიელად რომ არ ეყოთ მიწა  
და ხელით შრომის ხაცოდაობა (!?)  
მათი დაცინვის საგნად რომ იქცა.

ნაწარმოების პირველ ნახევარში თათქოს ყველაფერი ჩვეულებრივად ვითარდება. გაგა წესიერი ყმაწვილია, მიუხედავად ზოგი უცნაური საქციელისა, ყველას უყვარს. იგი კარგად სწავლობს. ქალაქში დოღზე პირველობას არავის უთმობს. მოხუც თორღვას ხანძარიდან დაიხსნის, ამის გამო კიდევ უფრო შეაყ-

ვარებენ. გაგას სატრფოც ჰყავს —  
ლა, მაგრამ უეცრად:

როგორც ღრმა ხევში ზოზინა ზვავი,  
გაგა ნელ-ნელა დაუყვა ლელეს:  
შეეშვა სწავლას, აიშვა თავი  
და მიეტანა ქორწილს და ქელესს.

ნუთუ იმან გაალოთა გაგა, რომ უკვე თექვსმეტი წლის არის და ჯერჯერობით გმირობა ვერ ჩაიდინა? ან კოსმონავტებთან გაგზავნილი წერილის პასუხი რომ არ ჩანს და მყინვარწვევრზე ასვლაშიც სხვებმა აჯობეს? სხვა რა მოხდა? ამხანაგებს, მასწავლებელს, მეგობარ გოგონას ისევე ძველებურად უყვართ გაგა. ან რამ იქონია მასზე ისეთი ზეგავლენა, რომ ერთი ღამის განმავლობაში სასწაულებრივად გარდაიქმნა? განა წინა დღეს მან შეურაცხყოფა არ მიაყენა საყვარელ მასწავლებელს გიორგი ლიქოკელს? განა ამრეზით და თავხედურად არ ესაუბრა მეგობარ გოგონას, ამხანაგებს? ნუთუ მხოლოდ მასწავლებლის მიერ ნაამბობმა ომის იმ ერთმა ეპიზოდმა (საკმაოდ არადამაჯერებელმა) იმოქმედა გაგაზე ისე, რომ მან მეორე დღეს ინტერნატი დატოვა და მასწავლებელს ყველაფრის მომნაინებელი და გულისამაჩუყებელი წერილით შენდობა სთხოვა?

სწორედ ამ უეცარი გარდაქმნის არასაკმაო ფსიქოლოგიური მოტივირება არის გაგა ნაროზაულის სახის სქემატიზმის მიზეზი.

### რეზაზ მიხველაქა.

## ლუმოვსკოის პოეზია ქართულად

მ. ლუმოვსკოი — „წარმოების ღამე“. ბაზოვც. „ნაკადული“.

ქართულ ენაზე გამოვიდა გამოჩენილი რუსი პოეტის ვლადიმერ ლუმოვსკოის წიგნი „წეროების ღამე“.

წიგნის გარეკანის შავ ფონზე გამოსახულია წეროები, რომლებიც თავგამეტებით მიილტვიან სადღაც წინ, უსაზღვროებისაკენ... წიგნის ასეთი მხატვრუ-

ლი გაფორმება (მხატვარი ნ. ხინველი) შემთხვევითი არაა. წეროების მიზანსწრაფვა და შეუპოვრობა სიმბოლურად გადმოსცემს პოეტის დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი, შეიძლება ვიფიქროთ, კონკრეტულად ხელოვნებისადმი.

ვლადიმერ ლუმოვსკოი სამწერლო ას-

პარეზზე სამოქალაქო ომის დროს გამოვიდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ თავდაპირველად მის პოეზიას რევოლუციური პათოსი ანასიათებდა. ვადიოდა დრო, მისი შემოქმედება ჩვენს ცხოვრებასთან ერთად იზრდებოდა და ფართოვდებოდა. იზრდებოდა მისი გონებრივი თუ სულიერი ინტერესები, პოეტური ხილვები, ფილოსოფიური და ესთეტიკური წარმოდგენები. ლუგოვსკოის პოეზია ორიგინალური და მიმზიდველია თავისი ამაღლებული ინტონაციით, „ფერწერული ყნოსვით“, ცხოვრებასთან მჭიდრო კონტაქტით. ამიტომაც გასაგებია ქართველი მკითხველის ინტერესი მისი ლექსების ამ წიგნისადმი, რომელიც ნიჭიერმა პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ თარგმნა. ვადმოსცემენ თუ არა თარგმანები ლუგოვსკოის პოეზიის მხატვრულ თავისებურებებს, როგორ ეღერენ რუსული ლექსები ქართულად? ცხადია, რომ პირველყოვლისა ლექსის თარგმანი გულისხმობს მთარგმნელისაგან ავტორისეული რიტმისა და განწყობილების გადმოცემას, მხატვრული სახეებისა და ინტონაციის შენარჩუნებას. მთარგმნელობით პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით, თუ შეიძლება ითქვას, სიტყვა-სიტყვით თარგმნის შემთხვევებსაც.

როგორც ჩანს, შოთა ნიშნიანიძე ამგვარად თარგმნის წინააღმდეგია. იგი ხშირად ლექსს თავისუფლად თარგმნის, ეძებს რუსული სახეების შესატყვისს, ქართულისათვის ბუნებრივ მხატვრულ სახეებს და ინარჩუნებს ლუგოვსკოის ლექსების შინაგან რიტმს, ფილოსოფიურ ჰერმეტიკასა და პოეტურ აღმადგენას.

ლექსი „წეროების დამე“ სიმღერაა სიცოცხლის მარადიულობაზე. პოეტის თქმით, ყველაფერი — ადამიანები, ხეები, ქარი, ზღვის ტალღები, სიცილი თუ მწუხარება, თავაწყვეტილი წეროები, რომლებიც შიშითა და გაოგნებით მიფრინავენ შორეთისაკენ — საესეა ვაზაფხულითა და დიდი იმედებით. მართლაც, სიცოცხლე ხომ წარმოუდგენელია ამ მარადიული მოძრაობის გარეშე. ასეთი აზრია ამ ლექსში; ავტორისეული შინაგანი

ემოცია ქართულადაც შთამბეჭდავს  
წყობილებას ქმნის:

...ჩვენ ვართ ხეები,  
ჩვენ ვართ ქარი,  
ტალღა,  
სიცილი,  
ჩვენ ვართ ფანჯრები,  
ნათურები და სიმღერები.  
ჩვენი წუხილი მიიმტრევეა ზღვაზე ნისლივით.  
ჩვენ ვართ აზრი,  
დიდი მაღლი მშენიერების.

ამ წიაღსვლების შემდეგ ვლადიმერ ლუგოვსკოის ლექსში შემოჰყავს წეროები—ცხოვრებისადმი ძლიერი ინსტიქტის შეგრძნება. მათი მიზანსწრაფვა ის აუცილებელი და გარდაუვალი დინამიკაა, რასაც მოითხოვს ცხოვრების წინააღმდეგობანი და სირთულე:

...და წეროები საცოდავად  
ცას შეჰყვიან,  
მიფრენენ შიშით,  
გაოგნებით  
და დაფეთებით.  
მათ უკან მხოლოდ მარტოობა  
და სიცივა,  
წინ კი შუე არი,  
ვაზაფხული და იმედები.

ამ სტროფების რუსულთან შედარებისას ჩანს, რომ მთარგმნელი გაურბის სიტყვა-სიტყვით თარგმნას. მიუხედავად ამისა, ქართველი მკითხველი მთელი სისავსით, ასე ვთქვათ, ავტორისეულ გარემოში აღიქვამს თარგმანს. სწორედ საკუთარ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, ქართული ლექსის ბუნებას გაუწია ანგარიში მთარგმნელმა, როცა ერთნაირი თვისებების მქონე საგნებს შეგნებულად აუარა გვერდი და ყველა მათი თვისება მარტო ერთ საგანზე გადაიტანა („შრიალებს დაფნა უკვდავების მირონცხებული“).

წიგნში დაბეჭდილია ოცი ლექსი, რომელთაგან თარგმნის ხარისხით, მეტაფორების სიუხვითა და სიზუსტით, განწყობილებისა და ინტონაციების ანალოგიით ყურადღებას იმსახურებს ლექსები „გული“, „კონდოს ტბა“, „დათვი“, „ათი სიცოცხლე“, „სიმღერა“ და სხვ.

შოთა ნიშნიანიძე ყოველ სათარგმნ





ლექსში თავისი შემოქმედების თვისებებს ავლენს. ჩაწვდება ორიგინალის აზრსა და განწყობილებას და მთელ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს მთავარ აზრს უქვემდებარებს. ლექსში „გული“ პეიზაჟი წარმოდგენილია არა როგორც ცალკე მდგარი მრავალფეროვანი შტრისი, არა როგორც ლექსის დედანაზრიდან გამიჯნული თვისება, არამედ როგორც ლექსის ორგანული ნაწილი. ამდენად მათი ბუნებრივობა სათქმელს ფერთა ემოციურობასაც უნარჩუნებს.

გულო, ტიალო,  
ამოფრინდი ჩიტივით მარჯვედ  
და საღაც ღამეს  
მთვარე თეთრი რქით ერჩოლება,  
ვაით და ვივით შეეხალე მეგობრის ფანჯრებს  
და დაიტირე უმძიმესი ეს განშორება.  
იქ ყვავილები ეხვევიან  
ტირილით ღობეს...  
იქ ყვავილები სიკვდილის ქაშს წინასწარ  
გრძნობენ.

ამ ლექსში მთარგმნელმა შეძლო მხატვრული სახის („საღაც ღამეს მთვარე თეთრი რქით ერჩოლება“) შეცვლილი სახით გადმოღება. რუსულში ეს სახე ასეა: Где вновь народившийся месяц сгибает свой белый рог; აქ მიმართვის ფორმა მაინც არ შეცვლილა (გულო, ვაფრინდი...) ლუგოვსკოი გულს მიმართავს, ვაფრინდი იქ, საღაც „ახლადშობილი მთვარე თავის თეთრ რქას ზრის“, ქართულში კი ნათქვამია: საღაც ღამეს ერჩოლება. მიუხედავად ასეთი ცვლილებებისა, ჩვენი აზრით, ლექსს არაფერი წაუგია, პირიქით, სტრიქონი უფრო დინამიური გახდა.

„კონდოს ტბა“ ვლადიმერ ლუგოვსკოის მიერ სიცოცხლის ბოლო წლებში შექმნილი ნაწარმოებებიდან ერთ-ერთი საუკეთესოა. ის თავისი განწყობილებით, სურათოვნებით, ჩანაფიქრითა და მიზანსწრაფვით წააგავს „წეროების ღამეს“. „კონდოს ტბაშიც“ საღდაც წინ, თავგამეტებით მიფრინავენ წეროთა ქარაგნები, რომელთა ჩრდილებს შავი ზღვა „ჯგროდ მიაქანავებს“... არაეინ იცის, რა ბედი ეწევა მათ. გზადაგზა იქსაქსებიან: ზოგი იღუპება, ზოგი ისევ ბრუნდება...

მარადიული არც ტყეა. ის შეიძლება გადახმეს, შეიძლება ფესვიანად ამოძირკვოს, მაგრამ რა დააშრობს <sup>გაქანავს</sup> ~~დააშრობს~~ ტბას! ის ხომ ტყის მთრთოლვარე გულია. ის სიცოცხლე და მოძრაობაა. მშობელი მიწის, მშობელი ხალხის უკვდავება და სიყვარულია ჩაქსოვილი ამ შესანიშნავ ლექსში:

ლამაზო სიცოცხლე,  
ეს ტბაა თავდები —  
შენ მხოლოდ იწყები,  
მაგრამ არ თავდები.  
შენ მხოლოდ იწყები  
და ფერები ვათოვს,  
ჩემო ჩრდილოეთო —  
ქერა გოლიათო.  
იქ საღაც ვზეზია  
გაუვალე ჭერაც,  
გული რუსეთისა  
იპოება, მჭერა.

მთარგმნელი ამ ლექსში ზოგჯერ შორდება ორიგინალს, მაგრამ მისი პოეტური წარმოსახვა ლექსის მთლიან ჰარმონიას ექსოვება.

ვფიქრობთ, როგორი მკაცრი მოთხოვნისებაც არ უნდა წავუყენოთ მთარგმნელს, რამდენ სიმართლესაც არ უნდა მოვითხოვდეთ მისგან აბსოლუტური სიზუსტისა და მხატვრულობის მხრივ, ავტორისა და მთარგმნელის ერთნაირი მსოფლშეგრძნება, მოვლენებისა და საგნების ერთნაირად აღქმა და გაგება შეუძლებელია. მთარგმნელი თარგმანში ქმნის პოეტურ შინაარსს, ორიგინალთან ახლო მდგარს, ანდა ანალოგიურს. ქმნის ორიგინალის მეორად სახეს. თუ ავტორისა და მთარგმნელის შემოქმედებითი პრინციპები, მსოფლშეგრძნება, ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ მკითხველიც შედარებით სრულყოფილ თარგმანს დაბუღობს. შოთა ნიშნინიძისათვის ვლადიმერ ლუგოვსკოის პოეტური აღმადრენა, განწყობილება. ფილოსოფიური ჰერეტიკა ნათესაური და ახლობელია.

შოთა ნიშნინიძე ვლადიმერ ლუგოვსკოის ლექსების წიგნის „წეროების ღამის“ თარგმნით ჩვენი მკითხველი საზოგადოების წინაშე წარსდგა, როგორც საინტერესო და ნიჭიერი მთარგმნელი.



## სიზყვა მიხეილ შოლოხოვისა

10 დეკემბერს სტოკჰოლმში, საზეიმო ვითარებაში თვალსაჩინო საზღვარგარეთელ მეცნიერებთან ერთად ნობელის პრემია მიიღო გამოჩენილმა საბჭოთა მწერალმა მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვმა, რომლის შემოქმედებამ მსოფლიო აღიარება პოვა.

ნობელის პრემიის გადაცემის შემდეგ მიხეილ შოლოხოვმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც დაბეჭდილია 12 დეკემბრის „პრავდაში“.

ამ საზეიმო კრებაზე ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია ერთხელ კიდევ გადავუხადო მადლობა შვეციის სამეფო აკადემიას, რომელმაც ნობელის პრემია მომაკუთვნა.

მე უკვე მქონდა შესაძლებლობა საჯაროდ განმეცხადებინა, რომ ეს ჩემში იწვევს კმაყოფილების გრძნობას არა მარტო როგორც საერთაშორისო აღიარება ჩემი პროფესიული დამსახურებისა და თავისებურებებისა, რომლებიც მახასიათებს როგორც ლიტერატორს. ვამაყობ იმით, რომ ეს პრემია მიეკუთვნა რუს საბჭოთა მწერალს. აქ მე ჩემი სამშობლოს მწერალთა დიდი რაზმის წარმომადგენელი ვარ.

მე უკვე გამოვთქვი კმაყოფილება აგრეთვე იმის გამო, რომ ეს პრემია რომანის ჟანრის კიდევ ერთი არაპირდაპირი დადასტურებაა. უკანასკნელ ხანს არაერთხელ მომისმენია და წამიკითხავს, მართალი რომ მოგახსენოთ, ჩემთვის განსაცვიფრებელი გამოსვლები, რომლებშიც რომანის ფორმას მოძველებულად, თანამედროვეობის მოთხო-

ვნილებისადმი შეუფერებლად აცხადებდნენ. ნამდვილად კი სწორედ რომანი იძლევა შესაძლებლობას ყველაზე სრულად აისახოს სინამდვილის სამყარო და ასახულზე პროექციით გამოიხატოს საკუთარი დამოკიდებულება ამ სინამდვილისადმი, მისი მწვავე პრობლემისადმი, დამოკიდებულება საკუთარი თანამოაზრეებისა.

რომანი, ასე ვთქვათ, წინასწარ ყველაზე მეტად განგვაწყობს ჩვენი გარემომცველი უზარმაზარი ცხოვრების ღრმა შემეცნებისადმი და არა იმის ცდებისადმი, რომ ჩვენი პატარა „მე“ სამყაროს ცენტრად წარმოვადგინოთ. ეს ჟანრი თავისი ბუნებით რეალისტი ხელოვანისათვის ყველაზე ვრცელ პლაცდარმს წარმოადგენს. ხელოვნების ბევრი ახალგაზრდა მიმდინარეობა უარყოფს რეალიზმს იმ მოსაზრებით, რომ მან თითქოს მოჭამა თავისი დრო. არ მეშინია იმისი, რომ კონსერვატიზმს დამწამებენ, და გაცხადებ, რომ საპირისპირო შეხედულებებს ვემხრობი და რეალისტური ხელოვნების დარწმუნებული მომხრე ვარ.

ასლა ხშირად ლაპარაკობენ ეგრეთწოდებულ ლიტერატურულ ავანგარდზე და ამაში გულისხმობენ უადრესად მოდურ ცდებს უმთავრესად ფორმის დარგში. ჩემი შეხედულებით, ნამდვილ ავანგარდს წარმოადგენს, ის ხელოვანები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში ჩვენი საუკუნის ცხოვრების ნიშნების განმსაზღვრელ ასალ

შინაარსს გადაგვიშლიან. მთლიანად რეალიზმიც და რეალისტური რომანიც წარსულის დიდი ოსტატების მხატვრულ გამოცდილებას ემყარება. მაგრამ თავის განვითარებაში რეალიზმმაც და რეალისტურმა რომანმაც არსებითად ახალი, ღრმა თანამედროვე ნიშნები შეიძინეს.

მე ვლაპარაკობ რეალიზმზე, რომელიც შეიცავს ცხოვრების განახლების, ადამიანის საკეთილდღეოდ მისი გარდაქმნის იდეას. ვლაპარაკობ, ცხადია, ისეთ რეალიზმზე, რომელსაც ჩვენ ახლა სოციალისტურს ვუწოდებთ. მისი თავისებურება ის არის, რომ იგი გამოხატავს მსოფლმხედველობას, რომელიც არ ცნობს არც მჭვრეტელობას, არც სინამდვილისათვის თავის არიდებას; რომელიც მოუწოდებს კაცობრიობის პროგრესისათვის ბრძოლისკენ, შესაძლებლობას იძლევა მიღწეულ იქნას მილიონობით ადამიანთათვის მახლობელი მიზნები, გაუნათოს მათ ბრძოლის გზები.

კაცობრიობა დანაწევრებული როდია ერთეულთა, ინდივიდუუმთა გროვად, რომელნიც თითქოს უწონობის მდგომარეობაში დაფარფატებენ დედამიწის მიზიდულობის ფარგლებს გაცილებულ კოსმონავტთა მსგავსად. ჩვენ ვცხოვრობთ დედამიწაზე, ვემორჩილებით დედამიწის კანონებს და, როგორც ნათქვამია სახარებაში, ჩვენი დღისათვის კმა არს მისი საზრუნავი და მოთხოვნები, მისი იმედები უკეთესი ხვალისდელი დღისა. დედამიწის მოსახლეობის გიგანტური ფენები ამოძრავებული არიან ერთიანი მისწრაფებებით, ცხოვრობენ საერთო ინტერესებით, რომლებიც გაცილებით უფრო მეტად აერთიანებენ მათ, ვიდრე თიშავენ.

ესენი არიან შრომის ადამიანები, ისინი, ვინც თავისი ხელებითა და ტვინით ქმნის ყველაფერს. მე ვეკუთვნი იმ მწერალთა რიცხვს, რომლებსაც თავიანთთვის უმაღლეს ღირსებად და უმაღლეს თავისუფლებად მიაჩნიათ იმის სრულიად შეუზღუდავი შესაძლებლობა, რომ თავიანთი კალმით ემსახურონ მშრომელ ხალხს.

აქედან წარმოდგება ყველაფერი. აქედან გამომდინარეობს დასკვნები იმაზე, თუ როგორ წარმომიდგენია მე, როგორც საბჭოთა

მწერალს, ხელოვანის ადგილი თანამედროვე სამყაროში.

საქართველო  
1928 წლის  
1928 წლის

ჩვენ შფოთიან წლებში ვცხოვრობთ. მაგრამ დედამიწაზე არ არის ხალხი, რომელსაც ომი უნდოდა. არიან ძალები, რომლებიც მთელ ხალხებს ერეგებიან ომის ცეცხელში. განა შეიძლება, რომ მწერალს გულს არ უდაღადდეს ომის ცეცხლი, მეორე მსოფლიო ომის თვალუწვდენი ნახანძრავების ფერფლი? განა შეუძლია პატიოსან მწერალს არ გამოდიოდეს იმით წინააღმდეგ, ვისაც სურს თვითმოსპობისათვის განწიროს კაცობრიობა?

მაშ რა არის მოწოდება, როგორია ამოცანები ხელოვანისა, რომელსაც თავი მიაჩნია არა მსგავსებად ადამიანთა ტანჯვისადმი გულგრილი ღვთაებისა, ოლიმპზე რომ ამადლებულა, ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების შეჯახების ზემოთ, არამედ თავისი ხალხის შეილად, კაცობრიობის მცირე ნაწილაკად?

ელაპარაკებოდეს მკითხველს პატიოსნად, ეუბნებოდეს ადამიანებს სიმართლეს — ზოგჯერ მკაცრ, მაგრამ მუდამ ვაჟკაცურ სიმართლეს, ადამიანთა გულში განამტკიცებდეს მომავლის რწმენას, თავიანთი ძალის რწმენას, ძალისა, რომელსაც შეუძლია შექმნას ეს მომავალი, იყოს მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მებრძოლი და თავისი სიტყვით ზრდიდეს ასეთ მებრძოლებს ყველგან, სადაც კი ეს სიტყვა აღწევს. აერთიანებდეს ადამიანებს მათს ბუნებრივ და კეთილშობილურ სწრაფვაში პროგრესისადმი. ხელოვნებას ადამიანის გონებასა და გულზე ზემოქმედების მძლავრი ძალა აქვს. ვფიქრობ, იმას აქვს უფლება იწოდებოდეს ხელოვანად, ვინც ამ ძალას წარმართავს ადამიანთა სულში მშვენიერების შესაქმნელად, კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ჩემი მშობელი ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში გაკვალული გზით როდი მიდიოდა წინ. ეს იყო პირველად მომჩინთა, ცხოვრების პიონერთა გზები. მე ჩემს, როგორც მწერლის, ამოცანას იმაში ვხედავდი და ვხედავ, რომ ყველაფრით, რაც დამიწერია და რასაც დავწერ, თავი მოვიხარო ამ ხალხის — მშრომელი ხალხის, მშენებელი

ხალხის, გმირი ხალხის წინაშე, რომელიც არავის არ დასხმია, თავს, მაგრამ ყოველთვის შეეძლო ღირსეულად დაეცვა ის, რაც შეუქმნია, დაეცვა თავისი თავისუფლება და ღირსება, თავისი უფლება აშენოს მომავალი საკუთარი არჩევანის მიხედვით.

ჩემი სურვილია, რომ ჩემი წიგნები ესმარებოდნენ ადამიანებს გახდნენ უკეთესნი, გახდნენ სულიერად უფრო ფაქიზნი, უღვი-

ძებდნენ სიყვარულს ადამიანისადმი, მისწრაფებას აქტიურად იბრძოლონ კუმანის მის იდეალებისა და კაცობრივების გრესისათვის. თუ ეს რამდენადმე შეეძელი, ბედნიერი ვარ.

მადლობას ვუძღვნი ყველას, ვინც ამ დარბაზშია, ყველას, ვინც გამომიგზავნა მისალმება და მოლოცვა ნობელის პრემიასთან დაკავშირებით.

## საპატიო და საშვილობილო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება მრავალტომიანი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემის შესახებ.

ენციკლოპედია გამოიცემა 1967—1972 წლებში.

ენციკლოპედიის მოსამზადებლად და გამოსაცემად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა საგანგებო სამეცნიერო რედაქცია, დამტკიცდა მთავარი სარედაქციო კოლეგია. ენციკლოპედიის გამოცემის სამეცნიერო-მეთოდურ ხელმძღვანელობას განასორციელებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, პოეტი ირაკლი აბაშიძე, მთავარი რედაქტორის მოადგილეები — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: ვიქტორ კუპრაძე და გიორგი წერეთელი, მთავარი სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელი მდივანი — გიორგი ჟორჟოლიანი.

მთავარ სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ლ. აბელიშვილი, შ. ამირანაშვილი, ე. ანდრონიკაშვილი, ვ. ასათიანი, გ. ასვლედიანი, კ. ბაქრაძე, ი. ბერიტაშვილი, ნ. გაბაშვილი, კ. გამასაყურია, პ. გუგუშვილი, ვ. გულიოსაშვილი, ლ. დავითაშვილი, თ. დავითა-

ია, რ. დვალი, ი. დოლიძე, ს. დურმიშიძე, ი. ფეკუა, ფ. თავაძე, თ. თაქთაქიშვილი, პ. ინგოროყვა, ნ. კეცხოველი, გ. ლეონიძე, დ. ლორთქიფანიძე, ვ. მახალდიანი, გ. მელიქიშვილი, ვ. მერკვილაძე, გ. მიქელაძე, ი. მიქელაძე, ნ. მუსხელიშვილი, რ. ნათაძე, შ. ნუცუბიძე, თ. ონიაშვილი, მ. საბაშვილი, დ. სტურუა, ი. ტატიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, გ. ჩიტაია, გ. ჩუბინაშვილი, გ. ციციშვილი, არ. ძიძიგური, გ. ძოწენიძე, ს. წერეთელი, ვ. ჭავჭავანიძე, ე. ხარაძე, ნ. ხომიურაშვილი, ა. ჯავახიშვილი, ა. ჯანელიძე, გ. ჯიბლაძე.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შექმნა და მისი უახლოეს წლებში გამოცემა უდიდესი მოვლენა იქნება მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

აი კიდევ ერთი მეტყველი მაგალითი იმისა, თუ როგორ ზრუნავს ჩვენი კომუნისტური პარტია ეროვნული კულტურების შემდგომი გაფურჩქნისა და აყვავებისათვის.

დასაწყისი ბევრისმთქმელია და სასიხარულო, მაგრამ ენციკლოპედიის ღირსეულად გამოცემა მეტისმეტად რთული და ძნელი სამუშაოა. შესანიშნავი გადაწყვეტილების წარმატებით დაგვირგვინებას ვუსურვებთ. ამ საშვილობილო საქმის თაოსნებსა და მესვეურებს, ყველა იმას, ვინც თავის წვლილს შეიტანს მრავალტომიანი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემის საქმეში.



ორმოცი წელი შეუსრულდა საქართველოს კომკავშირის მებრძოლ ორგანოს — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს“.

ახალგაზრდული სიხალისე მოითანეს თან რესპუბლიკის კომკავშირელმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა თავიანთი გაზეთის სახელოვან იუბილეზე. ისინი 9 დეკემბერს შეიკრიბნენ რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა როინ მეტრეველმა. მან სიტყვა მისცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ოთარ ჩერქეზიას. ამხანაგმა ო. ჩერქეზიამ წაიკითხა საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მისალმება გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტისადმი“.

მოსვენება 40 წლის მანძილზე გაზეთის მიერ განვლილი სახელოვანი გზის შესახებ გააკეთა „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორმა გიორგი გელაშვილმა.

იუბილარს მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ნ. შველიძე, სომხეთის სსრ ახალგაზრდული გაზეთის „ავანგარდის“ რედაქტორის მოადგილე ვ. მურადიანი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე ბ. თათარიშვილი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის განყოფილების გამგე პ. ბენდუქიძე, მახარადის რაიონის სოფელ ძიმითის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ვ. მგელაძე, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორი გ. ბედინიშვილი, ჟურნალ „დილას“ რედაქტორი ჯ. ჩარკვიანი და სხვები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ჩერქეზიამ წაიკითხა ბრძანებულება გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და რედაქციის მუშაკთა ჯგუფის საქართველოს სსრ უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სტენოგრაფიკული აგრეთვე სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელ-ბით დაჯილდოების შესახებ.

ჟურნალ „ცისკარის“ რედაქციამ იუბილარს გაუგზავნა მისალმება, რომელშიც ნათქვამია:

„1925 წლის დეკემბერში დაიბადა ქართველი ახალგაზრდობის, მთელი ჩვენი ხალხის საყვარელი გაზეთი. ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე „ახალგაზრდა კომუნისტი“ — საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მებრძოლი ორგანო — მუდამ იყო ჩვენი მჩქეფარე და სისხლსავეს ცხოვრების შუაგულში.

საბჭოთა ახალგაზრდობის ლენინურად აღზრდა კომკავშირის წმიდათა წმიდა მოვალეობაა. ეს დააკისრა მას მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ მთელი თავისი არსებობის მანძილზე სწორედ ამ დიდებულ საქმეს ემსახურება.


არ დარჩენილა ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრების არც ერთი უბანი, რომელიც სათანადოდ არ აესაზოს „ახალგაზრდა კომუნისტს“ თავის ფურცლებზე. ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატებიც სიყვარულით აღნიშნავენ იმ დიდ დამსახურებას, რაც მას მიუძღვის მშობლიური მწერლობის განვითარებაში, ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და დაოსტატებაში.

ჟურნალი „ცისკარი“ მსურვალედ მიესალმება და სახელოვან იუბილეს ულოცავს „ახალგაზრდა კომუნისტის“ მთელს შემოქმედებით კოლექტივს, მიესალმება და ულოცავს გაზეთის თანამშრომელთა ძველსა და ახალ გვარდას.

დაე, ჩვენს საყვარელ გაზეთს კიდევ უფრო მეტი შემართებითა და მგზნებარებით აესაზოს რესპუბლიკის ახალგაზრდობის დაუდგრომელი ცხოვრება.

დაე, „ახალგაზრდა კომუნისტი“ მუდამ იყოს ჩვენი ახალგაზრდობის სულიერი მეგობარი, მუდმივი და კეთილი თანამგზავრი!“





# ასკიდა

## აშშ

### უნიკალური ბარელიეფი

გაზეთ „პიპლზ უორლდ“-ის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ლოს-ანჯელოსის სამხატვრო გალერეაში ექსპონირებულია რობერტ ეიმესის უნიკალური ბარელიეფი.

გალერეის გაშვებულში ამ ბარელიეფზე შემდეგია ნათქვამი: „წითელ ხეზე შესრულებული მონუმენტური ბარელიეფი ამერიკელი ზანგების ისტორიას გადმოგვცემს... მ წელს მუშაობდა რობერტ უიტ ეიმესი ამ ნაწარმოებზე. რენესანსის შემდეგ თითქმის არ შექმნილა მსგავსი ნაწარმოები არც სიდიდისა და არც თემის მნიშვნელობის მხრივ“.

როგორც კორესპონდენტი წერს, ბარელიეფის ზომები მართლაც გრანდიოზულია — დაახლოებით 3 X 3 მეტრი. ავტორი ვაგონგვცემს ამერიკელი ზანგების ისტორიას აფრიკაში მათი დატყვევებიდან ადამიანური უფლებებისათვის მათს დღევანდელ ბრძოლამდე.

რობერტ ეიმესის ეს ბარელიეფი უახლოეს ხანში ექსპონირებული იქნება ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქებშიც.

### ბრანსტ ჰემინგუეის ძეგლი კატჩინაში

„უკვლავ უფრო მას შემოდგომა უყვარდა... უკეთელი ფოთლები აღვის ხეებზე. მთის მდინარეში მზეზე ბრწყინავ კალმახებთან ერთად დაცურებული ფოთლები... და ბოლოს იგი შეერწყა ყოველივე ამას“.

ერნესტ ჰემინგუეის ეს სიტყვები, რომლებიც მან ერთხელ თავის მეგობარს მისწერა, ეპიტაფიად დაეწერება დიდი მწერლის ბრინჯაოს ბიუსტს. ბიუსტი დაიდგა კატჩინაში (აიდახოს შტატი), იმ ბილიკთან, რომელზეც ჰემინგუეი ხშირად სეირნობდა.

ბიუსტის მწერლის მეგობრების ინიციატივით შექმნა ნიუ-იორკელმა სკულპტორმა რობერტ ბერკსმა.

## იტალია

### „ტრაგედია ღალასში“

ჭულიო ბოზეტის დასმა, რომელმაც გასულ სეზონში წარმატებით დადგა თ. დოსტოევსკის „თეთრი ღამეები“, ახალ პრემიერად უჩვენა „ტრაგედია ღალასში“. ეს დოკუმენტური დრამა შექმნილია კენედის მკვლელობის გამოძრკვევი კომისიის თავმჯდომარის უორენის მოხსენების საფუძველზე. ჯონ კენედის როლს ასრულებს ჭულიო ბოზეტი, ჟაკლინ კენედის განასახიერებს ჭულიო ლაძარინი.

### ახალი შეხვედრები

მეორე წელია იტალიის ტელევიზია აწყობს გადაცემათა ციკლს „ახალი შეხვედრები“. ეს გადაცემები ეძღვნება სხვადასხვა ქვეყნების მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, სწავლულებს, ექიმებს, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებს.

1964 წელს ტელემწერებლებმა ნახეს გადაცემები ჟორჟ სიმენონზე, ერის მარია რემარკზე, ანდრე მორუასა და ფედერიკო ფელინიზე. წელს „ახალი შეხვედრების“ სერიის გამირები იყვნენ ზანჯი ლიდერი მარტინ ლუთერ კინგი (აშშ), ამერიკელი სწავლული ლაინუს პოლინგი, კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანი, ბალეტის მსახიობი მია პლისცეკია და სხვები.

### „სიხმარი მთვრალ ღამეს“

ღარაზი მუდამ მქუხარე ოვაციებით ხვდება სცენაზე ედუარდო დე ფილიპოს გამოჩენას.

როცა ედუარდო დე ფილიპო იტალიის ერთ-ერთი პოპულარული თეატრის სან ფერდინანდოს ფაქტიური ხელმძღვანელი გახდა, მან გადაწყვიტა თეატრის მაქსიმალური დემოკრატიზაცია — დაწყებული სამსახიობო სტუდიით, რომელიც აშაადებდა ნიჭიერ ახალგაზრდებს მოსახლეობის ყველა ფენიდან, დამთავრებული სპეციალური გამსვლელი სპექტაკლებით მუშათა

რაიონებში. დიდი ხანია ედუარდო დე ფილიპო თეატრს ხელმძღვანელობს, თუმცა აქამდე იგი ოფიციალურად არ არის დანიშნული.

ამასობაში კი სან ფერდინანდო სეზონი გახსნა ედუარდო დე ფილიპოს მიერ გადამუშავებული ტალსეტის კომედიით „ნიშმარი მთვრალ ღამეს“. ეს პიესა დე ფილიპო პირველად 1933 წელს დადგა რომში და დიდი წარმატებით გადიოდა. ახლა იტალიელი მსაყურებლები კვლავ ტკბებიან ბრწყინვალე კომედიითა და საყვარელი მსახიობის საუკეთესო თამაშით.

ედუარდო დე ფილიპო ასრულებს ღარიბი კაცის როლს, რომელმაც ლოტრიაში მოიგო ოთხასი მილიონი ლირა. ნომერი უკარნახა სიზმარში გამოცხადებულმა დანტემ. იმავე სიზმარში საცლადგმა ისიც შეიტყო, რომ ამდენი ფულის მოგების შემდეგ იგი მალე მოკვდებაოდა.

იტალიური გაზეთები წერენ, რომ ედუარდო დე ფილიპო უოველგვარ მოლოდინს გადააქარბდა. „მან აქტივორული ხელოვნების არნახულ სიმალღებებს მიაღწია“ — აღნიშნავს „უნიტა“.

## ინგლისი

სად არის ნიჰვარული, სად არის  
თანაბრებლობა?

— რა იქნა ბოეზია? ან სიბრალული? ვის ახსენდება შექსპირი? ან პროკოფიევი? — ამ სიტყვებით იწყება გაზეთ „დილი უორკერი“ ჭინკინგის რეცენზია, რომელიც ეხება ინგლისის სამეფო თეატრის სპექტაკლს „რომეო და ჯულიეტას“. ამ ბალეტით გაიხსნა სეზონი „კოვენტ გაზენში“.

კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ მოხდა იგივე, რაც, საუბედუროდ, ხშირად ხდება: დადგმის მდიდრულობამ და საშემსრულებლო ოსტატობამ ვერ შეცვალეს ის, რაც აკლდა სპექტაკლს — შექსპირული სული. სპექტაკლი როგორდაც შეუმჩნევლად დაიკარგა რომანტიკა და აქვეყნად ყველაზე სევდიანი ამბის“ განუმეორებელი მომხიბველულობა.

## ი. სტრავინსკი ლონდონში

ლონდონში დიდი წარმატებით ჩაატარა კონცერტი მსოფლიოში სახელგანთქმულმა კომპოზიტორმა და დირიჟორმა ი. სტრავინსკიმ. ხალხით გაქედით „როიალ ფესტივალ ჰოლში“ სტრავინსკი დირიჟორობდა ბრიტანეთის ფილარმონიის ორკესტრს, რომელიც ამ კონცერტისთვის 120 კაცამდე გაზარდეს და გაამდიერეს ინგლისის საუკეთესო მუსიკოსებით.

კონცერტი დაიწყო „ფიერერვერკით“, რომელიც კომპოზიტორმა თავისი მეგობრის რიმსკი-კორსაკოვის ქალიშვილის ნადეჟდას ქორწილისთვის დაწერა. „ოსზე დაყრდნობილი კომპოზი-

ტორი გაქირვებით მივიდა დირიჟორის პულტთან, მაგრამ მუსიკის პირველი ტაქტიდანვე იგი მთლიანად გარდაიქმნა: წელში ვასწორდა, საფეხვეთებს შეივსო თვალები ახალგაზრდულად გაუმრწყინდა. ორკესტრანტებმა იცოდნენ, რომ ეს თვალები ელვის ნაკვეთებს დაჰყრიდნენ მუსიკოსების მცირეოდენი შეცდომისთანავე.

მიუხედავად ასაკისა ი. სტრავინსკი ისეთი ოსტატობით დირიჟორობდა, რომ ორკესტრიც და მსმენელებიც დიდაპრო.

## იუგოსლავია

ივო ანდრიჩის სანჰუპარო

ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატმა იუგოსლაველმა მწერალმა ივო ანდრიჩმა სტოკჰოლმში პრემიის მიღებისთანავე თვრამეტი მილიონი დინარი გადასცა ბოსნიისა და პერცოვოვინის ბიბლიოთეკების ფონდს.

გაზეთ „ბორბას“ ცნობით, ახლახან ივო ანდრიჩმა რესპუბლიკურ საბიბლიოთეკო ფონდს აცნობა, რომ კიდევ გადასცემს ცხრამეტ მილიონ დინარს.

პიპასო — ქალაქ სპოკლეს

ქალაქ სპოკლეს მშრომელებისადმი სოლიდარობის ნიშნად, პაბლო პიკასო სპოკლეს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმს საჩუქრად გადასცა თავისი სურათი „ქალის თავი“, რომელიც 1968 წელს დახატა. სურათს პარიზიდან სპოკლეში ჩაიტანს მუზეუმის დირექტორი ბორის პეტკოვსკი.

## საზრანბითი

ელზა ტრიოლეს ახალი რომანი

გალიმარის გამომცემლობაში გამოქვეყნდა ელზა ტრიოლეს რომანი „დიადი არასდროს“. ავტორი ფრიალ თავისებურად ადგებს რომანის კომპოზიციას. ნაწარმოები იწყება გარდაცვლილი ისტორიკოსის რეჟი ლალანდის მონოლოგით, რომელსაც ის საკუთარ დაკრძალვაზე წარმოთქვამს. ლალანდი თითქოს უზიარებს ხალხს მოგონებებს თავისი ცხოვრებიდან. არცთუ ისე ცნობილი მეცნიერი ლალანდი ათეისტი იყო. მისი შემოსავლის ძირითად წყაროს სხვისი სახელით გამოცემული დეტექტიური რომანები წარმოადგენდა.

ლალანდის დაკრძალვის შემდეგ რომანის მთავარი მოქმედი პირი ხდება მისი ახალგაზრდა მეუღლე. ქალი შეუფოთებულა იმით, რომ მისი ქმარი სიკვდილის შემდეგ ცნობილი ადამიანი გახდა: ლალანდემ მოგონებებს წერენ პირველი ცოლი, ნაშვლი და გამოგონილი მეგობრები. მას უჩნდებათ მიმდევრები და მოწაფეები. ლალანდს აცხადებენ უდიდეს ისტორიკოსად, ფი-



ლოსოფოსად, მოაზროვნედ, სარწმუნოებისათვის მებრძოლ ადამიანად. ახალგაზრდა მეუღლის თვალწინ იქმნება ახალი ლაღანდი, მითიური არსება, რომლის შრომებსაც ნებისმიერად განმარტავენ და კომენტარებს უკეთებენ; იწვევენ ლაღანდისადმი მიძღვნილ კონფერენციებს, ქმნიან ლაღანდის მეგობართა საზოგადოებას; კომისია ცდილობს ლაღანდის მშობლიურ სოფელში მისი ძეგლის დადგმას. ქალი იწყებს ბრძოლას ამ ფალსიფიკაციის წინააღმდეგ.

როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომანში „ღიადი არასდროს“ წამოჭრილია პრობლემები: მხატვრის როლი თანამედროვე საზოგადოებაში, ისტორიული და მხატვრული სინამდვილის, რეალიზმის რაობა.

ჰოლანდი

**საუკუნეთა შეხვედრა**

იშვიათი წიგნების, ხელნაწერებისა და სხვა ძველი გამოცემების მოყვარულთ დიდი დღესასწაული აქვთ: ამსტერდამში გაიხსნა ბუკინისტების პირველი საერთაშორისო გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ათასობით უიშვიათესი წიგნი, სქემა, რუკა, გრაფიურა, რომელთა საერთო ღირებულება რამდენიმე მილიონ გულდენს შეადგენს. აქ არის ორმოც-ორმოცდაათ ათას გულდენად შეფასებული ცალკეული ექსპონატები და ამასთანავე პატარა, მშვენიერი საგნები, რომლებიც სულ რამდენიმე ათეული ცენტი ღირს.

უურადლებას იპყრობს XVII საუკუნის ცნობილი ჰოლანდიელი წიგნის მკინძავის ალბერტ მაგნუსის ნამუშევრები. მათგან ყველაზე შესანიშნავია ბიბლია (1670 წ.).

მნახველები ეცნობიან XV—XVII საუკუნის ხელნაწერებს, წიგნის ბეჭდვის გარიჟრაჟზე — XIV საუკუნეში გამოცემულ წიგნებს, გუტენბერგის ცნობილ ბიბლიას (1450 წ.), ძველებურ ატლასებს.

ერთმა ლონდონელმა ბუკინისტმა გამოფენაზე გამოიტანა მოცარტის აქამდე უცნობი შრომა, აგრეთვე უ. ბიუნსა და ი. სტრავინსკის ორიგინალები. ბუკინისტებმა ჰუდსონის ნაპირებიდან წარმოადგინეს ახალი ამსტერდამის (ახლანდელი ნიუ-იორკი) ხელები. ლოს-ანჯელოსის ფირმამ წარმოადგინა რამდენიმე შესანიშნავი მინიატურული წიგნი, მათ შორის „ლინკოლნის სიტყვა წარმოთქმული გეტისბერგში“, იაპონელებმა ძველი კოტოს პეიზაჟები და მრავალი ფერადი გრაფიურა.

გამოფენაზე ნახავთ ალბერტ აინშტაინის პორტრეტს. სურათის ქვეშ სწავლულის ხელით მიწერილია: „ენერჯია უდრის მასას, გამრავლებულს სინათლის სიჩქარის კვადრატზე“.

ბვრ

**ლესინგის პრემია**

1965 წელს ლესინგის პრემია მიენიჭა დასავლეთგერმანელ დრამატურგს პეტერ ვაისს დრამისათვის „უან პოლ მარატის დენა და მკვლელობა“. დრამას მრავალი ქვეყნის სცენაზე დგამენ. როგორც ვაზეთი „დი ანდერე ცაიტუნგი“ აღნიშნავს, ვაისი ამჟამად წერს დრამას, რომელსაც საფუძვლად უდევს დანტეს „ღვთაებრივი კომედია“. თუმცა, პროტოტიპისაგან განსხვავებით, ვაისის პიესა იმქვეყნიურ ცხოვრებას კი არ აღწერს, არამედ „მასში აისახება საკონცენტრაციო ბანაკები და რასობრივი სიძულვილი, ჩვენი ეპოქის დანაშაულობანი და სიმხეტე, საშინელება და ხიფათი, სასოწარკვეთილება და ექვი“.

ჩეხოსლოვაკია

**„ჰოჩალი ჯარისკაცი“ ტრადიციას არ დაუბრუნებს**

პრალაში ეკლავ გაიხსნა ცნობილი ტრაქტირი, რომელშიც ოდენლაც „უოჩალი ჯარისკაცი შვეიკი“ და უკვდავი რომანის ავტორი იაროსლავ შაშეკი დადიოდნენ.

ტრაქტირი „უ კალიხა“ დღესაც ისევე გამოიყურება, როგორც იაროსლავ შაშეკმა აღწერა. დგას ძველებური ორკესტრიონი; კედელზე ნუზებისაგან გაშავებული ფრანც-იოსების სურათი კილია, რომელმაც ტრაქტირის მუპატრონეს იოზეფ პალივეცს ამდენი უსიამოვნება მიაყენა. დახლთან ლუდს ჰყიდის უღვაშა იოზეფ პალივეცი, თავზე თავისი ცნობილი ქუდი ახურავს.

კედელზე გაკრულია უოჩალი ჯარისკაცის შვეიკის სიტყვები და იოზეფ ლადას ილუსტრაციები რომანის პირველი გამოცემისათვის.





## საინტერესო ამბები

### აღმოჩნდა ანტიკური ძალაქი

პარიზიდან 50 კმ. დაშორებით, უანენვილის მახლობლად, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ძველი რომაული ქალაქი. იპოვეს უცნობი ტაძრის ფრონტონის ბარელიეფი, რომლის სკულპტურა თავისი გამომსახველობით არ ჩამოუვარდება ანტიკური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს. ნაწილობრივ გამოჩნდა 8-10 თას ადგილიანი ამფითეატრი. ამ რაიონში გათხრები პირველად 1951 წელს დაიწყო. გათხრებს უმთავრესად მოუვარული არქეოლოგები აწარმოებდნენ. ამიტომ მათი აღმოჩენების შესახებ პრესაში არ იწერებოდა. ახლა არქეოლოგიურ ჯგუფებს ხელმძღვანელობენ ცნობილი სპეციალისტები. მათი აზრით, ნაპოვნი სკულპტურული ძეგლები იმპერატორ ადრიანეს ეპოქისათვისა და მახასიათებელი, ტაძარი და ამფითეატრი კი დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის 125 წელს განეკუთვნება. სწავლულები მუშაობენ უცნობი რომაული ქალაქის წარმოშობის ისტორიის დასადგენად.

### წერილები ბოთლებში

„1750 წლის ივლისი. ჩვენი გემი ატლანტიკის ოკეანეში იწვის. ჩემო დედავ, ელისაბედ, ლონდონდრიდან, არ იტირო ჩემზე, ჩემო სულიერო მამავ ტომას დრაიდენს, იზრუნეთ დედისა და ჩემი პატარა დებისათვის. ნავში თორმეტი ვართ. მამაცი მშინებრება იქნენ. ყოველი მხრიდან ქვითინი გაისმის. მე სიკვდილის ღუმელით ველი. გეთაყვათ, გადაეციეთ ჩემი...“

ასეთი შინაარსის ბარათი აღმოჩნდა ბოთლში, რომელიც 1957 წელს იაპიაკასთან იპოვეს.

ვინ იცის, რამდენი ასეთი წერილი დაცურავს ოკეანეებში დინებისაგან გატაცებული ბოთლებით. პოლესტრიმს, კურო-ივოს, ბრაზილიის დინებას და სხვა „მდინარეებს ოკეანეში“ მინის „კონვერტებით“ მიაქვთ წერილები. ამ წერილებში ზოგჯერ ისეთი მნიშვნელოვანი ცნობები იყო, რომ ვასულ საუკუნემდე ინგლისში არსებობდა „ოკეანის ბოთლების გამხსნელის“ თანამდებობაც კი... თუ უკანასკნელ ხანებში ეს თანამდებო-

ბა ტრადიციული ხარკის მოხდა იყო, ორასი წლის წინათ წერილების თვითნებურად გამხსნელი სიკვდილით ისჯებოდა.

„ბოთლების ფოსტის“ ერთ-ერთი საფუძვლის ჩამყრელი იყო ქრისტეფორე კოლუმბი. 1498 წელს კოლუმბის ორი კარაველა „ნინია“ და „პინტა“ მოხვდა საშინელ შტორმში. დიდმა გენუელმა, როცა შეატყო „ნინია“ იღუპებო, გემის შურნალიდან გადაწერა მნიშვნელოვანი ცნობები, დააწერა დედოფალ იზაბელა I მისამართი, კასრში ჩაღო და წყალში გადაისროლა. 1852 წელს ამერიკული ნავის კაპიტანმა ჯონი ხაინენმა გიბრალტართან იპოვა რაღაც ბოთლი „კოლუმბის წერილით“ და პირადად მიართვა იგი იზაბელა III-ს. ფიქრობდა, ჯილდოს მომცემენო, მაგრამ დღემდე გაურკვეველია, გემზე კასრში ჩაღებული წერილი ნაპირზე როგორ აღმოჩნდა... ბოთლში.

1912 წელს მსოფლიოს თავზარი დასცა საოკეანო სამგზავრო ლაინერის „ტიტანიკის“ დაღუპვამ. ზღვამ გამოიყა ბოთლი, რომელშიც გემის უცნობი მგზავრის წერილი იღო: „მე ჯერ ისევ გემბანზე ვარ. გემზე რამდენიმე ადამიანი და ერთი ბავშვი. უკანასკნელი კანკოც წავიდა. ჩვენ სწრაფად ვიძირებით. ორკეტრი კვლავინდებურად უკრავს ომახიან მარშს. ჩემს გვერდით ზოგიერთი მღვდელთან ერთად ლოცულობს. დასასრული ახლოა. შეიძლება ეს წერილი იყოს...“ აქ წერილი წყდება.

მაგრამ „ბოთლების ფოსტა“ მარტო ტრავგიებისა და კატასტროფების მათწყებელი როლია. ზღვებზე და დაცურავს ბოთლები, რომლებშიც ინახება სიყვარულის ახსნა, „გათამაშება“, ზუმრობა და ანდერძიც კი.

1958 წელს შვედმა ქალმა სიუზერ სვენსერმა ბალტიის ზღვის ტალღებს გაატანა ბოთლი, რომელშიც იღო თავისი მისამართი და ფოსტოსურათი. ეს ბოთლი მალე იპოვა თევზსაჭერი სენიერის მეთევზეთა ჯგუფმა. მთელი ეკიპაჟი კაპიტანიანად უცოლოები იყვნენ და აი ისინი სიუზერს ეწვივნენ. ბედნიერება წილად ზვდა კაპიტანს.

1964 წელს ამერიკის ფლოტის მეზღვაურმა რობერტ ვენტურამ შავის პლიაჟზე იპოვა ბოთლი, რომელშიც შემდეგი შინაარსის წერილი იყო:

„ჩემო ძვირფასო! ვინც არ უნდა იყო, სადაც არ უნდა იყო, გამოიმეხაურე. დაუნ კოპე სან-დრეგო“. ახალგაზრდებს შორის დაიწყო მიმოწერა და მალე ქორწილის საკითხიც გადაწყდა. მაგრამ, როცა სასიძო სან-დრეგოში ჩავიდა, საპატარძლო 18 თვისა აღმოჩნდა. ეს ეშმაკობა ბავშვის 12 წლის ძმის მოწყობილი გამოდგა.

მაგრამ ყველაზე უცნაური ამბავი შეეძთხვა 1949 წელს სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი სასტუმროს მოსამსახურე ბიჭს — ჯონი ვურნს. იგი პლიაჟზე ცარიელ ბოთლებს აგროვებდა. ერთ ბოთლში ასეთი უცნაური ზარათი იღო: „ლონდონი, 1927 წლის 20 ივნისი. ჩემს მეგობარობას თანაბრად ვუტოვებ ამ ბოთლის მპოვნელ ბედნიერ აღამიანს და ჩემს ვეჟილს ბარი კოხენს“. ბიჭს ეს ხუმრობა ეგონა, მაგრამ მალე გამოიკვია, რომ ანდერძის „გამომგზავნელია“ დეიზი ალექსანდერი, ფირმა ზინგერის ყოფილი მეპატრონე ქალი, რომელიც შესანიშნავ საკერავ მანქანებს უშვებდა. დეიზი გარდაიცვალა 1940 წელს 80 წლის ასაკში და მისი ქონება 12 მილიონ დოლარად შეაფასეს. ვეჟილი კოხენი მთელი ამ ხნის განმავლობაში ამაოდ დაეძებდა ანდერძს კლიენტთა შორის. დაიწყო პროცესი. ფირმას წარმომადგენლები დაობდნენ ანდერძის უტყუარობაზე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ლონდონთან ახლო ჩავლებული ბოთლი ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხვედებოდა სან-ფრანცისკოში. ეს გზა ერთობ ფანტასტიკურად ეჩვენებოდათ.

პროცესი დღესაც გრძელდება. ვეჟილი ამტკიცებს, ბოთლის გზა არც ისე უცნაურია, თუ სხვა ბოთლების ისტორიას გავიხსენებთო. ზოგიერთმა ბოთლმა მსოფლიოს გარშემოც კი იმოგზაურა.

1949 წელს მეღბურნთან ჩავდებულმა ბოთლმა სამნახევარი წლის განმავლობაში ვინც უნდა 18 ათასი მილი ინდოეთის ოკეანის სამხრეთი ნაწილიდან ჩრდილოეთისაკენ. გაიარა მთელი ატლანტიკა და ინგლისში იარშუტის სანაპიროსთან დაიჭირეს. მაგრამ დრეიფის რეკორდი ეკუთვნის ბოთლს, რომელსაც „მფრინავი ჰოლანდიელი“ შეარქვეს. იგი 1929 წელს ინგლისელმა ჰიდროგრაფებმა ჩავადეს ტასმანიასა და კუნძულ კერგელენს შორის. მინის ქვეშ ჩანდა რამდენიმე ენაზე ნაწერი. ბოთლის მპოვნელს თხოვდნენ, ეცნობებინა თუ როდის და სად იპოვა იგი და კვლავ ზღვაში ჩავადო. პირველხანებში მდინარებამ ბოთლი წაიღო სამხრეთ ამერიკის ნაპირებისაკენ. აქ იგი რამდენჯერმე ნახეს. შემდეგ იგი დინებამ წაიღო გორნის კონცხისკენ. შემდეგ კი ინდოეთის ოკეანეში. 1953 წელს ბოთლი წყალში გამოავლო ავსტრალიის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირთან და იპოვეს პორტ ბანბერნთან. ექვსი წლის მანძილზე „მფრინავმა ჰოლანდიელმა“ შემოუარა დედამიწის ბირთვის და მეცნიერებს დაეხმარა წინათ უცნობი საზღვაო მდინარეების აღმოჩენაში. რუქებზე გადატანილ ბევრ მდინარეებზე „ბოთლების ფოსტას“ აქვს მონაწილეობა მიღებული.

ზღვებსა და ოკეანეებში ჭერ კიდევ რამდენი ბოთლი დატურავს, ჭერ კიდევ რამდენს მოელის სიხარული ნაპოვნისაგან. მაგრამ ყველაზე ბედნიერი აღმოჩნდება ის, ვინც იპოვის ქრისტეფორე კოლუმბის მიერ 1498 წლის აგვისტოში გადაგდებულ ბოთლს, თუ რასაკვირველია, მან უკანასკნელი „თავშესაფარი“ არ ჰპოვა რომელიმე ზვიგენის მუცელში.



შპრნალ „ცისკრის“ 1965 წლის ნომრების შინაარსი:

პოეზია

- რეზო ამაშუკელი — აპრილი. ლექსი. № 3; ლექსები. № 5.  
 ირაკლი არაბული — თორელის ფუძე. ლექსი. № 2.  
 ლია ასათიანი — რაც იყო გუშინ. ლექსი. № 7.  
 რევაზ ასათი — ლექსები. თარგმანი ა. მირცხულავასი და ხ. შამფრანისა. № 12.  
 ედუარდ ბაგრიცკი — პიონერის სიკვდილი, პოემა. თარგმანი ვ. ლაფერაშვილისა. № 11.  
 ჭორჯ გორდონ ბაირონი — ლექსები. თარგმანი ჯ. ჩარკვიანისა. № 4.  
 შერი ბარნაბიშვილი — ლექსები. № 7.  
 გიორგი ბესთაუთი — ლექსები. თარგმანი დ. ივარდავასი. № 12.  
 ზაურ ბოლქვაძე — გახედე, კახეთი! ლექსები. № 3; მარადიული ცეცხლი. ლირიკული პოე-  
 მა. № 5.  
 ვაგეზი — ლექსები. თარგმანი ე. კვიციანიშვილისა. № 12.  
 აკაი გეწამე — საახალწლო ლექსი. № 1.  
 შარი გველესიანი — ლექსები. № 10.  
 გიორგი გიგაური — ხარ მოუღლეღი. ლექსი. № 7.  
 ილია კავკაზაგი — მზეკაცი. ლექსი. № 12.  
 შედეა კახიძე — სერბიული ლექსები. № 2; ლექსები. № 9.  
 ეშვარ კვიციანიშვილი — ლექსები. № 6.  
 ნაზი კილასონია — შენ გაგიმარჯოს, პატარა გოგო! ლექსი. № 10.  
 ემილ ლოტიანუ — ლექსები. თარგმანი ჯ. ჩარკვიანისა. № 5.  
 იუსტინას მარცინიავიჩუსი — პუბლიცისტური პოემა. თარგმანი ხ. ბერულავასი. № 1.  
 კოსტა მარლითი — ლექსები. თარგმანი შ. ფოცხიშვილისა. № 12.  
 გიორგი მარკოზია — ლექსები № 7.  
 ტაგუ მებურიშვილი — ლექსები. № 1; ლექსები. № 9.  
 ბიძინა მინდაძე — ლექსები. № 1.  
 მირიან მირნელი — დაიბადა ადამიანი. ლექსი. № 8.  
 შალვა მჭედლიშვილი — ლექსები. № 5.  
 კოლაუ ნადირაძე — სათქმელი ჩემი. ლექსი. № 2; ჩემი, ქართული მაისი. ლექსი. № 6;  
 მიხეილ ნართიხთი — ლექსები. თარგმანი ვ. ჭავჭავაძისა. № 12.  
 ნოდარ ნარსია — ლექსები. № 11.  
 პაბლო ნერუდა — სასტიკი ცეცხლი. პოემა. თარგმანი შ. ნიშნიანისა. № 7.  
 შოთა ნიშნიანიძე — ნახეარზლაპარი. ლექსი. № 10.  
 შანდრო პეტეფი — ლექსები. თარგმანი ლილი მაისურაძისა. № 6.  
 ალექსანდრე პუშკინი — რუსლანი და ლუდმილა. პოემა. თარგმანი ო. კილაძისა. № 3, № 5.  
 ლადო სულაბერიძე — მემორიალურ დაფაზე წასაწერი. ლექსი. № 4.  
 ვალაკტიონ ტაბიძე — ოქტომბრის სიმფონია. ნაწყვეტი პოემიდან. № 4; ხალხი — ოქტომბერს.  
 ლექსი. № 11.  
 ილია ფლითი — ლექსები. თარგმანი დ. ივარდავასი. № 12.  
 ფელიქს ფლითი — ლექსები. თარგმანი შ. ნიშნიანისა. № 12.

- შორის ფოცხიშვილი — ლექსები. № 5.  
 ალექსანდრე ფუხათი — ლექსები. თარგმანი მ. ფოცხიშვილისა. № 12.  
 ნანული ქებურია — ლექსები. № 8.  
 ისიდორე ქოხათი — ლექსები. თარგმანი ი. ქემერტელიძისა და ა. აბულაშვილისა. № 12.  
 ფრიდონ ხალვაში — ემრულა. ლექსი. № 7.  
 ლეონიდ ხარებათი — ლექსები. თარგმანი კ. კობერიძისა. № 12.  
 წინაიდა ხოსთიყოთი — ლექსები. თარგმანი ვ. ჯავახიძისა. № 12.  
 ნანა ღვინეფაძე — ლექსები. № 8.  
 გერხან ყოღალათი — ლექსები. თარგმანი შ. ნიშნაინიძისა. № 12.  
 ოთარ შალამბერიძე — დამენებისა. ლექსი. № 2.  
 პერის ბიში შელი — სტანსები, თარგმანი ინგლისურიდან მედეა ზაალიშვილისა. № 2.  
 უილიამ შექსპირი — სონეტები. თარგმანი ინგლისურიდან რ. თაბუკაშვილისა. № 8.  
 ჯანსუღ ჩარკვიანი — უცნობი ჯარისკაცის საფლავთან. ლექსი. № 5; თბილისიდან ვარძიამდე. ლექსები. № 10.  
 ვახტანგ ძენელაძე — ლუი ბრაილი. ლექსი. № 3.  
 შაჟი-მურატ მუცათი — სიტყვა. ლექსი. თარგმანი დ. ივარდავასი. № 12.  
 ტარიელ მანტურია — ციკლიდან „ღამით რადიომიმღებთან“. № 1.  
 თეიმურაზ ჯანგულაშვილი — ზღვისა და მიწის ლეგენდა. ლექსი. № 10.  
 დავით ჯიოთი — ლექსები. თარგმანი ჯ. ჩარკვიანისა. № 12.  
 გრიგოლ ჭულუხიძე — ლექსები. № 8.  
 ნაფი ჭუსოთი — ზღვა დაანლის ნაპირს. ლექსი. თარგმანი ხ. ბერულავასი. № 12.

პროზა, ღრამბატურბიტა

- წინო აბაშიძე — აღამიანი. მოთხრობა. № 11.  
 უან ანუი — ტოროლა, თარგმანი გ. აბაშიძისა. № 10, № 11.  
 შამია ასათიანი — ხალდეს ყვაილები. (მოთხრობა-ლეგენდა). № 10.  
 ელიოზ ბეყოთი — ვზაჯვარდინზე. მოთხრობა. თარგმანი ა. გუწაძისა. № 12.  
 ალექსი ბუჭულთი — როგორა ხარ, ჯარისკაცო! მოთხრობა. თარგმანი კ. კობერიძისა. № 12.  
 მელიტონ ვაბულთი — თეთრი პალატა. მოთხრობა. თარგმანი ც. ჩხეიძისა. № 12.  
 ნიკოლოზ გაგლოთი — პატარა ბაქანზე. მოთხრობა. თარგმანი ა. გუწაძისა. № 12.  
 გრიგოლ გაგლოთი — მეგობრები. მოთხრობა. თარგმანი მ. ლებანიძისა. № 12.  
 თენგიზ გოგოლაძე — კაცი კაცითა. რომანი. № 1, № 3, № 6, № 7, № 8.  
 თამაზ გოდერძიშვილი — გზა. მოთხრობა. № 10.  
 მიხეილ გუცვაშვილი — ორი კერა. მოთხრობა. თარგმანი მ. ცხვორებოვისა. № 12.  
 გურამ დონაშვილი — ჩვენს ეზოში წვიმა მოდის. მოთხრობა. № 2.  
 შერაბ ელიოზიშვილი — მოგზაურობა და ხიფათი. № 11.  
 ნოდარ კეკელიძე — სინანული. მოთხრობა. № 9.  
 გიორგი კეკელაძე — მეთორმეტე ზარი. რომანი. № 1, № 2, № 3, № 5, № 6.  
 კარლო კობერიძე — ზოზირა. მოთხრობა. № 8.  
 კონან დოილი — მოცეკვავე კაცუნები. მოთხრობა. № 3; შემთხვევა ინტერნატში. მოთხრობა. თარგმანი ინგლისურიდან ე. მალრაძისა. № 7.  
 შიხელ ლაქერბაი — ბზის ჯოხი. მოთხრობა. № 8.  
 კონსტანტინე ლორთქიფანიძე — ნატერისთვალე. რომანი. № 3.  
 პარმენ ლორია — ძეგლი უკვდავებისა. მოთხრობა. № 1.  
 გიორგი ნატროშვილი — თეთრი ხნული. მოთხრობა. № 9.  
 ზოფია პოსმიში — მეზავრი ქალი. მოთხრობა. თარგმანი ა. ვაბუჯიორიასი. № 5, № 6, № 8.  
 ვასო ხანაყოთი — ელძარონი. მოთხრობა. თარგმანი კ. კობერიძისა. № 12.  
 გურამ ხხირტლაძე — სანამ სასტუმრო „ვაზაფხული“ აშენდებოდეს. მოთხრობა. № 4.  
 გურამ ფანჯიკიძე — სამი მოთხრობა. № 10.  
 ემანუილ ფეიგინი — ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა. მოთხრობა. თარგმანი დ. კოკიაისი. № 1, № 2.  
 ჯემალ ქარჩხაძე — სასწაული. მოთხრობა. № 9.  
 სერგო ხაცირთი — ნამდვილი მეგობარი. მოთხრობა. თარგმანი ა. აბულაშვილისა. № 12.  
 გიგი ხორანული — თუთი. მოთხრობა. № 8.  
 ილარიონ ხუციშვილი — ჩვენ არ გემშვიდობებთ. ლევან! დოკუმენტური მოთხრობა. № 5, № 6.



- ლევ შეინინი — გახვრეტილი დინარები. მოთხრობა. თარგმანი გ. გვერდწითელისა. № 9.  
 ვალერიან ჩეკურიშვილი — მთების სიზმარი. მოთხრობა. № 1.  
 გიორგი ძუგათი — ღამისთევა. მოთხრობა. თარგმანი ც. ჩხეიძისა. № 12.  
 რევაზ ცოციითი — დაბრუნება. მოთხრობა. თარგმანი ს. კახიანიისა. № 12.  
 ნოდარ წულგისკირი — ჩემი ცაუ. მოთხრობა. № 11.  
 თამაზ ჭილაძე — ეინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე. მოთხრობა. № 4.  
 რევაზ ჭაფარიძე — ტყის ბიჭი. მოთხრობა. № 7.

პრინტიპა, პუბლიცისტიკა, ნარკვევი

- ვასო აბათი — ხალხური, გმირული. № 12.  
 ამირან აბშილაძე — სტუმრად შეგობრებთან. № 8.  
 შერი ადამია — მეტისმეტი. № 7.  
 ჭაბუა ამირეჯიბი, ნოდარ ჩხეიძე, ვივი გეგეკეორი, ვალერიან სულაქაური — მთაო, გაღმეში. № 4.  
 ლევან ასათიანი — უბის წიგნაკიდან. მიკოლა ბაქანი. № 6.  
 ნოდარ ალანია — ნათელი სიყვარულისა. № 10.  
 დავით აფაქიძე — ლუგოვსკოის პოეზია ქართულად, № 12.  
 აკაკი ბაქრაძე — ინტელექტუალური ინფანტილიზმის წინააღმდეგ. № 1; პროზა თუ დრამატურ-გია. № 2; ერთი რომანის ავ-კარგი. № 4; ისევ სასცენო კრიზისის შესახებ. № 6; ტრაგიკულთან მიახლოება, № 9; ადამიანებს ზოგჯერ გრძნობა ატყუ-ებს. № 11.  
 როსტომ ბუენიშვილი — მხატვრული სახიერების საკითხისათვის. № 3.  
 კონსტანტინე ვამსახურდია — სიხლე და გონიერული ძიება (ინტერვიუ). № 10.  
 გურამ ვასიტაშვილი — ტურ პეიერდალის საღამო ქურნალ „ცისკარს“. № 4.  
 სოფიო გველესიანი — ძიება გრძელდება. № 6.  
 გურამ გვერდწითელი — ქართული ლირიკა და მისი განვითარების საკითხი. № 6.  
 დავით გვრიტიშვილი — პავლე ინგოროყვას თხზულებათა პირველი ტომის გამო. № 1; საინტე-რესო გამოკვლევა. № 4.  
 ვასილ გოგოლაძე — ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. № 3.  
 ვარლამ დონაძე — აფრიკის მომავალი სოციალიზმი. № 3.  
 მამია დულუჩავა — ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიიდან. № 7.  
 იური ვოლკოვი — ტრადიცია და სიმღერა. № 7.  
 პავლე თედევი — საბჭოთა ხალხების მშურ ოჯახში. № 12.  
 დავით თევზაძე — შიხილ შრეგლიშვილი. № 4.  
 სერგო თურნავა — ანდრე სტილის ბოლო რომანები. № 5.  
 რევაზ კაკულია — მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ეკონომისტი. № 5.  
 გურამ კაკუშაძე — სამშობლოს ერთგული შვილი. № 2.  
 ეშვარ კვიციანიშვილი — ადამიანი სახელს არქმევს მდინარეს. № 9; ვაყას რითმა. № 12.  
 ვივი კვერენჩილაძე — მტვირთავი. № 7.  
 კორნელი კინწურაშვილი — პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი. № 3.  
 ვასილ კიკნაძე — დიდი და გასაოცარი ტალანტი. № 11.  
 ნოდარ კიკვაძე — ბისმარკი და ლეგენდის ალორძინება. № 8.  
 რევაზ კიკნაძე — სპარსული საბუთები და მათი მკვლევარი. № 11.  
 კარლო კობერიძე — გმირული შრომის დღეები. № 5; შეგობრის ღიმილი. № 10; რას ვიგრძნობთ ლერწმის შრიალში. № 11.  
 დალი კოკაია — „ანე ფრანკის დღიური“ ქართულად. № 4.  
 ნათელა ლაშხი — „აქვარიუმი“. № 7.  
 მათა მამაცაშვილი — „სპარსული ქრესტომათია“. № 5.  
 გიორგი მელიქიშვილი — საჭიროა მეტი სითამამე (ინტერვიუ). № 10.  
 გიორგი მერკვილაძე — თანამედროვე ქართული ნოველა. № 5; სინამდვილის შთაგონებული მხა-ტვარი. № 11.  
 ვაჟა მესხი — პოეტის წერილები პოეტებზე. № 10.  
 ანდრო მირიანაშვილი — ილო მოსაშვილი. № 2; ვლადიმერ ზამბახიძის „ლიტერატურული წე-რილები“ № 8; ცხოვრების მხარდამხარ № 11.



- დიმიტრი შირიანაშვილი — შოთა ნიშნინანძის პოეზია. № 4; მეგობრული შენიშვნები, № 12.
- დავით მუსხელიშვილი — კახეთ-პერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. № 2.
- მაია ნათაძე — „წყნარი ამერიკელის“ ქართული თარგმანი. № 1.
- ნოდარ ნათაძე — ეგზოტიკა და ჭეშმარიტება. № 2.
- გიორგი ნატროშვილი — პოეზია, კრიტიკა და... წიგნის გამყიდველი. № 10.
- შალვა ნუცუბიძე — „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი საკითხისათვის. № 2; რუსთაველი და რენე-სანსის ფარგლების პრობლემა. № 8.
- ოტია პაქოროია — დიდი ლიტერატურა პატარებისათვის. № 9; რა იქნება შემდეგ? № 12.
- ვანტაგე უვანია — ვაჟა-ფშაველა — ადათობრივი სამართლის მკვლევარი. № 9.
- სარდატციო წერილი — სამხრეთ-ოსეთის მწერლები „ცისკარში“. № 12.
- მიხეილ სვანიძე — ერთი ფურცელი საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან. № 3.
- კონსტანტინე სვინტრაძე — ბრძოლები გრძელდებოდა. № 5.
- ლია სტურუა — „მთაწმინდის მთვარე“. № 12.
- ივანე სურგულაძე — სასამართლო სიტყვის შესახებ. № 4.
- რამაზ ფერაძე — წიგნი პოეტის ცხოვრებაზე. № 4.
- როდიონ ქორჭია — მეც ვითხოვ სიტყვას. № 11.
- იორამ ქემერტელიძე — ბავშვისა და დიდის თვალთ. № 10.
- გრიგოლ ხერხეულიძე — გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ზოგიერთი ნიშანთვისება. № 5.
- სიმონ ხეჩინაშვილი — არა მხოლოდ ჭკუის მასწავლებელი (ინტერვიუ). № 10.
- გიორგი ყურაშვილი — მშვიდობის საღარაჯოზე. № 4.
- პეტრე შამათავა — მშობლიური ჩანგით. № 5.
- ხვიმონ შამფრიანი — სიყვარული და ოსტატობა. № 10; ალალი გულის ნაქარნახევი. № 12.
- გრიგოლ შანიძე — მოყვანილი სიტყვების გარკვევისათვის. № 3.
- დიმიტრი შანშაშვილი — ყირიმის ცისქვეშ. № 7.
- შალვა შენგელი — ენგურის მზე. № 11.
- გურამ შერეზადაშვილი — წიგნი დავით აღმაშენებელზე. № 4.
- ნოდარ შოშიაშვილი — XII—XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი. № 9.
- არნოლდ ჩიქობავა — ნიჭი და შრომა (ინტერვიუ). № 11.
- ნოდარ ჩხეიძე — ახალი სახელი. № 12.
- შოთა ძიძიგური — „ირიბი მეტყველების“ დასაცავად. № 7.
- გიორგი ცოცანიძე — „ბუნების კარი“ და „ბუნებისმცოდნეობა“. № 11.
- ალექსი ჭინჭარაული — ატამან გოლოგოს „მიმზიდველი წერილი“. № 10.
- სერგი ჭილაია — სინათლე სულისა. № 11.
- ნიკოლოზ ჭაში — გამირი ქალაქი. № 5.
- გიორგი ჭიბლაძე — გამოთხოვება გრიშაშვილთან. № 10.
- გიორგი შატბერაშვილის ხსოვნას — № 5.

დიაღი თარიღები

- ვლადიმერ ვაგუა — ლენინი და ახალგაზრდობა. № 4.
- ფილიპე მახარაძე — ლენინი ცხოვრებაში. № 4.
- თედორე შავიშვილი — ძველი ბოლშევიკის მოგონებებიდან. № 7.
- ნუგზარ წერეთელი — წყარო შთაგონებისა. № 10.

მეცნიერება და ტექნიკა.

- ოთარ მეგლიძე — პუშკინისა და დანტესის დუელის საქმე. № 4.
- რამაზ პატარიძე — ჭვირნიშანი და ქრონოლოგია. № 4.
- სიმონ ციციშვილი — პოლონეთის საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან. № 4.

- ია გამრეკელი — თოჯინების თეატრი. № 2.  
 ნოდარ გურაბანიძე — „აბსურდის თეატრი“ № 6; რეჟისორი ეძებს თეატრს. № 10.  
 ნ. ეზერსკაია — მუღმივ ძიებაში. № 10.  
 ს. ვალერიუსი — ისტორია და თანადროულობა. № 8.  
 ლეილა თაბუკაშვილი — ხელოვნება პატარებისათვის. № 8.  
 ლევან რონდელი — წარსულის გაკეთილები. № 4.  
 ბორის სანაყოთი — ახალგაზრდა ხელოვნება. № 12.  
 გიორგი ძაღთიათი — „პამლეტი“ — ოსურ სცენაზე. № 12.

„პაშნიკი“ № 2

- თენგივ კაკუშაძე — „ბავშვობიდან გულში მხოლოდ შენი სახე მედო“. ლექსი.  
 შადვა ჩიტიშვილი — ლექსები.  
 გრიგოლ ჭულუხიძე — მამაის ყორღანზე. ლექსი.  
 ჯურბა ნადირაძე — ჩოკინა წაიყვანეს. მოთხრობა.  
 ვალერიან გოგოლაშვილი — კოსმონავტები და მეჩაიეები. ნარკვევი.  
 მიხეილ გოგუაძე — წვიმა. მოთხრობა.  
 გიგა მახვილაძე — ჩემი ქუჩა. ლექსი.

იუმორი

- იასონ გერსამია — უკანასკნელი მანეთიანი. № 7, № 8.  
 ალექსანდრე სამსონია — ბურთი, მოედანი და მაყურებელი. № 1.

თვიდან თვემდე

- ჩვენი რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების ქრონიკა — № 4, № 6, № 7, № 8, № 10, № 12.

სპორტი

- გურამ ფანჯიკიძე — ბრაზილიის დიდი გუნდი. № 9.  
 ავთანდილ ციბაძე — სპორტი და ესთეტიკა. № 7.

უძველი მხრიდან

- უცხოეთის კულტურული ცხოვრების ქრონიკა, № 2, № 3, № 4, № 5, № 6, № 7, № 8, № 9, № 10, № 11, № 12.



# უიწყასი

სამხრეთ-ოსეთის მფარლები „ცისკარში“	3	33-
ირ. აბაშიძე, ელ. აბაშუაძე, კ. გამსახურდია, ლ. გუდიაშვილი — გულითადად ვულოცავთ	4	33-
პავლე თაღავაძე — საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში	5	33-
ნაფი ჯუსოიტი — ოსური მფარელოვის გზა	9	33-

## პ ო ე ზ ი ა

გაფაჩი — ლექსები (თარგმანი ე. კვიციანიშვილისა)	15	33-
ღავით ჯიოტი — ლექსები (თარგმანი ჯ. ჩარკვიანისა)	37	33-
ნაფი ჯუსოიტი — ლექსი (თარგმანი ხ. ბერულავასი)	40	33-
ილია ფლითი — დღე მშვიდობისა (ლექსი. თარგმანი დ. ივარდავასი)	42	33-
ილია პაპაჯაძე — მუბატატი (ლექსი. თარგმანი გ. კალანდაძისა)	43	33-
რევაზ ასათი — ლექსები (თარგმანი ა. მირცხულავასი და ს. შამფრანისა)	50	33-
გიორგი ზესთაუთი — ლექსები (თარგმანი დ. ივარდავასი)	52	33-
მიხეილ ნართისთი — საუშრე (ლექსი. თარგმანი ვ. ჭავჭავაძისა)	55	33-
ჰაჯი-მურატ ქუცატი — სიტყვა (ლექსი. თარგმანი დ. ივარდავასი)	59	33-
ქოსტა მარლითი — საუბარი ზღვასთან (ლექსი. თარგმანი მ. ფოცხიშვილისა)	61	33-
ლემონილ ხარაბატი — ლექსები (თარგმანი ა. აბულაშვილისა)	80	33-
გერსან ყოღალატი — ლექსები (თარგმანი შ. ნიშნაინიძისა)	81	33-
ზინაიდა ხოსთიყთი — ლექსები (თარგმანი ვ. ჭავჭავაძისა)	83	33-
ალექსანდრე ფუხათი — ლექსები (თარგმანი მ. ფოცხიშვილისა)	84	33-
ინიღორა ძოჯათი — ლექსები (თარგმანი ი. ქემერტელიძისა და ა. აბულაშვილისა)	86	33-
ფელიქს ფლითი — ლექსები (თარგმანი მ. ფოცხიშვილისა და შ. ნიშნაინიძისა)	88	33-

## პ რ ო ზ უ

გიორგი ქუცატი — ღამისთევზ (მოთხრობა. თარგმანი ც. ჩხეიძისა)	18	33-
ელიოზ გაკოტი — გზაჯვარედინზე (მოთხრობა. თარგმანი ა. გეწაძისა)	23	33-
რეზო ცოციტი — ღაბრუნება (მოთხრობა. თარგმანი ხ. კახიანისა)	30	33-
ნიკოლოზ გაგლოტი — პატარა ბატონი (მოთხრობა. თარგმანი ა. გეწაძისა)	44	33-
მელიტონ გაგლოტი — თეთრი პალატა (მოთხრობა. თარგმანი ლ. ჩხეიძისა)	55	33-
სერგო ხაცირთი — ნაფიქლი მებრძობი (მოთხრობა. თარგმანი ა. აბულაშვილისა)	62	33-
ვისო სანაყოტი — ელქარონი (მოთხრობა. თარგმანი კ. კობერძისა)	68	33-
ალექსი გუჭალოტი — როგორ ხარ, ჯარისკაცი! (მოთხრობა. თარგმანი კ. კობერძისა)	76	33-
მიხეილ გუცმალოტი — ორი კირა (მოთხრობა. თარგმანი მ. ცხოვრებოვისა)	90	33-
გრიგოლ გაგლოტი — მებრძობი (მოთხრობა. თარგმანი მ. ლეგანაძისა)	92	33-
ვასო აბაიტი — ხალხური, გმირული	95	33-
გიორგი კაღთიათი — „პაფლეთი“ ოსური თეატრის სცენაზე	101	33-
ზორის სანაყოტი — ახალგაზრდა ხელოვნება	103	33-
ვლადიმერ გოლოტი — მხოლოდ ციფრები და ფაქტები	105	33-
ჩვენი ამბოხები (ბიოგრაფიული ცნობები)	109	33-



# ლილი წინაპრები

ეფსარ კვიციანი — ვაჟას რითმა  
ლია სტურუა — „მთაწმინდის მთვარე“



## ლიტერატურული კრიტიკა

ნოდარ ჩხეიძე — ახალი სახელი . . . . . 131 გვ.  
ოტია ავაქორია — რა იმნება შემდეგ? . . . . . 134 გვ.

## წიგნების საყაროში

სვიმონ უამფრინაძე — ალლი გულის ნაპარნახები . . . . . 138 გვ.  
რამაზ მიწვალაძე — მეგობრული შენიშვნები . . . . . 140 გვ.  
დავით ავაქიძე — ლუგოვსკოის პოეზია ქართულად . . . . . 142 გვ.

## თვიდან თვემდე

ყოველი მხრიდან . . . . . 149 გვ.

## საინფორმაციო აგებები

ქურნალ „სისქის“ 1965 წლის ნომრების შინაარსი . . . . . 154 გვ.



ვარკეანი და ტიტული ელგუჯა ამაშუკელისა ქურნალი გააფორმა თენგივ სამსონაძემ

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერძიშვილი

რედაქციაში შემოსული მასალები, მოცულობით ერთ თაბახამდე, ავტორებს არ დაუბრუნდება

რედაქციის მისამართი: თბილ.ი, პლენანოვის პროსპ. № 91.

ბელაფონები: რედაქტორის — 5-08-85, პ/პ მღვივინის — 5-08-86, განყოფილებების: კოეფიისა და პროზის, მენეჯერებისა და კულტურის — 5-08-75, პრინტირისა და გიგლიოგრაფიის — 5-08-85

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/XII 65 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7 შეკვ. № 4315. უე 03535. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 8500.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14  
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფასი 60 კპ.

6 36/12



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

издательство  
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВნება»

ИНДЕКС 76286